


652
2000



ISSN 0134 3459

საქართველოს
ბიბლიოთეკა

1
2000



წიქვედითგან იყოს წიგნეუად, და
წიგნეუად იგი იყოს უძეითისა თანა,
და უძეითი იყოს წიგნეუად იგი.

იოანე, თ. 1,1.

იესეი აქარა

დაარსებულია 1958 წელს

რა მუშენიერი ზღვა გვაქვს, აქარა,
რა მომავალი, კვირვასი ბედით...
ქალაქი - ჩვენი ქვეყნის ზანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ბათუმი

77

იანვარი, №-1

2000

საქართველოს მფრალთა კავშირისა და აქარის
ორგანიზაციის სალიტერატურო-საზოგადოებრივი
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
სანდრო ბერიძე

სარედაქციო საბჭო: გურაბ გორგილაძე (რედაქტორი),
ანგორ კულბა (განყოფილების გამგე), ბენრიება ქუთათელაძე
(პასუხისმგებელი მდივანი), ხათუნა შუშანიძე (მხატვრული რედაქტორი),
ტასო ცხიშიძე (ტექნიკური რედაქტორი)

საკონსულტაციო საბჭო: ვასტანბ ახვლედიანი, ნური
ვერგაძე, შოთა გოიძე, ღავით თედორაძე, ოტია იოსელიანი,
ღავით მჭედლური, ალექსანდრე სამსონია, რამაზ სურგანიძე,
თამაზ წიფნიაძე, ამირან ხაბაში, ზორიონ ხალვაში, ჯემალ ჯაყელი

პოეზია, პროზა

ჯემალ ჯაყელი

ნათალახილველი

(მოთხრობა)



ზღვისპირას,
ლამაზი მალ-
ლობის დინჯად
და შვეულ
ფერდობზე ორი

გამორჩეული ხე შრიალებს - ტირიფი
და ჩინარი. ტირიფი ძალიან გავს
თმებჩამოშლილ სევდიან ქალს, ხოლო
ტანშემოგარსულ - შემოსუფთავებული
ჩინარი კი - ყინად თავაწეულ ვაჟს. ვერ
იტყვი, რომ ამ უკანასკნელს გული
არაფერზე ეთანადრება. ვერც იმას, რომ
მისთვის სულერთია, ვინ უდგას გვერდით.
ისინი ძალიან გვანან ადამიანებს,
რომლებსაც გადაუწყვეტიათ ერთად
ყოფნა მაშინაც კი, როცა ზეზეურად
მოკვდებიან...

სწორედ აქ, ამ ხეებს შორის ჩადგმულ
ცისფერ ძელსკამზე სხედან მშვენიერი
ცისმარე და ახოვანი ყმაწვილი კაცი
იმედო. ცისმარეს მართლაც ტირიფივით
ჩამოუშლია მზისფერი თმები და
ზენიტიდან გადაქანებული მზე როცა
სახეზე ელამუნება, თავადაც მზის
ორეულს გავს, რაც მეტისმეტად ხიბლავს
მის გვერდით ყინად მჯდომ იმედოს.

ირგვლივ იდეალური სიმშვიდეა და
აზალიების ნელ სურნელებაც იგრძნობა,
მაგრამ... მოულოდნელად ქარმა
წამოუბერა და ზღვა უცნაურად
აიზლარბა. კიდეც... და ზღვა უფრო
აიხორკლა.

- მე ახლა წავალ და ძალიან მალე
მოვალ, - თქვა ბიჭმა და გაიხედა
შემოგდებული ნავისაკენ, - ტალღა რომ
წამოიშალოს, ნავს დაითრევს.

- როდის მოხვალ? - სევდიანად
ჰკითხა ცისმარემ.

- მალე, ანუ... როცა შენთვის ძალიან
საჭირო ვიქნები.

- მართლა დაგესიზმრა?

- კი, დამესიზმრა... ნუ შეშინდები,
სიზმარი - სიზმარია... სატანამ გონიდან
გადაგიყვანა და ტიროდი. ჩამესმა ილუმალი
ხმა, - უნდა წახვიდე და სიცოცხლის
წამალი მოიტანო. თვალებახვეული
ზღვის ნაპირს ჩავყევი. გილგამეში
მომელანდა მძინარი. ზღვის ფსკერიდან
ამოეტანა სიცოცხლისა და უკვდავების
წამლის შემზადების რეცეპტი. ძალიან
დაღლილი იყო და წაძინებოდა.
მიპარებოდა გველი და რეცეპტი მოეპარა.
იგი ხომ ადამიანის მტერია ტყუილისა
და ცოდვების გამო! ასეა, ზოგიერთი
შეცდომა სწორდება... ამელამ სანთელი
დაანთე, თავთან დაიდგი, უფალს
მშვიდობა შევედრე, ჩააქრე და დაიძინე.
ცუდი სიზმარი მე ყოველთვის კარგად
მისრულდება. - დამაიმედებლად დასძინა
ვაჟმა.

- ესაა სულ?

- არა! გილგამეშმა მითხრა, „მძინარა“
წყაროს გამოღვიძებისას უნდა შეასწრო,
ცხრა წლის ლერწმის გადანაჭერში
აადინო, შიგ წითელფეხება მტრედს
ნისკარტი ჩააწობინო და ავადმყოფს
დაალევიანო.

- სად არის ეგ „მძინარა“ წყარო?

- ხიხაის მთის ფერხთით.

- როდის „იღვიძებს“?

- ოცდაოთხ საათში ერთხელ
წამოსდინდება ცხრის დათვლამდე. მერე

საბავშვო
ბიბლიოთეკა

წყდება, იძინებს.

- კარგია. სიკეთეს რა სჯობია.

ისინი გაჩუმდნენ და ერთხანს უბრადად ისხდნენ. თითქოს ტირიფის სევდა ჩინარსაც გადაედო. იმიდომ წასვლის წინ ცისმარე გაამხნევა. ცისმარემ ამასწინათ წაკითხული ლექსი „დაგელოდები“... გაიხსენა.

იმედომ გაბედულად და გასამხნეველად განაგრძო:

- დაგელოდები, როგორც ჯიხვი ნიაგს დილისას!..

ცისმარეს სახეზე ღიმილი რომ გამოურთა, იმედომ განაგრძო:

- სადაც ხარ, ანდა სადაც იქნები, იქ დაიჩოქებს თეთრი ტაძარი... ფრთებს მთავაზობენ შენი ფიქრები... ამ სიყვარულის ცისფერი ქნარი ჩუმად ფეთქავდა მთების სულივით... შენი ბილიკი ქარში ეკიდა, როგორაც შენი მთების ზონარი...

- კარგი, იმედო კარგი...

ვაჟმა კიდევ უფრო თავგამოდებულიად განაგრძო:

- იისფერ ღრუბლებს ქარში არხევენ დიდი იმედის მწვანე ნერგები... სიცოცხლე შენი ცისფერი რტოა... დიდი ლოდინის უდაბნოთა ხარ ოაზისი... ავად გზღებოდი, დღეში ერთხელ რომ არ მენახე...

- იმედო, მართალი მეგონება ეს ყველაფერი...

- მოფარფატე პატრუქის ალი დროში გაქვავდა და გადაიქცა მარადისობად იგი ჩემი სიყვარულის მარადისობაა.

- ხომ გითხარი, მართალი მეგონება მეტეი, - და დასძინა, - ბედნიერი ხარ, რომ პოეტი ხარ.

- მაღლობა იმას, ვინც მაწერიანებს ამ ლექსებს. ბედნიერი ვარ, რომ ოცნებებში მაინც მაჯაზე მიდევს შენი საღამო, შენი სიზმრები ფერად-ფერადი.

- კარგი ერთი იმედო, რა... იცოდე, არაფერს აღარ დაგიჯერებ.

- ახლა მე სულ ცოტა ხნით წავალ, თორემ ერთი პატარა ტალღაც კი საკმარისია, ჩემი ნავი რომ დაითრიოს... არასოდეს დაკარგო თავისთავი. როცა ადამიანი თავისთავს კარგავს, სხვაც ეკარგება.

- ნათელმხილველივით მეუბნები.

- ყველა ადამიანი ნათელმხილველია, სულო ჩემო. ყველას გონებას ნათელი ახლავს... სურვილები და კანონები ერთმანეთს ენაცვლებიან და თანაც ერთმანეთს გამორიცხავენ. მე ჩემი წუხანდელი სიზმარის კვალდაკვალ ჩავივლი ჩემს ნავამდე და მოვიქცევი ისე, როგორც სიზმარში გილგამეშმა მითხრა...

- მე არც სიცოცხლის წამალი მინდა, არც უკვდავების თუკი...

- მალე მოვალ. მანამდე კი, აი, კარტი, გაშალე და შეიქცევი თავი.

* * *

ზურმუხტოვანი მაღლობი სავსეა სიმშვიდით, ყვავილებითა და ნაირნაირი ბალახებით. სახალხო მკურნალები ხშირად მოდიან აქ, აგროვებენ სამკურნალო ბალახებს და ამზადებენ წამლებს.

ერთი ასეთი იყო ორმოც წელს მიტანებული ქალი, რომელსაც მედეას ეძახოდნენ. სწორედ ეს მედეა ამ ლამაზ ზღვისპირა მაღლობის ნარნარად დაშვებულ ფერდობზე მოვიდა სამკურნალო ბალახების შესაგროვებლად. მან იქვე შორიახლო ტირიფსა და ყინადად

აშოტილ ჩინარს შორის დაინახა ფერდობისაგან ზურგშექცეული გოგო, რომელიც კარტს მოხერხებულად შლიდა და ბუტბუტებდა. ძილსიტყვაობას გავდა მისი ბუტბუტი.

მედეა დაინტერესდა, გულისყურით მოუსმინა, მაგრამ ვერაფერი გაიგო. არ დაინახოსო ბუჩქებში დაიმალა და გაიტრუნა. მას ეს გოგო მარჩიელი ან ნათელმხილველი ეგონა და კიდევ უფრო გაფაციცებით მოუსმინა.

ცისმარე ისევ და ისევ თავისთვის

ამბობდა:

„ღმერთო! ნეტავი როდის გამიჭირდება ყველაზე მეტად?! წინასწარმეტყველებას ხომ არ გავდა მისი ეს სიტყვები?! - გონება წაგვრთმევს, ვერაფერს გაიხსენებ და ვერაფერს დაიმასხვრებ, თუკი... იმ ბოთლიდან ჭინი ამოძვრება და გაფრინდებაო. ადამიანი მაშინ კარგავს წონასწორობას, როცა ქვეყანა კარგავს წონასწორობას და ხალხი უმართავი ხდება... რატომ დაესიზმრა ასეთი რამ იმედოს? - სიცოცხლის წამალი უნდა მოვიტანო, გილგამეშთან ვიყავიო... კოლხმა მედემ დამარიგაო...“

ამგვარად თვითსიტყვაობს ცისმარე და შლის კარტს. ვერ წარმოიდგენს თუ მას ვინმე უთვალთვალეს და უსმენს. არადა უსმენს მედეა და ფიქრობს: „სწორედაც ნათელმზილველია, თანაც შეყვარებულია. არსებობს კი სიყვარული? ის რომ არსებობდეს მე შემეყრებოდა... ორმოცს მიტანებული ვარ და სიყვარული რა არის არ ვიცი“.

ცისმარე შეკრთა და თქვა:

„ეს რა ცუდი კარტი ამომივიდა?“, ყვავებს გააქეთ ხვალის იმედი. დიდდება დღე ბოროტების საზეიმოდ. თითქოს ძმა ძმის მოსაკლავად ემზადება. ყველაფერი შეიცვლება. გრიგალი ამოვარდება და ყველაფერი ჩაბნელდება. ცხრა წლის ხარის ტყვის გუდაში ჩამწყდებული ქარბორია აიშვებს.

ღვთაება ეოლოს! იცოდე, სატანა აცდუნებს შენს ექვს ქალიშვილს. ისინი ცოლად გაყვებიან შენივე ექვს ვაჟს. ექვსი ძმა ექვს დაზე იქორწინებს. ღმერთის წინაშე ამ დიდი შეცოდების გამო ატირდება სიყვარულის მუზა. მას გრიგალი ხელიდან გამოსტაცებს იმავე საკრავიერს, - შენი სახელი რომ ჰქვია - ეოლოსის არფას! კეთილზმოდან არფას გრიგალი ეოლოელთა კუნძულის შავ კლდეზე მიანარცხებს და სიმებს დააწყვეტს. უმრწემსო და უზენაესო ეოლოს! განაძე ეოლოელთა კუნძულიდან

სატანა იგი ვიდრე ცხრა წლის ხარის ტყვის გუდაში ჩაყვრილ ქარბორბალს აუშვია“...

ბუჩქებში ჩამალულმა მედემ ველარ მოითმინა, კიდევ უფრო მოხერხებულად ჩაიმალა და შეეხმინა:

„ნათელმზილველო, შეიბრალე თავი შენი. მაგას სიყვარული თუ გალაპარაკებს, ჩათვალე, რომ ყველაფერი ამაოა, რადგან სიყვარული არ არსებობს!..“

ცისმარე წამოხტა და იქეთ-აქეთ მიმოიხედა. გაფითრდა. გაიფიქრა, მომეჩვენაო და დაჭდა, ზღვისაკენ გადაიხედა. ახლა უფრო გამუქებულიყო და ახორკლილიყო ზღვა.

„სიყვარულის მუზას ვერავინ წარსტაცებს კეთილზმოდან არფას, თუ არა სატანა. განვედ სატანაჲ! გრიგალები ვერ წაღეკავენ ლამაზ ლოტოსებს, მაგრამ მაინც საჭიროა მათი შებოჭვა. მხოლოდ მითიურ დედოფრეს შეუძლია ეს. იგი ხომ ქალაქებს აფუძნებს!“

„ქალაქებს შრომა აფუძნებს“. - ისევ ჩაესმა ცისმარეს. - „დიოდორეს კი შრომა ეზარება. ის მხოლოდ მბრძანებლობს“.

„ქალაქებს სიყვარული აფუძნებს. უსიყვარულოდ არაფერი არ შექმნილა. სიყვარულს ამოჰყავს მზე. იგი უკვდავება“.

„სიყვარული არ არსებობს. არარსებული ვერ ამოიყვანს მზეს და ვერ დააფუძნებს ქალაქებს“. - ისევ ჩაესმა.

„განვედ სატანაჲ!“ - წამოიძახა და ატირდა ცისმარე. - სადა ხარ, იმედო, ქარი უნდა ამოიჭრას, ხეთა კენწეროები შეძრწუნდნენ! მეშინია, სადა ხარ იმედო!

ცისმარემ კარტი უბეში ჩაიღო და წასვლა დააპირა.

მედესა შეეცოდა ცისმარე, ბუჩქებიდან წამოიმართა და წინ გადუდგა ხევწინით:

- არავითარი სატანა! მე გეპასუხებოდი ნათელმზილველო. არსად წახვიდე, მოვა შენი იმედო.

- ვინა ხარ შენ?

- მეწაღე მედეა, დამშვიდდი.

- არა, ვიცი, გრიგალი ამოიჭრება, იმედო უნდა მოგნახო.

- ის მოგნახავს შენ, მოიცა, ერთად წავიდეთ.

- არა! - თქვა, რატომღაც უიმედოდ გადახედა მედეას და წავიდა, ქარი მართლაც ამოიჭრა და ცისმარეს სწორედ მისი საყვარელი ტირიფის შვეულად დაშვებული, შეძრწუნებული ტოტებივით მიმოუწეწა თმები.

ცისმარე გარბის, თითქოს ცეცხლმოკიდებული პურის ყანიდან თავის დაღწევას ცდილობს.

ქალმა დაკრეფილი სამკურნალო ბალახები შეკონა და ქვემოთ, ზღვისპირას საგანგებოდ შემორაგულ ფარდულს შეათარა თავი.

გაწვიმდა.

სად იყო და სად არა, ფარდულში გრძელაბადიანი მამაკაცი შემოვიდა.

- გამარჯვება ქალბატონო, - თქვა მან მოგონილი თავაზიანობით.

- გაგიმარჯოთ.

- აქ რას აკეთებთ?

- აი, როგორც ხედავთ, სამკურნალო ბალახები დავკრიფე და... გამოდარებას ველოდები.

- ჰო, ეგა თქვით. მეც წვიმამ შემომავდო აქა. ასეთი წვიმა და ქარი ჯერ არ მახსოვს. მაინც რა არის ეს ზღვისპირეთი - ისე უცებ შეიცვლება ამინდი... თითქოს ზღვა მბრძანებლობდეს ამინდებს... ეგ რა, მართლა სამკურნალო ბალახებია?

- დიახ.

- რა ნიშნით არჩევთ - რაი არს რისად. ნათელმხილველი ხომ არა ხართ?

ქალმა ეშმაკურად გაიღიმა და თქვა:

- დიახ.

- მართლა ნათელმხილველი ხართ?

- დიახ.

ერთხანს იქვის თვალთ უყურებდა გრძელაბადიანი მამაკაცი, მაგრამ გამოკითხვისა და საუბრის შემდეგ დარწმუნდა, რომ ეს ქალი მას არ უნდა

ატყუებდეს.

მე ლევარსი ნაცერცავის ძე ტალახაძე ვარ, თქვენ?

- მედეა. გრძნეულ მედეას მეძახიან მეტსახელად.

- თქვენი საუბრიდან დავრწმუნდი, რომ მართლაც გრძნეული და ნათელმხილველი უნდა იყოთ. მეც გრძნეულ მედეას დაგიძახებთ... მე დარწმუნებული ვარ, რომ არ არსებობს ავადმყოფობა, რომლის განმკურნავი წამალი არ მოიძებნოს. ადამიანი ბუნების შვილია და ბუნებაშია მისთვის საჭირო ყველაფერი. ოღონდ ისაა, ადამიანებმა არ იციან, რა არს რისად, თქვენისთანები ალბათ დიდი გამონაკლისია...

ლევარსიმ გაიფიქრა:

„ახლა ნამეტანი ბევრს ლაპარაკობენ მაფიასა და მაფიოზობაზე. ჩემს მიმართ ძალიან დაეჭვებულები არიან. მსდგენ... იქნებ ამ ნათელმხილველმა ამოიცნოს, თუ რას მიქადის მომავალი, - შემრჩება ის, რაც ჩავიდინე თუ არა“.

მედეას მოუბრუნდა და ჰკითხა:

- ქალბატონო, როგორ მოგმართოთ, ნათელმხილველი თუ უბრალოდ მედეა?

ქალმა ისე გაიღიმა, თითქოს თვალეში კინკები აუცეცხლდნენო და განსაკუთრებული დამაჯერებლობით თქვა:

- როგორც გინდათ!

მცირე დუმილის შემდეგ ამ კაცს დააკვირდა. ქარისაგან გადახდილი ლაბადის ქვეშ გამოუჩნდა მალალი ჩინის სამხრეები.

ჩემმა მალალჩინოსნობამ არ შეაშინოსო კაცმა ლაბადა უკეთ მოიხურა და მოირგო. გასაგები იყო, რომ იგი მალავდა თავის „დამსახურებას“, ჩინებსა და ჯილდოებს.

სიჩუმე მედეამ დაარღვია და იკითხა:

- თქვენ როგორ მოგმართოთ, სახელით თუ წოდებით?

- რა წოდებაზეა ლაპარაკი. უბრალოდ, ლევარსი ტალახაძე! მე ვიცოდი, რომ აქ, ამ ზღვისპირეთში

ცხოვრობს ქალბატონი, რომელსაც მინდისავით ესმის ყოველი ბალახის ხმა და... ნათელმხილველიც არისო. ვერ წარმოვიდგენდი თუ აქ შეგვხვდებოდი. მაღლობა შემთხვევას, - ამ წვიმასა და ქარს, აქ რომ შეგვყარა.

- ნუ აჩქარდებით მაღლობის გადახდისათვის... მე არა ვარ ნათელმხილველი. ამ დაბაში, მგონი პაემანის ქუჩაზე უნდა ცხოვრობდეს ის. მას უცნაური სიტყვებით შეუძლია გამოიწვიოს ღვთაება ეოლოსი. ზარმაცი, მაგრამ კარგი მბრძანებელი დიოდორე, რომელიც ქალაქებს აფუძნებს, შეუძლია წინასწარ გაიგოს, როდის ამოიჭრება ცხრა წლის ხარის ტყავის გუდიდან გრიგალი, როდის ამოიჭრება ბოთლიდან ჯინი, როდის აიზღარბება და აიფოფრება ზღვა. ის ახლახან აქ იყო. წინასწარ იგრძნო მოსალოდნელი უბედურება და სასწრაფოდ წავიდა თავის შეყვარებულთან. ის თქვენ ყველაფერს

გეტყვით.

- მართალს მეუბნებით ქალბატონო?
- ღმერთმანი, მართალს მოგახსენებთ.
- ასე თუა, თქვენ საიდან იცით მაგ სამკურნალო ბალახების შესახებ?

- ამას არა აქვს საერთო ნათელმხილველობასთან.

- მაშ, კარგი. ბოდიშს გიხდით! - თქვა, ლაბადა კიდევ უფრო მოხერხებულად მოიტმანა, ფარდულიდან გაიხედა და გარემოს მუშტარავით მოაელო თვალი, - წვიმა მალე გადაიღებოდა და წავიდა.

მედამ თვალი გააყოლა და გაიფიქრა: „დიდი მათიოზი ვინმე უნდა იყოს ეგ ლევარსი ნაცერცავისძე ტალახაძე, დიდი ცოდვებით დამძიმებული მძარცველი, მედროვე... მაღალი ჩინის კაცია. ჩინებს მაღავს. ვიღაცას და რალაცას ემალება. ეტყობა ხედავს ნაჯახიანებს, რომლებიც მოდიან სწორედ იმ ხის მოსატყელად, რომელსაც ეფარება ბატონი ტალახაძე.

* * *

მედმა და ლევასი ტალახაძე ფარდულში მშვიდად რომ საუბრობდნენ ცისმარე და იმედო აბობოქრებულ ტალღებს ებრძოდნენ.

... ის იყო, სანაპიროზე ნახევრად შემოგდებული ნავისათვის ხელი უნდა ჩაეყიდა და პლაჟზე საიმედოდ ამოეტანა, რომ მოაწყდა გააგებული ტალღა და ნავთან ერთად იმედოც დაითრია. მეორე რიგის ტალღამ ისინი ისევ სანაპიროსკენ გამოსტყორცნა, მაგრამ ქვა და სილა უკანვე რომ წარიხვეტა, ნავიც წარიტაცა და საკმაოდ შორს გაიგდო.

იმედო ამოყურყუმალავდა და დაინახა, მისი ნავი იქვე ახლოს აქოჩრილ ტალღებზე ნაფოტივით ტივტივებდა, ერთიც თავში გაუელვა აზრმა - დაანებოს თავი და ნაპირზე გამოტოპოს, მაგრამ გულმა მაინც იკეტუნ გაუწია. მოეჩვენა, თითქოს ნავი ემუდარება. მიშველეო და იმედოც მისკენ ილტვის. სულ რაღაც ნაბადის

ერთი გაშლა მანძილია და ვერაფრის დიდებით მიწვდა. მიდის და ტალღა უკან აბრუნებს. შემდეგ თითქოს დასცინისო, ტალღამ ისე შესტყორცნა იმედო, ლამის ზედ ნავის კიბოზე მიანარცხა. გონს რომ მოეგო, მისგან ნავი უფრო შორს იყო.

იმედომ ერთხელ კიდევ გაიწია მისკენ, მაგრამ უცებ აქოჩრებულმა ტალღამ ჭერ აიტაცა და თითქოს სარმა დაუდესო, ქვეშ მოიქცია. როცა ამოყურყუმალავდა და სული მოითქვა, დაინახა, იგი ტალღის დარტყმას ნავის ქვეშ შეუგდია და მეორე მხარეს მოუქცევია. მოეჩვენა, ახლა ახლოს, სულ ახლოს იგი, მაგრამ მხოლოდ თითებით მისწვდა მას და უკან დაქანდა. ნავი განწირულ ბავშვივით თხოულობდა პატრონის ხელს.

კიდევ ერთი გაწევა და ნავის კიდეც ცალი ზელის რკინადქცეული თითები კავივით ჩამოსდო. მერე - მეორე ხელიც... მერე ტანი აირეკლა და შეეცადა ზედ

მოვლებოდა. სულ ცოტადა აკლდა ასვლას და... ნავი გადმოპირქვედა!..

რალაც სასწაულად გადარჩა იმედო. თავი დელფინივით რომ ამოყო, კივილი შემოესმა. თმები თავის მოქნევით გადაიკრიფა და დაინახა, ცისმარეს კაბის ფურჩალა მუხლებამდე ამოეწია და ტალღის უკუქცევას ელოდა. ტალღა უკუიქცა, თეთრი მარილიანი ქაფი ქვიშაზე ბაღსავით მოფინა და ცისმარეს ფეხქვეშ კენჭები გამოაცალა, თითქოს უთხრა, რაღას უცდი, მიეშველეო იმედოს.

მალე ცისმარე დემონივით წამომართულმა ტალღამ ხელში ატაცებულ ბავშვივით შეისროლა და ჩააყურყუმალავა. ადამიანის სიცოცხლის საბოლოო შანსივით ინახავს თავისთავში ენერგიას და რამდენადაც დაოსებული არ იყოს, მაინც იტოვებს სულის გადარჩენისათვის გაბრძოლების შესაძლებლობას. სწორედ ასეთ დღეში იყო ახლა იმედო, რომლის უმთავრეს ელდას ცისმარეს გადარჩენა ეწადა.

ნავი სადღაც მოშორებით ტივტივებდა, ხან ჩაინთქებოდა, ხანაც ნიანგის თავივით ზემოწეული კიჩო მოუჩანდა.

იმედო მთელი ძალით მოიწევდვა ნაპირისაკენ, საიდანაც ვეება ტალღის მიერ გამოტაცებული ცისმარე ისე საბედისწეროდ ინთქმებოდა, როგორც გულგაპოვილი ქალთევზა. ჩამოშლილი გაუწეული თმები გორგონესამებრ ყელზე ეხვეოდა გველებივით, თითქოს ცდილობდა დაესწრო ტალღისათვის და მას დაეხრჩო ქალი.

რამდენიმე მხარული და... ტალღისაგან ქვეჩათრეული იმედო უნებლიეთ ქალს მხრებით შემოადგა და საბრალო ცისმარე მალლა ამოაგდო. თვითონაც დელფინივით ამოყო თავი და

ქალს ნაპირისაკენ უბიძგა. დიდი ვაების შემდეგ თითქმის ამ ორი ახალგაზრდისგან გამოცდა ჩაიბარაო, ეცა ვეება ტალღა და ისინი ნაპირისაკენ გამოისროლა. თითქოს ახლა დაიბადნო, ფეხქვეშ ქვიშა რომ შეიგრძნეს. იმედომ ნაბიჯი შეიმავრა და ჩაჩოქილი ცისმარე წამოაქანა, შემდეგ ხელში აიტაცა და ის იყო სამშვიდობოს უნდა გამოსულიყვნენ, ვეება ტალღამ ისევ მოცელა. ახლა ერთმანეთზე გადახვეულ-გადაკოჭილები მორებივით დაეცენ. მაგრამ ამჯერად უკანასკნელი ძალა მოიკრიბეს და წამოდგნენ. სამშვიდობოს რომ გამოაღწიეს, თითქოს მათი დანდობა ინანაო მრისხანე ტალღამ ისევ შეუტია, მაგრამ ამჯერად მარილიანი წყლის ბუშტულაკებიანი ქაფი იმათ ბაღსავით შემოახვია უკანვე ჩასათრევად. ამოდ, ქაფი წამსვე ჩაიშრო ქვიშამ და ახალგაზრდებმა სული მოიბრუნეს.

არავინ იცის, ქანცაგაწყვეტილები რამდენხანს ეყარნენ ქვიშაზე. გონს რომ მოვიდნენ, თითქოს ბედის ირონიააო დაინახეს, ნავი ტალღას ნაპირზე გამოეგდო და დაეცხდრებია.

ისინი ნელა წამოდგნენ და მუხლებზე დაჩოქილები ერთმანეთს დიდხანს უბრად შესცივინებდნენ თვალეში.

თვალეები ნელ ნელა გამოედარათ.

მალე სხივები გადაიკრიბა და ახლა თვალეები ცრემლებით ავესოთ. ვერ გეტყოდნენ, რა იყო ეს ცრემლები, - გადარჩენის სიხარული თუ განცდილი ჭირთათმენისა. გვიან მიხვდნენ, რომ ეს არც ერთისა იყო არც მეორესი, ეს იყო სიყვარულის ცრემლები.

იმედო ნავის გადარჩენაში ხედავდა სიყვარულის გადარჩენას, რადგან სწორედ ამ ნავით ზღვაში შეცურებულებმა ერთმანეთს გაუმხილეს გულის ნადები.

* * *

გავიდა რამდენიმე დღე.
ყველაფერი თავთავის ადგილას დალაგდა.

იმედომ ცისმარეს გულბანდზე აკოცა და დაამშვიდა.
ცისმარემ იმედოს ჰკითხა:


- რატომ იგდებდი თავს ხიფათში?...
- სწორედ ის ნავი არის მოწამე თუ...
ზურმუხტის კონცხის აკვატორიაში,
სწორედ მაგ ნავით სეირნობის დროს,
როგორ გაგიმხილე გულის ნაღები. მაშინ
ჩემი გული ზღვაზე უფრო მეტად
ლეღვდა... ასე მეგონა, იმ ნავის დაღუპვით
ჩემი სიყვარული იღუპებოდა.

- ლამის ჩაიძირა...

- სიზმარი გამახსენდა... შენ რომ

სატანამ გონიდან გადაგადო. გადავჩით.
აწე არა გვიშავს რა. თუ არ დამცინებ
გეტყვი.. მაგ ჩემს ცისფერ ნავს კიჩოს
სვეტზე ცისფერი ბაფთი შევაბი და
ელინგის ლამაზ კუთხეში საიმედოდ
შევიწახე... მასში ის ლამაზი დღეა
შენახული, როცა გითხარი - მიყვარხარ
მეთქი...

- უცნაური დაცდა... როგორაც
დაცდი ისე ასრულდება.



* * *

ცისმარეს მოულოდნელად ესტუმრა
მეღეა და ბოდიში მოუხადა,
ნათელმხილველი მეგონეთ და ერთ საეჭვო
პიროვნებას თქვენზე ვუთხარი...

იმ დღეს გრძელაბადიანი კაცი
შემხვდა. ლევარსის სახელით გამეცნო, -
ლევარსი ნაცერცავისძე ტალახაძე ვარო,
რალაც ცოდვები მაქვს უნებლიეთ
ჩადენილი და მინდა გავიგო, როგორი
იქნება ჩემი საქმიანობის მომავალი. მაღალი
ჩინის თაღლითია, მაფიოზი.

ცისმარემ იგი ღიმილით გააცილა და
უთხრა, - დამიჯერე, სიყვარული არსებობს,
და სხვა არა დამიჯეროთ რა.

გავიდა რამდენიმე დღე... კარებზე
დააკაკუნეს.

ცისმარე არფაზე უკრავდა. არფა
მისწია, წამოდგა, კარები გააღო და
იკითხა, ვინ გნებავთო.

სტუმარმა უთხრა:

- თქვენი ნახვა მინდა.

- მობრძანდით.

- არ ვიცი, როგორ მოგმართოთ,
ნათელმხილველი თუ...

- არა, ბატონო, ცისმარე! რით
გემსახურო?

- მაპატიეთ, თქვენ იქნებ არ გცალიათ,
არფაზე უკრავდით. დაგელოდებით.

- არა, ბატონო, მე უბრალოდ...

- რა ლამაზი სახელი გქვიათ. როგორ
ფიქრობთ, თქვენ ცისმარე ხართ თუ
ცისმარე გქვიათ? - გახუმრება სცადა
დაუპატიეებელმა სტუმარმა.

ცისმარემ შორს დაიჭირა ხუმრობა
და კითხა:

- რით გემსახურო?

- მე ამას წინათ წვიმისაგან თავი
ზღვისპირა ფარდულს შევაფარე. იქ ერთი

ქალბატონი დამხვდა, მედღა. სამკურნალო ბალახები შეეგროვებია. მე ვკითხე, როგორ ცნობთ ბალახებს თავისი სამკურნალო თვისებებით მეთქი: მათი ენა მესმისო. ნათელმხილველი ხომ არა ხართ მეთქი, არა, ნათელმხილველი ცისმარეაო, პაემანის ქუჩაზე ცხოვრობსო. არ მითხრათ ახლა რომ მომატყუა.

შენ თურმე ღვთაებებს ელაპარაკები. წინასწარ გრძნობ ყოველ მოსალოდნელს. ნუ გამაწილებ ამ დროულ კაცს, უარს ნუ მაკადრებ.

- თქვენ ლევარსი ხომ არ გქვიათ?

- სწორადაც, სწორადაც! - შესძახა გახარებულმა სტუმარმა და დასძინა, - თქვენ კარგად გამოიცანით.

ცისმარეს გაეღიმა ამ გულუბრყვილობასა და შემთხვევითობაზე და თქვა:

- გვარად ტალახაძე.

- დიახ! მოხიბლული ვარ თქვენი ნიჭიერებითა და ნათელმხილველობით. მამის სახელსაც თუ გამოიცნობთ, ჩემთვის იქნებით აღმოჩენა.

- ნაცერცავისძე. - თქვა ცისმარემ და ეშმაკურად გაიღიმა.

გახარებული და გაოცებული ლევარსი წამოიჭრა და თქვა:

- ნება მიბოძეთ ხელზე გეამბოროთ...

- არაა საჭირო... მე მხოლოდ მუსიკოსი ვარ...

- ნუ გამწირავთ, ძვირფასო, უარს ნუ მეტყვით, მიწინასწარმეტყველეთ.

- რატომ ხართ ასე დაფეთებული, ნარკობიზნესს ხომ არ ეწევით?

ლევარსი შეკრთა, შეძრწუნდა, ყველაფერი კარგად დაინახაო, მას არაფერი მოეტყუება და არაფერი დაემალებაო. მცირე დუმილის შემდეგ დასძინა:

- ხომ გითხარით, უნებლიე ცოდო მაღვეს მეთქი... რითი დამთავრდება ეს დიდი ოპერაცია?

ცისმარემ კარგად დააკვირდა ამ კაცს და შეატყო, რომ ხელოვნური ულვაშებით არის შენიღბული. შეშინდა და

გადაწყვიტა, როგორმე ეს კაცი მშვიდობიანად მოეცილებინა თავიდან, მაგრამ ამაოდ. ცოტაც და ლაბადის შიგნით დალანდა ამ უცნაური კაცის მაღალი ჩინის სამხრეები ძველ ლაბადაში რომ საგანგებოდ მაღავდა.

- გთხოვთ, დამტოვოთ. მე გულწრფელად გეუბნებით, რომ არა ვარ ნათელმხილველი, მე ერთი უბრალო მუსიკოსი ვარ.

- თქვენ ისეთი რალაცები ამოიცანით, რომ... ასე ადვილად თავს ვერ დაგანებებთ. ჩემი საქმე რომ გამოაშკარავდეს, თქვენ დაგაბრალებთ და საქმე ცუდად წავა.

ცისმარე შეშინდა და გადაწყვიტა დაპყრობა, ოღონდ არაფერი შეერჩინა მისთვის და რითაც შეეძლო, გამოეაშკარავებინა. თანაც სიტყვა მიეცა, რომ არავისთან მის შესახებ არაფერს იტყოდა და ამით დაემშვიდებინა, ოღონდ თავიდან მოეცილებინა.

- ბატონო ლევარსი, მე მაუწყებენ მაგიური ძალები რომ თქვენ თუ ნილაბს არ მოიხსნით, ნათელმხილველობის ქმედების ძალა დასუსტდება, ველარაფერს გეტყვით. თქვენ თუ გიჭირთ, მაგ ულვაშებს მე თვითონ აგაცილებთ.

- არა, ბატონო, მე - თვითონ!

- მოიხსენით ლაბადა. მე ვიცი, რომ თქვენ ლაბადის ქვეშ მაღავთ მაღალი ჩინის სამხრეებს.

- კეთილი ბატონო... ახლა ის მითხარით, სადამდე მიმიყვანს ჩემი გზა?

- დღეს- თქვენს სახლამდე, მერე - იქით, მერე - ცოტა იქით...

- ეგ რას ნიშნავს, ნათელმხილველო? რაც მითხარით, ეგ მეც ვიცი. გთხოვთ მითხრათ ის, რაც არ ვიცი. თანაც ნუ შეეცდებით ჩემს გაბრიყვებას.

ცისმარე იცინის, არა ვარო ნათელმხილველი.

ლევარსის მოსვენება ეკარგება, მისი უმთავრესი სურვილია ეს საიდუმლოება ცისმარემ არ გაამხილოს. უნდოდა გაეგო, ამ ბოლო დროს მათი და მათიოზების წინააღმდეგ ატეხილი ხმაური მისთვის

რითი დამთავრდებოდა. გამოირკვა, რომ „ნათელმზილველმა“ ის მხოლოდ ამხილა, ხოლო კითხვაზე - რითი დამთავრდება ეს ყველაფერი, მიიღო პასუხი „არ ვიცი“, უფრო მეტიც, კითხვაზე თუ სადამდე მიიყვანს მას, მიიღო პასუხად „დღეს - თქვენს სახლამდე, მერე - იქით, მერე - ცოტა იქით“. რა არის ეს „მერე - იქით“?! „არა, ყველა ღონე უნდა ვიხმარო, როგორმე მოვათვინიერო ეს ნათელმზილველი. ან დავემუქრო. ან კიდე გონებიდან გადავადგო და დავავიწყო ყველაფერი“. - გაიფიქრა ლევარსიმ და თქვა:

- თქვენ რაიმე საიდუმლო გქონიათ ოდესმე?

- ერთად ერთი... იმედოს სიყვარულს ვუმაღავდი. ეს ბოლომდე ვერ შევძელი, ვამხილე და ისე გავთავისუფლდი, თითქოს ფრთები შემესხა. სუფთა გული საიდუმლოებას ვერ ინახავს, მითუმეტეს - საშიშს.

ლევარსის ნირი წაუხდა და დაბეჭითებით თქვა:

- შენ მართლა არ გეგონოს, რომ მე... არავინ არაფერი წაგაცდინოს ჩემზე, თორემ ამას ცილისწამებად ჩაგივლიან. მე შორსა ვარ ყოველგვარი მაფიოზური საქმისაგან. ისიც უნდა იცოდეს, რომ ადამიანს ერთ მხარზე ანგელოზი აზის, მეორეზე - სატანა. ერთ მშვენიერ დღეს იმძლავრებს სატანა და წახდება ყველაფერი.

- არა, ბატონო! სუფთა გულში სატანა ვერ შეაღწევს. არაუშავს, მხარზე ბრძანდებოდეს იგი.

- ნათელმზილველო, იციდე, მე ძალიან მდიდარი და ძლიერი პიროვნება ვარ. ჩემთან დამოკიდებულებაში სიფრთხილეა საჭირო. სიყვარული რა ბედენაა. იგი ცოდვას ჩაგადენინებს. სიყვარულით ფრთაასხმულს ავიწყდება ყოველი ამქვეყნიური, იგი ცერცვეტია და ქარაფშუტა. მთავარია სიმდიდრე. მშვიდი თუ ხარი, სიყვარული ვერაფერს გიშველის.

- ბატონო გენერალო, თქვენ ოდესმე

ვინმე გყვარებით?

- ხომ გითხარით, სიყვარული არასერიოზული საქმეა. სიყვარულით გატაცებული ბრმა. მას ვერაფერს ანდობ და ვერც ენდობი. მინდა ჩვენ მეტად ვენდოთ ერთმანეთს. თქვენ რაც მირჩიეთ, მე იმას ვიღებ ძვირფას საჩუქრად და ჩემს მხრივ მეც გჩუქნით... აი, ამ ძვირფასი თვლების მძივს. ოღონდ იცოდეთ, არც ის უნდა თქვათ, რაც მირჩიეთ, არც ის, რომ თქვენთან ვიყავი და, ცხადია, არც ის, რომ ეს ძვირფასი სამკაული მე გაჩუქეთ.

ეს ძვირფასი საჩუქარი ლევარსიმ იმიტომ გადასცა, რომ შემდეგ ამ გოგოს დააბრალოს, თითქოს მან ეს მოიპარა. ასეთი მზაკვრული გულით, ნილაბივით მორგებული ღიმილით ძვირფასი თვლების ასხმულა მაგიდაზე დადო და წავიდა.

შეცბუნებულმა ცისმარემ საჩუქარს ხელი წამოავლო, დაედევნა და ერთხელ კიდე უთხრა.

- მე ნუ მისმენთ, მე არა ვარ ნათელმზილველი...

- არა ძვირფასო, ნუ შეეცდებით ჩემს გადარწმუნებას. ნახვამდის.

- მოითმინეთ, ბატონო! - შეძრწუნდა ცისმარე და კარებს მიეყრდნო, არ წავიდესო.

- ერთსა გთხოვ, არ წაგცდეს ჩემზე არაფერი. არავინ არაფერი გათქმევინოს. - საკმაოდ სერიოზულად თქვა.

- ვერავინ ვერაფერს ვერ მათქმევინებს. წაიღეთ თქვენი სამკაული.

- ვერც მე გათქმევინებთ?

- ვერა.

- ვთქვათ, ავიღე და... ეგ მზისფერი თმები მიგაჭერი.

- ვერ მათქმევინებთ.

- ყური მოგჭერი...

- ვერა.

- დედა გათქმევინებს?

- ვერა, ოღონდ თავი დამანებეთ.

- ძალდატანებით ვერავინ ვერაფერს გათქმევინებს?

- ვერა.

- ვერც - შენი იმედო?
 - იმედო? იმედოს მე სულს არ დავუშლი. მას არაფერს დავუშალავ. იგი პოეტია, იგი შეყვარებულია, იგი ამალღებულია...

ლევარსის ბოლომდე გაუცრუვდა იმედი. მტკიცედ გადაწყვიტა, რაიმე ისეთი მოიმოქმედოს, „წყლიდან მშრალად ამოვიდეს“. ერთდღერთ გზად ამ გოგოს მიმართ ცილისწამება მისი თავიდან მოცილება ღარჩა.

ცისმარე ცრემლებს იწმენდს და ეუბნება:

- წაიღე ეს თქვენი საჩუქარი.

ლევარსი შორს იქერს:

- მე იქნებ თქვენს ქორწილს ვერ დავესწრო. ეს კი მიიღეთ საქორწილო საჩუქრად. ჩემზე საიდუმლოს შენახვით თავს ნუ შეიწუხებთ. ეშინია მხოლოდ დამნაშავეს. შენ შეყვარებული მუსიკოსი ხარ. ფიქრობ მხოლოდ სიყვარულზე, სიცოცხლეზე, ფრთების სიმსუბუქეზე. არაფრით დაიმძიმო გული, მე ვიცი რომ მეტუმრე, ნათელმზილველობაც დაგაბრალეს. გთხოვ, ყველაფერი სწორად გამიგო და შეეცადე მე დამივიწყო - თქვა მოგონილი გულწრფელებით და წავიდა.

გაოგნებული ცისმარე სავარძელში ჩაეშვა, თვალები დახუჭა და გაიტრუნა. არ ახსოვს რამდენხანს იჯდა ასე გაბრუებული. შეიშმუშნა და წამოდგა. მაგიდაზე გულგრილად მიგდებული ძვირფასი თვლების ასხმულა ისეთი სიფრთხილით აიღო, თითქოს ის მძინარი მორიელი იყო, რომელიც ჰა და ჰა გამოიღვიძებს და მოშხამავს. ხელში შეატრიალა, შემოატრიალა, უცნაურად გაიღიმა და თავის ადგილას დაადგო. ასხმულამ საოცარი წმინდა ხმით გაიწკრიალა და წახნაგებში ფერადი ათინათები გამოაერთო.

კარებზე დააკაკუნეს...

იმედო შემოვიდა...

ცისმარეს განსაკუთრებით ახლა გაეხარა იმედოს მოსვლა და შეახსენა:

- ამასწინათ მითხარი, როცა ძალიან

გაგიჭირდება, მაშინ მოვალო. ძალიან გამიჭირდა...

- რა არის ეს? რაშია საქმე, ვინ დატოვა? რატომ ნერვიულობ?

ცისმარემ ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ცოტაც და... მოეშვა.

იმედომ ცისმარე დაამშვიდა.

ცისმარემ გულუბრყვილოდ იკითხა:

- რა ელირება ეს?

- ვთქვამთ... მილიონი ჩავიდეთ ჭიბეში, რას ვიზამთ?

- არაფერს. რატომ არ მიუგდე პატრონს?

- ხელეებში შემომაჩეჩა და წავიდა. ალბათ მოვა და... წაიღებს... რას იზამ, მილიონი რომ გქონდეს?

- ალბათ არაფერს.

ცისმარემ გამომცდელად თქვა:

- ოო, რას ვიზამდი!.. მოგზაურობა გემით... თვითმფრინავით... მერე მონტევიდეო... კალიფორნია... ფლორიდა. იქეთ თეთრი ღამეები, აქეთ - ტროპიკები. ვსხდებით აქლემებზე და მივდივართ ოაზისისაკენ.

ბანანებით გვიმასპინძლებიან მაიმუნები - ადიან ხეზე და გვაყრიან თავზე... ჰეი, მაიმუნებო, რა კარგი მასპინძლობა გცოდნიათ!..

ცისმარე უცნაური ოცნებებიდან კარების გაჯახუნებამ გამოიწვია. კარებს ფეხი ჰკრა ორმა ნილბოსანმა და შემოვიდა. მათ მოჰყვა ლევარსი. დადგა მიხურულ კარებთან და თქვა:

- აი, ამ ღამაზე ბრიყმა მომპარა ეს ძვირფასი სამკაული. რომლის ფასიც სულ ცოტა - მილიონია. ასეთი ქურდობა და ბოროტება არავის ახსოვს. შეიპყარი! ეს ჭაბუკი ამ ღამაზე ქალიშვილზე შეყვარებულია და მჭერა, იმოდენა ჯენტლმენობას მაინც გამოიჩენს, რომ ეს გოგო მარტოდ არ დატოვოს. ამიტომ, დასდეთ პატივი და დართეთ ნება, იგიც წამოაბრძანდეს...

ნილბოსნები მიეჭრნენ ახალგაზრდებს:

- აბა, მაჩები!.. - და ბორკილები ააქლარუნეს.

- გვატყვევინეთ თუნდაც ერთი სიტყვა, რა ხდება?!

- იქ გატყვევინებენ, მაგები!

ცისმარეს უკვე აღარაფრის ეშინია, რადგან მასთან იმედოა.

გულიანად იცინის. ჭკუაზე შემცდარი გეგონებოდა.

- რა გაცინებს! - გაჯავრდა ლევარსი.

- რალაცას ვხედავ. - თქვა ცისმარემ.

- რას ხედავ! - გაჯავრდა მეორე ნიღბოსანი. ისევ გაუშეორა.

- სრულიად ახალ სამყაროს! ზღვის სტიქიაში დანახული სამყარო რამეთი თუ წაიშლებოდა არ მეგონა. ეს სრულიად ახალია... საინტერესო და უცნაური ყოფილა ეს სამყარო. თქვენ რომ არა, ეს ბატონი გენერალი რომ არა, მე ათას ვერასოდეს ვერ აღმოვაჩენდი. დიდი მადლობა ამისათვის.

- ხელებზე ბორკილი გადევთ და იცინით. თან მადლობას იხდი, ერთი რამ არ ვიცი, მაგ ბორკილიანი ხელებით თმა როგორ უნდა დაივარცხნო?

- ბორკილიანები თმას არ ივარცხნიან, - დასძინა ჩექმებიანმა.

- ახსენით ბორკილები, - თქვა ლევარსი.

ახსნეს.

- მადლობთ, - გაიჭურჩულა ცისმარემ.

- გადააჭაჭვეთ ორივე ერთად! მოიწით, ბატონო პოეტო! - დამცინავად თქვა ლევარსი.

- მადლობთ, - თქვა ცისმარემ.

- ერთად გადააჭაჭვეთ ორივე, - ვაჟის მარჯვენა და ქალის მარცხენა...

- რალამც არ მოგვისმინეთ, მასე იყოს.

- თქვა იმედომ და მშვიდად დასძინა: „შეუნდე უფალო, რამეთუ არა იციან, რასა იქმენ“...

- რატომ ასე თავისუფლად გრძნობთ თავს? შეგახსენებთ, რომ ბორკილები გადევთ!

იმედომ გაიღიმა და თქვა:

- სულ მიკვირდა, ფრანგი პოეტი ვიიონი ჯალათებმა სახრჩობელაზე რომ აიყვანეს, რატომ წასკდა სიცილი. იგი

მართალი ყოფილა. სახრჩობელადან ისეთი სამყარო დაინახა, რასაც ვერასოდეს წარმოიდგენდა. ეს მისთვის აღმოჩენა იყო.

- თქვენც ასე მიგაჩნიათ? - იკითხა ლევარსი.

- დიახ! - დასძინა იმედომ და ჩაილაპარაკა, - ჩვენ, მე და ცისმარე ყველაფერს ვხედავთ... ბორკილები ვერ გვაშორებს.

- მაშ, კარგი. აბა ცალ-ცალკე შეუყარით ხელები.

ნიღბოსნებმა ბრძანება უმაღლესად ასრულონ.

- ახლა რაღა იტყვით? - გაწიწმატდა ლევარსი.

- იგივეს...

- ცალ-ცალკე, სხვადასხვა მიმართულებით დახტივებით...

- მაინც ერთად ვიქნებით, - თამამად გაიბეორა ქალიშვილმა.

- თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ სიყვარული ძალიან ამარცხებს სიკვდილს. ეს სისულოლია. სიყვარულიც სისულოლეა. იგი მხოლოდ ფუფუნის კეთებაა. ფული ჯოჯოხეთს ანათებს. ეს კარგად უნდა იცოდეს მუსიკოსმა და პოეტმა.

- სიყვარული ამარცხებს სიკვდილს, - თქვა ცისმარემ.

ლევარსიმ ღიად მოითმინა და მკაცრად განაცხადა.

- თქვენ უნდა დაისაჯოთ ამ ძვირფასი სამკაულის მოპარვისათვის და ისეთი აცეტებულ სიყვარულისათვის, რომლისთვისაც უცხოა საიდუმლოების შენახვა... იქ, ახალ სასახლეში გელიან.

- მაინც ასე რატომ შეიწუხეთ თავი ჩვენი მასხრად აგდებისათვის.

- თქვენ რომ არ შეწუხებულიყავით შორეული მოგზაურობით. რავარი საქმეა, - აქეთ კალიფორნია, იქით - ფლორიდა, აქეთ თეთრი ღამეები, იქით - ოაზისები. ბანანები, მაიმუნები... მინდა სიმართლე ვიცოდე, ჩემს ირგვლივ ხომ არ იქსოვება ობობას ქსელი. მართლა შენ ამოიცანი ჩემი საქმიანობა თუ ვინმემ გითხრა.

- ამოვიცანი...



- თუკი ჩემი საქმიანობა შენ განჭვრიტე ნათელი ხილვებით, ერთსაც გკითხავ და მთელი სიცოცხლის მანძილზე ყველაფერს დაგიჭერებ, თუკი მიპასუხებ კითხვაზე: ჩემი მეზობლის ქალი ფეხმძიმედაა, რას გეუბნება შენი ნათელმხილველობა, იმას ქალი შეეძინება თუ ვაჟი? კარგად დაფიქრდი, პასუხი საბედისწერო არ გამოვიდეს.

- თუ თქვენ ასეთ მუქარებს თავს არ დაანებებთ, გეტყვით, რომ იმას შეეძინება ქალი ან ვაჟი.

- ამთვან რომელი? - არ ეშვება დაეჭვებული ლევარსი.

- ქვეყანას ვაჟის გაჩენა უხარია. ჩვენს მტერმორეულ ქვეყანას მხოლოდ ვაჟიანობა გადაარჩენს.

- თქვენ ამბობთ, რომ... ვაჟი, არა?!

- დიახ, - იძულებით თქვა ცისმარემ. ლევარსი მიუბრუნდა ნილბოსნებს და ბრძანა:

- აბა, წაიყვანეთ ეს ორი ანგელოზი და იქ, იმ „მინის სასახლეში“ ცალ-ცალკე ჩასვით!

ჩემებიანი მოიხმო და ჩუმად უთხრა. - მაგენს რომ იქ მოაყუჩებთ, წადით, ის ფეხმძიმე ქალი გაფატრეთ და ნახეთ, ვაჟი ჰყავს თუ გოგონა. მოდით და მომახსენეთ. თუ ვაჟი ჰყავს, ხომ კარგი, თუ ქალი - მაშინ ჩვენი ნათელმხილველი თვალთმაქცობს. ასეთ შემთხვევაში სხვანაირად უნდა მოვიქცე, „ობობას ქსელის ძაფი“ სხვაგან უნდა ვეძიო. წაიყვანეთ!

* * *

პაემანის ქუჩა, ცისმარეს ბინა ლევარსი ნაცერცავის ძე ტალახაძემ „კონტროლზე აიყვანა“. მას აინტერესებდა გაეგო, ამ ბინას ვინ მოაკითხავს და ვინ არის იგი.

საპარადო შესასვლელთან შეხვდა ერთი მოქალაქე და იკითხა:

- უკაცრავად, ბატონო, აქ სადღაც უნდა ცხოვრობდეს ცისმარე მე ვეძებ მის მეგობარს იმედოს, მთელ ქალაქში ვერსად აღმოვაჩინე და, ბოლოს, მომასწავლეს, ცისმარეს ეცოდინებაო.

- რატომ უნდა იცოდეს ცისმარემ?

- იკვირანდ იკითხა ლევარსი.

- მისი მეგობარი ყოფილა...

- რაზე გჭირდება იმედო? ან თქვენ ვინა ხართ?

- მე მისი მეზობელი ვარ, მითხრეს, ცხრა წლის ლერწმის გადანაჭერით თვალის სინათლის წამალი მოუტანიაო მძინარა წყაროდან. დედაჩემს თვალეში სინათლე ჩაეშრიტა და მინდა ვუმკურნალო.

- არჩენს?

- დიახ.

- რამდენად ყიდის წამალს?

- არ ყიდის, ბატონო, ხალხს ეხმარება.

- შენ ხომ არაფერს მატყუებ?

- არა, ბატონო, ღმერთმანი არ გატყუებ, - თქვა მოსულმა.

- თვითონ მშიერია და სხვას ეხმარება.

- ღვთისნიერი სიკეთით ცხოვრობენ, ბატონო. ადამიანს თვალში სინათლეს მოგვევრის, ამაზე მეტი სიმდიდრე რაღა...

- რა ქვია ამისთანა კაცს?

- კარგი კაცი ქვია, ბატონო, ღვთისნიერი.

- თქვენ იმას აქ ორ დღეში ნახავთ. ნახვამდის.

ლევარსი ჩაფიქრდა და თვითსიტყვაობას მოჰყვა:

„რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება? ღვთისნიერი მშიერი სჯობია თუ მაფიოზი მდიდარი? მე იმდენი ფული მაქვს, რომ შემძლია სოფელს ეკლესია ავუშენო. ეგ ლატაკი შეყვარებული პოეტი ამისთანას რას იზამს? ღმერთს ძლიერი და მდიდარი უფრო უყვარს. ღარიბისაგან ეკლესია არაფერს შეიწირავს... რაო, დედას თვალთა სინათლეს დაუბრუნებსო? ეტყობა ცუდადაა ეგ ბიჭი გაზრდილი. პირველი არის ფული, მეორე... მეორეც ფული და მესამე... სხვათაშორის მესამეც - ფული! იგი ჭოჭოხეთს ანათებს, ეგ ბრიყვი უსასყიდლოდ ეხმარება ხალხს.“

* * *

ნილბოსნებმა მოახსენეს ლევარსის, რომ იმ ფეხმძიმე ქალს... ვაჟი ჰყავდა.

- ნამდვილად?

- დიახ, ნამდვილად! - იცრუეს „პატრონზე“ გულაყრილმა ნილბოსნებმა. ისინი საბოლოოდ დარწმუნდნენ რომ ლევარსი არის ღვთის პირიდან გადავარდნილი ნაკაცარი, მაფიოზი...

„მართალი ყოფნათელმხილველი“, - გაიფიქრა მოტყუებულმა ლევარსიმ. - „გამოდის, რომ „ობობას ქსელი“ არსად არ იქსოვება... ჩემს შესახებ არავინ არაფერი იცის ცისმარეს გარდა. ამის მოვლა აღვილია“ და ბრძანა:

- გაუშვით იმედო სახლში და აქ მომიყვანეთ ნათელმხილველი ცისმარე!

არ გასულა მცირე დრო და ლევარსის ბორკილგაყრილი ცისმარე მოგვარეს. ლევარსიმ სახეზე უცნაური ღიმილი გადაიღო და ცისმარეს უთხრა:

- მე თქვენ გამოგცადეთ, ნათელმხილველო. თქვენ ბორკილშიც რჩებით დიდ ადამიანად. თქვენ ჭეშმარიტად დიდი პიროვნება ხართ. მომეცით ხელები, ბორკილები მინდა აგხსნათ.

- რატომ ასე გადაწყვიტეთ? - მშვიდად იკითხა ცისმარემ.

- მე თქვენ ჭეშმარიტად დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ და შეგთავაზოთ ჩემი სამსახური. ოღონდ ჭერეს მითხარით, რა არის სიყვარული?

ცისმარეს გაუკვირდა მოულოდნელი შეკითხვა და ჩაფიქრდა. ბოლოს თქვა:

- სიყვარული არის ამალღებული შინაგანი მდგომარეობა. იგი უნდა იგრძნოთ.

- მაინც რა გრძნობაა ამისთანა? - დაინტერესდა ლევარსი.

- წალან ბორკილების ენით ვსაუბრობდით, ახლა - სიყვარულზე. მე თქვენი არ მესმის.

- ცხოვრება პარადოქსებითაა სავსე...

რალამც მე თქვენი ვირწმუნე, ამიტომ გეკითხებით.

- სიყვარული არის გონების, გულის და სხეულის ლტოლვა ერთმანეთისაკენ... სიყვარული და პოეზია ერთია. მისი გაგება შეუძლია მხოლოდ კეთილის მოქმედს. როცა გიყვარს, ბოროტებას ვერ ჩაიღწ. შეყვარებული მორწმუნეზე უფრო სუფთა და ამალღებულია. იგი ყველაფერს ღამაში კუთხით ხედავს, ყველაფერში სილამაზეს ხედავს.

- მაშ, კაცის მკვლელი არ შეიძლება იყოს შეყვარებული?

- არა! სიყვარული გულწრფელებაა, აღმაფრენა და ალერსია. მკვლელს არ შეუძლია ალერსი, იგი არაა გულწრფელი. დადის და არ ენაღვლება რაზე აბიჯებს.

- ბავშვზე, ბიბლიაზე, ჩიტის ბარტყზე თუ ყვავილზე. ვისაც შეერჩენია მონატრების გრძნობა, ის მიხვდება, რომ სიყვარული მონატრებაა. იგი გათენებაა დიდი ღამისა, იგი არის წრფელად ნათქვამი - „მე და შენ“.

ლევარსი მწარედ ჩაფიქრდა და მისდაუნებურად თქვა:

- დიახ, „მე და შენ“! ასე ვამბობ ახლა მე იმიტომ, რომ მე და შენ უნდა ვითანამშრომლოთ... ჩვენ ერთი საქმე უნდა ვაკეთოთ.

მცირე დუმილის შემდეგ დაბეჭითებით თქვა: უნდა წაგიყვანო ჩემთან თანამშრომლად. ჩვენ ერთად ბევრ საქმეს გავაკეთებთ, ბევრ ფულსაც! შენ ოცნებიდან რეალობაში აღმოჩნდები. იმოგზაურებ იმავე ფლორიდაში, კალიფორნიაში... დიდი დაწესებულებების თანამშრომელი იქნებით! შენს განკარგულებაში იქნება მანქანა, აგარაკი... რა ბედენაა ღატაკი პოეტის სიყვარული. პირველი იყო საქმე. სანამ პირველყოფილი ადამიანი არ გაძღა, სიმღერა არ დაუწყია..

- დიდი მადლობა ამგვარი დარიგებისათვის, - დამცინავად თქვა ქალმა.

- ერთი რამ მომივიდა აზრად. ვფიქრობ, იგი ყველაზე უკეთესია და აჯობებს ყველა ჩანათიქრს. მე უცებ გადავიტყვევი... უცოლო კაცად.

- ?

- სხვას შევიერთავ. ჩავსვამ სიმდიდრეში. როგორც გუმანი მკარნახობს, ეს შენ იქნები.

- არაფერი მესმის. - გაუკვირდა ცისმარეს.

- შენ გახდები ჩემი ცოლი. სიყვარული ყველა ასაკში მოვა. ოთხმოცი წლის გერმანელს თვრამეტი წლის რეინელი გოგო შეუყვარდა. შენი წინასწარმეტყველებანი და რჩევები, ჩემი გამოცდილება და ოსტატობა ჩვენს ინტერესებს შეათანაბრებს, მე აღარ მაცდუნებს ღმერთი ვიფიქრო იმაზე, თუ ოდესმე სად მიმოიხლართება ჩემი მომავლის „ობობას ქსელი“, მთელი არსებით მივეცემი მთავარ საზრუნავს. შენ კი, როგორც გითხარი, ოცნებასთან საქმიანად შეგახვედრებ. აკი თქვი, - ყველაფერი ლამაზი კუთხით უნდა დაინახო. ოცნებით ცაში ათას ზეტიალს ჯობს რეალობაში მიწაზე ერთჯერ გააკეთო ის, რაც მომავალზე მუშაობს. საჭიროა მიხვდე, რომ ყველაფერზე სიცილი არ შეიძლება. ვისაც საიდუმლოების შენახვა არ შეუძლია, იგი ქარაფშუტაა.

- კი გითხარით, სიყვარულისათვის არ არსებობს რაიმე დამალული, მით უფრო, ბოროტებისა.

მეგონა შეეცდებოდი ჩემში ნდობის დამსახურებას, შენ კი მასხრად მიგდებ.

- ისეთ რამეს მეუბნებით, ბატონო გენერალო, ქათამსაც კი გაეცინება. მასხრად თქვენ მიგდებთ. ბორკილების ახსნა ჩემს შეხედულებებს არ ცვლის. მე არ გემუქრებით არსად არ წავალ და არავის არ ვეტყვი, რომ თქვენ ისეთი ხართ როგორიცა ხართ, მაგრამ თუ ვინმე თქვენზე მკითხავს, ცხადია, სიმათლეს ვეტყვი.

- მეგონა მადლობას გადამიხდით გათავისუფლებისა და იმ დიდი სიმდიდრის

დაბრებისათვის, რაც, ალბათ, სხვებისთვის სანატრელია. შენ ნათელმხილველი ხარ და ჩემს შესახებ ყველაფერი იცი. როგორ ფიქრობ, ჩემისთანა ფრთხილი კაცი „სუსტად გილს“ უყურადღებოდ დატოვებს? მიფრთხილდი, თორემ, ღმერთმანი, სამუდამოდ დაგადუმებ.

- გაიგეთ, რომ მე არა ვარ ნათელმხილველი. მე ვარ მუსიკოსი, ვუკრავ არფაზე და ვოცნებობ მომავალზე. მე არ მჭირდება არც კალიფორნია, არც ფლორიდა, არც რიო-დე ჟანეირო, არც თქვენი მილიონები, არც თქვენთან თანამშრომლობა და, მითუმეტეს, არც თქვენი ცოლობა, - გადაჭრით და კატეგორიულად თქვა ცისმარემ.

ლევარსი თითქმის საგონებელში ჩავარდა. ღრმად დარწმუნებულია, რომ ეს გოგო ნათელმხილველია და თავს იკატუნებს. მასზე არც მუქარა ჭრის, არც ბორკილები, არც მილიონები! მწარედ ჩაფიქრდა, გაგულისდა და გადაჭრით თქვა:

- იცოდე, მე შენ სამუდამოდ დაგადუმებ. ნათელმხილველობა, ვთქვათ, აქ აღარაფერ შუაშია. მთავარია, რომ შენ ჩემი საიდუმლოების მფლობელი ხარ. ეს საკმარისია შენი განაჩენისათვის.

- განვედ, სატანავ, ჩემგან!

ლევარსი მოვიდა, კისერზე მჭიდროდ მოხვია თავისი ძლიერი მკლავი, ჯიბიდან მოწითალო აბები ამოიღო და ძალად ჩაუტენა პირში. ასე ხელებში მომწყდებული ყავდა მანამ, სანამ ნერწყვები ძალაუვნებურად არ გადააყლაპვინა.

ცისმარემ თვალები დახუჭა და გასავათდა.

ლევარსიმ იგი იქვე დივანზე მიაწვინა და, არავინ მომისწროსო, აჩქარდა. წასვლის ხანს თქვა:

- მოვრჩით ყოველგვარ ვაკანალიას! რა მაქვს შენზე სახვეწარი. ბრძანდებოდე მანდ! გაიღვიძებ და ქვეყნად არაფერი აღარ გემახსოვრება, დაკარგული მესხიერებით იცხოვრებ. საკუთარ სახელსაც ველარ გაიხსენებ. აი, ესეც შენი ნათელმხილველობა და სიყვარული. რაც მოგივა დავითაო...

* * *

იმედოსთან მივიდა მეზობელი და უდიდესი მადლობა გადაუხადა ცხრა წლის ლერწმის გადანაჭერში მძინარა წყაროს იმ მაგიური წვეთებისათვის, რომლითაც დედამ თვლები აუხილა. იცოდა რომ იმედომ მკურნალობის სანაცვლოდ გასამრჯელოს არ აიღებდა, და გულითადი მადლობის გარდა არა აკადრა რა.

იმედო ცისმარესთან წავიდა.

ოთახის კარი ღია დახვდა.

გაუყვირა.

შევიდა ოთახში და ნახა უგონო ცისმარე.

იმედომ იგი სასოებით წამოაყენა და კითხა:

- რა დაგემართა!

აზრდაკარგული ცისმარე დუმს.

- რა დაგემართა, ცისმარე, შემომხედ, მე ვარ იმედო.

- აზრდაკარგული ცისმარე უაზროდ იცინის...

იმედომ იგრძნო, რაშიც იყო საქმე და სასწრაფო დახმარება მოიხზო.

საპარადო შესასვლელთან სასწრაფო დახმარების მანქანა რომ დაინახეს, მეზობლები ცისმარეს კარებს მიაწყდნენ.

ლევარსი სასწრაფო დახმარების მანქანის სირენის ხმაზე მიხვდა, რომ ცისმარეს დროზე მიეშველებიან და მდგომარეობიდან გამოიყვანენ. ამიტომ გადაწყვიტა დროზე გაცლოდა ქალაქს. მან რეიდზე მდგარი უცხოური გემი შენიშნა. როგორმე გემთან უნდა მიცურდეს ნავით და მშვიდობიანად გაემგზავროს უცხოეთში, გემით. და იქ დაელოდოს „ამინდებს“.

ლევარსი მივარდა ელინგთან, ახსნა იქ იმედოს ნავი, ზრიალით გადაუშვა ნაპირზე და ზღვისაკენ დაითრია. ის იყო, ნავი უნდა შეეგდო ზღვაში და თავადაც ზედ მოხერხებულად მოყურებულყო,

ზრეშის ჩხრიალი მოესმა. მისკენ გამეტებით მორბოდა ორი იგივე ნილბოსანი და იმედოს მეზობელი. იგი იქვე შეიპყრეს, ხელზე ბორკილები დაადეს და წააბრძანეს სწორედ იმ პაემანის ქუჩაზე, სადაც ამასწინათ დიდი იმედებით მოვიდა „ნათელმხილველთან“.

აბების მთლიანად შეწოვა ვერ მოესწრო და... ცისმარე სასწრაფო დახმარებას მდგომარეობიდან გამოეყვანა.

ცისმარე ფერდაკარგული და გაფითრებული იჯდა სავარძელში. იმედო ათამდე ითვლიდა და ამეორებიანებდა, თანაც ეუბნებოდა:

- აი, ესეც ჩემი ამასწინანდელი სიზმარი. - სატანამ გონიდან გადაგიყვანა და ტიროდი. სიზმარში ტირილი მე კარგად მაქვს დაცდილი. დამშვიდდი. სულ მალე ყველაფერი გაივლის.


სიტყვა დაამთავრა თუ არა, ნილბიანებმა ლევარსი ტალახაძე ოთახში შემოიყვანეს და ნილბები მოიხსნეს.

იმედომ იცნო ქალაქელი ბიჭები. ისინი სპეცსამსახურებში მუშაობდნენ. ცისმარესა და იმედოს დიდი მადლობა გადაუხადეს უდიდ გულწრფელებისათვის და მათ ფერხითი დაგდებულ შებორკილ ლევარსის ზიზლით დახედეს. კარებზე კარისკაცით მიყრდნობილმა იმედომ ყველასათვის მოულოდნელად ლევარსის მოსამართლესავით კითხა:

- რას მოითხოვთ?

- ერთადერთს, - მასწავლეთ ადამიანური სიყვარული..

P.S გავიდა რამდენიმე დღე და ლევარსი ტალახაძის ამბავი ვიკითხე. მის შესახებ ვერავინ ვერაფერი მიპასუხა. ეტყობა, იგი იმავე დღეს წაიყვანეს და... კარგადაც „ასწავლეს“!..



ამირან ხაბაზი

კავკასიური ნოველა



ადრე მესამე
სართულზე
ცხოვრობდა
დაშენკასთან
ერთად. დაშას
ქმარი მეზღვაური

იყო და თვეობით მარტო რჩებოდნენ. იგი მაშინ საძინებელ ოთახში, პარკეტზე გაიშოტებოდა. თავს თათებზე ჩამოდებდა და ჩამოიძინებდა. ძია ვოვას დაშა და ძალლი ერთად. მიაცილებდნენ გემის ტრაპამდე. დაშა ხელს უჭენვდა ვოვას. ხოლო ძალლი კუდის ქიცინით ეთხოვებოდა სახლის პატრონს...

მერე სახლში სანაპიროს ქუჩით ბრუნდებოდნენ. ნაცნობი რომ შემოხედებოდათ ყველას უკვირდა.

- რამ მოგაყვანინა დედალი ძალლი, მამალ ძაღლებს ვერ გამოლოვე ეზოში. დაკარგე ან ვინმე მონადირეს მიეცი. ლეკვებს დაყრის, იქნება მამალიც გამოერიოს.

დაშა ამ კითხვებზე ყოველთვის ასე პასუხობდა: კავკასიურია, მამაცი, ჭკვიანი, გულმოდგინედ მდარაჯობს.

ეს ერთგულება მანამდე გაგრძელდა, სანამ სახლში ასეთი დრამატული ამბავი არ დატრიალდა.

ძია ვოვას გემი ჯერ გასულიც არ იქნებოდა, ან მისი გასვლის სიგნალი ჯერ კიდევ ისმოდა, რომ ზარი დარეკავდა და ზღრუბლზე შავულვაშა კაცი გადმოაბიჯებდა. ერთი სიტყვით, გემის გასვლა და ამ კაცის ზარის დარეკვა ერთი იყო... გემი მიდიოდა, სიყვარული მოდიოდა...

დაშა ამ კაცს სულ, „ჩემო

სიყვარულოთი“ იხსენებდა. სასწრაფოდ ყავას მოადუღებდა. ორიოდ შოკოლადს ყავიანი ფინჯანის პაწია თეფშზე ჩამოდებდა. ამ ფინჯანზე ცალ ფეხზე მდგარი წითელნისკარტა მამალი წერო ეხატა, ხოლო პაწია თეფშზე ძირს გართხმული და ცისკენ ვედრებით თვალაპყრობილი დედალი წერო ფინჯანს აპყურებდა... დაახლოებით იმ სცენის იმიტაცია იყო, თუ გახსენდებათ, გაზაფხულზე მამლების ფერხითი დედალმა ფრინველმა რომ იცის მიწაზე გართხმა...

როცა შავულვაშა ყავას შესვამდა, დაშა ფინჯანში ჩაიხედავდა და მარჩიელობდა:

- მალე გემი ნავსადგურიდან გავა. მას გაჰყვება კაცი, რომელიც მე არასოდეს მყვარებია და ძალით გამაყოლებს. უსიყვარულო სარეცელი უნაყოფოც გამოდგა და ჭეჭნად ამ ძაღლზე ერთგული არავინ მყავს. გადის გემი. დარეკავს ზარი და შემოვა ის, ვინც სიცოცხლეს მირჩენია...

ამას რომ იტყოდა, ერთს ისეთს გადაიკისკისებდა, ლამაზი ბროლის ჭალი წკრიალით აჰყვებოდა მის ბროლივით მსხვრევად, მოცახცახე სიცილს.

იმ დღესაც ძალღს თათებში თაფარგულს ეძინა. დაშა და შავულვაშა საწოლზე ისხდნენ... მერე დაშამ მაგნიტოფონი ჩართო და ოთახში ვალსების მუსიკა დაიღვარა. ერთმანეთზე მიკრულნი ცეკვავდნენ. ძალღს ისევ თათებში თაფარგულს ეძინა. სრიალ-სრიალით ხან ერთ კუთხეში მიტურდებოდნენ, ხან ჭალის პირდაპირ

ტრიალებდნენ. მათ თავდავიწყებას მაგნიტაფონის ლენტის დასრულება უშლიდა ხელს და მერე ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა. მერე მოცეკვავე წყილი ძაღლთან ახლოს აღმოჩნდა და... ვაცმა შემთხვევით თავისი მძიმე და სქელქუსლიანი ფეხი ძაღლს შუა წელზე დაადგა დაა... წამოვარდა ნაგაზი წავწყავითა და წკმუტუნით და კავალერს ორი კბილი ყველაზე რბილ ადგილას გაუყარა. იღრიალა შავულვაშამ, მაგრამ არა იღრიალა. მაგნიტოფონი ისევ ვალსს უკრავდა და ამ აკომპონიმენტის თანხლებით კაცი შარვალს იხდიდა. დაშა ოთახებში დარბოდა. მერე კავალერს უკანაღზე ლობიოს მარცვლებს აწებებდა. მუსიკა ისევ ნიშნისმოგებით უკრავდა. ძაღლი კამოდთან ატუშულიყო და თვალყურს ადევნებდა ყოველივე ამას. როცა დაშა ამ სახელდახელო მკურნალობას მორჩა, იატაკის საწმენდ ჯოხს წამოავლო ხელი და ძაღლს გამოენთო:

- შე საზიზღარო ძაღლო, შე ძუნავ, გაეთრიე... ძაღლი ხან მაგიდის ქვეშ მიიყუებოდა და ხან საწოლქვეშ. რომ მოიხელთა, რამდენიმეჯერ ჯოხი მუცელშიც უთავაზა. ძაღლი ფეხმძიმედ იყო და მოეჩვენა რომ ლეკვმა მარჯვენა ფერდზე დრუნჩით უჯიკავა. მუსიკა ისევ უკრავდა...

- წადი, გაეთრიე, ახლავე გაეთრიე - ყვიროდა ქალი. კაცს დაჯდომაც ვერ მოეხერხებინა მტკივანი ადგილების გამო. მუსიკა, რაღაც იუმორისტულ, დამცინავ, სარკასტულ ჰანგზე გადავიდა. ძაღლმა დიდხანს ირბინა მაგიდებსა და საწოლებს შორის. ამ სირბილში კამოდზე დადგმული საათიც გადმოვარდა და დაიმსხვრა. კედლიდან ნახატი ჩამოვარდა ერთი გაფხორილი იმპერატრიცასი და ძაღლი სისწრაფით ისე დაეტაკა სურათს, მეორე მხარეს გამოვარდა და თანაც იმ ადგილას გამოძვრა, სადაც იმპერატრიცას

გაფხორილი კაბის სარტყლები მუცელს ქვემოდ ერთდებოდნენ... მუსიკა ისევ რაღაც საშინლად დამცინავ ნოტაზე უკრავდა. როგორც იქნა დაშამ ძაღლი სადარბაზოს კარებთან მოიმწყვდია, ჯერ ფეხები ურტყა მუცელში, მერე კარი გამოაღო და უკანასკნელი პანლურით გარეთ გამოავლო...

... ძაღლი დამძიმებულ მუცელს ძლივს მიათრევდა. კიბეებზე ჩალასლასდა და პირველი სართულის აივანქვეშ შებობლდა. სილაზე გაწვა და თავი ფეხებზე ჩამოასვენა.

- რა მკაცრები არიან ადამიანები!!!

ამის შემდეგ ვინმე პურის ნატეხს რომ გადმოავდებდა, იმას მივარდებოდა, რომელიმე ძაღლს მიასწრებდა. ეს იყო და ეს.

მეორე სართულზე კატია დეიდა ცხოვრობდა. ერთ დღეს პურის ნატეხზე მისასწრებად რომ გამოვარდა, დეიდა კატიამ შეამჩნია და სიბრალულით ჩაილაპარაკა: ბედნაია საბაკა, აკაზიეატისია ბერემენნაია!

დაშას მხოლოდ მაშინ ხედავდა, როცა კიბეებზე აღიოდა. თვალს შეავლებდა მის მაღალ წვივებს, მანძილს ჩქარი ნაბიჯებით რომ იმოკლებდნენ. ისიც დაზეპირებული ჰქონდა, გემი რომ სამჯერ მისცემდა გასვლის სიგნალს და კიბეებზე შავულვაშა კაცი ვეფხვის შინაგანი დაძაბულობითა და კატის ნაბიჯების სიმსუბუქით აღიოდა კიბეებზე.

ერთ დღეს დაშას თეთრი პენუარი შემოდგომის ქარმა გადმოავლო და მის წინ ალბატროსივით დაფრინდა. იცნო ძაღლმა დაშას პენუარი. პირი დაავლო სუნამოს სუნით გაჟღენთილ სიფრიფანა ნეილონს, მიწაზე დააფინა და თითქოს ამას ელოდაო, მუცელმა გვრემა დაუწყო, თვალთ დაუბნელდა, წელი გადაწყვეტაზე ჰქონდა, სუნთქვა შეეკრა და... პირველმა ლეკვამაც დაიწყკმუტუნა. მეორეც, მესამეც... დაშას ჭათქათა, უნაყოფო თეთრ პერანგზე ესალმებოდნენ თავიანთ წილ სიცოცხლეს...

ქვეყანა ბოხოქრობდა. ქუჩებში პოლიციელები გახშირდნენ. პაწია სოროდან მხოლოდ ადამიანთა ფეხები ჩანდნენ. თავები რომ არ ჩანდა, გეგონებოდა ადამიანები უთავოდ დადიანო. აღარც ყფდა. რახანია ყფაც გადავიწყდა. აბა ვისთვის უნდა შეეყფა, ქუჩაში ათასი ქურდი დადიოდა და თავი გაუსკდა ყფაში. ეს მაშინ ყფდა, მთელი წლის განმავლობაში ვინმეს თუ დალანდავდა მოპარულ ძელს რომ მიათრევდა ან ეზოში ვაშლის ხეზე აძვრებოდა, თორემ ახლა ყველა მოპარულს ჭამდა და მოპარულს იცმევდა, ამიტომ ყფაც აღარ იყო საჭირო. ერთი სიტყვით, ყფდნენ ადამიანები და ჩუმად იყვნენ ძაღლები... სოროდან ერთი კაციც მოსჩანდა. რომ შელამდებოდა ამ სამოცბინიან სახლს გარშემო უვლიდა და უვლიდა. თურმე სხვადასხვა აივნებიდან შემთხვევით ჩამოვარდნილ სარეცხის სამაგრ „შპილკებს“ აგროვებდა, ხოლო მის აივანზე გაბმულ თოვზე ასობით ასეთი „შპილკა“ ეკიდა და ეზოდან ისე ჩანდა, გეგონებოდა ღამით სახლის გარშემო მოარულ კაცს თოვებით დახაზულ ნოტების რვეულზე დაკიდებული, სხვადასხვა აივნიდან ჩამოვარდნილი ფერადი „შპილკებით“, ქალაქის ნაღვლიანი, ღამაზი, მაგრამ ძნელად შესასრულებელი სიმღერა დაუწყებიაო.

სოროდან ადრინდელი პრიალა ფეხსაცმელების მაგივრად დახეული ფეხსაცმელები ჩანდნენ, ბადურებში ხმელა პური და მაწვნის თითო ქილა ქანაობდა „უთავო“ ხალხის მკლავზე. კატია დეიდა ახლა თვითონ ჩამოდიოდა ხვნეშით კიბეებზე და პურის ნატეხებს პირდაპირ სოროში შეყრიდა, რომ რომელიმე ძაღლს არ დაესწრო. სორო ცენტრალურ ქუჩას გადაჰყურებდა. ქუჩაში ხალხი თანდათან მომრავლდა. მეგაფონები მომიტინგეებს უხმობდნენ. ხალხი ბლომად მოგროვდა. პოლიციელები ადგილს ვერ პოულობდნენ.

აქა-იქ ხმამაღალი შეძახილები ისმოდა. მეგაფონები ისევ გუგუზნებდნენ და შინდისფერი დროშები ფრიალებდნენ...

პაწია ლეკვებმა სორო მიატოვეს და ქუჩაში გაცვივდნენ. უცებ საიდანაც პოლიციის მანქანა გამოვარდა და ერთი ბომბორა, ყველაზე თავნება ლეკვი ბორბლებქვეშ მოიყოლა და გზა გააგრძელა.

დედამ პირი დასტაცა ლეკვს და სოროში შეათრია. ლეკვს სისხლი სდიოდა ღვარად. დაშას პენუარი საკმარისი აღარ იყო... ისევ გარეთ გავარდა, ყველას ფეხებში ებლანდებოდა. ხალხი კიოდა. იმ დღეს მიტინგი დაარბიეს და ქუჩაში დაღეწილი ჯვრიანი დროშები ეყარა. პირი ერთ უტარო დროშას ჰკიდა და სოროში შეათრია. ჯანმრთელი ლეკვები მისწი-მოსწია და დროშაზე თავნება, გასისხლიანებული ბომბორა ლეკვი დააწვინა...

გამთენიისას სახლის ბინადარნი ძაღლის შემზარავმა ტირილმა გამოაღვიძა. ჯერ მაღლიდან უძახეს: თათა შე საცოფვე, თათაო, მაგრამ ძაღლი არ ჩუმდებოდა. მაშინ ერთი კაცი ჩავიდა და ძაღლი ცემით გამოათრია სოროდან. ლეკვებიც ტირილით გამოცვივდნენ გარეთ. თეთრ ტრანსპარანტზე პაწია, ბომბორა მკედარი ლეკვი იწვა. კაცმა ტრანსპარანტი წამოსწია და ცისკრის სინათლეზე მარცვალ-მარცვალ წაიკითხა ტრანსპარანტზე დაწერილი მოწოდება: დი-დე-ბა თა-ვი-სუ-ფალ სა-ქარ-თვე-ლოს! კავკასიური ლეკვის სისხლი ამ ტრანსპარანტს კვალად დასჩენოდა, გაფართოებულიყო და საქართველოს რუკის ფორმა მიეღო. ახლა ისე ღამაზი იყო ეს ტრანსპარანტი, რომ ვერცერთი მომიტინგე ვერ წარმოიდგენდა. მოწოდებას ზედ გადაჰკვროდა წითელი სისხლით დახატული საქართველოს რუკა!

კაცმა ანაზღად ხელი შეუშვა კავკასიური ლეკვის სისხლით

დამშვენებულ საქართველოს რუკას და ჩქარი ნაბიჯებით აირბინა სახლის კიბეები...

დღემ მკვდარ ლევს პირი დასტაცა, ცოცხალი ლევები აწკმუტუნდნენ, თითქოს თავისი სხეულის ნაწილს ეთხოვებინათ. ყურიც არ ათხოვა ლევების წკმუტუნს. ქუჩა გადაირბინა. მკვდარი ლევები კბილებით ეჭირა. ბექობს გადაღმა ბასრი ბრჭყალებით მიწა ამოფოფა და შიგ ჩააწვინა. ერთი გულამოსკენით შეპყმუვლა თავზე წამომდგარ სავსე მთვარეს და მიწა თათებითვე მიაყარა.

უქმელ-უსმელობამ ბევრი ძალის გააცოფა იმ ქუჩაზე. მასაც ძვლები ტკიოდა და ტანი უხურდა. ლევებიც თავის წილ რძეს ითხოვდნენ და ხარბად ბურჩნიდნენ დედის მიღეულ ძუძუს.

თვლებში ვარსკვლავები ბრწყინავდნენ. აღარც ლევების თავი აღარ ჰქონდა. სოროდან აღარ გამოდიოდა. აქედან კი „უთაო“ ხალხის მარტო ფეხები მოჩანდა... და საოცრებაჲ! სიცხით ასჯერ უფრო გამახვილებულმა ყნოსვამ შეიცნო თუ აბრიალებულმა თვლებმა იცნეს, რომ ამ ქუჩაში პოლიციელი გადმოდიოდა...

ის, ვინც ბომბორა ლევები გაიტანა მანქანით... ტანი ძლივს აითრია, სხეული უხურდა, არა და ცოტაც და პოლიციელი ქუჩას გადაირბენდა. უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა, წინ გადაურბინა და მარჯვენა ფეხზე უკბინა. პოლიციელი აფართხალდა, აღრიალდა, ქვებს დასწვდა და ძალს მიაყარა... ძალლი უკვე ლასლასით მიდიოდა სოროსკენ. დილით სახლის ბინადარი ლევების წკმუტუნმა გამოაღვიძა. კატია დეიდა ჩავიდა, ავიშვიშდა, ქმარი ჩაგზავნა და ძალლი დაამარხვინა...

ორმოცი დღის მერე ქუჩაში პროცესია მოდიოდა. ძაძებიანი ქირისუფალი უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა პოლიციელს, რომელიც ძალის ნაკბენისაგან გაცოფებულიყო...

სოროში კავკასიური ლევები წკვეწკვებდნენ და დედას უხმობდნენ. კატია დეიდა კიბეებს ჩამოივლიდა და სოროში პურის ნატეხებს შეუყრიდა: ცოდონი არიან, ჯიშინები ჩანან, ცოტას წამოიზრდებიან და თავისთავს ეპატრონებიანო!



ლია სტურუა

მუჰანიარი ეპოიზი

რა ელეგანტურია სექტემბერი!
 არც ცხელი ჟოშინი,
 არც სიცივის ლურჯი კანკალი,
 მარიამობას გატეხილი ამინდის
 გრილი და მჭირვალი ზნე აქვს,
 ოქროს ჭინძისთავებით შეკრული მაჯები,
 ყელზე ბელურების მძივები,
 რაც მშვიერი ზამთრის მოახლოებაზე
 მიგვანიშნებს,
 მაგრამ, მარტო სიმწიფის სუნით
 გაგაძლობს,
 იელის თაფლით გაგაბრუებს
 და ნელ-თბილი მზე
 რომ ჩაგიდგან თვალებში, ანუ ლინზები,
 ისეთი გაუსაძლისი სიმკვეთრიდან
 დაგანახებს, როგორ ვიწროვდება
 ქვეყანა ფოთოლცვენის დროს,
 როგორ უხდება ღვინის
 გაცრეცილი ხავერდი
 და რა ტკბილად შედის ზამთარში,
 თითქოს, შაქრის ფხვნილი დააყარეს...
 ჩემი ცხოვრებისთვის
 ბოლო ათი ზამთარი რომ გამომეკლო,
 ვაპატიებდი შემოდგომას
 ამ თვინიერ ფერისცვალებას,
 ახლა კი, მგონია,
 გაქანებული მატარებლიდან გადამაგდეს
 და ნეკნებით ჩამარჭეს
 მუდმივ სიმზრალეში
 არც სისხლი, არც ტვინის მხეფები
 კედელზე,
 სამაგიეროდ, სკლეროზის ფუფუნება,
 როცა მარტო ის გახსოვს,
 რაც გინდა,
 ერთადერთი სევდიანი გადახრა -
 მშვიერი ბელურების მძივები ყელზე...

თავისუფლება

ლამის 10 საათია,
ფეხები ჩაყრილი მაქვს სინათლეში,
წნევას ვიგდებ,
მაფიების ერთმანეთზე ხაზუნისგან
გამოცემული ხანმოკლე სითბო
მთენთავს,
თავისუფალი ვარ ფიქრისგან,
ლექისგან, სიკეთისგან,
თანაგრძნობისგან...
ტელევიზორში
სექსუალური აქტის ფონზე
მორბენალი სტრიქონები მაუწყებენ:
ექოსკოპია, საახალწლო ფასდაკლებით.
იქნებ, დამანახონ
ნაძვისხედ ქცეული ხერხემალი,
რომელსაც ღვიძლის ყვითელი ლამპა ანათებს...
თვალები, პირიქით, ჭრება,
პეიზაჟის უქონლობის გამო...
რომ შეიძლებოდეს, ნიგოზის აცმასავით
ამომავლონ ბადაგის სინათლეში
და ხეზე ჩამომეკიდონ
პატარა ყოჩაღმა ბიჭებმა,
შინდისფერებმა და მაჟორულებმა,
ელექტროძრავების გრიალში
სოკოებივით ამოსულებმა,
რადგან ჩაქრა ჩემი ღვიძლის
ყვითელი ლამპა, სისხლიც გამითავდა,
ნალგელიც და ვინმეს დანახვის სურვილიც...
ჯერჯერობით კი, ლამის 10 საათია,
ხელ-ფეხს ვიბან სინათლეში
და სიცივიდან სახლში შემოშვებული
ძალღივით კმაყოფილი ვარ...

ჩამავალი მზისფარი

ცა ისეთი მძიმეა,
თითქოს, თავით კი არა,
პირდაპირ, სისხლძარღვებით
ვაკავენ მის ჩამოქცევას.
არაფერი არ ანათებს,
მხოლოდ, ჩემი თმა,
ჩამავალი მზისფარი.

სიტყვა „წითელი“ ზედმეტად
 არასევდიანია,
 სევდა-მდგომარეობა კი არა,
 დიაგნოზი -
 სევდიანი პოეტი, სევდიანი ძალღი...
 ოქროს ძაფები ისე წყდება,
 თითქოს, ღლე გაიხა
 და არავის არ სცალი
 გვირისტი დაადოს, ჭრილობა შეუხვიოს,
 მე იმით ვარ დაკავებული,
 რომ ფრთხილად მომაქვს
 ჩემი ჩამავალი მზისფერი თმა,
 იოანე ნათლისმცემლის თავივით
 (ნუთუ, შეიძლება, კაცი გიჟადეს
 და მის სისხლში ამოივლო გარეგნობა?).
 ზაფხული ილევა, მაგრამ ოთახები,
 ჯერ კიდევ გარეთ გადიან
 ყველა ფანჯრიდან,
 გასაღებების აცმა
 კითხვის ნიშნებივით კიღია კედელზე,
 თავი ფიქრობს სისხლზე, რომელიც
 აღარ მიეწოდება, რადგან ძარღვებში
 შედედებული დარდი ჩადგა...
 ზაფხული მიდის. ვილა გვასწავლის
 ჩამავალი მზის ანატომიას?

ბესიკის გახსენება

შავი, პრიალა ფეხსაცმელებიდან
 გედის ყლებივით ამოდიან
 თეთრი ფეხები.
 რამდენი მარმარილო დაიხარჯა,
 რამდენი ცისფერი ძარღვი დაიწნა,
 რა მიმართულებით დაუშვა თავმა
 მათი სიარული? თვალისმომჭრელი,
 რომლის იქით აღარაფერი არ ჩანს,
 არც თავი, არც გული, არც კაბის კალთა.
 - ვისი სული გსურს? -
 ყვირიან ხელჩაკიდებული კაცები...
 რა თეთრად და მსუბუქად მოდის იგი,
 მუშა ზმნისგან განსხვავებით
 და რა უნდა ბიბლიოგრაფიის უჯრებთან,
 თერფლით სავსე ურნებივით
 რომ დგანან კედელში

და გაკრული ხელით აწერიათ მისამართები.
ნუთუ, მართლა,
მეჩვიდმეტე საუკუნის ფერწასულობა,
თუ ლექსის რეკვიზიტი:
თვალთა ნარგიზი, ბროლის ყლი,
მკერდში ჩაწყობილი ნარინჯები?
ამას ყველაფერს რომ ამოალაგებს
უჭრიდან და თეთრ ფეხებზე შეაყენებს,
დანგრეული ქუჩის კუთხეში
ქანგისფერი ხეები
სევდის ბაღს გაითამაშებენ,
სადაც ისეთი კაცი ელოდება,
რომელსაც გაჭირვების, ომის
და ქრესტომათიაში ცხოვრების
მიუხედავად
კიდევ შეუძლია სიყვარული...

* * *

არც ფრთები, არც კოჭრები,
მათი მოწყვეტის ადგილას
მარტო ყლით გაგზავნა ფრინველს,
რომელზეც ლიმფური ჯირკვლების ნაცვლად
ჩიჩხავი გებერება, მარგალიტებით სავსე,
რატომ მარგალიტებით?
ლორებს რომ არ უჭრიდი,
თუ მძივებით თამაში რომ იცოდი?
გაფრენა კი არ შეგეძლო,
მხოლოდ, აფოფებზე ეკლესიის გუმბათზე
და იქიდან გადმოვარდნა.
რა მანძილია გუმბათის წვეროდან
მიწის ქიხამდე?
ეს მოწყვეტილმა ვარსკვლავმა იცის
და თვითმკვლელობა, მაგრამ
მიწაში ჩააქვთ თავისი საიდუმლო...
მე კი ვინა ვარ?
სად გამოიყვანეს ფრინველის ჯიში,
მუცელში საკუთარ სიკვდილს რომ იზრდის,
მარგალიტების მეტასტაზებს?
ჩემი მკაცრად შავ-თეთრი ღმერთი
ესთეთია, განსაკუთრებით, მაშინ,
როცა სიკვდილის სახეს ეძებს.
გაშეშდით ამ სილამაზის წინაშე!

ყველაფერი შეჩვევაზეა დამოკიდებული

სევდა წამართვეს და
 ხავერდის კორსეტში ჩატენეს -
 მზა შექსპირს მთავაზობენ,
 მოიძებნება კი მისი ადგილი
 ჩემს დავიწროებულ ბუნებაში?
 გაძვირდა პური, სინათლის გადასახადი,
 უცხოებს ისევ მიაქვთ ოქრო,
 ოლონდ, ჩემი დახმარების გარეშე,
 ზამთარი ტალახით აწებებს
 მიწაზე გამხმარ ხეებს...

• • •

თავში ტრიალებენ
 ჩემი განათლებული ახალგაზრდობის
 ნაწყვეტები:
 ევროპის მზის ჩასვენება,
 გოგენი სიფილისის მცხუნვარებაში,
 რომანტიკოსების ბევრი ცისფერი,
 ისეთი აქტიური, ლამის,
 საკუთარი თავის უარყოფა...
 ხის ჩუქურთმიან ჩარჩოში ვსხედვართ,
 და ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ...
 დედას მურაბა მოაქვს, უკურკო ბლის,
 რომელშიც ნიგოზი დევს,
 როდის იყო ეს?
 გრამატიკული დროები ამერია,
 შანიძის წიგნი დამრჩა სადღაც,
 მეხსიერების კუნჭულში,
 მთაწმინდიდან პოეტი გადმოხტა
 და მომისაჯა მომავალი,
 რომელიც იგივე წარსულია,
 ოლონდ, გულში კურკის ნაცვლად
 ნიგოზი უდევს, რასაც ან მიეჩვევი,
 ან ვერა, ყველაფერი შენს გაქანებაზეა
 დამოკიდებული...

სასწრაფო დეაფა

სტურუა

ვრეკავ ჩემს ქალაქში იქიდან,
სადაც სამი საათით გვიან ღამდება
და მეუბნებიან, რომ ამ საღამოს
ინფრაქტი დამემართა.
- როგორ?
- აფეხებულ ხეებს რომ
ყინვა დაარტყამს.
ყველამ ისწავლა სახეებით აზროვნება.
კაფეში ვზივარ და
ცხელ შოკოლადს ვსვამ.
ჭინჭარი რომ გირტყან,
ან ჭიანჭველები ჩაყლაპო,
ისეთი მსუსხავი სიტყბო
ჩამდის პირში;
რა მაცდურია ლეგენდისკენ სწრაფვა,
თხზვის პროცესი...
და, უცებ, ასეთი ვულგარული
სამგლოვიარო დეპეშა:
რომ მოკვდი ამა და ამ დღეს,
ამა და ამ საათზე.
გარეთ დამზრალი ხეები მელოდებიან,
გადავდივართ ქუჩის მეორე მხარეს
და მოტოციკლეტი მეჭახება,
ვითომ, არაფერი, გზას ვაგრძელებ,
მეორედ ხომ ვერ მომკლავს,
ვერც მეტაფორულ ხეებს დააკლებს რამეს,
მათი შეთხზვის პროცესი
გაცილებით გრძელია სიკვდილზე,
ამიტომ, შეიძლება,
ვერც მიხვდე, როდის მოკვდი,
ტელეფონით, ან დეპეშით
თუ არ შეგატყობინეს...





გენრიეტა ქუთათელაძე

* * *

მონუსხულივით დავცქერი კბოდეს,
ბილიკის კბოდეს - ღვთის ნაფეხურებს,
აუ, რამდენი ყვავილებია...
გული გადიხსნა ყოჩივარდამ
და გაზაფხული მომილოცა ამ უთენია.

* * *

როცა მინდორში გაიღვიძებს ლურჯთვალა ია,
ათას ყვავილად აენთება ბუჩქი მოცხარის,
ბალახი რომ ამოსკდება მიწის გულიდან,
სასწაულია, რა საოცარი...
უზენაესის სიდიადეს ვკვრეტ ბუნებაში.

* * *

ისე ჩუმად ხარ,
თვით სიჩუმეს გაუკვირდება,
და შენს მახლობლად გამოიწვევს გრიგალს და ხმაურს,
რომ გარინდების საბურველი ჩამოგაცალოს...
სიჩუმეს შენსას რომ არ ახლავს სიმშვიდე წყნარი,
ამაზე ვდარდობ...
რად აგარიდა სულიწმინდამ ღვთიური თვალი!

* * *

შემომილო კარები ფიქრმა და მხევალივით მომლოდინეს
ათასი კითხვით მომაპყრო თვალი...
ნალევრდალივით გავაღვივე ჩუმი ნაფიქრი,
ახმაურდა აჭრი ისე, როგორც დოლაბი
და ჩამოიფქვა დილის ზმანებად...
მერე დადუმდა და დაიმალა საგულდაგულოდ,
წაიყრა თავზე ნაცარი...
დადგება ქამი და აგიზგიზდება ეს ნალევრდალიც!

* * *

ღუმილი ზოგჯერ ისე ყვირის, ისე ხმაურობს,
 ვით ნახანძრალზე გაჩენილი აშარი ქარი...
 რალაც უცნობის, უსამანოს, რალაც დიადის
 მაცნე არის მუდამ ღუმილი...
 ან იქნებ, სულაც ლოცვა არის ტანჯული სულის,
 აღვლენილი წინარე ღმერთის...

* * *

რა მირიადი გასულა დრონი,
 ო, არ მასვენებს ათასწლეულთა შფოთი და ბორგვა,
 დარდი იმდენი დამგროვებია, ვითქმი მდიდარად,
 გაგინაწილოთ?
 ო, არა, არა, ჩამთვალეთ ძუნწად,
 დარდები როგორ გაგინაწილოთ...
 მე მათ ვინახავ,
 ერთ წვიმიან დღეს
 მოვარდნილ ნიაღვარს რომ გავაყოლო...

* * *

ჩასძინებიათ საღათას ძილით
 ქალებს და კაცებს, ბალებს, მოწიფულთ,
 დიდს თუ პატარას,
 სუყველას სძინავს ამ სოფელში, დღისით, ღამითაც,
 ო, ღმერთო ჩემო,
 რა ხანია ძილქუში გვაწევს...
 მხოლოდ სამად-სამ მწიგნობარს,
 წიგნის კიას რომ ეძახიან ჩუმი ქირქილით,
 არ ეძინებათ...
 თვლემს ზეზეულად სამად-სამი კაცი მწერალი
 და გაოცებით თავს იქნევენ უკმაყოფილოდ...
 ჰე, გაიდვიძეთ,
 მეგობრებო,
 ამხანაგებო,
 მტერო, მოყვარევ,
 გეყოთ ამდენი ძილი და ძილი,
 მალე, სულ მალე შეიცვლება აქ ყველაფერი,

გააღეთ თვალი,
 დაუგდეთ ყური -
 ქადაგებს მოსე მაყვლოვანში კვლავინდებურად...
 ... მძინარე კაცი რას გაარჩევს ღმერთის მოვლენილს!

* * *

ჩემს სასთუმალზე ჩამოისვენა ნალევლმა ცივმა,
 ო, ამ ავსულმა, უჩინარმა და უასაკომ,
 იყო დაღლილი, ღამენათევი, მრუმე ფერებით გაფუებული
 და გამთენიის სუსხი ხორკლავდა...
 მე შემეშინდა -
 ვაითუ, უცებ თავს დამაცხრეს და გადამცლაპოს...
 სუნთქვა შემეკრა და გავილურსე,
 ჰო, ვითომ მძინავს...
 რა მოხდა მერე, ღამე სიჩუმეში თუ გაიღევა,
 შუალამის სიზმრებს თუ მოვიგონებ და უცხოობას გავიიოლებ...
 კი, ბატონო, მე არას ვიტყვი,
 მაგრამ სიჩუმე უზნეო ბავშვივით გაიბუტა და ტირილს აპირებს...
 სარკმელთან მზის სხივი დალანდა და მიხვდა, მოუწევს ადგილის დათმობა...





ვაჟტან პშაველიანი

სოფლის გზაწერილებით

ორი საღამო

რედაქციაში ვმუშაობდი მაშინ.

ტელეფონი რეკავს. ყურმილს ვიღებ. ქალბატონი გულიკო კიკნაძის ხმაა. ხმა კი არა, მუსიკალური ნაწარომები - სიმღერა, რომანსი... არია, რა ქალბატონი გულიკოს საუბარი და რა, ვთქვათ, მაროს „შუქურ-ვარსკვლავი“ მერი ნაკაშიძის (იყო ერთ დროს ასეთი მომღერალი, მსოფლიოში ცნობილ

სოპრანოებს რომ ტოლს არ უდებდა) შესრულებით, ცხადია.

- ბატონო ვაჟტან, მღერის ქალბატონი გულიკო, - დღეს ოთხ საათზე, ჩვენთან „წითელი ჯვრის“ საზოგადოებაში ჩვენი და თქვენი მეგობრის რამაზ სურმანიძის 65 წლის იუბილეს აღვნიშნავთ. თქვენი ორიგინალურობის იმედი გვაქვს.

საათს დავცქერი. ცოტა მქონია დრო. სარედაქციო საქმეებს ჩემს მოადგილეებს ვუწავლი, კაბინეტში ვიკეტები და რამაზ სურმანიძის შემოქმედების, კაცურ-კაცობის, მრავალმხრივი მოღვაწეობის თავისებურებებს ვუღრმავდები. თანდათან იკვეთება მხატვრული სახე. ახლა გამომსახველობითი ხერხების ძეგნა ჩემთვის ძნელი აღარაა...

ფურცელს გვეცავ და „წითელი ჯვრისკენ“ მივიჩქარი.

ქალბატონ გულიკოს ფანტაზია ყველაფერს აჭარბებს. სუფრა გაუწყვია, ჩიტის რძე რომაა, ნამცხვარი კი არა, ნამდვილი ჩიტის რძე, მგონი ისიც არ აკლია. აქაა გათვალისწინებული სადღეგრძელოებიც, მხატვრული თვითმოქმედების ნომრებიც, ცეკვებიც, სიმღერებიც, პროზაც და პოეზიაც.

ერთი სიტყვით, ულამაზესი სალონური საღამოა.

სიტყვა შეძლევა.

- რამაზ, შენ ჩემი უახლოესი მეგობარი და თანამოკალმე ხარ - მივმართავ იუბილარს - მიხარია, რომ შენი სახით ჩვენი ქალაქის ქუჩებში აღიარებული მწერალი, მეცნიერი და მოქალაქე დადის.

ჩემი ეპიგრამის სათაურიც შენს ბუნებასავით უბრალოა.

65 წლის რამაზ სურმანიძეს

65 რა არი,

როცა წელი გაქვს მყარი,

რომ არ გჭირდება წამალი და

არ გეშინია ქალის.

სახელი გქვია, შეგფერის,

კაცს მოხდენილს და ლამაზს,

რამაზ, რა გვარად ახერხებ

ვერობულ დონით ჭამას?
 ხარ რექტორი და მწერალი,
 თან მედიტორიკოსი
 გახდები პოპ-მომღერალიც,
 ალბათ, რომ გქონდეს ხოში,
 გაგაქვს მრავალი ნაპირი
 გულიც გიჭირს და ტვინიც,
 ნამინისტრალი ექიმი
 სჯობს ნაექიმარ მინისტრს.
 65 რა არი,
 როცა წელი გაქვს მყარი,
 რომ არ გჭირდება წამალი და
 არ გეშინია ქალის.

ტაშმა იქუხა.

- მშვენიერია! - ამბობს ქალბატონი გულიკო (ამ პატარა ლექსში ყველაფერი ჩაატეხე). თანაც თქვენთვის ჩვეული იუმორით. მაგრამ... ერთი დეტალი მაინც გამოგრჩათ.

ბატონო ვახტანგ.

- ბრძანეთ, ქალბატონო გულიკო.

- ბატონი რამაში ჩვენი ორგანიზაციის პრეზიდენტის საპატიო წევრიცაა.

- რას მეუბნებით!! ეგ კი ნამდვილად არ ვიცოდი - მერე ბატონ რამაზს ვუბრუნდები, - გთხოვთ, მაპატიოთ, წინასწარ განზრახვით არ გამომრჩენია.

- ეგ არაფერია, ვახტანგ. არც საქმეს მაკეთებინებენ და არც ხელფასს მაძლევენ. ეს არის საპატიო წევრობა, ჰოდა, მეც ვარ.

- როგორ გეკადრება, რამაზ, ქალბატონი გულიკოს სიტყვა ჩემთვის კანონია, ექსპრომტში დაუყოვნებლივ უნდა შევიტანო შესწორება. ერთწუთიან რეგლამენტს გთხოვთ, - ვამბობ მე და ჭერს ვაპყრობ მზერას. ასე ვთქვათ, შთაგონებაში ვიძირები.

ზუსტად მოცემულ დროში ვეტყვი. ვლგები და საზეიმოდ ვამბობ;

- ერთი ბოლო სტროფი; გთხოვთ ყურადღებას!

ტიტულები გაქვს იმდენი,

ველარ ჩამოთვლი ენით

ახლა გამხდარხარ წითელი,

ჯვრის საპატიო ჩლენიც.

დარბაზი ხარხარებს.

რამაზის ხმა ისმის:

- ქალბატონო გულიკო, რამ გათქმევინათ ჩემი საპატიო წევრობა. მომეჭრა თავი.

სწორედ იმ დღეებში ჩაის სახლში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამ ღვაწლმოსილ ლექტორ ქალთან - ნადია ჯიბუტთან, სერაფიმა ტყუბუჩავასთან და ქეთევან ალასანიასთან გაიმართა შეხვედრა.

პირველ ორ ქალბატონს კარგად ვიცნობდი. ქეთევან ალასანიას - არა. ცხადია, ბევრი მსმენოდა მის შესახებ. პირადად კი არ ვიცნობდი.

ახლა უფრო ცოტა დრო მქონდა ექსპრომტებისთვის, ამიტომ მოსვლა ცოტა შემაგვიანდა. ჩაის სახლს მივუახლოვდი. უცებ ქალბატონი ნანული ჭავთარაძე დავინახე.

კარებში იდგა. როგორი ქალია ეს ქეთო ალასანია მეთქი, ვეკითხები.

- უსათნოესი, უმშვენიერესი და უნაზესი, - მეუბნება ნანული - უკვე ხანში შესულია, მაგრამ ძველი სინატიფე არ დაუკარგავს. მისი ცხოვრება ისე აეწყო, რომ ერთ დროს ულამაზესი ქალი, გაუთხოვარი დარჩა, წარმოვიდგენია?!

მეც მდგომარეობაში შევდივარ და თავს სინანულით ვაქნევ აქეთ-იქით. თან თვალებით ქალბატონ ქეთევანს ვეძებ.

მართალი იყო ნანული. ეს ხანდაზმული ქალბატონი მთელს დარბაზში გამოირჩეოდა მეტყველი თვალებით, შინაგანი კეთილშობილებითა და ქალურობით. მაშინვე მივუყეპე მაგიდას და დავწერე:

აჭარელის კაფია მებრალ ქალს ხევსურულ მოტივზე.

ლამაზი ქალის დაპყრობა
ყველა ვაჟკაცის ვალია,
ჯაბან ყოფილან, ვარცხენე
იმათი ხანჯარ-ხმალია.
მე არ ვყოფილვარ მათ შორის,
თორო სხვა მამდევეს ჯანია,
ბოლოს და ბოლოს რა არი,
სუ რაღაც ერთი წამია.
მუხთალ ყოფილა საწუთრო,
მე ასე შავიცანია...
აფსუს, რა ქალი ყოფილა
ქეთევან ალასანია.

პერსონალური გამოფანა. კონკრარა და ჩამი სოლი

ახალგაზრდა კაცი ვარ. მეუღლითა და ორი პატარა შვილით ოროთახიან ბინაში ვცხოვრობთ. ხელფასი ისე პატარა გვაქვს, რომ ძლივს გავგაქვს თავი.

ვწერ და ვხატავ.

- რომ წერ, მესმის, მწერალი ხარ. ეს ნახატები რისთვის გკირდება? - დროდარო შემომიწყებოდა მეუღლე, ხატავ და ხატავ... ამ ორ თვეში ოთახში ისედაც ძლივს ვეტივით. დალაგებას ვერ ავუდივარ, შენ კიდევ ჭუჭყა და ნაგავს მიმატებ!!..

მე ვხატავდი, ის მლანძღავდა. ასე მიდიოდა დღეები. ჩემს შედეგებს ცელოფნის დიდ ტომარაში ვდებდი და საწოლის ქვეშ ვინახავდი.

ერთ დღეს ზურაბ ხაბაძე გვეწვია. სწორედ მოლბერტთან ვიდექი მაშინ.

- სხვებიც მაჩვენე - მთხოვა.

ტომარა გამოვათრიე. ნახატები კედლებზე მივაწყეე.

- ბრწყინვალეა, - თქვა ზურაბმა, - ამათ გამოფენა სჭირდება.

- ეჰ, ამათ ჯერ ჩარჩოები სჭირდება, - ვპასუხობ მე, - მაგის ფული რამ მომცა.

- მაგ საქმეებს მე მოგიგვარებ, - თქვა და წავიდა.

მეორე დღეს ქალაქკომის მდივანი ნათელა ღუმბაძე მირეკავს:

- ვახტანგ, ზღალ შენთან ჩემი თანამშრომლები მოვლენ. ნახატები აჩვენე. ზომებიც მიეცი. ჩარჩოებს დავამზადებინეთ.

გამოფენის მოწყობა მხატვრის სახლში დაიგეგმა. მე არ დავთანხმდი. მწერალი ვარ და გამოფენა მწერალთა კავშირის დარბაზში მოეწყობ-მეთქი.

უპირავე ხალხი დაესწრო გამოფენას. შთაბეჭდილების წიგნი ჩანაწერებით აივსო. მე ბედნიერი ვიყავი.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა ათი ნახატი შეიძინა და წაიღო. მალე დამიძახეს და რაღაც ანგარიშზე მომაწერინეს ხელი.

- ათასი მანეთია, - ჩაიბარეთ, - მეუბნებიან.

- ჩემია? - ისედაც დიდი თვალები საცაა გადმომიცვივდება ბუდეებიდან.

საშუალება არ გვქონდა. უნდა გვაპატიოთ - ბოდიშსაც მიხდიან, კაცო!

სახლში ტრიუმფატორის სახით შევედი. ფული მაგიდაზე დავაწვე.

- ეს ნახატებში გადამიხადეს, - ვამბობ.

ახლა ცოლი მიხდება დასაწყნარებელი.

ჩავიცვით, დავიხურეთ. ბავშვებიც შევმოსეთ. რომ იტყვიან, სულიც მოვითქვით ცოტა.

ერთ ღღეს ჩემი... თანამეცხადრე ღონიჭემოდგმული მხვდება.

- რაშია საქმე? - ვეკითხები

- ფული გვითავდება.

- მერე?

- რა მერე. რომ დადიხარ აქეთ-იქით და დროს ფლანგავ, დაღეჩი და ხატე!

ერთი ჩაუღებარი კასი არ მკაუთვნოდა?

სიმღერა რომ სიცოცხლესავით მიყვარს, უკვე იცით. ზოგჯერ ხმაზე ვა-აარ, ასე მგონია, ვარსკვლავებში დაფერინავ-მეთქი. ვუმღერი ცას და დედამიწას, ღღესა და ღამეს, ლაყვარლისფერ ზღვასა და ყელაზე ღამაზ ქალს...

ოდესა-ააც გიცქერ, ტკბილად ძგე-ეერს გული,

შენდამი ტრფობი-იით გატაცებული-იი...

გამღერებებსა ბინაში გავდივარ, იგი მწერლის კაბინეტიცაა, მხატვრის სახელოსნოც და მომღერლის სარეპეტიციოც.

ჩემი კონცერტმეისტერი, უკეთილშობილესი და უმშვენიერესი ტაისა თარხნიშვილი ჩემი პედაგოგიცაა და დაც.

- უნიკალური მონაცემები გაქვთ, ამ ასაკში ასეთი ღიაპაზონი იშვიათობაა, - იშვიათად მეტყვის ხოლმე.

... ღღეს ხმაზე ვარ. საათისკენაც არ ვიხედები. მინდა, დიდხანს გაგრძელდეს ვოკალის საათი. არადა, ყელაფერი გათვლილი მაქვს.

შესვენებას ვაცხადებთ. სამზარეულოში გავდივარ. იქ თბილი ჩაი ან „ნესკაფე“ მელიოდება, ყლის ჩასარბილებლად.

- ღღეს როგორ მოგწონს ჩემი ხმა? - ვეკითხები ნაირას. იგი ფანჯარაში იცქირება - როგორ ჟღერდა „გენაცვალე“?

ნელა ბრუნდება ჩემსკენ. თვალებში ცრემლები უბრწყინავს. ნიკაპი უთრთის. თითქმის ჩურჩულით ამბობს:

- ღმერთო, რა დაგიშავე ასეთი?.. ნუთუ ერთი ჩვეულებრივი კაცი მე არ მეკუთვნოდა?!

უპამოვანა

ხემიდავ, ერთი იგი ამბავი თქვი, ექიმთან რომ იყავი.
- შეიშალე, ჭო? მაგი თქვენთან მოვეყვი, მწერლებთან არ ითქმის!
- ბეჩო, მწერალთანა მოვე, რომ ქვეყანამ გეიგოს, თვარა ჩემთან გინდ გითქვამს, გინდ არა.

- ჰო, კაი, აბა. ერთ დღეს ქალი შემომიჩნდა: რაცხა შენი ფერი არ მომწონს, ხემიდავ. წაი ექიმთანო. წაი და წაი, წაი და წაი... ჩავიხედე, ჭო სარკეში. აქეთ შამუატრიალე თავი, იქეთ შევატრიალე, ერხანს ვატრიალე აქეთ-იქით და მეც აღარ მომეწონა ჩემი ფერი.

მა რალა ბევრი გავაგრძელო, ჩემო ბატონო და ჩვედი ბათომში. ჩვენს სოლომონას ვწვივ. ფუტკარაძეს. ძალვან ჭკვიანი ჰეჭიმია. გვევსინჯე ყოლისფრით და დავბრუნდი სახლში.

ქალი მეკითხება:

- რა გითხრა სოლომონამ?
- პაპიროსი ანა მოწიოვო, - ამოვიოხრე.
- ე, რომ გებნეოდი. ახლა გეიგონევი?! დღეი არ იცოდი და ღამე. გადმოკიდებული ჭონდა იმასავით... კიდო?

- სასმელი ანა დალიოვო.
- ააშენა ღმერთმა სოლომონაი. ყოველ-დღე თრალი იყავ, ყოველ-დღე თრალი.
რა კაცი გუუძღებდა მაგას. სხვა არაფერი უთქვამს?

- არაფერი...
- მატყილებ. თვალეში გატყობ, მატყილებ, ხემიდავ.
- არაფერი-მეთქი სისეთი.
- მაინც-მაინც?
- ქალთან არნა დაწვე-ოო.
ერხანს გაჩუმდა ჩემი ქალი, მერე...
- ექიმებს ყოლიფერი კი არნა დუუჯერო, ხემიდავ.

ორი ჯადოქარი. თვალხატულა პრაქტიკანტები და ჩემი ყურები

ცურვა ბავშვობიდან მიყვარს.
როცა ძალიან მიჭირს ან მიხარია, ზღვის ტალღებს მივცემ თავს უნებურად. უახლოეს მეგობარავით ვუმხელ ფიქრებს.

სადღაც დამიწერია კიდეცაც, ზღვა ვერ იტანს, როცა მას უდიერად ეპყრობიან. არ გაბატები. ძალიან მგრძნობიარეა და იმიტომ. მოფერება-მიალერსება ქალივით უყვარს. რომ შევცურდები და ნაზ სიტყვებს ვეტყვი, ვგრძნობ, თბება, ნათდება, წყნარდება...

ერთხელ, არ ვიცი რატომ, ეს არ შევასრულე და არ მაპატია.
ყურების ანთება შემეყარა.

მაშინვე ამ საქმის ჯადოქარს დურსუნ დიასამიძეს მივაშურე. ბატონი დურსუნის ზრდილობა, გულისხმიერება და მაღალი პროფესიონალიზმი საქვეყნოდაა ცნობილი.

- მდაა... სერიოზული მკურნალობა გვჭირდება - თქვა მან.

და დავიწყეთ.

ერთ დღეს რომ კარგად მესმის, მეორე დღეს მეხშობა ყურები.

ქალბატონი ტაისა თარხნიშვილი (იციტ, ცნობილი მუსიკოსია და ხანდახან ჩემი კონცერტმეისტერიც) მეკითხება:

- ბატონო ვახტანგ, ხმაზე როგორ ხართ?
- არ ვიცი. იმიტომ რომ ჩემი ხმა თითქმის აღარც მესმის.

გასაჭირს ვუხსნი.

- ვაჟა ბალოშვილიც კარგი ექიმი, - მეუბნება.
- ვიცი... მაგრამ... ბატონმა დურსუნმა რომ გაიგოს...
- რა დროს ეგაა, ბატონო ვახტანგ, ყრუვდებით!.. ეს სათნო ქალი ზოგჯერ

უკიდურესად კატეგორიულია ხოლმე.

მეორე დღეს ვაჟას ვეწვიე. ჰოდა, წავიდა ასე: ხან ერთთან ვარ, ხან მეორესთან. ხან ერთის წამლებს ვყიდულობ აფთიაქში, ხან მეორისა.

ოთარ შამილაძე (ნომერ პირველი აფთიაქის დირექტორი) გაოცებულია:

- თქვენს ოჯახში, ბატონო ვახტანგ, ყურების ანთების ეპიდემიაა?

დავრბივარ ამ ორ ჯაღოქარ ექიმსა და არანაკლებ ჯაღოქარ აფთიაქარს შორის, მაგრამ... ჩემს ყურებს არც მათი ავტორიტეტისა ეყურება და არც წამლებისა.

შეფიქრიანებულია ორივე მკურნალი. შეფიქრიანებული ვარ მეც. ჯერ ჩემი ყურების გამო, მერე მათი შეწყუბუნულობით.

„არანაკლებ ჯაღოქარს“, იგივე ოთარ შალამბერიძეს, პირიქით, უხარია, - მისი წამლები სალდება.

თამაზ გოგიტიძე მეხუმრება:

- არაფერია, ვახტანგ, ბეთჰოვენიც ყრუ იყო.

მე ვიფერებ მის ნათქვამს:

- არ შეიძლება გენიოსიც ვიყო და სმენაც მქონდეს?

ერთ დღეს ბატონი ვაჟას კაბინეტის კარს ვაღებ, პრაქტიკანტები ჰყავს - შვიდი თუ რვა თვალხატულა სტუდენტი გოგო. ექიმი დგება და კაბინეტში მიწვევს.

იწყება პრაქტიკა. ამჯერად ჩემზე.

- ამათ თუ იციან მაინც ვინ არის მათი დაკვირვების ობიექტი? - ვეკითხები ექიმს.

- ვიციტ, ბატონო ვახტანგ, ყველა გიცნობთ... - მპასუხობენ გოგონები.
- დღეს მომწონხართ, - მეუბნება ბატონი ვაჟა, - უკეთესობისაკენ მივდივართ.
- ეს მარჯვენა ყურში. მარცხენა სხვანაირად ფიქრობს, ვპასუხობ.
- კი მაგრამ, ამას წინათ ხომ მარცხენა იყო კარგად?
- სამაგიეროდ, მარჯვენა იყო ცუდად. ასე ენაცვლებიან ერთმანეთს.
- ჰო .. ეს ცუდია.

- პირიქით, ექიმო, კარგია. ხომ შეიძლება ერთ დღეს აღარ შეენაცვლონ ერთმანეთს და ორივე დაყრუვდეს?!

- ჩვენ აქ რატომღა ვართ! - გადამდებია ბატონო ვაჟა ოპტიმიზმი - გარწმუნებთ, ყველაფერი კარგად იქნება.

მარცხენა ყურში ჯერ რკინის წვრილი და გრძელი ჩხირით მილიტინებს, მერე ცხვირის ნესტოში რეზინის მილს მიკეთებს, რომლის ბოლოში ჰაერით გატენილი ბურთია გამობმული.

- ბატონო ვახტანგ, ჩემთან ერთად თქვით: ერთი, ორი, სამი და მე ამ ბურთით

ჩაგებრავ, თქვენც ლოყბში დაგროვებული ჰაერით მიაწეკით. ყურებში გავა. ორივე ვამბობთ: ევერ-თი, ოოო-რი, სააა-მი! და ვაწვებით-ის ბურთით, მე-ბურთებადქცეული ლოყბით.

- ყურებში გავიდა? - მეკითხება.

- ყურებში არა, მაგრამ სადღაც რომ გავიდა, ნაღია, - ვპასუხობ.

გოგონებს ისტერიული სიცილი უვარდებათ. სადაცაა გაგორდებიან. მაგრამ მოკლე კაბები და ვიწრო კაბინეტი არ იძლევა ამის საშუალებას.

ჩვენც ვიციანით.

უცებ, ჰოი, საკვირველებავ! ყურები გაიხსნა.

ეს, ცხადია, ვაჟა ბალოშვილსა და დურსუნ დიასამიძის ჯადოქრობით.

გული იმასაც მეუბნება, თვალხატულა პრაქტიკანტი გოგონების გულიანი სიცილი რომ არა, ღღესაც დაგუბებული ყურებით ვივლიდი.

“ვაჟაბდი გელსაა”...

ერთხელ უჩვეულო შეკითხვა დამისვეს (სტილი დაცულია):

- თუ შეგიძლიათ საკუთარი მაგალითით გვითხარით, მომღერლის რეპერტუარი ასაკობრივ თავისებურებებს ექვემდებარება?

მცირე პაუზის გაკეთება მომიხდა.

- ჩემი ახალგაზრდობის დროს, მოგეხსენებათ, მაზინჯაური, სადაც დავიბადე და გავიზარდე, საკავშირო მნიშვნელობის კურორტი იყო. იქ გოგონები ჩამოდიოდნენ დასასვენებლად - იფქ!

ჩემს რეპერტუარში მაშინ, უმთავრესად, ასეთი სიმღერები იყო:

Как много девушек хороших,

Как много ласковых имен...

ან კიდევ:

Очи черные, очи страстные,

Очи жгучие и прекрасные

შიგადაშიგ:

Эх раз, еще раз

Эще много, много раз...

მერე ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი. ჩემმა რეპერტუარმა მაშინვე განიცადა ეროვნული და, ცხადია, ლირიკული ხასიათის ცვლილებები.

რომ არ მწყლობ, ცოდო არ ვაარ,

რად არ გალობ, არ გიყვარვარ...

მაღე დავქორწინდით. ნაირა ოთახებს ალაგებდა. თეთრეულს რეცხავდა, სამზარეულოში ფუსფუსებდა, მე უკან დავდედი და ვუმღეროდი:

რა ლამაზი ხააარ,

სულს გიცქერდე მსუუურს...

დრო კი, მოგეხსენებათ, უღმობელია - ჰჰ! მას ახალგაზრდობა და ლირიკა მიაქვს, ხოლო მოაქვს ჭაღარა, ნაოჭები, ნერვიული სტრესები. ხშირად უმიზეზოდ ვუბრაზდებით ერთმანეთს მე და ჩემი მეუღლე. ამიტომ ჩემი რეპერტუარი ახლა დაახლოებით ასეთია:

ვეძებდი ბედსა და ვპოვე იგიიიი,

მააგრამ ჩავვარდი ა-ამ სატანჯველშიიი.....



მანია მჭარაძე

...შემსდარნი ნაბჰრით...

დაბინდდა.

სარკმელს მოადგა ღამე.

მოკვდავმა უცხო ნახა სიზმარი,

ცოდვილობს სული, — უთვლიან წამებს,

თავისკენ იხმობს — მიწის ჭიშკარი...

გახეხებული ირგვლივ სულდგმული,

თითქოს ამოწყდა ძე ხორციელი.

სულს ჩაფრენილი შავი ურჩხული —

მარწუხებს ურცხვად უჭერს ცბიერი.

ხარხარებს ზიზლით, — ღვარძლით აღსავსე,

მარტოდენ სხეულს, — არ სწამს ვედრება,

ისე სწყურია სულით გახრწნას მზე —

ძალაუფლებით უფალს, ედრება...

— მომხედე ღმერთო! — აღმოხდა მოკვდავს,

თითქოს დაასხეს სახეზე კუბრი,

ჯვარცმული — ეშმას ფეხებს არ ლოკავს, —

მხოლოდ სიცოცხლეს — ღმერთს ღალად უხდის...

... შავი აჩრდილი ტანჯავს ზოზინით,

კაცი უჩუმრად ბუტბუტებს ლოცვებს,

ძალა ერთმევა უფლის ლოდინით

სხეული წამობს, გაკრული ბოძზე

ეწევა ჯაჭვის დახლართულ რგოლებს

ბედისწერისგან უარყოფილი,

სისხლდაწურული კვლავ გაიფიქრებს:

ნუთუ ვერ დასძლევს ბოროტს კეთილი?!

... არ ჩანდა მშველი, — გაწირეს უღმრთოდ

ვით სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარი

და ღამდენჯერაც ანგელოზს უხმო,

ზეცამ იმდენჯერ დაუხშო კარი...

ცრემლი ჩაუდგა ტანჯულს უბეში,

გული ჩაუკლა მწარე ღიმილმა,

რისთვისდა მზრდიდნენ უფლის უბეში

რომ უღმერთობის მომკლას ტკივილმა?..

— წარმოსახვაში — გაფანტა ბინდი,
წამით გაექცა გველების ბუდეს,
ცამდი აღმართა ოცნების ხიდი —
კარაბადინი გულხელზე უდევს...
ცის სიწმინდეში, მწვანე წალკოტზე,
გარს უსხდნენ ღმერთნი კაპიტოლიუმს,
აქ კი — იხილა კაცმა სამოთხე
აწ თუნდ, მათ თვალწინ — სული დალიოს.
გრძნობს ძალა ერთმის, მუხლი მოკეცა,
ვერ დაამაგრა სხეული ფეხზე,
ლონემიხდილი ისე დაეცა, —
რომ მყუდროება დაუფრთხო ღმერთებს...
— ო... შენ, ადამო?! — და ზე წამოდგა,
ბახუსი, — დროისტარების ღმერთი
აქ რისთვის მოხველ?.. ირემს რქა მოტყდა?...
თუ ზღვაზე გავლა მოგინდა ფეხით?!..
... მოკვდავს თვალებზე ეფარა ლიბრი,
გახვეულიყო ბინდში გენია.
ღმერთებმა წამით აცალეს ფიქრი,
კაცმა თქვა: მოველ, — სული თქვენია.
სული, რომელიც მომყვა აქამდე
რწმენა სუფთა და გული მართალი,
როგორ შევება სატანას ამდენს,
რა გზით ვიპოვო მე სამართალი?
ჩემს ჯიშს და მოდგმას რად სდევს წკვარამი
გვენგრევა ძმობით ნაშენი ლიბო
მე კი მატირებს სხვისი ვარამი,
სხვა ჩემს საფლაგზე ამღერებს ჭიბონს.
მოვედი, როგორც მესაჰე ერის,
ხედავთ? ტაძარში მოკვეთილ მკლავებს?!
ჩემი ქვეყანა ცრემლებით მღერის,
გალვიძებულ ყრმას — აკვანში კლავენ...
ბევრჯერ გიგზავნეთ ლოცვა შუამავლად,
შეგთხოვდით შველას ტანჯული მიწის,
მგონი არ უნდა ტკივილს დამალვა,
როცა მამული კვნესის და იწვის...
რწმენაც დაგვარგე ამდენ ლოცვებით,
და მოლოდინმა წამართვა ძალა,

იმ „იმედით“ რომ, — ოდეს ვცოცხლებით —
 არ მსურს გვართმევდნენ სიცოცხლის ღალას...
 შეგკეპენი რისთვის?! გაგვწირე რისთვის?!
 ეგ ხელალება რას ნიშნავს ღმერთო!
 რად გვადვრევიან საკუთარ ძმის სისხლს,
 უფალს ვენდოთ თუ სატანას ვენდოთ?..
 ლოცვა არ გწვდებათ, თხოვნა არ გესმით,
 გადაივიწყეთ არსობა მიწის,
 გველს ათარეშებთ შხამით დაგესლილს,
 ადამთა ჯიშს რომ სისხლსა სწოვს მიწივიც...
 აჰა, მოვედი, თქვენია ნება,
 როგორც შემთითხნეთ, წამშალეთ ისე,
 გარდამქმენთ მიწად, — ყვავილთა კვება
 სულში ჩაკირულს — გაჰფანტავს ნისლებს.
 მეცოდინება აღარ ვარ ქვეყნად,
 აღარ ვაბიჯებ დაცვარულ ბალახს,
 თუკი ვერაფრით ვუშველი ჩემს ხალხს,
 იმათზე ადრე — ქვეყნიდან წავალ...
 იმ გზებით გავლევ დარჩენილ წუთებს,
 რომელიც გმირთა მეფეთ წესია,
 (საკუთარ ფეხით მივალ ბნელეთთან) —
 ფარა-ფარაა — მწყემსი-მწყემსია...
 და შენც, უფალო, მწყემსი ხარ ჩვენი
 სამწყსო მიწა — შენგან შობილი,
 კაცთაგან შენი ვის მართებს გენი)
 რომ გაიტანოს მოძმემ ძმობილი?!
 ეს შურისგება რა გრძნობას იწვევს,
 შენც ხომ ადამთა არა ხარ მოდგმის,
 სისხლში გვიხრჩობენ საუფლო ბიჭებს
 მხოლოდ კაცი ღვას წინაშე ცოდვის?!
 ... მიმოიხედა, დაძაბა სმენა,
 არ ესმა ფიქრის გამოძახილი,
 უფლის წინაშე დაბმოდათ ენა,
 თუმც მიაწვდინა ყველას ძახილი.
 ეგონა შესძრა ზეცას ცხრაკარი,
 ადამიანთა იქცა წინამძღვრად.
 დუმდა მიწა და დახუჭულ თვალით
 კლავდა ვილაცა შესაწირავ კრავს...

მზილველსა ამის, შეზიზღდა თავი
 და მოაცილა სამყაროს მზერა,
 მიწას არ აჩნდა სამეფო კვალი —
 ბრძენთა ნაკვალევს ჯიჯგნიდა ყველა...
 მაშ მე ვინდა ვარ, — აღმოხდა ოხვრით,
 რისი მაქნისი შემძლები რისი,
 ან ამდენ თავებს ერთისთვის რომ ვხრით,
 ნუთუ ამისი არის ის ღირსი?!
 ან ვის ბრძანებებს ვემორჩილებით,
 ან ვის ტადარში ვისთვის ვენტებით,
 რომელ მიწისთვის ვზარდეთ შვილები,
 ვის მფარველობენ ნეტავ ღმერთები?!
 სისხლის წილ-სისხლი?! — ოქროს წილ-ოქრო?!
 სახრით დახნული თავთავის ყანა?!
 თიხის კაცს ამდენ რაიმეს რომ გვთხოვთ,
 ღვთის ძალას რაღა მოვთხოვთ განა?!
 შესაწირავი, მისაკითხავი,
 მისართმევი და პატივსაცემი,
 არ დაილია უფალო ქვეყნად,
 აღარ აივსო ფქვილით საცერი...
 შენი სახელით კეთდება ყველა,
 შენს ნათელ სახეს ლაქას აცხებენ)
 სიმართლის თქმისთვის თუმც მოგვცეს ენა,
 და ამისათვის ზურგში არ გვცხებენ,
 მაგრამ ღელეთა დინების მსგავსად
 შრება უკვალოდ ჩვენი სიმართლე,
 უდაბნოს ამოდ ცრემლის ზღვას ვასხამთ,
 ბნელში ამაოდ ვეძებთ სინათლეს...
 აქაც ამიტომ გავბედე მოსვლა,
 შემოვიგლიჯე სიმუნჯის ბადე,
 მუხას ტოტები იმდენჯერ მოტყდა,
 რომ ფესვი ყლორტებს ველარც კი ჰბადებს...
 ... უფალო! — შენთვის რაა მთავარი?
 მონა მართოდენ გიქსოვდეს პორფირს?
 ჰქმენ ისე, ვპოვო ცად სამართალი
 ერთი მზე ათბობს კეთილს და ორპირს...
 მახსოვს ვმონებდი ამ სისადავეს,
 კარაბადინზე გულ მინდობილი,

შენ კი ჯავრს იყრი ევა — ადამზე
 და ურიცხვდება ბილწთა ლოგინი.
 ბილწთა, რადგანაც შენი ზეცის ქვეშ,
 გველმა არ უნდა აცდუნოს კაცი,
 ანდა რად მიეც სიბრძნე უსისხლოს —
 ბოროტებაზე სიკვდილად აცრილს...
 ჩვენ გვთხოვენ პასუხს არაკაცობის,
 შეცოდების და შეცდომის მიზეზს,
 არ გვიფარავდა კვერთხი მაცხოვრის,
 მძიმე დოლაბი გოლგოთას ვზიდეთ...
 შევცოდეთ! — ცოდვა ჩვენ არ ვიცოდით,
 ეს ბრმა გამოცდა ვის ხილვად გვერგო,
 მუხლმოდრეკილი შენდობას გთხოვდით,
 არ შეგვიწყნარე უფალო ღმერთო.
 რად გაგვიმეტე შენივ შვილები,
 რად არ ინებე შენდობა ერთხელ,
 ცხოვრებას მიგვეც მღვრიე დინების —
 გადაგვაყოლე სამოთხის ერთ ხეს...
 შემოგვიჩინე სატანა — გველი,
 მიგვატოვე და — შეგვაცოდვინეს,
 მერე უღმერთოდ აიღე ხელი
 და გვეძახიან დღესაც ცოდვილებს...
 უწინამძღვაროდ ვიქეცით ცხვარად,
 მხოლოდ ორფეზზე დავალთ შემდგარი.
 ვინც ძლიერია, ის ლესავს დანას,
 იმარჯვებს, ვინაც არის მედგარი...
 რა მოგვეც, ვინ ვართ, კაცნი თუ მხეცნი,
 მიწა ვართ, მიწას სულს და სისხლს ვანთხევთ,
 ჩვენ რომ შეგვქმენი — უფალო, შეცდი,
 ბარე ჩამოდი ფეხად და გვშთანთქმე.
 კარი სამოთხის კარგახანია,
 გამოგვიხურე უარყოფილებს,
 ჩვენს სამოსახლოს სულ სხვა კარი აქვს,—
 მის ზღრუბლთან ყველა წაიფორხილებს...
 ბევრსაც ჰგონია შენი დიდებით,
 ზვარაკებით და მოსაკითხავით,
 სამოთხის თაღზე დადო თითები
 და უკვდავებას სჩუქნის მკითხავი...

თითქმის ყოველი ფიქრი გითხარი,
 მომკლა საკუთარ გრძნობის მონობამ.
 ტყვიამ დასეტყვა ჩვენი მზის თვალი.
 მაგრამ ოდესღაც სხივთა დროც მოვა...
 წყალნი წავლენ და დარჩება ქვიშა,
 მაგრამ ქვიშის ფასს გაიგებს ვინღა,
 ადამიანი როდესაც იშვა —
 მხოლოდ სამყაროს არ ეყო ბზინვა...
 მარტოს მობეზრდა თვით საოცრებაც,
 მოიწყინა და განერთხო მიწას
 ვისაც ელოდა მისი ოცნება,
 ის მოლოდინი ქალწულად იქცა...
 ... იქნებ იმიტომ გამოვიგონე,
 რომ გვაგრძნობინო უძლეველობა
 ნოეს მტრედი და ბზის ნაკურთხი რტო
 ხელოვნებაა თუ კვლავ ხელობა?!
 — ქადაგად ქცეულს წინაშე უფლის
 კაცს უკვე შიში დავიწყებოდა,
 მოჰმატებოდა სიმძლავრე მუხლის
 და თანამგრძნობი ვინმე სწყუროდა.
 „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“ —
 დუმდა სამრეკლოს მონა და ზარი,
 ჩაჟანგულიყო პაპის მახვილი,
 დევებს ისევე მოეჭრათ წყალი...
 ... თუნდაც მცირედი გამართლებისთვის,
 ხმა რომ ეწვდინა ვინმეს მიწიდან.
 შეებმებოდა თვით დევს — ძმებისთვის,
 თვით აღსდგებოდა კაცად — თიხიდან...
 მიმოიხედა, აღმოჩნდა მარტო,
 ბაგე გაუბო მწარე ღიმილმა,
 ხედავს, ჯალათებს ვედრება ართობთ,
 გაიასმაგა სულში ტკივილმა...
 მობრუნდა, დასწვდა ლოცვანთა კრებულს,
 თითქოს სამყაროს ამყარებს მასზე,
 შეხედა პინას, მირონწაცხებულს,
 კაცთა ცოდვებს რომ წონიდა თასზე...
 შეხედა აინას, იმედმიხდილმა
 და აუვარდა გიჟურ ხარხარი,

რად ვერ მოგაგნოთ ღმერთებს სიკვდილმა,
 ვერც თქვენთან ვპოვე — თქვა — სამართალი...
 თუნდ ჯოჯოხეთში მომიხდეს გავლა
 მე ჩემს თილისმას, წავალ, ვიპოვი,
 თვალს არ დავხუჭავ, რომც დამწვას ალმა
 გზად შევიკედლებ შევილმკვდარ იმ ლტოლვილს —
 ვისაც მამულში ჩაუქრეს კერა,
 თვალწინ დაუკლეს დედა მშობელი
 ამ ცის ქვეშ უკვე არავის მჯერა —
 რადგან მახვილს სცემს შობილს — მშობელიც...
 ვერ დამაბრკოლებს შიში სიკვდილის,
 მას ხომ ყოველწამს თვალეში ვუმზერ,
 ნუ მომკლავს მხოლოდ გრძნობა სირცხვილის,
 ნუ მიწოდებენ ძმის სისხლით უძღებს.
 ვინ შეირჩინა წუთისოფელმა,
 ვის დაულოცეს კოშკი ნაგები,
 ჩვენ, უფლისაგან უარყოფილმა
 ეშმას მახეში თავად გავებით...
 ბეთესდას ტბისკენ მივილტვი მხოლოდ,
 რომ განვიბანო უწმინდეს წყალით.
 ამის იმედს თუ დავკარგავ ბოლოს
 სიცოცხლე მართლაც არა ღირს წამით...
 — კაცმა შეახსნა ბაბთა ხე მყოფადს
 და ხეს ცნობადის მოჰგლიჯა ფესვი, —
 უცებ მოესმა: კმარა! გეყოფა! —
 ხომ ხედავ ქვას რომ არავინ გესვრის?!
 განცვიფრდა კაცი, თუმცა იაზრა,
 რას ანიშნებდა ბრძანება უფლის,
 როცა ეგონა გველს ტყავი გაძვრა,
 როცა ეგონა, — დამალა „ქუსლი“, —
 მაშინ უკბინა წარსულმა სწორედ,
 მაგრამ მაშინაც შეცდა უფალი
 რომ არ ჩაქოლა იმ ქვათა ყორემ,
 ყველა მრუში და ყველა წუნკალი...
 ჰო, სწორედ მაშინ, დაუფარავი,
 ყველას შენდობით დაფარა თითქოს
 მაგდალინელის ცოდვის კარავი,
 ახლა იწვის და ეშმა ხელს ითბობს

ვისაც შეუნდო მაშინ უფალმა.
 სწორედ არ იყო ის შესანდობი
 კაცთა მოძულე — სულთამხუთავმა,
 მისცა სამყაროს — ყუთი პანდორის...
 ჰოდა, რაც დარჩა ამ ყუთის ფსკერზე,
 ისიც დაგვარგეთ — ახლა მწირი ვართ,
 მიწის განწმენდას როგორღა შევძლებთ,
 სისხლში ვცურავთ და შვილებს ვტირივართ...
 ... გამოიხურა ცის კარი კაცის,
 სურდა ზეციდან წამოსვლა წვიმად,
 ნატვრა ღრუბლის ფრთას წამით არ გასცდა,
 მოჰპარეს ნექნი, — უმტყუნა წვიმა
 ცისა და მიწის აღმოჩნდა შორის,
 ნაცვლად შენდობის, დასაჯეს ისევ,
 თითქოს ღმერთებმა გამართეს ომი
 და უმოწყალოდ დაფლითეს სივრცე.
 დასდეს ცოდვები — მონანიებულს
 გადაუშალეს საწყისი მიწის.
 ძაფზე ჰკიდებდა. ამოგლეჯილ გულს,
 არ ენდობოდნენ, ჰკიცხავდნენ მიწყვი.
 მიწის შუამავლად დაშვრა ამაოდ,
 ცას ვერ გაუღლო ყინულის უბე
 შვილებს უცხადებს თითქოს მამა ომს
 და სისხლი აბრჩობს არწივთა ბუდე...
 — უცებ, იგივე ხმა შემოესმა,
 ნუთუ ის არის, ისევ უფალი?
 იქნებ წაართვა უფლება ეშმას
 და გვეყო ამიერ — თავისუფალი?
 განათდა ირგვლივ, სახე ღვთიური
 ახლა სხვა ხედით იხილა კაცმა
 ხელთ ეპყრა ადამთ მოდგმის დღიური
 სადაც უფლისვე, ეხატა ჯვარცმა
 უთხრა: იხილე! — თქვენი სურათი
 კაცთა ჯიშისა, — აქა ხართ ყველა,
 ერთურობის სისხლში მიტომ ცურავდით, —
 ერთმანეთის რომ არ გესმით ენა.
 თქვენ გაფრთხილება არ შეისმინეთ,
 არც თხოვნა იღეთ ყურად მამისა,

და რაც აქამდე ხორციტ იწვნიეთ
 ისევ ურჩობამ თქვენმა გაღირსათ.
 გველს და სატანას აბრალეხთ ცოდვებს
 და ხელალებით ცოდვაში მრევთ თვით.
 თქვენ ჩემი წყევლა იმიტომ მოგდევთ
 სწორედ ნოეს რომ არ გაჰყვა მრევლი,
 გირჩევდით თავად, სახით მოძღვრისა,
 გთხოვდით სიყვარულს, უბიწო ძმობას
 მაგრამ თქვენს სულში შური მოზღვავედა
 სიხარბე გექცათ დაუნდობ მტერად
 ვიდრე სამყაროს ვმეუფობ თავად,
 მისი ტკივილიც მესმის ყოველი
 საკურთხეველიდან არასდროს წავალ,
 რაკი სიცოცხლის წყაროდ მოვედი...
 ეს თქვენაა რომ მესროლეთ ტყვია —
 გაუტანლობის, ცათა ცილობის,
 ღრუბლებს აგროვებთ, დღეს ითხოვთ მზიანს,
 ვით არ გრცხვენია ჩემი შვილობის?!
 მე მხოლოდ წამით დავხუტე თვალი,
 მართლაც მრცხვენია ჩემივ კმნილების
 მამის წინაშე მიგიძღვით ბრალი
 და თავს იმართლებთ „ურჩი შვილები?!“
 შენ კი — ვინა ხარ აქ რომ მოხვედი,
 იქნებ იოზი, ან აბრაამი?!
 მართლა გიღელავს სული მოკეთის
 თუ თასი გინდა ძღვნად გრაალის?!
 თუმცა ხომ გიცნობ, ვიცი ვინცა ხარ
 ან მუქ ფერებში რისთვისღა მხატავ,
 ის, ერთადერთი, ვინაც მიყვარდა,
 ისევ შეაბამს ხე ცნობადს ბაბთას.
 შეუცნობელი დარჩება ჯერაც —
 სამყარო, რომლის არ იცით ფასი
 არც წინამძღვარის, ჩემიც არ გჯერათ,
 რაშია თქვენი არსობის არსი?!
 — კაცმა ისევე შეჰბედა ეთქვა:
 სწორედ ამიტომ გეახელ „შინა“
 მინდა სამყარო ერთ მუშტად შევკრა
 და დავიბრუნო რაც ვიყავ წინათ

მინდა გამიგო და მომისმინო,
 აქ მე გონების მოველ სათხოვრად,
 შენს სისხლს რომ არქმევ, კაცი იმ ღვინომ
 გადააქცია ქუჩის მათხოვრად
 იმ „დედისპურმა“ შენ რომ ხორცს არქმევ
 გადმოუბრუნა უძღვებთ მუცლები
 ხედავ ამას და იმ ბნელ, ჩვენს სარკმელს
 ნათლის წინამძღვრად რად არ უძღვები?!
 განა ბევრსა გთხოვ? განწმენდა მინდა
 როგორც საკუთარ, სხვათა სულების
 ორიათასიც! — და არ დაღვინდა, —
 დუღს სისხლი კაცთა, დაუსრულებლივ
 ის სილამაზე და ის წალკოტი,
 ქვეყნად კაცთათვის რომ შეგიქმნია,
 მის დაღუპვაზე პასუხს შენ აგებ,
 ვითარცა კაცი — რომ ქმნის ბიბლიას.
 შექმნა ისეთი არის ადვილი
 როგორც მიწაში ჩავარდნა თესლის
 ისე არ უნდა ახდეს წადილი
 სინანულით რომ ჭკუაზე შეგშლის...
 და ჩვენც — ესა ვართ — შემცდარნი ნატვრით,
 სწორედ ამიტომ, შენდობად მოველ
 ზღვად ფეხით გასვლა მიტომ მსურს წამით
 მინდა ვახრჩობდე უგნურ ცოდვებს
 მიწა ყელამდე დატბორა სისხლმა,
 ცას ხმა ხართაკვლის ნუთუ არ სწვდება?
 შენი ვაშლის ხე არტახად იქცა
 არც ამირანის ჯაჭვი არ წყდება...
 მივმართო მაშ. ვის? — გვიბოძე ის, ვინც
 ჩვენგან აგებულ ბაბილონს დაშლის,
 და ვინც მამულის არ დარჩეს ღირსი
 გველმა ისევე აცდუნოს ვაშლით...
 ვინაც მოხედოს აკრძალულ ნაყოფს
 ხელყოს სიხარბემ ლოტის ცოლივით
 უფალო, მიწის მოველით პატრონს
 ცას მოწყვეტილნი — დავალთ ცდომილნი...
 — ჩამოჰკრა ზარმა, ცამ ფარდა გახსნა
 მოკვდავის საწოლს დაეცა სხივი

გამოელვითა, ვერაფრით ახსნა —
 აკიდა ნეკნი და — ეწვოდა წვივი...
 ვერ გაარჩია სიზმარი, ცხადი,
 გაოცებისგან ერთბაშად თრთოდა,
 ან ვინ გაუდო მას ხიდი ცამდი
 ანდა უფალთან რაღა უნდოდა
 მშვიდად განჭვრიტა ნანახი სცენა,
 თვალეზი ზეცას მიაპყრო წამით,
 ხედავს ფოთლებმა შეწყვიტეს ცვენა,
 მწვანე ხავერდმა დაფარა ბალი...
 ხე ცნობადისა კვლავ იღვა მასში,
 არ ჩანდა გველი ხე მყოფადის ქვეშ,
 ნაყოფს არ წყვეტდა ვაშლის ხეს ბავშვი
 არ იხრჩობოდა თევზი ბადისქვეშ...
 ... ღმერთო! რა ხდება?! — განცვიფრდა კაცი,
 კვლავ ზმანებაა თუ წარმოსახვა?
 კლდის თავზე ბუდე აეგოთ არწივთ, —
 ყოველ უამს მისი სასწორი ახლავს...






კორნელი ხანაძე

იოანე პეტრიწი



კორნელი სანაძე

ბექა ოპიზარი



ანზორ კუღბა

აპოკალიფსი

* * *

შეწუხებულია
მაესტრო
მართლა!

ვერაფერიც ვერ მოუხერხა ომზირს!
სიბრაზისაგან კბილებს ახრჭიალებს:
„შევცდი, შევცდი მეც და დავკარგე კაენ
ადამაძე. ქაჩეთის ციხეში უნდა მყოლოდა
ლაურა ნათელაშვილი. ჩემი ნებით
გავუშვი და ომზირსაც გავუხსენი ხელ-
ფეხი. მართლაც რა იოლად დავთმე ჩემი
პოზიციები?! ვერა, ვერ შევაფასე მე ომზირ
თავდგირიძე! ვერც იოსები დავიმორჩილე.
ეს იმიტომ, რომ ჩემს მრწამსს ვუღალატე.
ერთხელ ხომ მაჯობეს ადამიანებმა, კაი
ხნის წინ იყო ეს ამბავი და საჭირო
დასკვნები ვერ გამოვიტანე იქიდან! მე
ადამიანმა მაჯობა მხოლოდ და ისიც
იმიტომ, რომ ღმერთი იყო ადამიანის
მხარეზე! თვალწინ ჩამომექცა მაშინ
ქაჩეთის ციხე. ზოგს მართლა გონია, რომ
ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის,
ნესტან-დარეჯანის, თინათინისა და სხვათა
ამბავი მხოლოდ ერთი პოეტის ფანტაზია
იყო... მაშინ მართლა დამამარცხეს
ადამიანებმა... და ვერც ახლა შევაფასე მე
ომზირ თავდგირიძე, ვერც იოსები
განგჳკრიტე! კაენ ადამაძე ხომ მოისაკლისა
იოსებმა და კიდეც კაი, რომ ჩემს ხელთაა
ახლა იოსები. თუკი არ იქნა ჩემი
ერთგული, თუკი ვერ გადმოვიბირე ჩემკენ,
უნდა მოვსპო ფიზიკურად, გავანადგურო!
იოსებს, ვიცი, მოვერევი. სადაცაა მისი
ამბავიც დასრულდება! თუკი არ

დამნებდა... კაი, კაი, იოსებ! ეს შენ არ
ინებე, რომ ჩემთვის ეცოცხლა კაენს და
გაპატიე მაინც. გახსოვს, გითხარი და
გაგაფრთხილე კიდეც, რომ ისე
დასრულდება შენი სიცოცხლეც, როგორც
დასრულდებოდა კაენის სიცოცხლეო.
კაენი ახლაც ამოვიდოდა სამზეოზე, მაგრამ
არც ეს ისურვე შენ! რამდენჯერ,
რამდენჯერ გაპატიე, იოსებ და... ახლაც
ვერ დამიჯერებია, რომ მე გაპატიობდი,
მე — მაესტრო! მაგრამ ჩემს ხელთა ხარ,
იოსებ და... ერთ შანსს კიდეც გაძლევ:
თუ მალიარებ, იცოცხლებ! არა და... შენც
კაენივით მომიკვდები! ყველა სადავე ჩემს
ხელთაა, იოსებ. იფიქრე კრავაიზეც! შენ
შვილზე, მზის სინათლე რომ არ უნახავს
ჯერ... თუ ჭკუით არ იქნები, იგი
ვერასოდეს ნახავს მზეს, ვეღარ ელირსება
სინათლის ხილვას! მზეთ უნახავად დარჩება
შენი შვილი!

— კი, კი ხარ ძლიერი, მაესტრო,
მაგრამ არც შენ ყოფილხარ თურმე
შეცდომებისაგან დაზღვეული! შენც ცდები
გზა და გზა!

უცებ წამოიწია მაესტრო: — შენ
რომელი ხარ? — წამოიყვია სულ მთლად
დაზაფრულმა, — ომზირ თავდგირიძე?!
— უკვირს როგორ შემოაღწია ომზირმა
იმის ფიქრებში, — შენ აქ რა...

— რა მინდა და... კვითხულობ შენს
ფიქრებს, მაესტრო... რაო, მეკრძალება?

— განვედი ჩემგან! განვედ, ომზირ
თავდგირიძე! — გააკანკალა მაესტროს

და ფიქრი მოიწყობდა. იმ ფიქრთან ერთად ომზირის სახეზეც გაქრა.

მოვიდა მაესტრო გონს და ის განწირული ფიქრიც მოიზიდა თავისკენ, გაცხრილა და თავისუფალიაო, დაასკვნა. ხელი ხელს შემოჰკრა და იმ ფიქრს ჩაულრმავდა: „იოსებს ყოველთვის მოვერევი. რაო, რა უბრძანებია ომზირ თავდგირიძესო? ჰო, ვცდები მეც, ვცდები და... შეიძლება განგებადაც ვცდებოდე... მე, მართალი თუ გინდათ იცოდეთ, ვერც ლაურა შევაფასე. აი, სად შევცდი ყელაზე უფრო?! ლაურა... აქეთ კრავაი კიდე! გადარჩა მაინც და ამდენი მარცხი ერთად?! მეშინია, თვითონ ჩემი ფეხით არ ავიდე იმ ეშაფოტზე, ადამიანისთვის რომ აღმიმართავს! ომზირი: ჩემთვის მაინც ნომერ პირველ პრობლემად რჩება! აქსოვს და აქსოვს ჩემს ირგვლივ უხილავ ბადეს... და მაინც. რატომ ვერ დამიღწევია თავი ომზირის ჩარჩოსაგან?! როდის და ვის შეაყვინა ნეტა ეს ჯადოსნური ჩარჩო?! მეორე ჩარჩოც ჯადოსნურია! თვითონ ომზირი კი... ნუთუ ჯადოქარია... სწორუპოვარი მაგი?! დიდი მაგისტრი! და მაინც უნდა გამოვუტყდე თავს, რომ უნიკუმიცაა ომზირი, განუმეორებელი ფენომენი და... გავები მგონია იმის ხლართებში! შემიძლია გავთავისუფლდე, თავი დავაღწიო ომზირის ჩარჩოს, მაგრამ მერე ველარასოდეს მივუახლოვდები ომზირს. ახლოსაც ვერ გავეკარები. ვერ გავიგონებ მე იმის სუნთქვას, ველარ ჩაჯდება მე იმის ცხოვრების რიტმში... ამიტომაც: უნდა ჩავრჩე მე ჩემთვის გათვალისწინებულ ჩარჩოში! მაგრამ ახლაც რომ მაჯობოს ომზირ თავდგირიძემ და სამუდამოდ გამომეკეტოს ამ ჩარჩოში?! გალია — ჩარჩო... მერე და გოლგოთასაც რომ ესწრება?! ჯვარცმის უშუალო მოწმე და და მოწამე... გოლგოთისკენ მიმავალს ხელი გავუწოდე და ხელი ამიკრა! იცოდა, ამის მერე თავს ველარასოდეს დააღწევდა ჩემს კლანჭებს და... მის ადგილზე მეც

ასე მოვიტყეოდი! მაშინ რატომ ვემდური მე ამ კაცს? ზუსტად გამოითვალა და... მისთვის საჭირო და აუცილებელ დროში ჯდება და ჯვარცმის მხილველიც ხდება! ასე რომ, ბატონო მაესტრო... — ვიოლინო ჰაერში შეისროლა მარჯვენათი და მარცხენათი დაიჭირა, — რატომ დაგბნელებია გონი, ჩემო კარგო?! ომზირიც ხედავს იეშუას! ხედავს იეშუას და სვიმონ კვირინელის მისიაც გაუცნობიერებია! კვირინელი სვიმონ... მიწის მუშა... დღემდე თითქმის არავის უფიქრია ამ კაცზე, მაგრამ ომზირმა თავისი აზრის საწყისად სწორედ ეს სვიმონ კვირინელი გაიხადა! აი, თვითნაბადი გონი! რატომ მე არ ვიფიქრე სვიმონზე და დავუთმე ამ ღლაპს! რატომ არ ჩავიხედე მაშინ ამ გაზედამიანებული კაცის სულში? ხომ შემეძლო დამესუსხა მისი მართალი თვალები და გამემრუდებინა?! მომეყინა და... მაინც რანაირი თვალებით შეჰყურებს კვირინელი, ეს მიწის მუშა ჯვარცმულ იეშუას?! მაშინ, მაშინ მოხდა სვიმონ კვირინელის ამაღლება და დღეს ომზირ თავდგირიძე მაღლდება! მაღლდება ჩემს თვალწინ, რასაც ჩემი დაცემა შეიძლება მოჰყვას!

და რა უნდა ვქნა მე — მაესტრომ: ვერასოდეს განხორციელდეს „იმის“ ერთი შეხედვით თითქოს და უნაკლოდ შედგენილი გეგმა!

მართლა არ ჩამაფიქრა ამ ყაზირალმა?! უძახე ახლა, შე ყაზირალოო და... ხომ არ დამაგვიანდა ახლაც?! ერთიც შევიბერტყო და... კიდეც ერთხელ დავრწმუნდე ჩემს შესაძლებლობებში! ვნახოთ, შემიძლია თუ არა ომზირის გალია-ჩარჩოდან ამოვარდნა. ნებისმიერ დროს? — მარჯვნივ გადაიხარა, მერე წაიხარა წინ, გასწორდა და გადაიხიჩკა მარცხნივ. დიდხანს იყო ასე და გასწორდა, როგორც იქნა. იკბინა ქვედა ტუჩზე, — როგორ?! მაინც როგორ უნდა, შეშვაროს ეჭვი საკუთარ შესაძლებლობებში?

და მაინც მთავარია:
მე შემძლე ვარ ყოველთვის!
უნდა ვირწმუნო და ვერავინ და
ველარაფერი დამიღვება წინ!!
არ უნდა არსებობდეს ჩემთვის რაიმე
ზღუდისნაირი!!!
და ამოხტომაც უნდა შემეძლოს საკუ-

თარი თავიდან და რაღაა მაშინ ომზირის
გალია-ჩარჩო ჩემთვის, მაესტროსთვის?!

წინდაწინ უნდა გამოვთვალო, რა
უნდა მოჰყვას ჩემს ამა თუ იმ ქმედებას!
ჰო, გავთვალო წინდაწინ: წელი... თვე...
დღე... საათი... წუთი... წამი! აქ სიზუსტეა
საჭირო, შემზარავი სიზუსტე და...

* * *

ეს რანაირი ნაოჭია?! — გული
აუტყვერდა მაესტროს და ის თითქოსდა
დაუმთავარებელი მონოლოგიც ასე
გაუგრძელდა: — წარბსა და წარბშუა
რომ ამომკვიდრებია...

ჯვარი?!
ჰო, ჯვარი და ამ ჯვარზე გაკრული
იეშუა! ჯვარცმული იეშუა! იეშუა თუ
მისი ლანდი, აჩრდილი... ჩრდილი?
ჯვრისგან ხელმარცხნივ თვალებში
ცრემლჩამდგარი სვიმონ კვირინელი... არა,
სვიმონი როდია ეს კაცი?! იმ სვიმონს,
ყანიდან გზის გასაყარზე გამოსულს,
იეშუას ჯვარი აჰკიდეს რომაელმა

ლეგიონერებმა.

კაცი და ჯვარი!
კაციც ხომ ჯვარია, ხელებს თუ
გაშლის!

იეშუა და ჯვარი...
ჯვარი და იეშუა...
კაცი და იეშუა...
და მივდივართ იქითკენ, საიდანაც
უნდა დაიწყოს ეს ყველაფერი (ყოველივე)
და აღარც დამთავრდეს!

იეშუა და მე — მაესტრო — შავი
სილუეტი: ჩემი ვიოლინო...

იეშუა და ომზირი... არა, აქ ვერ
დავსვამ ძახილის ნიშანს.

* * *

— ომზირ, შენ იმაზე მეტიც კი
მოგინდომებია, ვიდრე მე წარმოვიდგენდი.
ვერა, ვერ შეწვდები შენ იეშუას და შენი
ნახელავიც ვერ უნდა იყოს ისე ჭეშმარიტი.

ცრუ ჭეშმარიტება ჩამოიღვრება იმ
შენ მეორე ტილოზე, ჩემგან დაფარვას
რომ ლამობ ასე და დიდ იმედებსაც
ამყარებ ამაზე! ცდები, შენ, ომზირ!

— ცდები, მაესტრო!
— ვერც მე მომაქცევ იმ შენ გალია-
ჩარჩოში!

— ამასაც ვნახავთ! — ხმამაღლა თქვა
ომზირმა და თვალი გაუსწორა გალია-
ჩარჩოში აწრიალებულ მაესტროს.
გასწორდა წელში, გაიშალა მხრებში და
თავიდან ფეხებამდე დაკვირვებით
შეათვლიერა შავი სილუეტი: — მგონი
შევეძლო... ეს დასაშვებია ჩემთვის...
დასაშვები...

— ძალიან ხომ არ შემოტოპვე,
ომზირ? ეს ფიქრით, ფიქრით... — გაიღიმა
მაესტრომ და მუშტები შეკრა უნებლიეთ.

— ვხედავ, შიში ჩაგდგომია თვალებში.
მაესტრო... რა ხანია, ვიოლინოც კი არ
აგიჟღერებია. გიჭირს, მგონია... იქით
იოსებია და... თუ კარგად დაფიქრდები...

— იოსები?! — უკვე აღარ ელიმება
მაესტროს, — იოსები?!

— ჰო, რა მოხდა?! თუ აწი უნდა
მოხდეს, მაესტრო?

— იოსების პრობლემა უკვე
გადავწყვიტე... იოსები უკვე აღარაა
ჩემთვის როგორც პრობლემა! როგორ
და... — ფიქრი წაიღებს მაესტროს: —
სისუსტე გამოვიჩინე მაინც! ლმობიერებად
მოვექცი ლაურასაც! ამით კენი დავლუპე!
ჩემი ლიბერალობის გამოა, რომ...
შემეძლო გული მომეკლა შენთვის,

ომზირო და... შემესუსტებინე ამით...

— მერე და რატომ არ მოიქეცი ასე? ხელი რამ შეგიშალა?

მაესტრო შეიშმუშნა, მაგრამ დიალოგი მაინც არ შეუწყვეტია: ადამიანებში ვტრიალებ და... მეც მჭირს ადამიანის სისუსტე... მეც გადმომედო ეს დაავადება გადამდები სენივით... მანკი — ერება...

— ადამიანური მანკიერებანი? ვითომ საკუთარიც არ გეყოფოდ!

— და შენ გგონია, ომზირ, რომ აწი თავს ველარ დავიხსნი შენგან? ერთსაც გაგიმხელ, ომზირო: მე მანამ შემიძლია უვნებელი ვიყო, სანამ ჩემს ქეშმარიტ სახეს არ იხილავ... აბა, მიყურე! — აიფოფრა მაესტრო და ნილაბი ჩამოიხსნა: — ერთი ეს! — წამოიძახა და შორს მოისროლა ნილაბი, — ეს ერთი კაცი მოკვდა დედამიწაზე! აგერ ეს ნილაბიც... — გადაიხარხარა მაესტრომ და ომზირსაც შეუჯუშმა გული:

— არა, არ მოისროლო!

მაგრამ მოისროლა მაესტრომ ეს ნილაბიც და ასე ჩაილაპარაკა, — ეს მეორე კაციც გათავდა დედამიწაზე... კიდეც ხომ არ გავაგრძელო, ომზირ? შენ ზედვ, რა შემიძლია მე და შენ როსლა უნდა ამოაღწიო ნეტა ჩემამდე? ამოაღწევ კი? და როგორ გგონია, ვარ კი მე შენი ტყვე და... მაინც კიდეც რამდენხანს ვიყო მე შენი გალია-ჩარჩოს ბინადარი?

— მე უბრალოდ, მაესტრო... მე ასე მინდა მოხდეს და მეორეც: თვითონ შენ, შენვე გაწყობს ჩემი ტყვეობა! ისიც გარკვეული ვადით. დროც დაზუსტებული გექნება, ვიცი, მაგრამ ერთიც გაქვს გასათვალისწინებელი: ჩარჩოდან გამოსული შეიძლება ასცდე კიდეც სინამდვილეს და... ამას რისკი ჰქვია, მაესტრო!

კი არის რისკი Дело благородное, მაგრამ... — მხრები შეიბერტყა მაესტრომ, — რაღა დაგიძალო და ესეც წინასწარ

მაქვს გათვლილი, — წამოდგა და გააზმორა, ღრმადაც ჩაისუნთქა და მოირყა ჩარჩოც, მაგრამ არ დაშლილა, — ზედვ, ომზირ?!

— მე იმასაც ვხედავ, რომ შეგნებულად არ ცდილობ ჩემი გალია-ჩარჩოდან გამოსვლას, პირიქით, გაწყობს კიდეც შიგ ყოფნა! ვიფიქრებ მე ამაზეც! მგონი მიგიხვდი, მაესტრო! და წარბსა და წარბშუა რომ ამოგგვკვიდრებია უცნაური ნაოჭი, ტილოზე გადმოვიტანე იგი...

— იქნებ გაგიჭირდეს, ომზირ, ჰა და... ხარ კი იმ რანგის მხატვარი, რომ... ერთხელ ეს ლეონარდო და ვინჩჩო სცადა, მაგრამ ნაცარში ჩაუვარდა კოვზი, ძალები მიქლანჯელომაც მოსინჯა, მაგრამ ამოდ... უხილავია მაესტრო, ვითარცა იეშუას მამა! აგერ, მეოცე საუკუნეში სალვადორ დალიმაც სცადა, მაგრამ... ვერც ამ ამაყმა სულმა აისრულა წადილი... ვერა, ვერავინ შეძლო ეს! უხილავია-მეთქი მაესტრო, ვითარცა მამა ღმერთი! მე იეშუას არცა ვცნობ! არც წმინდა სულს ვცნობ! ჩემთვის რომ დაეცერებია იეშუას, ამაღლებულიყო იქნებ მამამდე! მერე სულიწმინდაზეც ვიფიქრებდი. სამებასაც მე დავუდგენდი ადამიანებს! იქნებოდა მამა ღმერთი, ძე ღვთისა და სულიწმინდა... და შეიკვრებოდა მერე ეს სამი არსი ერთ არსად და მე გავცნობიერდებოდი ამ ღიდ სამეულში?

— ევე... შორს ხომ არ გაუტეი, მაესტრო?! ხომ არ დაეშვებოდი ძირს, დედამიწაზე?! გიყურებ და...

— მაგრამ პორტრეტის დასრულებამდე, შენც კარგად უწყი, ომზირ და ათასი გორია კიდეც, — თვალბეჭდის სიხარული ჩაუდგა მაესტროს, — თავის მამამდე... ვერა, იგი ველარ ამაღლდეს, ფვიცავ მე — მაესტრო! იეშუა ახლაც... გოლგოთაზე დასრულდეს! გინდა, დაგანახო დასრულებული იეშუა? სხვა იეშუა არცა ყოფილა! იგი შენხელა სული

თუ იყო, ომზირ! შენზე მაღალი — არა!
— მაესტრო, იეშუა ჭვარს აცვეს!

— კაცი იყო საბრალო ვინმე... დიდი შესაძლებლობების, მაგრამ მაინც კაცი! ძე კაცისა მხოლოდ! რომ დაეჭვებია ჩემთვის, შეიძლება, არც ეწამებინათ... იეშუა ნაზარევი... ყველაზე განაწამები კაცი დედამიწის ზურგზე... ამას არც მე უარყოფ! მაგრამ არ ყოფილა იგი ძე ღვთისა... ძე კაცისა კი ნამდვილად იყო!

— შენ, სული ალბათ, იმასაც სთხოვე და...

— მართალია, არ მომცა...

— არც მოგცემდა!

— ჰო, არ მომცა სული... არ დაგიმალავ ამას... არც შენ მომეცი სული... და მით უარესი შენთვის! არ მომცა სული იეშუმ და სამაგალითოდაც დაისაჯა... შენც დაისჯები! აქ თქვენ იგივეობრიობას მინდა გავუხსვა ხაზი და არა ტოლფასოვნებას... არა, არ ყოფილა იეშუა ღვთის შვილი, შენსავით იყო, ძე კაცისა! არც ცად ამალღებულა! ნიჭიერი და ყველასაგან გამორჩეული რომ იყო, რაო, დავმალე თუ რა მე ეს ამბავი?!

— და შენ, მაესტრო, ისე გაკადნიერებულხარ თურმე, რომ სულიც გითხოვია ღვთის შვილისათვის, მესიად მოვლენილისათვის დედამიწაზე?

— ნუ გადაამლაშე, ომზირ! შეიქმნებოდა იგი ყოვლისშემძლე, მაგრამ თვითონ არ ინება! მესიად ავამალღებდი!

უარი მითხრა და ამით სასიკვდილო განაჩენიც გამოუტანა თავს! ჭვარს აცვეს, ჭვარს აცვეს მართლაც! ველარ დამკვიდრდა იგი მესიად! და შენ გინდა, რომ ამ უბადრუკ ჩარჩოში გამომამწყდო მე — დიდი მაესტრო?! ამოიგდე თავიდან ეგ დიდი სისულელე, თორემ... მე იმდენი ძალა კიდევ შემწევს, რომ... — წინადადება განგებ არ დაამთავრა მაესტრომ და სიმივით გაიჭიმა, მერე უცებ მოეშვა როგორღაც და დაიშალა ნაწილ-ნაწილ, მერე ქარმაც დაუბერა და მილიონჯერ მილიონ წერტილად მიმოაბნია გალია-ჩარჩოში — ერთი, ორი და სამი! — შესძახა გალია-ჩარჩომ და ამოძრავდნენ ის წერტილები, შეიკვრნენ ისევ, შეერთდნენ, შედუღაბდნენ და მაესტრომაც გადაიხარხარა, — ხედავ, ომზირ, მე ჩემი ნებით ვრჩები გალია-ჩარჩოში, შემეძლო წერტილ-წერტილ ამოვლაგებულყავი აქედან და სხვა განზომილებაში ჩავსხეულებულყავი, მაგრამ ვრჩები მე შენში... მე დიდი მოთამაშე ვარ და იმ დიდი ექსპერიმენტის ბოლომდე მიყვანა მსურს!

— ესეც თქვენი საქმეა, მაესტრო... თქვენია არჩევანიც!

დიადოგი აქ შეწყდება და დიდი ღუმელიც ჩამოისადგურებს. ომზირი ფიქრის სავარძელში ჩაესვენება და თვალებს მილულავს.

აქ ფიქრიც წამოუქროლებს და...

* * *

ლაურას პირველ საათზე გამოეღვიძა. თვალი შიშმა გაახელინა უფრო და მაშინვე იაზრა: შიშს მართლა დიდი თვალები ჰქონიაო.

„ვაიმე, ომზირ! — თვალები ამოიფშვნიტა, — კარგად ვერ უნდა იყოს იოსები და კიდევ კარგი, ომზირი რომ არაა იმის ადგილზე...“ — ფიქრი აქ შეიწყვიტა და გაწითლდა სირცხვილისაგან, — ასეთები ვართ ადამიანები... თითქოს საკანში იყოს

იოსები და ჭვარცმა ელოდეს... ისიც მოთმინებით ელის ახალი დღის დადგომას, ელის ფართოდ გახელილი თვალებით.

მართლაც: ჭვარცმა ზვალისთვის გადაედოთ.

აღიდგინა ლაურამ წუხანდელი სიზმარი და მოეწურა სულიც და გულიც. მოხშირებოდა გულისცემა და ასე სულშეძრწუნებულმა ომზირს მოუხმო დასახმარებლად.

ომზირსაც რომ აღარ დაურეკავს?! ეს მესამე დღეა არც შემოხმინანებია ლაურას. ლაურამაც მიმოიხედა ირგვლივ და გააძაგდა უნებლიეთ. ისე მოიბუზა, საყინულეში ყოფილიყოსო თითქოს.

— ომზირ! ოომზირ... ომზირი ხარ?

— არა, მე მაესტრო ვარ... თქვენ შორის ვდგევარ... მე ვარ — ქაჩეთის ციხის ბატონ—პატრონი! ომზირთან ვიყავი და იქიდან მოვდივარ... — წელში გაიმართა და გააზმორა.

— უჭირს ხომ ომზირს? — შიშით იკითხა ლაურამ.

— ჰო, უჭირს... ძალით იჭირებს შენი ომზირი, ლაურა! მაგრამ აწი უფრო გაუჭირდება!

სული მოეწეურა ლაურას, ხმაც ვეღარ ამოუღია.

— მაგრამ იოსებს უჭირს უფრო! ომზირის გამო ხდება ეს ყველაფერი. ომზირს უნდა შეეწიროს კრავაის იოსები! შეიძლება დღევანდელი დღე იოსებისათვის საბედისწეროც აღმოჩნდეს! კარგი იქნებოდა, რომ მოინახულებდე ომზირს... იქნებ შენ მაინც დაარწმუნო, რომ ძნელი და სახიფათოა ჩემთან ბრძოლა... დაკარგავს ყველაფერს და რაღას უდგეხარ, გაიქეცი, აუხსენი ომზირს, რომ მისი გულისთვის იღუპება იოსები... თუკი მოახერხებ და ხელს ააღებინებ განზრახვაზე... დაგიფასებდი ამავს, რამეს მეც ვიღონებდი და გადამერჩინა იქნებ იოსები! ერთი საათიც აღარ რჩება! შენ გგონია, რომ გლვიდავს, ლაურა? არა, შენ გძინავს... ძინავს მთელ სამყაროს და დიდ სიზმარში ხართ შენცა და თქვენი სამყაროც! გძინავს და მე შენ სიზმარში შემოვდივარ! ეს მე ვარ — სამყაროს მომავალი განმგებელი! გადაეცი ომზირს, რომ გადადგეს გზიდან... ნუღარ გადამიდგება წინ... ჩვენ შეგვიძლია, მოვილაპარაკოთ და ხელშეკრულებაც გავაფორმოთ... თუკი შევთანხმდით, რაღა თქმა უნდა! არაო?! თურმე შენც

ომზირივით ყოფილხარ და ომზირივით ფიქრობ! ჩემი დატყვევება მოუნდომებია ომზირ თავდგირიძეს, ხედავთ?! არ გჭერა, რომ იოსებ ნიჟარაძის საქმე დამთავრებულია?! ახლავე იხილავ იმ საკანს, სადაც იოსები ეწამება და განაჩენის აღსრულების მოლოდინში უკვდება სული!

ავერ დღეის ეს სურათიც!

მთ. ფარისეველი (იგივე მთ. ზედამხედველი) ფარისეველების დახმარებით კედელზე აქედებულ ხის ჯვარზე თოკებით მიაბამს იოსებს. იქვე, ბიჭი ზის კუთხეში და ცრემლებად იღვრება.

მაესტრო კარის ზღრუბლზე შემდგარა, მხრებზე მოგდებულ შავ მანტია-მოსასხამს ქარი უფრიალებს.

ცალი წარბი, როგორც ჩვევია საერთოდ, მაღლა აუზიდავს:

„ამ საცოდავ ლაურას ჰგონია, რომ ჩემი გული სიბრაღულს მოუცავს და... იოსების გათავისუფლების გეგმასაც ვაწყობდე თითქოს... რა გულუბრყვილა თურმე ადამიანი?! ისიც ჰგონია ამ საცოდავს, რომ... თითქოსდა შევლაც კი შეეძლოს ომზირს თავისი მეგობრის... რომც შეეძლოს, არ მიეშველება ახლა! მისთვის, როგორც ჩემთვის, იდეაა მთავარი, იდეა! და მერე: სინამდვილეში დავგინებულობდა უკვე! იოსების ბედი გადაწყვეტილია! მე გული უნდა მოგიკლა, ლაურა და ომზირსაც ჩამოვასხიპავ ამით მარჯვენას! გავანახევრებ ამით ომზირის შესაძლებლობებსაც. იოსები წამებულის სიკვდილით აღესრულება და გადაამეტებს ამით ომზირსაც! და ომზირი ცოტათიც რომ შემეცირდეს, შემსუბუქდეს, დაპატარავდეს თავის თავში მაინც, არაფერს დავიშურებ მე ამისათვის! ხომ ხედავ იოსებს? გავა ახლა საკანიდან მთ. ფარისეველი (ზედამხედველი), იმას მიჰყვებიან ხელქვეითი ფარისეველებიც და საკანის კარსაც ღიად დატოვებენ განგებ. განგებ, ლაურა! მერე კი აღსრულდება ჩემი ჩანაფიქრიც!

ვაიმეო. ამოიკენესა ლაურამ და ხელები ძირს დაუშვა, — იქნებ გავიქცე ომზირთან და ამბავი შევატყობინო! ეს ტელეფონიც... გინდ გქონია, გინდ—არა... გათიშეს... ვიგვიანებ...“ — აღელვებული გამოვიდა გარეთ, — ნუთუ ვერ მივუსწრებ? ამბობენ კაენ ადამაძე უგონოდ არისო... გაუწევო... აწი ვეღარ დადგება ფეხზეო... ნეტა ესეც ხომ ომზირს არ ბრალდება?! მაესტროო... და მერე ვინ არის მაესტრო? რატომ და საიდან გამოგვიჩნდა? სადაურია? რას გვემართლება?! იოსები მაინც რა შუაშია?! რა დააშავა? კრავაი?! კრავაი რომ აკეთებს საქმეს... ჰოდა, ითხოვე აწი შენ სამართალი? კარგი... ომზირს სულს თხოვენ, მაგრამ იოსები რა შუაშია აქ, რას ემართლებიან?

— რას ემართლებიან და... კაცი შემოაკვდა თქვენ იოსებს, მილიციელი... იმ მილიციელის სამი მცირეწლოვანი ბავშვი ობლად დარჩა ამ თქვენი იოსების გამოისობით და კიდევ რას ემართლებითო? მაგრამ ჯერ სადაა? იმ დროს ბიჭი რომ ახლდა ერთი, ისიც უნდა მოკვდეს... — ესმის მაესტროს გაღიზიანებული ხმა ლაურას, თვითონ მაესტრო კი არსად ჩანდა: იყო და არც იყო... — ცოდვილია თქვენი იოსებ ნიჟარაძე... კაცისმკვლელი და ასე და მეტიც დაემართება იმას, ვინც ჩემ მოწინააღმდეგე ბანაკში აღმოჩნდება... დანდობა არც მჩვეია! ვინც ჩემ გვერდით არ იქნება, მტერია იგი ჩემი, დაუძინებელი მტერი! იცოდე შენ, რომ ომზირსაც

მივხედავ ბოლოს! ამ ბოლო ლუკმას მომავლისთვის შემოვინახავ! იმასაც დაუდგება უამი განსაცდელის! უახლოვდება ეს დღე ომზირ თავდგირიძესაც. მაგრამ ეს მერე იქნება: როცა მიწწარდება თითქოს ყოველი! ვერავის ვაპატიებ! მიმტევებელი არ ვარ და იმიტომ! კაენ ადამაძესაც ვერ მივუტევე... არ მივუტევე! ომზირს კი ჰგონია, რომ ყველაფერი რაც მოხდა, მისით მომხდარიყოს თითქოს, სინამდვილეში კი ჩემით მოხდა ყველაფერი, ჩემით! ცდება აქ ომზირი და ვინც ცდება დღეს, ვეღარც უნდა იცოცხლოს იმან! ომზირიც მოკვდება, ვფიცავ! მოკვდება, კი არ აღესრულება! — ისევ არ გამოჩენილა მაესტრო და ლაურასაც გააძაგდა. შალი მჭიდროდ შემოიხვია მხრებზე და წყდიადს მიაჩერდა. უნდა გაექცეს ამ წყდიადს, მაგრამ არ შეუძლია! თვითონ მაესტროა ეს წყდიადი, მუხლები ეკვეთება და მაესტროს ხმაც შემოეტმანება სურსათით. სუნთქვა გაუჭირდება კიდევ უფრო, — ოო, ღმერთო ჩემო, დამაყენე ფეხზე და... — პირგვარი დიდი მონდომებით გადაიწერა, — უფალო შეგვიწყალებ, უფალო შეგვიწყალებ, უფალო შეგვიწყალებ, — განაგრძობს პირგვრის წერას, — მამაო ჩვენო... — ამოთქვა ხმის კანკალით.

ლაურაც მირბის ასე უკაცრიელ და ჩამოხელებულ ქუჩაში და ამ ქუჩას წყდიადის ქუჩა ჰქვია; ზღვიდან მონაბერი ჩრდილო-აღმოსავლეთის ცივი ქარი თმებს უწეწავს დაზაფრულ ქალწულს.

* * *

კრავაი დღესაც გვიან დაბრუნდა. იოსები ახლაც რომ აღარ დახვდა შინ, ძლიერ შეწუხდა და დამნაშავესავით მიმოიხედა ირგვლივ.

აგერ იოსების გრძელი მაგიდა: მაგიდაზე — ბზისაგან გამოთლილი ბუ, — ჯერ კიდევ დაუსრულებელი, სრულ-

ყოფილებამდე რომ ბევრი აკლია, — ჩაილაპარაკებს კრავაი თავისთვის, — მაგრამ აქ ოსტატია იოსები! — წამოეწევა ფეჭრი და ადგილს შეუცვლის იოსების ბუს.

აგერ საჭრეთელი... და საერთო რვეული, რომელსაც იოსების გაკრული ხელით აწერია: „მე რომ ვუწოდე, ზვალ

რა მომელის...”

— მე ზომ გუშინაც ვიყავი აქ, იოსების სახელოსნოში და... რანაირად მოხდა, რომ ვერც ეს ბუ შევამჩნიე და ვერც — ეს რვეული? მეც დავიღალე, ალბათ...” — თმებზე ხელი გადაისვა კრავაიმ, — ეცოდინება ომზირს ყველაფერი... იმას არაფერი გამოეპარება... დიდობასავითაა და... დაცოცავს თავის ქსელზე... აქ კი ყოვლისშემძლეცაა და ყოვლისმხილველიც... მივალ ომზირთან!

ცოტა შვება კი იგრძნო, მაგრამ გული რომ ავს უწინათგრძნობს?! — წასულიაო იოსების საქმე... ვისი ხმა იყო, რომ მესმა, ნეტა? — გული ეუბნება, რომ აწი ველარ იხილავს იოსებს და ცრემლი წასკდება, — ამდენხანს რატომ არ მოვიკითხე და გულიც რატომ არ შემიქანდა ისე, როგორც დღეს? იქნებ ბაბუც დამხმარებოდა... მეთხოვა, რა იქნებოდა?! ამპარტავანი ვარ, ამპარტავანი... არა, ეს არაა თავმოყვარეობა! ისე მიუკარებელიც არ ყოფილა თურმე ჩვენი ბაბუ, ზოგ-ზოგები რომ გვიხატავენ... თვითონ არ დამიბარა დღეისათვის იმ სიტყვის გამო, თეატრში რომ ვთქვი? მაღლობა გადამიხდა! კონვერტიც ძალით ჩამიდო ჯიბეში! — ბრაზს ველარ ფარავს კრავაი, კონვერტს ამოიღებს ჯიბიდან და მაგიდაზე დაახეთქებს, — არც კი ვიცი, რა არის შიგ და არც მინდა ვიცოდე! ხვალ დილამდე არც გავხსნი ამ კონვერტს... იოსებ, იოსებ, ზომ ხედავ როგორ უჭირს შენს კრავაის?! იმაზე უფრო მიჭირს, ვიდრე მიჭირდა გუშინ და გუშინწინ, თუმცა ზომ აღმოთქვა ბაბუმ, დაგიძახებ ხვალ-ზეგ და... შენობა მოგეცი, ქალბატონო კრავაი და მეტი რაღა გინდაო? მალე „იმ საბაჟო და სხვა დამატებითი გადასახადებისაგანაც“ გაგათავისუფლებ და... კიდევ რაღას მომთხოვო?! ერთი ჩემი დებუტატი მიდის თბილისში და იმას მოვამზადებინებ

პარლამენტში განსახილველ დოკუმენტებს.

— რაო ნამთარში, აქ, ადგილზე არ მოგვარდება ვითომ ეს საქმე?! — ფრთხილად იკითხა კრავაიმ და პასუხის მოლოდინში სუნთქვა შეიკრა.

— პარლამენტის თანხმობაა საჭირო და კიდევ: ცოტაც მოითმინე და... იქნება ნამთარში შენი „სათნოების სასახლე“! თუმცა ზომ ფუნქციონირებს უკვე... კრავაი ქალბატონო, იქნებ „სათნოების სახლი“ ჯობდეს... „სახლი“ უფრო მოკრძალებულიცაა თითქოს...

— არა, ბატონო! — წამოიძახა კრავაიმ. სულ გადაავიწყდა, ვისთანაც გახლდათ მიღებაზე და კიდევ უფრო აუწია ხმას: — სახლი... რაა სახლი?! „სათნოების სასახლეო“, ვთქვი და იქნება „სათნოების სასახლე! მერე და: „სახლი“ ერთობ მოკრძალებულად კი ჟღერს, მაგრამ ამჟღავნებული ვერა! ამჟღავნებული მოკრძალება იქნება ვითომ? — ამოთქვა სათქმელი და დღევანდელი კაემანიც ერთი ხელის მოსმით ჩამოიშორა.

და ისევ გადაწვდა კრავაის ფიქრი იოსებს.

ჯერ გაირინდა იოსები მის წარმოსახვაში, დაპატარავდა თითქოს და გაილია როგორღაც; იმის ადგილზე (სივრცეში) „სათნოების სასახლე“ ამოიზარდა, — აქ რა გამაჩერებს? ცივა სახელოსნოში... მივდივარ ომზირთან!

წინ — წყვდიადი. ხელი აუქნია ამ დიდ ღამეს. აამუშავა მანქანა. მოწყდა ადგილს ბორბლებზე შემდგარი „სათნოების სასახლე“ და კრავაისაც შეექრა საშოში მიძინებული ნაყოფი, აგრძნობინა დედას, რომ არ შეიძლებოდა მისი თუნდაც ერთი წამით დავიწყება, რომ ყურადღების ღირსია იგი ყოველთვის და სადაცაა მოველინება ქვეყანას, რომ იგია თავად მოვლენა და კრავაიც აღელდა. უკლო სიჩქარეს და ბოლოს სულ გააჩერა მანქანა. გადააყენა ტროტუარზე და სული მოითქვა. ხელი მუცელზე მიიღო და

მიეფერა თვალახვეულ ყრმას — სინათლემოწყურებულს, მაგრამ დროის მიერ დაწესებული განრიგის შეცვლაც რომ არავის შეეძლო?!

შეისვენა ცოტაც და აამუშავა მანქანა. ხუთ წუთში სახლში იყო უკვე. დედა ჭერაც არ მოსულიყო, ომზირს კი შიგნიდან გამოეცეტა კარი.

იქნებ ეძინა სამი დღის უძინარს (...). ცოტას გავივლი და რვა საათისთვის აქ გაგზნდებიო, — გაიფიქრა და გარეუბნისკენ გააქანა ბორბლებზე შემდგარი „სათნოების სასახლე“. ფიქრიც თავისით მიუვიდა კრავაის: „მე რომ ომზირი ვიცი და ვიცნობ, მაინც არ მომისმენს, ერთი შენც, მოგცლიაო, ხელს

ამიქნევს და... ძინავს და ვერც გავაღვიძებ... მკვდარივით ჩაეძინება და...“

იმედგაცრუებული თვალი გზას უსწორა, გზას რომელიც მასში, კრავაიში შემოდიოდა და ამ გზაზე იდგა სინათლემოწყურებული ჩვილიც.

— იქნებ ცოცხალიც აღარაა იოსები, ჩემო პაწაწინა ბიჭო... იოსებ... — ხელი მუცელზე მოისვა კრავაიმ და მოკუმული ბაგეებიც გაუხსნა ღიმილმა.

ისევ შეინძრა მუცელში ჩვილი და კრავაიმაც უმატა სიჩქარეს. უცებ მოეშვა გულზე... — შენ არაფერი დაგემართება, ჩემო პაწაწინა ბიჭო... შენც არაფერი გჭირს, ჩემო დიდო იოსებ, რომ... შენთან მიგულვე, მოვდივარ, მოვდივართ და...

* * *

„ნეტაი, ვერავინ შეიტყობდეს ჩემს ამბავს... ომზირი მაინც... ისეთი ამბებითაა დაკავებული, რომ... რა მისათანია მასთან ჩემი ამბავი? მაგრამ კრავაი? ისეთი რამე ხომ არ ჭირს, რომ... ბაბუსთან აპირებდა შესვლას.. თავისას მაინც გაიტანს, ვიცი, წუხს ჩემზე... ჩემზე ფიქრობს... მანქანას მიაქროლებს... საითკენ გაუწევია? ნეტა? ომზირს თუ უნდა ჰკითხოს ჩემი ამბავი, მაგრამ ომზირმა რომ არაფერი იცის ჩემზე? არც მინდა იცოდეს! შეიძლება ხელიც კი შეეშალოს! მთავარია ომზირმა მიაღწიოს მიზანს! მე... უუუჰ... ის მილიციელი... ეს რა დამემართა?! რატომ უნდა შემომკვდომოდა?! ანდა ის ხელყუმბარა რად მინდოდა?! სამი შვილი ჰყოლია იმ უბედურს... რატომ მე არ ავფეთქდი?! ეს რა გამოცდა მომიწყო მაესტრომ?! ახლაც მახსოვს იმ მილიციელის თვალეები... ამომხედა და თვალებით მკითხა, მართლა მინდოდა მისი მოკვლა, თუ შემთხვევით შემომაკვდა. არ მინდოდა მე შენი სიკვდილიო, ამოთქვა გულმა ჩემმა და ესმა ეს ხმა სასიკვდილოდ განწირულს, გამიღიმა და... სულიც აღმოხდა. გათავდა... ფიქრის დასრულებაც

აღარ ინდომა, ისე ჩაიქრო თვალის სინათლე... ეს რანაირი განაჩენი გამომიტანეს?! მე — კაცისმკვლელი! ანდა რა ვუთხრა იმის ობლად დარჩენილ შვილებს, დაქვრივებულ ქალს... წითელი კაბა ეცვა იმ დღეს, ჩემთან რომ შემოიყვანა ზედამხედველმა. შემხედა და... ფურთხის ღირსი ვიყავი და არ შემაფურთხა... რატომ, რატომ შეიკავა თავი? რომ შემოეფურთხებინა ჩემთვის, იქნება ეგრძნო კიდეც ერთგვარი შვება... მაგრამ თენგულის რას ერჩიან?! პატარა თენგული მაინც დაინდეთ! კარიც რომ ღია დარჩენიათ? იქნებ განგებ დატოვეს ჩვენი საკანი ღიად?! რას მიპირებენ ნეტა? მაგრამ ესენი ვინ უნდა იყვნენ?! ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... სულ ნიღბიანები... ბიჭი დაინდეთ, არაა ეს ბიჭი დამნაშავე! გთხოვთ, გვედრებით, არ ახლოთ ხელი... მე, მე მომეკითხოს! — თავი კედელს მიახეთქა იოსებმა, — მე მომეკითხოს... ამ ბიჭს რას ერჩიით... გაიზარდოს... — გული წაუვიდა და წყლით მოაბრუნეს ნიღბიანებმა. თვალი გაახილა იოსებმა, — ბიჭი სად არის, ბიჭი თენგული? — შემინებულის ხმით იკითხა.

— აგერაა და ამის ცოდვაც შენ კისერზე იყოს! ესეც შენ მოგვეციხოს! — მათრახი სახეზე გადააწნეს იოსებს და იმანაც შეიგრძნო სისხლის სუნი და გემო.

— ღმერთო, რატომ არ მომკლავენ... ეს რა უყავით თენგო ბიჭს?! შენ მაინც რას გერჩოდნენ, ჩემო თენგული?! შენ რა შუაში იყავი?! — ცრემლი ვერ შეიმავრა და აუტირდა სულიც, — ნუთუ აღარ ხარ, ბიჭო?! — წამოიძახა იოსებმა და სისხლი აუვარდა თავში, — მომკვდარა! — აუკივლდა სული, საკუთარ სხეულშიც ვეღარ დატეულიყო, ლამის ამოჭრილიყო იქიდან, — თენგო ბიჭო.... ჩემო თენგული... — იმძლავრა იოსების სულმა და... გამოჟონა სხეულიდან, გამოჟონა იქიდან ცრემლ-წვეთივით და... გათავისუფლდა თითქოს. სადღაც სივრცეში გადაიქცა ის იგი ორთქლის ფთილად და სიომაც მოუწია ამ დროს. პეპელასავით აიტაცა მალა, მიაფარფატ-მოაფარფატა იქით-აქეთ და... უკვე ზევიდან დაჰყურებს ჯვარზე დაკრულ თავის თავს — იოსებ ნიჟარაძეს და გული უკვდება მისი საცოდაობით.

პირველად ხომ ხუთი შემოიჭრა საგანგებოდ ღიად დატოვებული საკანში და ხუთიც კიდევ შემომატებოდათ შურისმაძიებლებს. ზოგს რა ეჭირა ხელში და ზოგს — კიდევ რა?!

ამ მეორე ხუთეულს სამნი გამოეყვნენ იმავე წამს, მივარდნენ ბიჭის უსიცოცხლო გვამს, დახედეს და ერთდროულად დააფურთხეს. მერე ერთ-ერთმა იმათაგანმა, ყველაზე თვალებამოწითლებულმა, ჩანთიდან „ასიანი“ ლურსმანი ამოიღო და ბიჭს, პაწია გული რომ უფეთქავდა ამ რამდენიმე წუთის წინ, წვერით ზედ დაადო. მეორემ — თვალებამოღამებულმა ჩაქუჩი მოიმარჯვა, მესამემ, შეწითლ-ამოღამებულ თვლებს რომ აბრიალებდა, ბრძანა ასე: — აღსრულდეს ჩვენი ნება! სისხლი სისხლის წილ! — აბა შენ იციო, თვალთ ანიშნა მეორეს, და იმ მეორემაც

მოწყვეტით დაუშვა ძირს ჩაქუჩიანი ხელი. ამას ის მოჰყვა, რომ მძიმედ დაეცა ლურსმნის თავს ჩაქუჩი და ელვის სისწრაფით ჩაიკარგა გაციებულ და სამუდამოდ დაღუპებულ გულში.

— ეყოფა ამას ეს ერთიც! მკვდარი ყოფილა თურმე! წამებით კი ეს უნდა მოკვდეს, მაგრამ ამისათვის ჯვარცმაც რომ ცოტაა?! ამან მოკლა ჩვენი სისხლი და ხორცი... ისე უნდა დაისაჯოს ჩვენი სისხლისა და ხორცის მკვლელები, რომ... — ესეც იმ მესამემ ბრძანა და მოსცილდა ბიჭის უსიცოცხლო გვამს.

— აღარც ეს სუნთქავს?! — დაზაფრულიყო სამეული. ერთმანეთს გადახედეს იმედგაცრუებულებმა, აწი რალა ჯქნათო?!

— არ გვექონია იღბალი და ესაა! — სიმწრისაგან კინალამ ატირდა პირველი.

— არა, თბილია, ჯერ, მგონი ცოცხალია... — დაასკვნა მეორემ და მესამეს გაუღიმა, — ცოცხალი ყოფილა!

მესამესაც გაუბრწყინდა თვალები სიხარულისაგან, ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და ბრძანა: — აი ამ ლურსმნით ამის მარცხენა ფეხი უნდა მიელურსმოს ძელს! თანაც: ჩაქუჩი შვიდჯერ უნდა დაეშვას ლურსმანზე და მხოლოდ მეშვიდე დარტყმაზე უნდა ჩაიკარგოს ეს ლურსმანი სხეულში! შვიდჯერ გამოიღვიძებს და შვიდჯერვე მოკვდეს! შიშმა, შიშმა უნდა მოიცვას ამ არაკაცის ბოროტი სული... გაგიჟდეს, შეიშალოს სიკვდილის წინ! — გამარჯვებულის ყოფინა დასცა მესამემ, სიკვდილამდე გაგიჟდესო!

არა და არა: არ მომკვდარიყო ჯერ იოსები:

„მე მინდა: დამემართოს დიდი ტკივილი, ამტკივდეს უსაშველოდ და... ეს ტკივილიც გრანდიოზული და სულისშემძვრელი იყოს... არაადამიანური! — გაიფიქრა ჯერ კიდევ ცოცხალმა იოსებმა, მაგრამ სიკვდილის პირას მისულმა, ცრემლწვეთით ამოვსებულმა

სულმა — ერთმა ციდა ფთილამ, დანაწევრდა ცრემლ-წვეთებად და ასე ჩაბრუნდა ჯერ არაგაციებულ თავის სხეულში.

ჩაჭდა სხეულში სული და... ამოისუნთქა იოსებმაც, — ჰო... მე მზად ვარ დიდი ტკივილისათვის, დაე, ღირს ვიყო მე დიდი ტკივილის და იმის უფლება მაინც მომეცეს, რომ მერმისში მოვიწადიო. მოიღე მოწყალეობა, ღმერთო ჩემო და შემომსუბუქე საიქიო ცხოვრება, მომეც უფლება, რომ მე — ადამიანი ადამიანური სიდიადით წარმოგიდგე... შემოვაბიჯო ღვთის სამსჯავროზე... მაშეფე ადამიანად, ღმერთო! ნუღარ წამერთმევა მე ადამიანობა და ადამიანურობა!

— გაახურეთ ლურსმანი №1! — ბრძანებს მესამე, — ჰეი, შენ მეჩაქუჩე, არ დაგავიწყდეს: მხოლოდ შვიდი დარტყმით უნდა ჩაკარგო ეს გავარვარებული ლურსმანი ამ მიჩუმათებულ სხეულში!

და პირველმაც — მელურსმნემ ზედ მუხლისთავზე დაადო ლურსმანი იოსებს: „მთავარია, არ ამიკანკალდეს ხელი,“ — გაიფიქრა და ხორცის სიღამწვრის ამაზრზენმა სუნმაც ამოავსო ჩაქამებული საკანი.

გული აერია იოსებს.

— მართლა ცოცხალი არ ყოფილა?! — სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა №3-ს, — ძალივითაა! მით უარესი მისთვის! შვიდი წამი და ლურსმანიც მიღწევს მიზანს და მეორე ლურსმანიც ასევე შვიდ წამში უნდა ჩაიკარგოს ამ მიჩუმათებულ სხეულში!

ჰოდა, მეორე ლურსმანიც ჩამკვიდრდა იოსებში და წყალი მოსვა იმ ნომერ მესამემ, — სად არის მესამე ლურსმანი?! — კინაღამ აღრიალდა. და მელურსმნეცა და მეჩაქუჩეც ამოძრავდნენ. კიდევ ერთი დარტყმა, უკანასკნელი დარტყმაღა რჩება... იქამდე კი იწყება ის უკანასკნელი, შეყოვნებული წამი:

„და საუჯუნეა მთელი ეს შეყოვნება — წამი, დაუსრულებელი საუჯუნე...“ — აუძგერდა გული იოსებს და მოცოცხლებული მოგონებაც თვალწინ გაუცხადდა!

ეს იყო სოხუმში:

...გუმისთა...

შვიდი ქართველი მზვერავი აფხაზთა ბანაკში შეგზავნეს. აი, მიზანსაც მიღწეის თითქოს და...

აღმოაჩინეს აფხაზებმა მსტოვრები. ალყაში მოაქციეს.

— ჩვენ უნდა გავიშალოთ... იქნებ გადავრჩეთ რომელიმე, რომ ამბავი მაინც მივიტანოთ ბანაკში. ხომ უნდა იცოდნენ ჩვენებმა, რომ ჩეჩენთა ბატალიონი დღეს დაგვესხმება თავს და ეს იქნება გუმისთის პირველ მონაკვეთზე...

...ფეხში დაჭრილი იოსები აღმოსავლეთისკენ მიფოფხავს, გული იქითკენ მიუწევს, სადაც გაბრწყინებული მზე ეგულებს. მაღლაც აიხედავს იმ ვარაუდით, თვალი რომ გაუსწოროს მზეს და აფხაზის მრისხანე თვალებს არ გადაწყდება?! — აქ უნდა დასრულდეს ალბათ ჩემი სიცოცხლეც... იქნებ ასეც ჯობდეს... და რა ბედნიერი ვარ, რომ ჯერაც არ მომიკლავს კაცი... ნეტა, არავინ შემომაკვდებოდეს და... ეს აფხაზი თუ მიშველის... კიდევ კარგი, რომ ვერ უნდა დავასწრო მე... მომკლას ბარემ და...

— ქართველი ხარ? — ქართულად ჰკითხა თათლისფერთვალება აფხაზმა.

— მაგრამ აფხაზები ქართულად რომ არ ლაპარაკობთ?! — კითხვას კითხვა შეაგება იოსებმა და თვალი გაუსწორა აფხაზს.

— კითხვებს აქ მე ვიძლევი, რადგან ტყვე ხარ შენ ჩემი და მტერიც ჩემი... დაუძინებელი! — ქართულად განაგრძობს აფხაზი და ერთი პირობა ეჭვიც კი შეეპარება იოსებს მისი დამტყვევების აფხაზობაში:

— ასე მგონია, არც უნდა იყო შენ

აფხაზი, — ეს ისე უთხრა, თვალიც არ დაუხამხამებია.

— წვეთი, წვეთიც არაა ჩემში არააფხაზური! — წამოიძახა იოსების სიტყვით შეურაცხყოფილმა აფხაზმა.

— წვეთიც არაა ჩემში არაა ქართველის! — იოსებმაც ამოიძახა და გაუჭირდა, არ დაეხამხამებინა თვალი. უბეები ცრემლით ამოვსებოდა.

„ველარ გაუძლო...“ — გაელიმა აფხაზს და თვითონაც ამოიწმინდა აცრემლებული თვალები.

— მომკალი და გაათავე! ვალია ეს შენი! ვალია ეს შენი, აფხაზო!

— ქართველო, ხომ გითხარი, რომ დღეს ჩვენ ორში მე ვწყვეტ ყველაფერს! სიტყვის უფლებაც ჩემთვის მოუცია ღმერთს და... იცი, თუ არა, რომ დღეს ჩეჩენთა ბატალიონი დაგესხმებათ თავს... დღეს, 23 საათსა და 7 წუთზე... მაგრამ დაიხსომე, ქართველო, რომ დამოუკიდებელი იქნება აფხაზეთი! აფხაზეთი რუსეთისთვის როდი შემოგვინახავს აფხაზებს... არც ჩეჩნებისთვის!

— მომკალი და... ჯერ დავიჯერებ ამას!

— გინდ დაგიჯერებია და გინდ — არა, ეგ ჩემი საქმეა აღარაა. წადი ახლა და გადაარჩინე შენი ძმები. ფრთხილად, არ მოგკლან! შენიანები ყელა მოკლეს... მაგრამ ამაში ბრალი აფხაზებს მართლა არ მიგვიძღვის. წადი და გადაარჩინე შენი ძმები! აქედან ხსნილია შენთვის დიდი გზა. იჩქარე. სანამ არ გადამიფიქრებია... მაინც რა მომდის?! — შენ თვალები ამოსირისა აფხაზმა, — კიდევ აქ ხარ?! არ გეცოდება შენი ძმები?! — ჩახმაზი შეაყვნა.

— შენი სახელი, აფხაზო!

— აფხაზი!

— შენი?

— ქართველი!

— იქნებ შევხვდეთ კიდევ ერთმანეთს... — თავისთვის ჩაილაპარაკებს აფხაზი.

— იქნებ მართლა შევხვდეთ კიდევ ერთმანეთს... — იტყვის იოსებიც და აუძგერდება გული.

... და მაშინ რამდენი ქარველის სისხლი აღარ დაიღვარა იმ აფხაზის წყალობით...

აქ მოგონების სურათებიც აირივ-დაირივდნენ ერთმანეთში, ერთ გაუგებრობად იქცა ყველაფერი ეს და უცებ გადაიშალა.

სიცარიელე სრული და... ისევ გამოიკვეთნენ ცალკეული სურათები, დალაგდნენ ისევ და თავთავიანთი ადგილებიც დაიკავეს იოსების წარმოსახვაში.

და შედგა სურათი ერთი: მარადისობად იქცა წარსულიდან საგანგებოდ გამოხმობილი კადრი: ქართველებმა მთავარი გასასვლელი გადაკეტეს და ერთი, მართლაც რომ მოუხელთებელი აფხაზი ხელთ იგდეს. ერთმა ქართველმა დააპირა კიდევ წელზე შემორტყმული ზანჯალი შეეხსნა მისთვის, მაგრამ გაძალიანდა აფხაზი, ამოიგმინა სიმწრისგან და საკუთარი უილაჯობისაგან სულ დაიკვნითა ტუჩები. გმინვა სულშივე ჩაიხშო და გაილიმა. თვალი იოსებს მიაშტერა და იოსებიც გაშრა: ის აფხაზი იყო, ქართველი იოსები რომ დაინდო მაშინ და ვინ იცის, ამით რამდენ ქართველს აჩუქა იმან სიცოცხლე.

მწარედ გაილიმა ერთმა და... მეორემაც ჩაიცინა მწარედ.

— ხელი არ ახლოთ! — უნებლიეთ წამოიყვია იოსებმა.

— რას ამბობ?! იცი, რამდენი ქართველის სისხლი მართებს ამ აფხაზს?! — ხელი აუქნია იოსებს ასმეთაურმა და ტყვე აფხაზს უფრო საიმედოდ შეუკრა დასისხლიანებული ხელები.

— ვიცი, რასაც მიპირებთ და არც მტკივა გული. მე ჩემი გამოკვთებია, მაგრამ ერთი თქვენებური ანდაზა რომ არ შეგახსენოთ... — ქართულად ამეტყველდა

აფხაზი, — მართლა არ შემძლია:
„სანთელ-საკმეველი თავის გზას...“

და როგორ აუწვა აფხაზის სიტყვამ
იოსებს სული?!

— ეს ის აფხაზია... — წამოიწყო
იოსებმა, მაგრამ თანამესანგრეებმა
შეაჩერეს.

„მე მესმის შენი, ქართველო... მესმის...
კითხულობ მე შენ ფიქრებს... სული
გტკივა, ვხედავ და... არ შევმცდარვარ
შენში“... — აღარ გაახშიანა აფხაზმა ფიქრი
და ეს უკვე მეორედ დაინდო იოსები. და
იოსებსაც იმ აფხაზთან მოუნდა,
მომკვდარიყო, სიკვდილი მოწყურებოდა
იმასთან ერთად, მაგრამ ამაყად ასწია თავი
აფხაზმა, მაცალე, ჯერ მე მოგკვდე
აფხაზურად და თუკი საჭირო დარჩა,
შენც მოკვდი მერე ქართულად.

და უცებ წამოენთო აფხაზი, თოფის
წამალივით აფეთქდა, თავით დაეგერა
ასმეთაურს და ერთიც და მეორეც
უფსკრულში გადაიჩენნენ.

ასე დაიღუპა ის აფხაზი.

... ახლაც შემოაწყურებს იოსებს
აფხაზი: ისეთი თვლებით მიყურებდი
მაშინ, რომ... შენ, შენ მაქციე მე გმირად.
შენ ჩემი გჯეროდა... გჯეროდა ჩემი და...
არც არასოდეს დაგივიწყებ ამას! ვერ
გაგიმეტე მაშინ ამიტომ! დავარღვიე
მეომრის წესდება და... ღალატის
ტოლფასი იყო მაშინ ჩემი საქციელი,
მაგრამ ბედნიერი ვარ მაინც, რომ შენი
სისხლი არ მადევს ცოდვად... შენ უფრო
დიდი სიკვდილით მოკვდები... ცად
ამაღლდები შენი სიკვდილით...
უბრალოდ... ჩვეულებრივი, ყოველდღიური
სიკვდილისთვის მართლა ვერ გაგიმეტე,
ქართველო! და კიდევ: შენ ბედისწერამ
მოგიწყო ისე, რომ მოგეკლა მაინც! რომ
კაცისმკვლელი გერქვას სახელად! მაგრამ
ხომ იცი, რომ არ ხარ შენ კაცისმკვლელი.
ეს მეც ვიცი, ჩემო ქართველო!
კაცისმკვლელი მანქანაა. იქნებ დაგართონ
კიდევ იმის ნება, რომ მოინანიო და...

მაგრამ გამაგრდი, ჩემო ქართველო ძმაო,
მე ძმა გიწოდე აფხაზმა... ჩვენ ხომ ძმები
ვართ მართლაც! არ მოუდრიკო ქელი
მანქანას! ერთი მეშვიდე დარტყმაც და...
გეშველება! ოღონდ გაუძლე! ვიცი და
მჯერა, რომ გაუძლებ შენ, ჩემო ქართველო
და... მეც შენთან მიგულავ!

...გაქრნენ თაფლისფერი თვალები...

და იოსებმა ამოისუნთქა შვებით.

„ის მეშვიდე დარტყმა მომელის
მაინც... ვერ ავიცილებ მე იმ მეშვიდე
დარტყმას, რომელმაც შემახსენოს უნდა,
რომ ადამიანი ვარ, ღმერთისკენ
ხელებაპყრობილი ადამიანი... მტკიოდა მე
და ტკივილი არაადამიანურიც უნდა
მწვეოდა! — ამოიხენეა იოსებმა მეშვიდე
დარტყმის შემდეგ და გული მოეწურა.

— უკანასკნელი ლურსმანი,
მელურსმნე! — ბრძანებს №3 და
მელურსმნეც ამოიღებს ჯიბიდან იმ ბოლო,
საბედისწერო ლურსმანს. გაავარვარებს
და მკერდზე მიაღებს წამებულს.

— და გაუძელი, ქართველო!
ქართველი არ ხარ?! — ისევ გაიგონებს
იოსები აფხაზის ომახიან გადმოძახილს
და უჯრედებსაც შეიმჭიდროვებს
როგორღაც. ასე შემჭიდროებულმა
უჯრედებმაც დათმეს თავთავიანთი
პოზიციები და ჩაიხიეს უკან.

შეიწია ლურსმნის წვერი
სიცარიელეში და ასე მიიკვლევს გზას
დიდი გულისკენ.

წვეთი სისხლისა არ დასდენია
იოსებს...

და აჰა, მიაღა ლურსმნის წვერი
მთრთოლვარე გულს (...)

„ნუთუ მართლა არ მინდა სიკვდილი?!
აბა, რას ვევედრებოდი ნეტაი, უფალს?
გამეპობა გული უსისხლოდ და...
ორგულიანი ვიქნები, ესენი კი —
ორგულნი! ოღონდაც: ღირს კი ასეთი
სიცოცხლე?!

— ქართველო! — მოაფხიზლა იოსები
აფხაზის შორეულმა ხმამ და შეირხა.

— შვიდი!

შვიდიო, თქვა მელურსმენე-მეჩაქუჩემ. გაელიმა იოსებს და ლურსმანიც აქ დაასრულებს თავის სავალ გზას:

„გამიპობს გულს და სისხლად დავინთხევი... ეს დიდი მსხვერპლეწირვაა“...

— აქ... ამაშია შენი საშველიც... — ისევ ესმა იოსებს თაფლასფერთვალზე აფხაზის გამამხნევებელი ხმა და სულიც მოითქვა.

— ჰო, ჩემო აფხაზო! — ამოთქვა იოსებმა და თვალეები გაუბრწყინდა.

— ხელოვნებაა, ჩემო ქართველო, დიდი სიკვდილი — დიადი ხელოვნება. ჰოდა, ლამაზად მოკვდი შენც!

მაგრამ არა, ჯერ არ დასრულებულიყო ის მეშვიდე, განუმეორებელი წამი. ლამის მარადისობად ქცეოდა იოსებს ის ნათლის წამი...

და სიკვდილისთვის ემზადებოდა დიდ იოსები (!)

— ქართველო! მე ვიამაყებ შენი ქართველობით! — გაიჟღერა აფხაზის ხმამ და მიიღია სადღაც სივრცეში...

* * *

„კარგი იქნება ნოსტრადამუსსაც ვკითხავდე! ვნახოთ, რას მეტყვის? იქნებ მირჩიოს რამე“, — კრავამ შუბლზე მოისვა ხელი და ჩვეულებისამებრ ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი. მერე შვიდი წამით შეიკავა სუნთქვა და ამოისუნთქა: „ჩემი და საქმეთა ჩემთა შემწე ღმერთია მხოლოდ...“

ფანქარმომარჯვებულმა საჭირო ცხრილი მოძებნა და პირჯვარი გადაიწერა, გათვალ-გამოთვალა და გაახარა დიდი წინასწარმეტყველის პასუხმა: „თქვენი საქმე წინ წაიწეგსო“.

მღელვარება მართლა ვერ დაეფარა კრავაის. გამოვიდა სახლიდან. ასე არასოდეს აღელვებულიყო და შიშმა შეიპყრო: — თითქოსდა მამშვიდებს მიშელ ნოსტრადამუსი, მაგრამ მთლიანადაც როგორ მივენდო?! — ხმამალა გაიფიქრა და თავისი ბორბლებზე შემდგარი „სათნობის სასახლის“ წინ შედგა: — შენ ხომ ბაბუს წყალობა ხარ?! არა, არ დაუშაღლებია ბაბუს... — ხელი ნაზად გადაუსვა მანქანას და საქვს მიუჯდა.

მანქანა სკვერთან მიაყნა.

„აქვეა უზენაესში შესასვლელი... დღესაც რომ ძველებურად მალოდინონ... ვეღარ მოვითმენ ამდენს“ — ფიქრი მოაწვა კრავაის.

მეკარე ჯარისკაცივით გამოეჭიმა და

კრავაისაც იმედი მიეცა, რომ დიდ ღროს აღარ დააკარგვინებდნენ.

არც ალოდინეს დიდხანს. ბაბუ გელოდებო, აუწყეს.

ავიდა მეორე სართულზე. განგებლიად დატოვებული კარის სახელური უნებლიეთ შეატრიალა და გულისფანქვალთ გადააბიჯა ზღურბლს.

— მოდი, კრავ, მოდი, მაგრამ აქედანვე იცოდე, რომ ჩვენს განკარგულებაში თხუთმეტი წუთიღა თუა. ცხრა საათსა და ორმოც წუთზე თურქეთის ელჩს ვღებულობ. ჰო, მართლა ძალიან მომაწონე თავი თეატრში... შინაგანი ძალა გამოძრავებდა და ცხადია... მადლობთ!

„მოწონებია თურმე ჩემი სიტყვა... არც დაუფარავს!“ — ფიქრს შეჰყვა კრავი და ახლაც ესმა ის „ხმა“: — გოგო, გოგო, მოიხედე აქეთ, გოგო!... — (ეს ბაბუ იყო, თავისკენ რომ უხმობდა კრავაი თავდგირიძეს). — მერე და... იმხელა ოვაცია, კრავაი, არც მახსოვს ვინმესთვის მოეწყით ოდესმე... ოვაცია! ხალხი ტაშს გიკრავს კრავაი თავდგირიძე! გცნო, გალიარა საზოგადოებამ, ინტელიგენციამ გაიზიარა შენი იდეა და მხარს გიჭერს! — ქვედა ტუჩი მოიკნეიტა ბაბუმ და ისევ განავრძო: — თეატრი შენ ფხეჭევშ...

...და გადაეხვია ბაბუ... ლურჯი თვალეები უციმიციმებდა, — ყველაფერში

დაგეხმარები... — ამას ბაბუს ზღვისფერი თვალები ამბობენ!“ — ირწმუნა კრავაი პირველი კაცის სიტყვა: — რაო, როგორ თქვა?! მოსაწყობიაო შენი სასახლე... მართლაც სასახლე! მეც ვფიქრობ ამაზე... შენ გაიმარჯვე, კრავაი! ნამთარში შენი წყალობით მართლა იქნება დიდი „სათნოების სასახლე!“ მაშინ „სახლი“ აჯობებდაო, ვფიქრობდი, მაგრამ... ვცდებოდი, კრავ... ჰო, შემეცვალა აზრი და... „სასახლე“ მართლა ჯობია. ახლა რემონტზეც, კრავაი! ქალბატონო კრავაი...

კრავაი წამით ჩაფიქრდა და ფიქრმა ბაბუსაც წაართვა თავი:

„ამ ქალს მართლა ზღვა გული ჰქონია. მე მეამაყება, რომ ჩემს სამწყვსოში კრავაი ცხოვრობს და... მოღვაწეობს“. — ბაბუმ თავი აქ მოუკონა ფიქრს და მალლა აიხედა: — ძველ პერსონალს თუ არ დაითხოვ, კაის იზამ, კრავ... ეს რჩევაა ჩემი... ბრძანება არ გეგონოს... კოლექტივს მერე და მერე გადაახალისებ... ცხვირის ჩაყოფას არც ვაპირებ შენ საქმეებში, მაგრამ ზოგიერთ ჩემს აზრს და რჩევას თუ გაიზიარებ, კმაყოფილი დაგრჩები... დაბრძანდით, ქალბატონო კრავაი, — ბაბუმ პაწია მაგიდა მიიჩოჩა და აგერ პროექტიცო, თითქოს სხვათაშორისო, ისე წამოიძახა, — თვითონ შევადგინე! ჩემი აზრით ასეთი უნდა იყოს მომავლის „სათნოების სასახლე!“ აგერ დარბაზი... აგერ ამ კუთხეში მაგიდა და ერთი სკამი. აქ მოხუცი მევიოლინე უკრავს. კედელზე

ერთკუზიანი და ორკუზიანი აქლემები. აქლემების ქარავანი უდაბნოში და ცხელი, მწველი მზე... უყურებ ამ სურათს და ოფლი უნდა გდიოდეს შენც! ვიცი, ხატავს შენი ძმა და იმას შეუკვეთე, კარგი? მალლა რესტორანი და კონფერენცდარბაზი... სიმპოზიუმებისთვის, სტუმრები გეყოლებათ უცხოეთიდან ან კიდევ: სპორტულ-გამაჯანსაღებელი დარბაზი... შენ კი... ჩვენებურა ღედა ტერეზა, — კუთხურად მოუქცია ბაბუმ და თავისი წარმოსახვით მომავლის „სათნოების სასახლეში“ გადაეშვა: უცხოელ სტუმრებს კონფერენც-დარბაზში ეპატიჟება გაღიმებული: — შენც ჩემთან ხარ... ჰო, მართლა, მთავრობამ თუ გამოიტანა დადგენილება შენობის ბალანსიდან ბალანსზე გადატანის შესახებ? ჰოო... ის აქლემების ქარავანი კი მიირწეოდეს უნდა უდაბნოში... მზეც ისე აცხუნებდეს, როგორც არასდროს! კედლები შენს ძმას მოახატვინე და ატვეჩაი მე ვარ... მე გადავუხდი შენს ძმას და... თუკი მომეწონა... იქნებ მეც შევუკვეთო ჩემთვის... ჰო, იმ ბალანსიდან ბალანსზე გადატანის შესახებ გეკითხებოდი. დააჩქარე, კრავ, ეს საქმე, შეაწუხე, ვინც საჭიროა, თხოვე... მოითხოვე... ხომ ხედავ, თავს არავინ იწუხებს... ძალით უნდა გაიტანო შენი! მოკლედ: მომილოცავს! პრეზენტაციაზე თუ მომიწვევ... ჰო, გასულა ის თხუთმეტი წუთი... თუ დაგჭირდეს, შემაწუხე!

* * *

კრავაი ბაბუს რეზიდენციიდან აღელვებული გამოვიდა.

„იქნებ ახლა მაინც დამხვდეს იოსები შინ... იოსებ, ერთი წუთითაც ვერ მომიცლია შენთვის, მაგრამ რა ჯენა? ერთი ხელი ტანსაცმელიც უნდა გიყიდო. წყნით ვერაფერი გაწყენინე, მაგრამ ვერც ვერაფრით გამიხარებია! თითქოს და დავმორღითო ერთმანეთს, ასეც მგონია...

სულიერადაც ხომ არ ვცილდებით ნეტა ერთმანეთს? ისე: წარმატებამ ისე მალლა შემისროლა, რომ... ნუთუ არავინ მიჩანს თვალში?! ისე მალლა შემისროლა ღროვბამ, რომ ველარავის ვხედავ ძირს! ნეტა მეც ხომ არ მხრავს პატივმოყვარეობის პატივმოყვარე ჭია?! კრავაი, გამოფხიზლდი! — თავს შეუძახა და შუბლი საჭეზე ჩამოსდო.

კრავაიო, შორეული ხმა მოწვდა იმის სმენას და შეცბა; ეცნო ეს ხმა: იოსები ეძახდა, თავისკენ უხმოვდა კრავაის.

თუ უჭირსო, დასკვნა კრავაიმაც და მხრები შეიბერტყა. სიჩქარესაც მოუმატა უნებლიეთ და კინალამ უცხოურ მანქანას არ შეასკდა?! — გადავრჩი კი, იოსებ? — აღმოხდა და ცრემლები ველარ შეიმაგრა: „გული ჩემო, რა გჭირს, ასე რომ მომეწურე?!“ ასე რამ შეგაშფოთა, რატომ გეტირება, სულო? მაპატიე, იოსებ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მომნატრებიხარ, მხოლოდ ჩემს მარტოხელა მოხუცებსა და ინვალიდებზე ვფიქრობ... იმათ გარდა სხვა აღარავეინ მახსოვს... შენც, შენც... — მშუცელზე ნაზად დაიდო ხელი, — თურმე შენც მეორე პლანზე მყოლიხარ, მაგრამ... შენ არ გავიწყდები და გახსოვარ ყოველთვის... არასოდეს გავიწყდები... დედიო, მეძახი... მეძახი გამწარებული, სადაა მამაჩემიო? გული შენც ხომ არ გიგრძნობს ავს, ჩემო ბიჭო? ნეტავი რა გჭირს, მაცოდინა... — მიეფერება ჩვილს, კიდევ ერთხელ რომ შეახსენებს თავს და როგორც არასდროს, ისე შეინძრევა. ატკივდება კრავაის საშინლად, — შენ, როგორც გატყობ,

მალე იხილავ მზის სინათლეს, ჩემო სულსწრაფო ბიჭო. კიდევ ერთი კვირა უნდა დაჰყო ჩემში და ველარ უნდა მოითმინო? ნუ აჩქარდები, ჩემო ბიჭო! ეს სისველე... სისველე საიდან? ვიცლებოდეთ თითქოს სითხისაგან...“ — გააჟრჟოლა და ტყავის საჯდომი ხელის კანკალით მოისინჯა, — მდის... წყალი მდის უკვე... მშობიარობა ხომ არ მეწყება ნეტა? დაბადება... — ფიქრი აქ მოითოკა და ტკივილმაც მოუარა. ატკივდა ჭიპთან. სიმწრის ოფლი დაასხა... — უნდა ვიჩქარო! ჩემი ფეხით მივალ სამშობიაროში... ომზირსაც იქიდან დავურგავ. დედა მაინც არ იქნება სახლში, ჩვენი მარჩენალი დედა... ეს რა გვჭირს მართლა? და იოსები... ომზირს ეცოდინება იოსების ადგილსამყოფელი... იქნებ შეატყობინოს ჩემი ამბავი იოსებს. ეს რანაირი ტკივილი ცოდნია თურმე? მაგრამ ხომ უძლებენ ქალები და გაუძლებ მეც! კიდევ ერთი კვარტალი და მარცხნივ შევუხვევ...

როგორც იქნა, მიაღწია სამშობიაროში. მანქანა ტროტუარს მიაყენა და აცახცახებული და ოფლში გაწურული გადმოვიდა იქიდან...

* * *

და ისევ შეჩერდა გულთან იმ ლურსმნის წვერი.

წინ წამის მეათასედი... გამარადისებული(!)

და იხილა მაშინ იოსებმა: გაურბოდა ვილაცას, წარმოუდგენლად უზარმაზარს, გრანდიოზულს, მაგრამ დიადი მაინც არ ეთქმოდა იმას. სადაცაა წამოეწეოდა მღეგარი დევნილს.

უკან მიხედვისაც კი ეშინოდა იოსებს. უკვე შეიგრძნობდა იმის მოხშირებულ სუნთქვას. ცივი სიოც გარშემოევლო და შებოჭესო, თითქოს, ხელიც ველარ გაანძრია, ნაბიჯი ვერ წადგა წინ. მიიხედა უკან და უკუიქცა შეძრწუნებული...

უსაზარლესი, რაღაც ცეცხლოვანი კომბინივით რამ ურჩხული დასდევნებოდა თურმე.

იოსებს ელდა ეცა და მუხლები მოეკვეთა.

„ხომ გადამიარა, თუკი წავიფორხილე და წავიქეცი“... — ფიქრი სიცივესავით გაუჯდა ძვალ-რბილში, მაგრამ მუხლების კანკალმა მაინც გაუარა. წამოიმართა მაშინ, წინ შურდულივით გავარდა და ურჩხულმაც უმატა სიჩქარეს.

ურჩხულს ხალხი მოსდევდა აუარება. ამათაც უჭირთო, გულში გაივლო იოსებმა.

თან მოითრევდესო თითქოს

ურჩხული ამ ხალხსო, ასეთი შთაბეჭდილება რჩება იოსებს და ამას ჩაუგდია იგი საგონებელში: ამ ხალხსაც იმ მონუსხული ბაყაყით ემართება, თავი რომ ვერ დაუღწევია გველის მომნუსხველი მზერისთვის და განწირულის ყოყნით მაინც იმისკენ მიიბაძაყება.

ურჩხული იგი კი თანდათანობით იკრებს ძალას, მოარღვევს, მოაქვს ცა და ქვეყანა და სადაცაა სიკვდილსაც მოიმშობიარებს.

უკან სისხლის მდინარე მოჰყვება ურჩხულს(!)

„ერთი გაუსწრებდეს მდინარე ამ საზარელ სისხლის ურჩხულს, წამომეწოდეს და დავიხრჩობოდე ნეტა იმის სისხლიან ზვირთებში!“ — ინატრა იოსებმა და უნებლიეთ გაელიმა, — გულუბრყვილო ბავშვივით ვოცნებობ... არა, არა... მაგრამ ფიქრიც რომ ვერ უნდა იყოს ეს... და თუკი მართლა არ ვიღონე რამე, მართლა წამომეწევა ეს მონსტრი და გადამთქერავს. აღარაფერი დარჩება ჩემგან. აღარ ვიქნები მე! აქ უნდა დავსრულდე, აქ უნდა დასრულდეს ჩემი გვარის ისტორია... არა, გვარს რას ვერჩი?! მოვა ჩემი შვილი და იგიც იტყვის თავის სათქმელს! ეს ჩემი წილი სიტყვა ამოიშლება გვარის ისტორიაში... მე დავსრულდები გვარში, თორემ გვარი გააგრძელებს თავის სიცოცხლეს! ღმერთო, გადმომახედე... მომახედო იქნებ... შემაძლებინე მე სიცოცხლე და არდაცემა!“

და მაშინ იყო, რომ ამოიბიძინებული ჭეჭილი შემოეგება დევნილთ. უკვე კი აღარ გარბოდნენ ადამიანები, მისრიალებდნენ თითქოს სივრცეში, ფეხსაც არ აკარებდნენ მიწას.

„ნეტავი ავიჭრებოდე მაღლა და...“

შეჩერებულიყო თითქოსდა დრო: აღარ ისმოდა გულის წიკწიკი და შესძრა ამან იოსები. მერეღა შეამჩნია, რომ იზრდებოდა და უსაშველოდ მაღლდებოდა ის მობიბინე ჭეჭილი. იზრდებოდა და მაღლდებოდა თვითონ იოსებიც.

9. ლიტერატურული აჭარა, №1, 2000 წ.

ძლივსლა მოჩანდნენ ჭეჭილზე მავალნი და თავიც ცას მიაბჯინა ამ დროს იოსებმა.

მოფხიზლდა უცებ.

თავი ძლივს დააღწია ფიქრებს. ღრუბლებზე ამხედრებულიყოსო თითქოს, ისე მიირწეოდა ტალღასავით. ის ურჩხული კი: გაცოფებული და გადარეული ბრდღვინავდა და სიკვდილის ცელს უმოწყალოდ იქნევდა.

და ღვივდებოდა ირგვლივ სიკვდილი! შეშინებული და დაზაფრული ადამიანებიც ველარ გაქცეოდნენ სიკვდილის მანქანას და კვდებოდნენ უბრძოლველად.

იოსებმა მოხუჭა თვალი და ურჩხულის მანქანაც ამოიშალა მისი თვალსაწიერიდან. კაცის სული სულ უფრო მაღლა და მაღლა მიიწევდა.

გაახილა თვალი და ველარსად დალანდა დედამიწა (!)

სივრცეში მისრიალებდა იოსები.

და უცებ გვირაბი არ გაიჭრა იმის წინ?! გრძნული გვირაბი...

აქ ფერიც ერთი, ერთადერთი ფერობდა — ვარდისფერი!

ანაზღად გალაკტიონის ლექსი გაახსენდა: „სიკვდილის გზა არა არის, ვარდისფერ გზის გარდა...“ „ნუთუ სიკვდილის აღმართზე ვდგავარ?!“ — მაგრამ ისიც ველარ გაეხსენებია, ასე როდის მიცვლილიყო იგი, — მაგრამ თუ ცოცხალი ვარ, რა მინდა მაშინ მე ამ ვარდისფერ გვირაბში?!“

იოსები სივრცით იყო შებოქილი და აზროვნებაც უჭირდა ამიტომ. მიხვდა ამას და სწორედ ამ დროს დაიძრა მასში რაღაცა, აწრიალდა და მიასკდ-მოასკდა სულის გაუფერულეზულ კედლებს. იგი მოძრაობა იყო, დიდი ამოძრავება და კაციც აივსო ამ დიდი სიცოცხლით.

გვირაბი კი... როგორც არცრავგვირაბი!

აქ უცნაური რამ ძალა აიტაცებს იოსებს, კედლისკენ გააქანებს, მაგრამ აღარ

შეახეთქებს: უახლოვდება იოსებს მოსახვევი და კედელმაც მიისრუტა თითქოს, მაგრამ კაუჩუკით შეიწია შიგნით კედელი და იოსებიც გაცდა იმ საბედისწერო ადგილს. უკან დარჩა მოსახვევი და კედელმაც მოიცილა იგი თავიდან.

ჰოდა, მიქრის იოსები წინ, მიქრის, მიფრინავს და შიშის გრძნობისგანაც თავისუფლდება.

აგერ მეორე მოსახვევიც, თავბრუდამხვევი სისწრაფით რომ უახლოვდება.

„შევასკდები, შევასკდები კედელს და ნათლეთბადტეულს კოსმოსურ სანაგვეში ჩამიძახებს განგება... იქ დავიწვები და მორჩა! აღარ იქნება ეგ თქვენი იოსები ნიჟარაძე! მაგრამ ისევ განმიზიდა კედელმა მე — იოსები, არა, კედელი შეიწია შიგნით, თუმცა ჩემთვის არცა აქვს ამას არსებითი მნიშვნელობა. სულერთია აწი ეს ყველაფერი ჩემთვის! აქ კანონია ასეთი: ჰო, მივყავარ სადღაც ამ ვარდისფერ გვირაბს და ჩემი მეობაც ბოლომდე უნდა მივიტანო! ღვთის ნებაა ეს. და ამ კანონს აწი ველარაფერი შეცვლის“.

ვარდისფერი გზა კი უფრო და უფრო ვარდისფერდება.

მერე და მერე: მელოდია ესმა... ვარდისფერი ჰანგები ეუფლებოდნენ იოსებს და ისიც მიკანკალ-მიიჩქაროდა ვარდისფერ გვირაბში.

მერე ნეტარებაც ეწვია...

უხაროდა იოსებს თავისი ყოფა და ყოფიერება. სიტკბოდ ჩამოღვრილიყო მასში მთელი გვირაბი. ახლა კი მოეშაღდო, დაიძრა ამ დროს ხმა იოსებში და კაციც მოფხიზლდა.

სადაცაა სივრცეში უნდა გაჭრილიყო გვირაბი და იოსებიც მიხვდა, თუ რატომ დაქანაობდა ეს შეკუმშული სივრცე მაშინ გვირაბში...

— ჩუუუ... სმენა და გაგონება! — ესმა იოსებს და ისიც მიენდო ამ ხმას, — ახლა სინათლესაც იხილავ შენ! გული,

გული გიკარნახებს, როგორ მოიქცე და... უნდა შეიცნო იგი, უნდა შეიცნო!

და იგი სინათლეს გამოსინათლდა! კი არ გამოჩნდა, იელვო თითქოს...

— იქმენინ ნათელი! — წამოიძახა იოსებმა, — ნათელი იქმენ! — პირველი გადაიწერა.

უახლოვდება იგი სინათლეს და უახლოვდება იოსებიც იმავე სინათლეს.

და დროც შეჩერდა იმავდროულად! შეუწყდა გულის ბაგა-ბუფი, თუმცა სულ უფრო და უფრო მძლავრობდა სამყაროს სულის წიკწიკი, მაგრამ ასე ცუდად რომ ხვდებოდა გულს ეს მონოტონური დარტყმები?! რაღაც საოცარი, არნახული და არგავონილი მელოდია... თითქოსდა გეხსნებოდათ გული მოდარაგე იმის მოსასმენადო.

და ასე წარსდგა იოსები სინათლის (სულის) წინაშე!

— მე ყველაფერი ვიცი, იოსებ...

— შენ ხომ ყველაზე უკეთ შეიგრძნობ და ხედავ კიდეც, რომ თვითონ მე, თვითონ ვატარებ მე (ჩემს) მარადცოდვას... მინდოდა დავსჯილიყავი სასტიკად და მომენანიებია როგორმე...

— შენს მაგივრად ომზირი მოინანიებს იიქ!

— როგორ?! — ჩემი სატარებელი ტვირთი ომზირმა ზიდოს?! მე, მე უნდა დავსჯილიყავი, ეს უფრო სამართლიანიც იქნებოდა! ჩემს ტვირთს ვერავის დავუთმობ! უნდა მთლიანად გავაცნობიერო მე ჩემი ტვირთი, შევიგრძნო მისი სიმძიმე... მე უფრო... კრავაი როგორაა?

— იმშობიარა შენმა კრავაიმ, იოსებ! პატარა იოსები მოველინა ქვეყანას! არ მომკვდარა და არც აწი მოკვდება იოსები ნიჟარაძე! კვლავაც ივლის ღედამიწაზე იოსები ნიჟარაძე! ივლის თავაწეული და ამაყ! ეს ძეა შენი, იოსებ! სისხლი და ხორცი... სახება და ხატება შენი...

— დიდია სახელი და სახება შენი...

ომზირმა რა ჰქნა, შეჰქმნა თუ ვერა სიკეთის ხატწყარო და მოაქცია თუ ვერა დიდი მაესტრო იმ გრძნეულ ჩარჩოში?

— მაესტრო?! ამოვარდა მაინც ჩარჩოდან, მაგრამ გაწბილებული და დამცირებული!

ნათლის სვეტია იესოს ხატი... სიკეთის ხატწყარო... ნაკადული მოჩუხჩუხე და... ამბავი კეთილი კიდევ ერთი: ინგრევა ციხე ქაჯთა, ინგრევა!

— მაშ, მომიხდია მე ვალი ჩემი! იქ... დედამიწაზე მე დიდი მეგობარი მრჩება: ომზირ თავდგირიძე — დიდი მეგობარი კაცთა!

— და კრავაი!

— ჰო, კრავაი... — აღმოხდა იოსებს,
— და იოსებ მეორე ნიჟარაძე!

— ნათლის... სინათლის მსახური!

ბრწყინვალე იყო და მოკაშკაშე ის ნათელი, მაგრამ თვალს მაინც არ ჭრიდა იგი მავანს და მავანს!

და იოსებმაც შეიგრძნო, რომ ნაწილად მოსული და ნაწილადვე დამკვიდრებული, როგორ ცნობიერდებოდა მთელში. მთელად ქცეულიყო და უკვდავებანაზიარები თვალსაც არ ახამხამებდა.

ანათ-ასხივებდა და ნათებაც მისი მარადი იყო და ღიადი...

უთენია წამოდგა მაესტრო და ვიოლინო ამოიღო ბუდიდან. შეათამაშა ხელში და სიმებზე მიეყინა მზერა: მაინც ვინ ვარო, ისე სხვათაშორის იკითხა და პასუხს დაელოდებო:

„ჰა, მელექ ლე იზრა, ელ“

მაესტროს გააქრეოლა:

$5+40+30+20+30+10+300+200+1+30=666$

„666“

„ეს მე ვარ, მე...“ — თვალი ააწვრიტა სიმს, — ჰო, ამ სიმზე... ცალ სიმზე უკრავდა პაგანინი... დაჭირდა და ალაპარაკა თავისი ვიოლინო! ვიოლინო იყო მისი ფიქრი, ოცნება და ენა... —

თვალი ისევ დაადგა იმ, უკვე ნაცად სიმს, მზერაც ზედ დააცურა, გადასცდა სიმს... სივრცეს შეუერთდა ისარი თვალთა.

და ვიოლინოც ათრთოლდა ჯადოსნური...

ჯერ წვეტილ-წვეტილი, თითქოს და რაღაცნაირად დაწვეტილი, დანაწევრებული მელოდიით აივსო მაესტროს დიდი დარბაზი, ქარიც შემოიჭრა გალიადებული ფანჯრებიდან და პაწია სარკმლიდან, ჩაიმსხვრა მინები და ამ მსხვრევის ხმამ შეაკრთო მაესტრო. შეუტოკდა ის ერთი სიმი და მელოდიაც უსიამოდ შეწყდა. შეაქრეოლა მაესტროს. ტკივილმა მოიცვა და ეს ტკივილი დაეწვეთა იმ დაჭიმული სიმს, ჯერ ერთი წვეთი ტკივილი, მერე წვეთ-წვეთ მიჰყვა იგი ტკივილი იმ ჟრჟოლაშერეულ სიმს და... ვიოლინოც ალაპარაკდა!

ტკივილი დაირბა მაესტროს დიდ დარბაზში, ტალღა-ტალღად რომ გადავიდა ფანჯრებიდან და პაწია სარკმლიდან. გაჯერდა სივრცე ამ ტკივილებით.

შედგა აქ გამგლევი ვილაც — ერთი ეული მგზავრი და მიჰყვა მელოდიას... სდის ლაპა-ლუპით ცრემლი. ისიც კი აღარ ახსოვს, სადღაც მისასვლელი რომ იყო, გადავიწყბოდა სად და როდისთვის, იდგა თვალბწამონთებული და ირხეოდა აქეთ-იქით ის ლერწამივით.

მაესტრო? მოხრილიყო წელში. სადაცაა გაღეულიყო უნდა! ჩაილეოდა და საწუთროც დარჩებოდა ტკივილმარა!

ტკივილი თავად...

აქ მაესტრომაც ინდომა, რომ ეგრძნო მგზავრს თავისი უსუსურობა — არარაობა: რომ აბსურდია მისი სიცოცხლე და დამნაშავეა ამაში ღმერთი! დამნაშავეა იმითაც, რომ სრულყოფილი სული კაცს ვერ შთაბერა!

ასე სრულყოფილი სული თვით ღმერთსაც არ გააჩნია და კაცს საიდან უნდა დაჰყოლოდა ეგ სიღიადეო?! —

მხრები აიწურა მაესტრომ

და გააგრძელა სიცოცხლე ვიოლინომ.

ტიროდა მგზავრი და ტიროდა იმიტომ, რომ უკვენესოდა სული მოკვდავის.

— ვერ შევეგუები სიკვდილს! არც შემძლია მე ჯერ სიკვდილი! არ მინდა მოვკვდე! — გოდებდა ვიოლინო და პატარავდებოდა მგზავრიც. რომ არ წაქცეულიყო, ბოძს შემოეჭდო სუროსავით.

არა, არ უნდოდა იმას დაცემა!

ვიოლინო კი... ლაპარაკობდა. ცოტაა ლაპარაკი: გოდებდა! წყველა-კრულვას უგზავნიდა მამა ღმერთს: — ისეთი შენ ვინ ხარ, რომ დააკნინე ასე, დააცოტავე კაცი?! შენც კი არ გქონდა ამის უფლება! რატომ, რატომ არ სრულყავი კაცი?! შეგეძლო და აღარ ინდომე... იქნებ უძლურიც იყავ შენ საამისოდ... ველარ შეძელი? — კაცივით ჩიოდა ვიოლინო, კაცის სახელით უსაყვედურებდა მამა ღმერთს: — და ასე დაცემულს რომ გხედავ დღეს, შენი ბრალია, ღმერთო! ქართველი ქართველს კლავს! ინთხევა სისხლი, ინთხევა საქართველოში და ისედაც უძლეურ კაცს კიდევ უფრო უსწრაფებ სიცოცხლეს! ასეა ყველგან... დედამიწაზე...

და შეცბა მგზავრი. მიიხედ-მოიხედა და ვერავინ რომ ვერ დალანდა, ხმამაღლა იკითხა: — ნეტა მე ვლაპარაკობ ასე თუ ვინმე სხვა, ჩემში შემოსახლებული ვინმე? — ერთიანად დაიძაბა, — კარგია, რომ არავინ მისმენს...

ისევ ის უცნაური მელოდია ესმა, ასე რომ შეძრა მისი სული და წელში გაიმართა, — ეს რა ხმებია... ეს რა მელოდია... ღვთაებრივი მელოდია... მე უკვე ვიცი ყველაფერი... სამყაროს იდუმალებაც ამოვიცანი! და რა უბედურებაა — იყო ადამიანი ამ ვრცელ და უსასრულო სამყაროში, ასე უსუსური და მიუსაფარი გავუჩენივარ თურმე მამა ღმერთს... საწყალი კაცი...

ვიოლინო კი თავისას არ იშლის მაინც.

აჰა, ჩამოჰკრა ხეში აკანკალებულ სიმს ფიქრადქცეულმა მაესტრომ და უცნაური ბგერაც ჩამოიქნა. ეს ის ბგერაა, რომ გაიშალა და ყველასა და ყველაფერს მოედო... აღარც ბგერაა უკვე! მელოდიაა, მართლაც რომ „უცხვაფერი!“ თითქოს შლისა და არღვევს ირგვლივით. მართლაც რომ დამანგრეველი ძალა აქვს ამ მელოდიასო, დაასკვნა მგზავრმა და შედრკა. ცოტაც და შეძრწუნდება! ხელებს გაასავსავენს და ძირს ჩამოუცვივდება... ბოძიც მაშინ გაუთავისუფლდება.

აღარ წაქცეულა: ჯერ დატრიალდება მგზავრი ციბრუტივით, ასევე მოულოდნელად შედგება და შეინჯღრევა მისთვის მთელი სამყარო. მაგრამ მაინც არ გადმოღვრილა ეს სამყარო ზეციური თასიდან.

მგზავრი თვალს მიაშტერებს ზეცას: — ღმერთო დიდებულო... ოჰ, ღმერთო ჩემო, შენი ბრალია, ასე პატარა რომ ვარ და... ვერაფრის შემძლე. ნეტა რას მერჩოდ, ასე უღირსი ვინმე რომ გამაჩინე. ჩემივე თავის მრცხვენია, ღმერთმანი! ასე პაწია რომ ვარ, ამის მრცხვენია მე! არაფრის მქონე (არმქონე), ვერაფრის შემძლე (უძლური).

და გადაირია ღიდი მაესტრო!

მძულვარედ შეარხია ლაპარაკებულ ვიოლინო და ბგერაც გაიშალა. ბრაზი გასჩენოდა ამ ხმას.

ამას კი ველარ გაუძლო მგზავრმა (კაცმა), ველარ დაიმორჩილა თავი და თავის მეობას აუჯანყდა. აჯანყებულს თავისი გულისთქმაც აღარ ესმის.

— შორს ჩემგან, შორს, ღმერთო, შორს ჩემგან! რომ აღარ გჭირდებოდი, ეხდებოდი ამას ღიდი ხანია, მაგრამ მეც რომ აღარ მჭირდება! ღმერთო, შენ უკვე აღარ ხარ ღმერთი! — ამოიხრიალა მგზავრმა და გამოეშალა ფეხი, წაიქცა და თავი ქვას დაარტყა. სისხლი თქრიალით

სდის.

და მაესტრომაც აიღო უკანასკნელი აკორდი.

ლამის დაწყდა ნერვები, ჩაწყდა მასში ყოველი სიმი და გათავისუფლდა თითქოს: — ნუთუ გავთავისუფლდი?! საბოლოოდ გავთავისუფლდი... მე, მე მემორჩილება კაცი და სულიც მისი... „იმან“ რომ შთაბერა ოდესღაც... ტყვეა ახლა ჩემი, ყურმოჭრილი ყმა... კაცი კი არა და, თვითონ ღმერთია ახლა ჩემი მორჩილი, ჩემი ნების აღმსრულებელი! — აჟღერუნა მაესტრომ სიმი და ხემიც დაუშვა ძირს, თვითონაც მიჰყვა იმ ჯადოხმას, მიჰყვა თვალდახუჭული: მალლა და მალლა მიიწევს.

აგერ ღვთის საბრძანებელიც, ღიიდი საუფლო... ტახტიც მაღალი, მააღალი...

და აღარავინაა ამ ტახტზე! თავისუფალია მააღალი ტახტი! — გააჟღერა მაესტროს, — ეს... მაიაა — ილუზია... — ძლივს გამოერკვა თავდავიწყებიდან, ამოიჟღერა თვალები და თვალი აგონიაში ჩავარდნილ მგზავრ-კაცს დაადგა, — ამან, ამან უარყო ღმერთი! ასე რომ, შესრულებულია ჩემი მინი-პროგრამა! და ჩემი ბრძოლაც უნდა გადავიდეს მეორე ფაზაში.

ვნახოთ... ვნახოთ...

— ღმერთო, აღარ ხარ ღმერთი! — ამოწვდა კაცის გოდება მაესტროს სმენას და სიამაყემ მოიცვა მისი სული:

— აღარაა ღმერთი! აღარა... ჰო, აღარაა ღმერთი! ღმერთი რომ უარიყოს, სულაც არაა საჭირო მისი სიკვდილი: — დაასკვნა და სასიამოვნო ჟრუანტელმა დაურბინა ტანში, — სამაგიეროდ ვარ მე, მეე! — ამოიღრიალა და მკერდზე მიიხუტა დადუმებული ვიოლინო, — დღეიდან მე ვარ ღმერთი! თვითონ გახლავართ ღმერთი!

ფანჯარა მთელი ძალით მოიხურა და მინების მსხვრევის ხმამ მოაფხიზლა ცადარტყორცნილი მაესტრო. ორივე

ხელით დაეყრდნო ფანჯრის რაფას და აწრიალებულ ღრუბლებს მიაპყრო მზერა.

წამოუშინა ამ დროს კოკისპირულმა წვიმამ და უცებ აცივდა. იელვა მერე, — ეს ისაა, ღმერთი... ცოფებსა ჰყრის. მე არ მეშინია შენი!

მე ომს გიცხადებ!

ჭექა-ქუხილმაც აღარ დააყოვნა.

იელვა ისევ, იელვა!

ჭექა-ქუხილი ისევ, ჭექა-ქუხილი!

გვრგვინავს ცა და შეფიქრიანდა მაესტროც. მაგრამ ეს არ ყოფილა შიში! რაღაც სხვა იყო — შიშზე უფრო აღმატებული.

ფანჯარას მოცილდა ფიქრებში ჩაფლული.

მინებჩამსხვრეულ ფანჯარაში გადის-შემოდის გადარეული, დაუდგარი ქარი. თავი აუწყვეტია ქარს, შემოიქროლ-გადიქროლებს, მაგრამ ღიდი დარბაზის შუაგულში მდგარი შვემანტიამოსხმულის ყურადღებას მაინც ვერ მიიპყრობს.

„მაესტრო! მაესტრო!“ — ეს შინაგანი ხმაა, ასე რომ შეძრწუნებია: — რაო, მართლა გაიბზარაო ჩემი ქაჩეთის ციხე?! — ფიქრები შემოიცილა მაესტრომ და შეირხა: — თქვი, მითხარ, ქარო, რა ამბავი მოგიტანია ჩემთვის?

— დაეცემა შენი ქაჩეთის ციხე... დაეცემა.

— არა! — შეწვდა ქარს მაესტროს ხმა და შეიბნენ კიდეც ქარი და მაესტრო.

მერე: გაეცალა, როგორც იქნა, ქარი მაესტროს...

მაესტრო...

სული, სული გაბზარვია მაესტროს:

— ომზირი იყო ის ქარი, ომზირი!

ესეც ილუზიაა, მაია... სინამდვილეში კი ვდგავარ მე, ვდგავარ მტკიცედაც და აწი ვერავინ და ვერაფერი მომერევს! ის კი... მართლა ილუზია იყო! მხოლოდ ილუზია, მაია... შეგქმნი, შეგქმნი მე ღიდ სიმფონიას, ღიიად სიმფონიას“.

* * *

უკვე მეშვიდე საათია ხატავს ომზირი. კიდევ ერთი შტრიხიც და შინაგანმა ხმაძაც უკარნახა, რომ ერთი, საერთო სახე არც გააჩნიაო მაესტროს და იმას, რასაც ამ ფენომენში (უნიკუმში) დაეძებდა, მაინც ვერ მოიძიებდა. მიხვდა ამას და შეცბა. უსიამოლად გააქრქოლა და ისიც მოეჩვენა შეირხაო თითქოს მაესტრო. მხრები შეიბერტყა უნებლიეთ და ჩარჩოც მოირყა.

— კარგითაა ეს და ცუდიც, რა თქმა უნდა! გამოგითყდები და თითქმის მივაგენი მგონია ჭეშმარიტებას. მაგრამ მე ისე პატარაც როდი ვარ, რომ დააფიქსირო ჩემი სახე, წამი ჩემი გაამარადისო! და ჩემივე უსასრულობიდან ამოავდო ასე გამარადისებული ჩემეული ის წამი. ხედავ, ომზირი ჩემო... მე ჩვეულებრივი, უბრალო მოკვდავი კი არა, სული ვარ ღვთის ტოლი, შეიძლება „იმაზე“ დიდიც და „იმაზე“ აღმატებული. ამას მომავალი გაარკვევსო, რომ გითხრა, მტკნარი სისულელე იქნება! რადგან: დროის მონაკვეთი თავისთავად ისე, თავისთვის ვერც წარმოიდგინება. დრო და სივრცე თითქმის... თითქოს და ერთი მცნებაც კია, მაგრამ... მაგრამ ეს „მაგრამ“ შორს წაგიყვანს, ჩემო ომზირი და ეგ შენი ჩარჩო მხოლოდ მე შემოიძლია დავამსხვრიო! ხედავ?! შენ თურმე ჩემი მეობის უთვალავი სახის ნაზავის შექმნასაც ცდილობ და... ეჰ, ჩემო ომზირი... ეს კი თვითონ მაღალმა ღმერთმაც ვერ შეძლო და შენ, უბრალო მოკვდავი როგორღა შეძლებდი?! თუმცა: მე მაინც გაფასებ, რომ ამხელა იდეას შეჭიდებიხარ, შეჭიდებიხარ კიარა და... წაპოტინებიხარ უფრო... მე მაინც გაცლი, იქნება მართლა შექმნა შენ ჩემი ჭეშმარიტი სახე — ხატება! შენ გინდა ჩემი შემოქმედი იყო! მაგრამ როგორ გინდა, რომ ამომწვდე ამ სიმაღლეზე?! გაითავისო ჩემი უთვალავი სახე... ჩემამდე ამომალდე! ეს იმას ნიშნავს, რომ... ხედავ, მიჭირს შენს ენაზე ლაპარაკი... აქ სხვა საზომებია, აქ

ადამიანის ენა აღარ ჭრის... უნდა გადმოსცდე ხილულ ზღვარს, რუბიკონი გადმოლახო! ამიტომ: სულ ცოტა—კეისარი მაინც უნდა იყო, რომ... და გული მაინც იეშუასკენ მიგიწევს? მართალი გითხრა, ისიც ისეთივე ფენომენია, როგორიც მე ვარ — მაესტრო — დიადი სული... არც იეშუას აქვს ერთი გამოკვეთილი სახე! თუმცა: ის კაციცაა ამავე დროს! კაციც! აი, სად მჭობნის მე იეშუა... იდეაში მაჭობა... ამიტომაც მინდოდა მე შენი—კაცის სული!

ასე რომ: შენ შემოიჭვრიტე ჩემს მრავალარსობაში და დილემის წინაშეც აღმოჩნდი: ველარ დამინახე!

— მაგრამ რომ გხედავ, მაესტრო?! გხედავ და ვიცი, სადაც შევჩერებულვარ, კიდევ ერთი შტრიხი და დამისრულდები!

— იეშუასაც ერთი შტრიხი აკლია, ომზირი... ხედავ: თითო შტრიხი მიგვაკელი ორივეს! მაინც რომელი უნდა დაგვასრულო?! არჩევანი შენზეა, ომზირი: იქით — იეშუა, სიკეთის დამკვიდრება და აქეთ: დამასრულებ მე და ბოროტიც (ეს თქვენი გაგებით) აღარ დარჩეს ამ ქვეყანაზე! მხოლოდ შენ ერთს გეხელეწიფება ეს და... მაგრამ იცოდე: მე მაინც ვერ დამასრულებ, რადგან არაა ჩემში კაცი და შეუხებელიც ამიტომ ვარ, მიუღწეველი ყველასთვის — მიუწვდომელი კაცთა გონისთვის. მე ხომ ვერა და ვერ დამასრულებ და ის მეორეც, იეშუაც დაუსრულებელი დაგრჩება. მით უმეტეს, რომ ჩემში არსებულს უკვე ველარ ხედავ, იეშუასი კი... იეშუაში კაცს მაინც შეიგრძნობ... მე მესმის შენი და ეცადე, არჩევანში არ შეცდე!

— მართალი ხარ, მაესტრო... არჩევანი ჩემზეა მართლაც და ხელიდანაც ვერ გავეშვებ ამას. შენთან ანგარიშს კი, როცა იქნება, მაინც გავასწორებ, — თქვა ომზირმა და იეშუასკენ გაიწია. იქ სხვა ფუნჯი იყო საჭირო, ღვთაებრივი ფერის

საღებავებში ამოვლებული.

„ეს ფუნჯი კვერთხია ჩემი, კვერთხი ჩემი!“ — სიტყვა სულში დაერხა ომზირს და ჩარჩო გაასწორა.

წარბსა და წარბს შუა ახალგაჩენილი, თითქმის უხილავი ნაოჭი აუთრთოლდა, მერე ფიქრიც მოისაშუალა ამ ნაოჭმა და გაიმარადისა კიდევც...

ღვას კვირინელი სვიმონ და თვალი ვერ მოუწყეტია იეშუასთვის. გადმოდის მასში მთელი მისი სითბო და სიკეთე.

ხალხიც შეჰყურებს იეშუას, სისხლი რომ სდიოდა ნაიარვეიდან.

რითი შემძლია მე — მიწის მუშას, ამ ხალხს დავეხმარო, უკითხავს სვიმონს და იმასაც სმენია იეშუას სიმშვიდით აღსავსე ხმა:

— გიყვარდეს მოყვასი შენი და... მტერიც გიყვარდესო შენი... სხვა არც არაფერია საჭირო... სიყვარული თუ გადაარჩენს კაცთა მოდგმას, კვირინელო სვიმონ! იქით, მარცხნივ მიიხედე, ბრბო რომ აჩოჩქოლებულა, საწყალი ბიჭი სიკვდილის აგონიაშია, მიდი და შუბლზე დაადე ხელი. მანამდე კი... ხომ შეიგრძნობ ამ ჩემი ხელის სითბოს? წარბს და წარბს შუა მესამე თვალია, აქ...

და მოჰგვარა კვირინელ სვიმონს იეშუას ხელის შეხებამ შვება წარმოუდგენელი. უსაშველო ძალაც მისცემოდა ამით კვირინელს. მთასაც კი გადააბრუნებდა, რომ დასჭირვებოდა.

— ჰოდა, მიდი იმ ბიჭთან და შუბლზე დაადე ხელისგული. ცაცია ხომ არ ხარ? ჰმ... მით უკეთესი! იმ ბიჭს მარცხენა დაადე გახურებულ შუბლზე და განიკურნება!

ექვციც არ შეპარვია იეშუას ნათქვამში კვირინელ სვიმონს, მიჰფანტ-მოჰფანტა შემოჭარული ხალხი და დორბლმორეულ ბიჭს შუბლზე დაადო მარცხენა ხელი, — დამშვიდდი, იეშუასაგან ვარ მე, იიმისგან, ვინც იმ ჯვარს აცვეს...

ჩოჩქოლი უცებ შეწყდა.

— იყავი ასე... არ გაინძრე, ხელი არ

ჩამოიღო ძირს, გედოს ე მაგ შეხურვებულ შუბლზე! — ჯვრიდან გადმოსახა იეშუამ კვირინელ სვიმონს.

და ჟრჟოლად იქცა კვირინელი სვიმონ!

წამოდგა ბიჭი, შეიწმინდა დორბლი, გახედა ჯვარს და თავი მოკრძალებით დახარა ძირს, მერე სახე გაუნათდა და კვირინელისკენ მობრუნდა. თვალებ-გაბრწყინებულმა მადლობა გადაუხადა და მოჰყვა გაუთავებელ პირჯვრის წერას.

— მე კი არა... იმას, ჯვარზე რომ ეწამება, იმას უმადლოდევ... იგია შენი მკურნალი და საერთოდ მკურნალი კაცთა, — თავზე ხელს გადაუსვამს კვირინელი სვიმონ მოსულიერებულ ბიჭს და თვითონაც შვებას იგრძნობს ჯერარგანდილს, — ბიჭო, როგორ ხარ?

— უკვე აღარაფერი მიჭირს.

და ისევ ესმა კვირინელს იეშუას ძახილი: — შენც უნდა განიკურნო, სვიმონ, რადგან ავადმყოფი მკურნალი ვერაფერი მკურნალია!

— ჰო... მტკივა, — ამოიგმინა სვიმონ კვირინელმა.

— კუჭი და თირკმლები...

გაიგონა კვირინელმა და თითქოს ხელიც მოუსვეს კუჭის არეში, — ეს მარცხენა ხელია, ეს კი... — თირკმლებზეც შეეხო ის თბილი ხელი. — ეს მარჯვენაა იეშუასი!

— დღეიდან აბსოლუტურად ჯანმრთელი ხარ, კვირინელო სვიმონ! დიდი მკურნალი გახდები შენ! განკურნავ ადამიანებს, დაჭიანებულ ხეს, ავადმყოფ და ძალაგამოლეულ მიწას...

და ახალნაზიარებმა მკურნალმაც იეშუას მიაპყრო თავისი მზერა, თვალებში სიხარულის ცრემლ-ნაპერწკლები ჩადგომოდა.

— შენ მართალი ხარ, სვიმონ, სიხარულის ნაპერწკლებია ეს... ცრემლ-ნაპერწკლები... პოეტიც ყოფილხარ შენ ქეშმარიტი! მაგრამ არც მარტო

სიხარულისაა ეს ცრემლ-ნაპერწყლები. უნდა გტკიოდეს კიდევ შენ შენი მოყვასის ტკივილი და დიდი მკურნალიც მაშინ გახდები, შენი მოყვასის ტანჯვაც და ტკივილიც გაიზიარო, მიიღო შენად მისი ტკივილი და შეუმსუბუქო ტკივილიც ამით! უნდა გიხაროდეს შენი მოყვასის სიხარულიც... ამ დიდი გრძნობით იარო უნდა დედამიწის ზურგზე, დედამიწა კი... ჩემი გულია... მე დედამიწა მტკივა, კვირინელო სვიმონ! ახლა კი: წადი, და ემსახურე ხალხს, ჩემს გულში — დედამიწაზე რომ დაუღვია ბინა!

— ბედნიერი ვარ, რომ ვზიდე მე შენი ჭვარი, იეშუა... ჭვარ — მძიმე...

— ამ ჭვარით ივლი შენ, კვირინელო სვიმონ, ჩემს ატირებულ გულზე!

შემოღამებულიყო გოლგოთაზე.

ქუხდა... იყო მარადი ცაქუხილი: გაეჯრუებია ამ ხმას თითქოს სამყარო.

მაგრამ ერთიც დახეთ: სასწაული სწორედ: ქუხილი უელვოდ?

ცაქიხილი.. ქუხილი გამაჯრუებელი და ერთიანი, დაუსრულებელი.

კიდევ წამი, ორი და...

მაინც იელვა ბოლოს!

გადაანათა ზეცა!

და გაბრწყინებულიყო ჭვარცმული იესო (!)

მისგან ხელმარცხნივ: კაცი ჭვარცმული, რომ იწამა ერთხელ იესო, ნათელში გახვეულიყო; მეორე — ხელმარცხნივ, რომ არ ირწმუნა მაშინ ძე კაცის... აღარც კაცი იყო და აღარც ის — ჭვარი.

თავზარდაცემულები მიწაზე განრთხმულიყვნენ, გოდებდნენ მწარედ.

— წამოდექით და თაყვანი ეცით ჩემს მხოლოდშობილ ძეს! — დაიგრგვინა ზე — (ცამ) და პირქვემხოზილებსაც შეუწუხდათ გული, სუნთქვაც შეეკრათ მერე.

თავგზაბნეულები წამოიშალნენ და... მუხლებზე დაეცნენ. პირგვარს იწერენ გამალებით, „იმის“ სახელზე ლოცულობს ყველა.

— ჩემი მხოლოდშობილი ძე — იეშუა, ქრისტე! — დაიგრგვინა გადანათებულმა ზეცამ და იხილა მაშინ ყველამ, როგორ გამოეყო ოქროსფერი სული იესოს და წავიდა მალლა... ახლაც მიიწევს მალლა, სულ მალლა და მალლა....

მერე: კარგა ხნის შემდეგ ჩამოხვედნება.

აღარც ის ჭვარი იდგა, რომელზეც ეწამა ჭვარცმული სული, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოსო იმ სვებედგამწარებულ დღეს.

და შეინჯღრა თითქოს რალაცაო: წამით გამოეთიშა ადამიანი ერთიან მთელს, ამოვარდა სამყაროდან, ძალით ამოგლიჯესო თითქოს სამყაროსეული რიტმიდან და ესეც რომ მომთავრდა, ხალხმაც გაახილა გაოგნებული თვალი.

და: ერთი ჭვარილა იდგა გოლგოთაზე. ჭვარზე გაკრული კაციც იცნეს ადამიანებმა: ეს ის კაცი იყო, რომ არ ირწმუნა მაშინ იესოსი. აღარც სიტყვა გაიგონა მისი და ასე ამიტომაც დაისაჯა: დაშლილიყო მისი ნაზშირადქცეული სხეული და მტვრადქცეული ცვიოდა ძირს.

კვირინელი სვიმონ კი იყურებოდა მალლა, ხედავდა იესოს გაბრწყინებულ სახეს, მზესავით რომ გადმოჰყურებდა იმსიმალიდან.

* * *

და იხილა ომზირმა სამყაროდქცეული ეს სახე...

სწორედ ეს მარადი სული გადმოსულიყო იმის ტილოზე — უკვდავი თავისი არსით, მაცოცხლებელი ყოველთა, სიკეთესა და სიცოცხლეს რომ აბერტყავდა

თავზე ყოველ სულიერს.

თვალი გაუსწორა ომზირმა ღიად სულს და სულიც ამოევსო სიკეთითა და უკვდავებით.

მარადისობად ქცეულიყო თვითონ ომზირიც.

* * *

კარზე კაკუნმა შეაკრთო. ძლიერს გამოერკვა ძილ-ბურანიდან და ზღაზვნით წამოდგა. თითქოს ბრუნდებოდა საიდანაც და ენანებოდა, იჭაურობას რომ ტოვებდაო.

რომელი ხარო, იკითხა და ამოიფშენიჭა თვალები. სურათს, ჯერ კიდევ რომ ასდიოდა საღებავის მძაფრი სუნი, თეთრი ტილო ჩამოაფარა და ასე რწევა-რწევით გასწია კარებისკენ.

კარიც გაიღო და წყვლიადს შეანათა ომზირმა თვალი.

— ომზირ?! — თითქოს წყვლიადმა შემოსძახაო, შეკრთა.

— კრავაი?

— იოსები... — ხმა აუკანკალდა კრავაის, — საკანში... — ყლზე ბურთივით დაადგა ნერწყვი და სათქმელიც აქ გაუწყდა.

— ჰოდა, რაღას ველოდებით?! — წამოიძახა ომზირმა და დამსხვრეულ ჩარჩოსკენ მიიხედა, — ისიც განვიდა... მე თვითონ გავუშვი... და როცა სიკეთე სუფევს ქვეყნად და უკვდავებაც რომ წვევია ამ ჩვენს საწუთროს, რაღას დაგვაკლებს მაშინ ბოროტი?! მაესტრო...

გამქრალიყო იგი ომზირის თვალსაწიერიდან.

წამიც და რაღაც დამანგრეველი ძალის ხმაური ესმა ომზირს: მიხვდა: მორღვეულიყო ციხე ქაჯების, საბრძანებელი ქაჯთა, უნდა მოშლილიყო ბოროტების ბუდე, — მე სწორი არჩევანი გამიკეთებია... — ჩაილაპარაკა ომზირმა თავისთვის.

— ომზირ, ომზირ! — ექაჩებოდა თითქოს მკლავზე კრავაი.

— იოსებს უნდა შველა! დავიგვიანეთ ვითომ... — გააძაგდა ომზირს და მისმა გრძნეულმა გულმაც ამოთქვა: — აღარაა იოსები... უკვე აღარაა...

— მართლა აღარაა შენი ენჭიდუ... — ტიროდა კრავაი და უცახცახებდა მხრები, — ომზირ, ომზირ! — ცრემლი შეიწმინდა და მიმოიხედა ირგვლივ, — იყო ვიღაცა, თუ მომეჩვენა?

— ჰო, მოგეჩვენებოდა...

— თითქოს ლაურას სახემ იელვა და...

— მოგეჩვენებოდა... — ხმა გაღიზიანებოდა ომზირს.

— იოსები... იოსები... — ამოიგმინა კრავაიმ, — შენი ენჭიდუ... ჩემი....

„აღარაა ჩემი ენჭიდუ... მომიკლეს... მაესტრომ მომიკლა...“ — ფიქრმა შეაძრწუნა ომზირი.

აღარსად იყო კრავაიც.

* * *

სიზმრიდან გამორბოდა ლაურა ნათელაშვილი და ის ციხე-ქაჯთა, მაესტროს მთელი საბრძანებელი მოსდევდაო თითქოს, მალე-მალე იხედებოდა უკან და გაოფლიანებულ სახეს მხრებზე მოხვეული თავშლის ბოლოთი იწმენდა.

ერთხელაც მიიხედა უკან, გადმოლახა ის ზღურბლი და რაღაცის გაწყვეტის ხმაც მოწვდა იმის ყურს.

— სიმი გაწყდა... ეს სიიმი ჩაწყდა... — ყურს ახლაც უწვრილებს იმ გაწყვეტილი სიმის უსიამო ჟღერაილი, — გამოვალწიე,

გამოვალწიე მგონია... — ხმა უკანკალებს ლაურას და რომ დარწმუნდეს ყოველივე ამაში, მოხუტავს თვალს.

მაგრამ რა ხდება?!

ქაჯეთის ციხის ინტერიერის ნაცვლად ჯვარზე გაკრულ იოსებს იხილავს.

ვაიმეო, ეს რანაირ დღეში მამყოფებ, ღმერთო?! კი დამიხსენი ქაჯთა ტყუობისგან და მართლა გამახარე, მაგრამ ბოროტმა ძალამ როგორ აცვა ჯვარს იოსები, ღმერთო დიდებულო... თითქოს უნდა მიხაროდეს, რომ გამათავისუფლე და... სული მიტირის, ჯვარცმულ იოსებს რომ

წარმოვიდგენ... მართლაცდა: უნდა მიხაროდეს, უნდა მწყინდეს უფრო. თუ უნდა მტკიოდეს? მე მართლა მტკივა იოსები, ვაიმე, დედა! მაგრამ შეიძლება ვცდებოდეს! მართალია: აღარ ვარ ტყვე, მაგრამ იოსების სიკვდილი ვინა თქვა?! დედა, დედა! ეს რა გრუხუნი მესმის?! ინგრევა რაღაც დიდი, გრანდიოზული... დიდი რამ... ენგურჰესი ხომ არ აფეთქებულა და ხომ წაილეკა მაშინ მთელი დასავლეთი?! წარღნა... არა, ეს არ უნდა იყოს ენგურჰესი... მგონი ყველაფერს ვხვდები. ეს ხმაური ჩემშიცაა, კი არ შემოღწეულა საიდანაც, არამედ იმთავითვეა ჩემში... ჩემშია ეს ნგრევის ხმა! სადაცაა ცაც ჩამოიქცევა და სულიც ჩამომეშლება! იქცევა, ჩამოიქცევა ქაჯთა საბრძანებელი... დიდი ნგრევა! დაბზარული ქერი და მორღეული კედლები. აგერ ეს კედელიც გამოეშალა ქერს და ისიც ერთი ვაი-უშველებელითა და ზრიალ-თქრიალით ჩამოშავდა.

მტკრში ეხვევა ქაჯეთის ჯიხე. თითქოს მთა-ნისლი ჩამოწვავ, სული განაბა წამით, ამოისუნთქ-ამოიხვნეშა და ნელ-ნელა აიწია მაღლა.

აქ (ნორდ-ოსტიკ) ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარიც წამოუქროლებს და გაფანტავს ამ ნისლს. ხოლო იქ, სადაც ქაჯეთის ციხე იდგა, ასე ზვიადი და თითქოს შეუვალი, აღარაფერი დარჩენილიყო, მხოლოდ ნანგრევები, უზარმაზარი ლოდები... დიიდი ნაციხარი...

აქ ყველაფერი უწესრიგოდ ჰყრია — ერთმანეთში აღრეულა ყველა და ყველაფერი.

და უცებ: გადანათდა იგი ადგილი.

— ომზირმა გაიმარჯვა! აღარაა ის ციხე ქაჯთა და აღარც მაესტროს! ფეხსაც ველარ მოიკიდებს აწი ჩვენს განზომილებაში, აღარც დაედგომება ჩვენს სიბრტყეზე; იგი აქ არარაობაა! ჰო, როგორ ამბობდა დედაჩემი? ეს ერთი კვირაა, არ მოგვშორებია მამაშენი...

ყოველდღე ვხედავდი, სიზმარში კი არა, ისე მეცხადებოდა ცხადში... მაგრამ ომზირი? რატომ არაფერს მეუბნება გული? არა, არ ვარ მართალი...

— დედა, რატომ განიცდი ასე, ცოცხალია ჩვენი ომზირი, ნუ იტანჯები, დედა! ასე შორსა ხარ ჩემგან და ასე გხედავდე... ნეტა რა ხდება?

— შეილო... — ისევ გაიგონა ლაურამ დედის ათრთოლებული ხმა, — მეშინია, გული ავს მეუბნება... მართლა არ მოკვდეს ქაჯეთის ციხის დაცემას ცუდი ამბავი... თავშალი მოიხვიე მხრებზე, არ გამიცვიდე!

— ნუთუ... შენც მხედავ, დედიკო?

— ჰო, ლაურა, მაგრამ ვერაფერს მიმხედარვარ, მართლა, რა ხდება ჩვენს თავს?..

— რაღაც მართლა ხდება, დედა, ან უკვე მოხდა, ან აწი უნდა მოხდეს... ომზირთანაც ამიტომ უნდა ვიყო და რაც შეიძლება მაღე!

— ფრთხილად, ლაურა, ფეხი არ წამოიკრა! — წამოიტირა დედა და ამან გააღიზიანა ისედაც აღელვებული ლაურა:

— დედა! — გაწყრა ქალიშვილი და დედის ხმაც მიწყდა, სადაც წყლიადში მიილ-მიიკარგა და ლაურამაც განაგრძო გზა, — კი ვიქნები ფრთხილად, დედიკო, — მოლბა და თვალი გაუსწორა წყლიადს, — ცივა მართლა... დედიკო, ხომ ხედავ, ვეხვევი შენს თავშალში... ხომ გახსოვს, ომზირმა მაჩუქა, მე კი შენ გაჩუქე... მოვდიოდი აქეთ და ძალით მომახვიე მხრებზე, ახლა შენ უფრო გჭირდებაო. ჰოდა, თუ გამათბო ამ თავშალმა, ცოცხალი იქნება მაშინ ომზირი! თუ არა და... — მოეწურა გული ლაურას და ფიქრიც აღარ დააბოლოვა.

ქარიც რომ ამოიჭრა?!

ცივა საშინლად, მაგრამ მაინც შეათბო თავშალმა ლაურა, ჩათბუნდა და გულმაც ამოუთქვა: — ცოცხალი ხარ, ომზირ, ცოცხალი! — კი მოასწრო ამის

თქმა, მაგრამ სიტყვაც აქ წაექცა: მაგრამ იოსებიო?!

და ფიქრმა დაფქვა მერე ლაურას სათქმელი: „ალარაა იოსები... იქნებ არის, მაგრამ შეიძლება ახლა კვდებოდეს... საფრთხეშია იოსები და ომზირსაც იმისკენ უნდა გაუწიოს გულმა. იქნება იოსებთანაა უკვე! ღმერთო, შეგვეწიე... მამაო ჩვენო... უფალო, შეგვიწყალებ... არა, რა გააჩერებდა შინ მარჯვენაჩამოსხვილ ომზირს? შინ რომ არ დამხედეს?!

და შეერთა ლაურა.

ომზირის გალიადებულ ოთახ-კაბინეტში შეიხედა. არავინ იჯდა ფიქრის სავარძელში და შიშმა აიტანა; — წასულა... ვერ მოვუსწარი...

აქ: სიცარიელე სრული, სიცარიელე და სიცივე — აუტანელი.

ფიქრის სავარძელთან რაღაცნაირი კრძალვით მივიდა: — ომზირი აქ ფიქრობს, — ჩაჯდა სავარძელში, — აქ დავლოდები... მაინც სად ვეძიო, რომ აღარ ვიცი...

— ომზირმა გაიმარჯვა არმაგედონთან, ლაურა! — გაიგონა ლაურამ დედამისის ხმა, — ვიცოდი, ჩამოიხსნიდა თავის ნილას ანტიქრისტე... კი გაუჭირდა, მაგრამ... ომზირმა ჩამოხსნა ნილაბი! ახლა კი მშვიდობით... ომი გასრულდა, შვილო...

უხაროდა, უხაროდა ლაურას და დედაც მიეფერაო თითქოს: „ჩუ, შვილო, ბედნიერებასაც მალვა ნდომებია თურმე...

— დედა, მე ომზირთან უნდა ვიყო! — მოუჭრა ლაურამ დედას და ისიც იძულე-ბული იყო, როგორც გინდოდესო, ეთქვა.

ჰოდა: მიიკვლევდა გზას ამ წკვარამ ღამეში იმედმოცემული ლაურა.

— მზის ამოსვლამდე ჭერ კიდევ დროა, — მოაწია დედამისის ხმამ ლაურამდე, — მაგრამ ეს სინათლე რაღა მაშინ და ისიც მზის ამოსვლის ადგილზე?

და შეცბა ლაურა. — მართლაც და... მზე თუ არაა ეს სინათლე, რა უნდა იყოს მაშინ? — გაიფიქრა და გააფრთხოლა, — არც ვარსკვლავია... ეს ის სინათლე

ხომ არაა... სიკაშკაშე აკლდებაო თითქოს... მიიბუთებოდეს თითქოს, მიიღევა სადაცაა... და მეც გავთავისუფლდები ბოლოს ქაჯთა ტყეობისაგან... არა! არ უნდა გამომეპაროს მე მისი გაქრობის წამი! პირგვარი უნდა გადავიწერო... მამაო ჩვენო... ღმერთიც ჩვენ მხარეზეა, ანგელოზებიც... — მოზღვავებული სიხარულის გრძნობა ვერ დაუტევია გულში ლაურას, ჩხვლტაც იგრძნო და ვაიმეო, წამოიკენესა.

— რაო, შვილო?! — კი იყო დედა ასე შორს შვილისაგან, მაგრამ იგრძნო მისმა გულმა, რომ უჭირდა ლაურას, — ჰო, შვილო... მოგიკვდეს, შვილო, დედაშენი, შენი სულის ჭირიმე... ნეტა, რა მოხდა?

— მოხდა, მოხდა, ალბათ, რაღაც გამოუსწორებელი... ვაითუ ომზირი, მაგრამ ომზირი გამარჯვებულია! ნუთუ იოსებს უჭირს... ვაიმე... — წამოიკენესა ეს უკვე მეორედ; თითქოს ყინული ჩამოვარდნოდა ისედაც გაყინულ სულში და სიცივისაგან გააკანკალა, — დანამდვილებით ჭერ არაფერი ვიცი, მაგრამ გული მიგრძნობს, რომ ხდება რაღაცა. მოხდა დღეს რაღაც გამოუსწორებელი... — უკვე ხმამაღლა ფიქრობს, — ის პაწია სინათლე, სადღაც რომ მიიკარგება... იქნებ მოჩვენებითი სინათლეცაა ის სინათლე... ვგრძნობ, რომ უსისხლოდაც ვერ ჩაივლის ამხელა მოვლენა: — დეცა ქაჯეთის ციხე და... ნეტა ვის სიცოცხლეს შეიწირავს, თუ შეიწირა უკვე?! ომზირისას თუ იოსებისას? ოჰ, ღმერთო, ომზირი მე მიცოცხლე და კრავას — თავისი იოსები! ამბობენ, ერთ-ერთი მსხვერპლად უნდა შეეწიროს იდეასო... იმასაც ამბობენ: რომ იცოცხლოს ომზირმა, უნდა მოკვდეს იოსებიო... ამას რას ვამბობ, ღმერთო, შეგცოდნე... რა უფლებით უნდა დავუშვა მე იოსების სიკვდილი?! — წამოიტირა ლაურამ, — უჭირს ახლა ჩემს ომზირს,

მაგრამ იოსებსაც რომ უჭირს... კრავი სადაა ნეტა? — თავი ხელებში ჩარგო და ატირდა.

— გეყო, ლაურა! — მოესმა ომზირის ბრძანება და მალა აიღო თავი.

ოთახში არავინ იყო. მიხვდა: მოეჩვენა ყოველივე ეს და ხელი უმწეოდ ჩაიჭნია. დაიმორჩილა მინც თავისი გრძნობები

და წამოდგა, — აქ ორი ტილო უნდა იყოს... აგერ ერთიც! ეს არის, ეს... ვერა, ომზირის ნებართვის გარეშე როგორ ჩამოვხსნა ფარდა?! და რომ... არც ამ ფარდას ჩამოათარებდა, სრულყოფილად რომ მიაჩნდეს! მე კი... ვუყურებ ამ ტილოს და მიხარია თითქოს, მაგრამ კრავი სად არის?

* * *

„ხომ არ გავიწყდება, იოსების სისხლსა და ხორცს რომ ატარებ მუცლით... ფრთხილად, ფეხი არ წამოიკრა! გული გაიმაგრე, შე ქალო! — თავს შეუძახა კრავიმ და სამშობიაროში შესასვლელ კარს მუშტები დაუშინა. მერე შერცხვა თავისი თავის და სახელანძულმა ძირს დაუშვა ხელები.

კარი დამლაგებელმა გაუღო ბუზდუნით: — შემოსასვლელი აქიდან კი არა, იქიდანაა! — გაუწყრა კრავის, — პირველად ხომ ზარ ზარ აქ?

— დიხაც, რომ პირველად ვარ! — უცებ მოეშვა კრავი, — აღარ შემიშვებ? ვერ ხედავ, რა დღეშიც ვარ?

— შემოდი, შეილო, შემოდი. — მოლბა დამლაგებელი, — ეს რაფერ გაოფლიანებულხარ? ახლავე, ახლავე! — ხელი შეაშველა კრავის, — მაპატიე, რომ... შესასვლელი მართლა იქიდანაა და... მხარზე დამეყრდენი და შევიდეთ მორიგე ექიმთან, ნუ გეშინია... — თვალებით მიესიყვარულა კრავის.

ვაიმეო, წამოიკვნესა კრავიმ და დამლაგებელმაც მაშინვე გაიფიქრა: „პატრონი სად არის ამის... ანდა: როგორ არ უნდა ჰყავდეს ამისთანა ქალს პატრონი?! კოჭებზე ეტყობა, კაი ოჯახიდან უნდა იყოს! — მკლავზე წაეტანა, — სამსახურში იქნება ამის ქმარი და... იქნებ არც იცის და... სამახაროლო მე მეცუთენის... წესი და ადათია ჩვენში ასეთი! ხალხია გულგრილი, ხალხი, თვარა შენს ტკივილს დღეს არავინ ეიტკიებს, — გულნატკენმა გადააქნია თავი, — ფრთხილად, ფეხი არ წამოიკრა! აგერ პეტროვნას კაბინეტიც! კიდევ ერთი საფეხური და... აგერ სამორიგეოც! ბედად ექიმიც ადგილზეა! პეტროვნა!

— შემოიყვანეთ, ნატანოვნა, სად ხარ? მგონი არ დაგიგვიანია, თუმცა... — ადგილიდან წამოიჭრა მორიგე ექიმი, — ვიწყებთ, ვიწყებთ, ნატანოვნა, აქვე მაგიდაზე! იქამდე ვეღარც მივასწრებთ... ბედი შენი! პერანგიანი დაბადებულხარ! ვიწყებთ...

* * *

მშობიარობამ მშვიდობიანად ჩაიარა.

— ბიჭია, ბიჭი! — მენამ ხელში აიყვანა ახალშობილი — გოლიათია! მომილოცავს!

„ნეტა სად მინახავს ეს ქალი?! სად მინახავს და... ასე როგორ მეცნობა ნეტა?! უუჰ, — სული მოითქვა ნატანოვნამ, — ეს ხომ ჩვენი დედა ტერეზაა?! „სათნოების სასახლის“ დიდი დიასახლისი, — ხელი ნაზად გაუდაუსვა ხელზე კრავის და

გულის ამაჩუყებელი ცრემლები გადაჟაპა, — პეტროვნა, — მიმართა მორიგე ექიმს, — ვეღარ იცანით ეს ქალი? ჩვენი ნამთარ-ქალაქის დედა ტერეზაა?!

— სათნოების სასახლის პატრონი, ხალხნო! — ამოისუნთქა მორიგე ექიმმაც, — მუხლს ვიყრი მე ამ ქალის წინაშე, მადლობა ღმერთს, რომ ამ ქალს შემახვედრა!

— დედა ტერეზა... ჩვენი ქალაქის გაჭირვებულთა პატრონი... — ტიროდა დამლაგებელი, — მარტოხელაა ჩემი და... ყოველდღე სადილობს „სათნოების სასახლეში“, უფასოდ, პეტროვნა, უფასოდ, ნატანოვნა!

ნათნოვნაც ეფერებოდა ახალშობილს და ზეწარში ხვევდა, — კაი ბიჭია

ღმერთმანი, ნამდვილი გოლიათი... ღმერთმა დიდი დღე მისცეს!

„იოსები... იოსებ უმცროსი ნიჟარაძე მოევლინა ქვეყანას!“ — გულში იმეორებდა კრავი და ლაპალუბით სდიოდა ცრემლები. — მაგრამ დიდი იოსები? — და სიხარულის ცრემლებს სინანულის ცრემლებიც შეერია...

* * *

იქით კი...

სიკვდილისათვის განმზადებულიყო იოსებ (უფროსი) ნიჟარაძე.

საკანი სიკვდილის და...

ნომერი არ ჰქონდა სიკვდილის საკანს.

... და უკვე მერამდენედ... — სიკვდილისათვის განმზადებული იოსებ (უფროსი) ნიჟარაძე!

ზედ გულის კოვზს მიბჯენოდა გახურებული ლურსმნის წვერი. უკუმდგარიყო ის ოთხი უგრედიც: უკუმდგარიყვნენ დიდი სიმშვიდით...

შეკრთა იოსები, დიდი ნგრევის ხმა რომ ესმა მოულოდნელად.

„ქაჯეთის ციხეა ეს... ინგრევა ციხე ქაჯთა, რომ წარიშალოს საბრძანებელი ქაჯთა, წარიხოცოს მიწისაგან პირისა... მისი იდეა, იდეა უნდა განადგურდეს! მისი იდეა...“

აქ: მაესტროს სახეც გაიელვებს იოსების თვალწინ. დღესაც შავი მანტია უფრიალებდა შავ სილუეტს.

„სილუეტი მართლაც... შავი სილუეტი, რადგან როგორც სუბიექტი, არც უნდა იყოს იგი! მაგრამ როგორც ინდივიდი დროის გარკვეულ მონაკვეთში მართლა წარმოჩნდა და...“

— იოსებ! ხედავ, არ მომკვდარა თქვენი მაესტრო და ველარც იდეას მოუკლავთ აწი!

— მაგრამ შენი ვიოლინო, მაესტრო?

— ვიოლინო? მე მართლა ვუკრავდი... დარჩა მელიოლია... ჩემი სულის მელიოლია... მაგრამ მოვალ, კიდევ მოვალ და მოვალ

არა ვიოლინოთი, არამედ... ჩემი ვიოლინო... მე კიდევ ვიტყვი ჩემს სიტყვას და დღეს ვიტყვი ამ სიტყვას, დღის ბოლოს! დაეუკრავ, უკანასკნელად დაეუკრავ... და ახშიანდება ჩემი ჯადოსნური ვიოლინო...

— ქაჯეთის ციხე?

— იოსებ... ქაჯეთის ციხის ბედი მაინც შენს ხელთაა და...

— არაფერი მესმის... — გონს მოეგო იოსები, — მაინც მე უნდა გადავწყვიტო თქვენი ციხის ბედი? იცი, რა, მაესტრო...

— იცი რა, იოსებ? შენ შეგიძლია გადააბიჯო სიკვდილის ზღურბლს, გადააბიჯო იმ პირობით, რომ... გადარჩები და აღარ ჩამოინგრევა ციხე, ჩემი ციხე... კიდევ უფრო შეიკვრება და განმტკიცდება... მაგრამ თუ მოკვდი... ესეც შენი საქმეა და... შენი არჩევანი... მოკვდები და მოკვდება ჩემი ციხეც... იმ დღესვე ჩამოიქცევა! იცოცხლებ და იცოცხლებს ჩემი ციხეც. მაშ, აირჩიე! სამი წუთი მომიცია... საკანი ღია... გადმოდი ე მაგ ჯვრიდან და... თავისუფალი ხარ! შეიძლება ბიჭსაც ვუშველოთ... თუმცა აღარა! ველარაფერს ვუშველით, მაგრამ ასეთი ბიჭებით სავსეა ნამთარ-ქალაქი; ხომ იცი: ჩემს მხარეზე გადმოსული შენც ყოვლისშემძლე ხდები! იქნებ — ყოვლისმხილველიც. ლაუარაც დაუბრუნდება ქაჯეთის ციხეს, როგორც ღიასახლისი... მარადი ღიასახლისი... ომზირი კი, როგორც ერეტიკოსი, ჯვარს უნდა ეცვას! და თუკი ვინმე შენს შემდეგაც განუდგება ღმერთს, იმასაც

ავავსებ წყალობით. ასე დავამხოთ ღმერთს და დავიკავე მე იმის ადგილს! შავი სილუეტიო... შენ დიდი პატივი გზღვება წილად — ჩემი შავი მანტია! უყურე, იოსებ, ამ ქვიშის საათს და... აქვე, აქვე შეგიძლია გადაწყვიტო კაცობრიობის ბედი! ჩემი ბედიც და ღმერთის ბედიც!

„ვაიმე, დედა... თავი ჩემიც იმიტომ მიმიტანია სამსხვერპლოზე, რომ გადარჩეს სახება კაცის. ნუთუ ღმერთმა ჩემზე შეაჩერა თავისი არჩევანი? და რადგან მენდო, ჯერი ჩემზეა ახლა! აღარც მე გავემტყუნებ იმედს“, — თვალი გაახილა იოსებმა. დაე, დაინგრეს ეს ციხე ჭაჭათ! — წამოიძახა და დიდი ტკივილიც ეწვია.

ქვიშის საათი...

გასულიყო ის სამი წუთი...

დამდგარიყო საათი ქვიშის.

სასოწარკვეთილ მანქანასაც სულ ჩაქამებოდა ისედაც უსახო სახე.

— დაინგრეს ჭაჭეთის ციხე! ასე მინდა მე — იოსებ ნიჟარაძეს! — ტკივილი შიგ გულში დავანებოდა იოსებს და ამ ტკივილისაგან გაახილა თვალი, — და მაინც არ მტკივა ისე, ვერ ავიტანო... ისე მაინც ვერ მატკინეთ, როგორც თქვენ ფიქრობდით... მოსასვლელია ქვეშაპრიტი იგი ტკივილი, მოსასვლელი!

და ის ოთხი უჩრდილც შემქმნდოდა; გზა აღარ მისცეს ლურსმნის წვერს. აღარ დაუთმეს გზა და იოსებიც დაიძაბა. ჩაქუჩის ყრუ დარტყმის ხმაც ესმა და ჩაიკარგა ლურსმნის წვერი იმის მოწურულ გულში.

ტკივილი... ტკივილი გამაოგნებელი... ტკივილი სისხლიანი...

კიდევ გაელვება ერთი და სულ ჩამოყრუვდა; დაგუბდა ისედაც დაგუბებული ჩაქუჩის ხმა.

ტკივილიიი...

ლამის აკვილდეს სული!

ლურსმნის წვერი კი:

გადადის წამიდან გაელვებაში და იოსების აზრსაც დაეკარგება ის წამი.

ტკივილი თვითდავიწყების გრძნობით შეზავებული...

ახლა ტკივილიდა მხოლოდ, ტკივილი თავისთავად და გაუცნობიერებლად.

და აღესრულა კაცი... ააწყდა სული განაწყენებულ სხეულს და...

ძირს: სხეული — სიცივეშეპარებული.

და ზევით: იმის ირგვლივ მორიალე სული — იმედგაცრუებული...

— გათავდა ესეც! შეეძლო გასულიყო აქედან, მაგრამ... ვერ შეძლებდა, ძალა არ ეყოფოდა საამისოდ და შევაძლებინებდით ჩვენ! ჩვენ გავიწყდით... თვითონ არ ინდობა. ტყუილად კი არ ამბობენ: კაცი მტერია თავისი თავისო! გადამრევს ეს ხალხი! ესეც გათავდა! — გაისმა ხმა საკანში და შვებით ამოისუნთქა ვილაცამ, — მოკვდა იოსებ ნიჟარაძე! — ჯალათმა შეისწორა გვერდზე მოქცეული ნილაბი და თვალი ჩაუკრა დანარჩენ ნილბიანებს.

უცებ მთ. ზედამხედველი შემოიჭრა საკანში და ბრაზმორეულმა ბრძანა: — აქედან გაათარიეთ ეს დამთხვეული! — სული ძლივს მოიბრუნა და აღელვებულმა, უფრო კი შეშინებულმა, ასე გაახიანა ზეწამოჭრილი ფიქრი: — ვიცოდი, უნდა მოგეკლათ, მაგრამ იმას, რაც თქვენ ჩაიდინეთ, ანალოგი მართლა არ გააჩნია კრიმინალურ პრაქტიკაში. ეს სადიზმია და სადიზმზე მეტიც, უარესი თუ არა! ეს რა გიქნიათ?! ადამიანები არ ხართ?! მე რომ გამიკვირდებო...

— ესეც რომ კლავდა?! — თავი იმართლა ერთმა ნილბიანმა.

— კლავდაო?! საკითხავია ესეც!

— ზომ მოკლა!

— შემოაკვდა... — თავისთვის ჩაილაპარაკა მთ. ზედამხედველმა, — ზევით რა ვუთხრა უფროსს, თავი როგორ ვიმართლო?

— ამისათვის შენ არავინ დაგსჯის... იცოდნენ, რომ ასე უნდა მომხდარიყო და მეც რა ძალა მქონდა... — თავს

იმართლებდა ჭალათი, — ეს დოკუმენტი ნებართვა და... წყალი რომ არ გაუვა, სწორედ იმისთანა... — დასისხლიანებული ნილაბი ძირს დააგდო ჭალათმა და ფეხი გადააბიჯა გვამს, სისხლით შეწებებული ხელები შარვლის ტოტზე შეიწმინდა და ცალუბად გაიღიმა, — ხელები დამიბანია მე, — თქვა და გავიდა საკანიდან. გამოკეტა საკანი და დაჰყვა ჩამობნელებულ ღერეფანს.

თვალი მეჩაქუჩე ჭალათს მოჰკრა და შედგა: — კიდეც რა გინდა?

— ეს მე ვარ... აღარ მელოდია? თუ აღარ მელოდია, მაშინ აღარც ვარსებობ შენთვის მე ამ წუთიდან! გავსულვარ მე შენი ცხოვრებიდან და აღარც გამიხსენო აწი! ჩვენ ერთმანეთს არასოდეს შევხვედრივართ, გახსოვდეს! — ნილაბი მოიხსნა, — მიცანი, ვიცი, მაგრამ თუ რატომ მოვიხსენი ნილაბი, გატყობ, ვერ დაამულამე. მე შენი გამოცდა მაქვს

განზრახული! გაუძლებ გამოცდას და იცოცხლებ! ვერ გაუძლებ და მოკვდები შენც... ისე მოკვდები, როგორც მოკვდა იოსებ ნიჟარაძე! ახლა კი გავდივარ თამაშიდან... გირჩევ, ამოიგდო მეხსიერებიდან ჩემი სახე და სახსენებელი! ამოიკვეთო მახსოვრობიდან! ჩვენ აწინ ერთ სიბრტყეზე ვეღარც მოვთავსდებით! — გაიღიმა მეჩაქუჩე ჭალათმა და გაოგნებულ მთ. ზედამხედველს ხელში შეაჩეჩა თავისი ნილაბი, — ეს სახსოვრად... თუ გინდა... ზოგჯერ გამოიყენე კიდეც... შენც ჭალათი ხარ... ჭალათი, ჭალათო! — თქვა და გაშორდა იქაურობას.

მთავარმა ზედამხედველმაც მოირგო სახეზე მეჩაქუჩის ნილაბი და აღფრთოვანებულმა წამოიძახა: — ზუსტად ჩემთვისაა... ჩემზეა ზედგამოჭრილი! — მაგრამ მიცვალებულები გაახსენდა და ცახცახმა აიტანა.

* * *

ნეტა რამ ამოიყვანა ამ მწვერვალზე ცეცხლის ალში გახვეული შავი სილუეტი?

ქვევით უფსკრული უძირო... ვისთვის დაუბჩენია ნეტა ეს სისხლმოწყურებული ბულდოგის ხახა?!

მაესტროსათვის?

და თუ მართლა ასეა, რაღას ელოდება აწი მაესტროც?!

ნუთუ შეშინდა?!

მაგრამ შიში და მაესტრო ერთად?!

ნუთუ სიკვდილს შეუძრწუნებია?

არა მგონია, არა!

არა და არა!

როგორც უკვდავი სული, ისიც რომ არ კვდება!

იქნებ იმ ათასი წლითაც არ უნდა სიკვდილი, ძველ წერილებში რომ წერია. იქნებ სიკვდილი ჯობდეს გალიაში ყოფნას! მიიძინებდა ერთი ათასი წლით და მოისვენებდა მაინც!

დაიღალა ვითომ?

მაგრამ ასე რას შეუშფოთებია ეს

დაუდეგარი სული?

— დაველოდები მეც მზის ამოსვლას, — იტყვის მაესტრო თავისთვის და ჩაფიქრდება. იცის, საიდანაც უნდა ამოანათოს მზემ და იქითვე შებრუნდება.

მაგრამ მზესთან რა უნდა მაესტროს, მზესთან რა ესაქმება?!

სად მზე და სად — მაესტრო?!

სადაა მზე და სადაა მაესტრო?

მზე აქედან ამოანათებს... — გულისფანცქალით ელოდება მაესტრო ამ წამის დადგომას. აჩვილებია თითქოს და გულიც. ნეტა საიდან ეს სენტიმენტალიზმი?! ხომ არ დაბერდა ნეტა მაესტრო?! — თფუი, სიბერე! სიბერეს ჩემთან რა უნდა?! — სულში ჩააფურთხა უფსკრულს, — ნეტა შავი ფერისა ყოფილიყო მზე და... არა, ნატვრა როდია ეს?! მე არც კი ვიცი, რა არის ნატვრა! მინდოდა მქონოდა ყოველთვის, მინდოდა ყველაფერი და... მქონდა კიდეც! მე არასოდეს ვეძიებდი, მაგრამ მქონდა

ყოველთვის! — უკმაყოფილოდ შეიშმუშნა, — მაგრამ მინდა ახლა, მსურს და... ნუთუ ნატვრაა ეს?! ნატვრა კიდევ უნდა აუხრულდეს მნატვრელს და როცა ვერ უნდა აუხრულდეს, არცაა მაშინ ის ნატვრა ნატვრა! მე არც არასოდეს ვინატრებ! მე გავიფიქრებ მხოლოდ...”

... და როცა ამოსცდა თავის სამყოფელს აელვარებული წითელი დისკო, გულიც უცნაურად შეუტოცდა მანქანას. შეკრთა და აღმოკიდებული ხემიც აუთრთოლდა ხელში.

სიმიც აკამკამებოდა ძველ ვიოლინოს.

აალებული ხემი ნელ-ნელა ააწყდა მთრთოლვარე სიმს, მოწყვეტით დაეშვა ძირს და თითქოს დამშვიდდა.

და მანქანამაც მალე აზიდა ცალი მხარი. ფიქრი არც მოუშველებია, ისე ჩამოეხსნა იმის ოცნებას შავარშიაშემოვლებული ფარდა.

ქარმა მოუხერა, მალე ამოიქნია შავი მანტიის ერთი ბოლო და გადაათარა ვიოლინოს. დადუმდა, ჩაკედა ძველი ვიოლინოც... ჩაუწყდა ის ჯადოსნური ხმა...

„დამთავრდა, დამთავრდა ყველაფერი... ვტოვებ სარბიელს... თავის დროზე წასვლაც უნდა იცოდეს... ეს გმირობაზე მეტია!“ — ემწარა ამის გაფიქრება მანქანის, — აღარ ქდერს ჩემი ვიოლინო, — გული მოუკცდა და კიდევ უფრო მოიხარა წელში: — მე და ჩემი ვიოლინო... მანქანო... მე აღარ ვარ მევიოლინე! აწი აღარც მანქანო ვიქნები მე! ეს დღეიდან, მაგრამ ვიოლინოს რა ვუყო, ვის გადავცე? ღირსიც რომ არავინაა მისი? დამთავრებულია თურმე ჩემი ოდისეა და...

მიხვდა მანქანო, რომ მისი „აქედან“ გასვლის ჟამსაც ჩამოეკრა და შეაფრქოლა. მიხვდა: არც დედამიწა გამოადგებოდა აწი საყრდენად! ის რაღაც საყრდენიც როდის გამოეცალა ნეტაი ფეხქვეშ და... ამიტომაც: უნდა გადავიდეს იგი სააქაოდან! სააქაოდან გადაშენება...

— მაგრამ მიწასაც ხომ უნდა

დავამჩნიო მე ჩემი კვალი?! ხომ უნდა ამოვტვიფრო ჩემი სახელი დედამიწაზე?! სუნთქვა ჩემეულიც ხომ უნდა დავამკვიდრო ჩემთვის მოზომილ მიწის ნაკვეთზე და სივრცის ამ არეალში შესაფერი რიტმიც...

დაჰკრა მიწას ორივე ფეხი და იქაურობაც ააძაგდა.

შეანჯღრია მანქანამ ვიოლინო და წყვილი კურცხალიც გადმოიწურა მისი თვალებიდან, გულმკერდიდანაც უცნაური გრძნობისნაირი რამ აღმოხდა, განიბნა ისიც სივრცეში და ახარხარდა თითქოს სამყარო.

ცრემლი, ხარხარი... ერთმანეთში აღრეული...

იღმა მანქანო დედამიწის ცენტრში, მალე აღემაართა ძველი ვიოლინო: სადაცაა ერთიან, ურყევ გადაწყვეტილებასაც მიიღებდა და:

— ბენზინი! თეთრი ბენზინი! — ბრძანა მანქანამ და ვილაცამ ბენზინით საგზე დიდი, თავგადაჭრილი ბილონიც მიაჩქა ხელში.

მანქანამ ბენზინში ამოავლო ვიოლინო, შეანჯღრია და ცრემლი შეიწმინდა. შეწყდა მაშინვე ხარხარიც, სივრცემაც ამოისუნთქა შვებით და მანქანოს თვალებიდანაც ამოიკვეთა გაზმანებული ფიქრი.

„ნეტა აქ ვინ უნდა დარჩეს ჩემდა შემცვლელად? ვის მოერგება ნეტა ეს შავი მანტია?“ — ისევ ჩაიხვია ფიქრი თავის გაუფერულებულ თვალში და ასე ამოთქვა: — ცეცხლიო! — გააძაგდა და ჩირაღდანაც გამოუტანეს, — ხემი და ვიოლინო! ეს რა ოინი მიყვს ამ მართლაც კურკლიწონიებმა?! — გამოსცრა კბილებში, — რაღაც გათავდა, გათავდა რაღაცა საღდაც და...

ლოყაზე მიიკრა ცეცხლმოდებული ვიოლინო და აღმოდებული ხემიც დაუსვა იმის ათრთოლებულ სიმს.

უკრავდა იგი სამყაროს დასასრულზე,

უკნესოდა გული და თვითონაც ეხვეოდა
იმ ცეცხლის ალში.

და ირხეოდა ირგვლივ სიცოცხლის
ცეცხლოვანი მელოდია...

— ცეცხლმა, ცეცხლმა უნდა
შთანთქას ქვეყნად ყოველი! — ამოიძახა
მაესტრომ, — ქვევით უფსკრულია....
ცეცხლოვანი ტბა... ცეცხლია ყოველგან
და ცეცხლი ვარ მეც, ცეცხლოვან ტბაში
ამოვლებული... ახდა „იმის“ წინასწარ-
მეტყველება! ის ხილვაც უნდა ანიხდეს
მგონია, ბავშვობაში რომ მქონდა ერთხელ!
ნუთუ პაწია სული ვიყავი ოდესღაც მეც?!

უცოდველი სული...

და:

ხმამ შინაგანმა შეარყია სამანი მისი!
ჟღერდა, ჟღერდა აალებული ძველი
ვიოლინო...

იწოდა, იწოდა და აღარც იწოდა
მაესტროს ზვიადი სული!

უფსკრული გოდებდა:
გმინავდა მაესტრო — შავი სილუეტი...
და მაინც: წინ მიუსწრებდა სული
მაესტროს!

ცეცხლოვან უფსკრულსაც სული
მიუსწრებდა წინ...

* * *

„და მაინც:

წინ რა მომელის? იქითკენ... რა უნდა
მოხდეს იქით?

მაგრამ ხომ უნდა მოხდეს... ახდეს
წინასწარმეტყველება!“ — ცნობისწადილი
კლავს შავ სილუეტს. მორჩილიც იყო იგი
თავისი სურვილების. დიდი მორჩილი...

გაიაზრა ეს და მორჩილად დახარა
თავი.

და შემობარბაცდა მის არსებაში
დიდი სიმშვიდე, დადგა, დაგანდა.

არავითარი, აღარავითარი წვა!

მინავლებულიყო თითქოს ის
ცეცხლოვანი სიმფონიაც.

წელში გასწორდა და შუბლი
მოიჩრდილა, მომავალში თუ შეიხედა:

„ჰო, იქ... აქედან შორს... პაწია
საყდარია ერთი, ამაღლებულზე... ნეტა
რომელია ეს საყდარი? ვისია ნეტა?

იეშუას ხატი უნდა იყოს იმ საყდარში
დასვენებული... და მაინც რა თეთრი და
წმინდაა ეს საყდარი? იეშუას ხატი —
ომზირისეული... თფუუუ... ნეტა ვინ არის
საყდარში?

ვინ იქნება და ომზირ თავდგირიძე!
ომზირი იქნება, რალა თქმა უნდა!
აბა, სხვა ვინ უნდა იყოს?!

მაესტრო საყდარში შეაბიჯებს

(ფიქრით, რასაკვირველია)

ომზირი — მესაყდრეც იქ დახვდება.
თეთრი, ქათათა წვერი მკერდზე
ეფინა ომზირს. სულ გამწვანებოდა იმას
ის მინდვრისფერი თვალები. წმინდა
სიმწვანე იღვრებოდა ამ თვალებიდან,
სწორედ რომ საგაზაფხულო, —
მინდვრისფერი. დიდი სიმწვანე... და დიდი
მწვანე მდინარეც მდორედ მიედინებოდა
ამ სიმწვანეში.

იმასთან მზექათაუკი იდგა ერთი,
ომზირისნაირი.

— იოსები? იოსებ (უმცროსი)
ნიჟარაძე?

— ჰო, იოსების ძე. ჩემი პირველი
შეგირდი და შეილობილი, მაესტრო... —
გაიღიმა ომზირმა, მაგრამ შენ აქ რა
გინდა? როგორ გაჩნდი შენ ჩემს
საყდარში?!

— ფიქრით, ფიქრით მხოლოდ... მე
შენს მომავალში შემომიბიჯებია, მაგრამ
შენი ძე? — იკითხა მაესტრომ და ნერწყვი
ბურთივით დაადგა ყელზე.

— ისიც ჩემთანაა... სადცაა ისიც
შემოვა საყდარში. აჰა, შემოდის!

— შენი ალიკვალი! — ამოიგმინა
მაესტრომ, — მინდვრისფერი თვალები?!
რა ჰქვია?

— იოანე...

— იოანე?! მაგრამ....

— აქ როგორ შემოეხეტე, მასტრო?! განვედ, განვედ აქედან! თხუთმეტი წუთი და მრევლით აივსება ჩემი თეთრი საყდარი. ვფიქრობ, ადგილიც აღარ დარჩეს აქ შენთვის, მასტრო!

— ვიცი, რომ ადგილი არსადაც არ გამოუყვიათ ჩემთვის... მაგრამ მრევლს აქ რა უნდა, ომზირ?

— მაღლა რომ აიხედავდე, იქნებ მიმხდარიყავი შენც ყოველივეს!

— არ შემიძლია... ვგრძნობ, იეშუა დამყურებს მაღლიდან. ეს მისი თვალებია, ომზირ! ეეჰ, აღარ გამოედევნე ორ კურდღელს მაშინ და... გამოდევნებოდი და კაი ჩიტებსაც დაიჭერდი! ახლა კი, ომზირ: მომეცი უფლება, დავრჩე შენ თეთრ საყდარში! მე ხომ მხოლოდ ფიქრით ვარ შემოხეტებული აქ და... იცი კარგადაც: ვერც შენ დაგიშაგებ რამეს და ველარც — იმ შენ მრევლს!

— ჰო, ვიცი, რომ ველარ დაშაგებ...

— თქვა ომზიორ თავდგირიძემ და საყდარში შემოსულ ომზირისძეს დაუქნია ხელი, — მოდი, შვილო და იოსებს ამოუდექი მხარში! — ჩაფიქრდა წამით და მასტროსკენ შებრუნდა ისევ: — პროცესიასაც გინდა დაესწრო?

— უადგილოდ, ომზირ... მე ასე მსურს და სხვანაირადაც რომ არ შემიძლია?! ნეტამც შემეძლოს!

შეფიქრიანდა ომზირი და თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა მასტროს. იოსებიცა და იოანეც ხატკვემ დააყენა: — ესეც ასე... — თეთრ წვერზე ჩამოისვა ხელი, — უყურე, იოსებ, უყურე, იოან... თვალი უსწორეთ იესოს, დადგა ჟამი, რომ თქვენც ეზიაროთ იმის ნათელს! ბედნიერია, იოსებ, მამაშენი... — იტყვის ომზირი და გაივლებს გულში: „მეც ბედნიერი ვარ, იოსებ!“.

იოსებმაც მოიყარა მუხლი, თავი აიღო მაღლა და ხატს შეუერთდა ფიქრით. გრძნობს ჭაბუკი, რომ გადმოდის მასში

ნათელი ცხოველი.

იოანეც დაეშვება მუხლებზე და იმასაც გაუბრწყინდება მინდვრისფერი თვალები.

ნათელი გადმოსულა იოსებსა და იოანეში, სიკეთით ივსება ორივე.

— თქვენ ეზიარეთ დიდ ნათებას, შვილებო ჩემო და განემზადენით!

ხელები იესოსკენ აღაპყრო ომზირმა და გარდამოვიდა ხატიდან ნათლით მოსილი ძე, გადმოანათა და ფეხი მსუბუქად დაადგა შეჭირვებულ მიწას.

— მაღლობთ, ომზირ, ამ ყმაწვილკაცისთვის და შენი ძეც ხომ ჩემთვის შემოგიწირავს! და კიდევ: მაღლობა იმ მრევლისთვის, ახლა რომ უნდა შემოვიდეს ნათლის საყდარში. მაგრამ ამას ვის ვხედავ?! — თვალები ამოუწყლიანდა იესო ნაზარეველს, — მასტრო?! ცეცხლის ალში გახვეული მე მართლა მეცოდები, მასტრო...

და მასტროსაც ააცახცახებს. (კინალამ არ დაჩიავ-დაჭიანდა საკუთარ თვალში)?!

— კაცუნა... დიდი კაცუნა... — ამოიოხრა იესომ.

და მაინც იძალა მასტრომ და წელში გასწორდა (ეს უკვე მერამდენედ?!)

— მე შემიძლია... — წამოიწყო იესომ და მასტროც შეკრთა.

— ვერა, ვერ მოვინანიებ... არ შემიძლია და ნურც მიმიტევენ... ვერ მოვინანიებ და რა ვქნა?! საყდარში რამ შემომიყვანა? ნეტამც ვიცოდე! შორს, შორს... აქედან შორს! — ამოიგმინა მასტრომ.

— მასტრო... იქნებ... ამას რას სჩადი?! მე შემიძლია, რომ... — კინალამ ატირდა იესო.

— ნუ, იეშუა!

— შენ იკარგები, მასტრო... იკარგები სამარადეთმოდ...

— იეშუა! ნუ მაშინებ ე მაგ შენი კრავის ცრემლებით! მე ათასი წლით მივავიწყდები ადამიანებს... ჰო, მოისვენებენ

უჩემოდ და ყურადღებასაც მოადუნებენ. გამიადვილდება მერე მათთან ურთიერთობა... არაა ტრაგედია ჩემი დღევანდელი ყოფა და ყოფიერება! ახლა მართლა არ ვთამაშობ, იეშუა! ხედავ, სულაც არ ვფიქრობ ისე, შენ რომ გინდაოდა მეფიქრა და მეაზროვნა... ეჰ, იეშუა, იეშუა! მე მალე დავბრუნები... ათასი წელი ისე მალე გავა, რომ...

— მაესტრო, შენ რომ ჭკუით ყოფილიყავი, ათასი წლის მერე შეიძლება მართლა დაბრუნებულიყავი, მაგრამ...

— მაინც რა შეიცვალა, იეშუა? და თუკი შეიცვალა წერილი, რა უფლებით შეიცვალა?

— მე შემიძლია შევცვალო ის წმინდა წერილი და მოხარული იქნება ამით ჩემი დიდი მამა! — ხმა გაიმკაცრა იესომ, აიწია მაღლა, გაუსწორდა ჩარჩოს, მიმოიხატა მაშინ ეს ჩარჩო და უჩვეულოდაც ამეტყველდა!

და ამოისუნთქა შვებით ომზირმა: — ჩემი ხატი... ჩემი სიცოცხლე... დიდი სიცოცხლე, სიკეთე ყოვლის... — მზერა გათავისუფლებული სულისკენ გასტყორცნა, იმ სულისაკენ, ზევას რომ შეერთებოდა უკვე, — იოსებ, უყურე! უყურე, იოან... უყურეთ! მარადი სული, დიადი სული, — თავად სიკეთე და სიყვარული... მიიწევს მაღლა, მაღლა, კიდევ მაღლა! აჰა, გადანათდა ირგვლივ ყოველი... — ამოთქვა ომზირმა, — იწყება!

ოსტატიცა და მისი შეგირდებიც საყდრის შემოსასვლელისკენ შებრუნდნენ.

— მოდიან, მოდიან! — აუძგერდნენ

გული იოსებს და აუფანცქალდება სული იოანსაც.

— მოვიდნენ! საყდარიც იმისთვისაა, რომ... — გაუბრწყინდება თვალები ომზირს, — დაე, შემოვიდნენ!

საყდარში (პირველი) მაღალი კაცი შემოდის კრძალვით, სულ მთლად ჭალარა, იმას ყმაწვილკაცი ახლავს ერთი.

— მოვედი, ომზირ, გავიგონე, მეძახდი და... ხომ მიცანი?

— შოთა ხარ, იმ ჩემი მასწავლებლის შვილი... ეს კი შენი ძმის შვილია... მაღლობთ, რომ გაიგონე ჩემი ძახილი... ხატთან, ხატთან დადექით... ღვთისმშობლის ხატთან! მეც თქვენთან მიგულვეთ... იფიქრეთ სიტბოსა და სიკეთეზე...

და იწყება მრევლის დიადი სვლა... თეთრ საყდარში წმინდა სითეთრე დავანებულიყო...

ჩვენეული სივრცე-სიბრტყიდან ამოვარდნილმა მაესტრომაც თავი მიანდო ბედს და:

აქედან იწყება მისი მეორე და ჭეშმარიტი ძირს ვარდნა უკაცრიელ სივრცეში...

იწვის, იწვის ეს უკაცრიელი სივრცე — სივრცე.

იწვის მთელი ეს უკაცრიელი სივრცე! იწვის!

ჰა: გაიჟღერა ვიოლინომაც, გაიჟღერა უკანასკნელად: მიწყდა სადღაც, მიიწყდა თავისთვის და...

ამოიხვნეშ-ამოისუნთქა ნამთარ-ქალაქმაც. ჩაისუნთქ-ჩაიხვნეშა და გააზმორა თავისებურად...



უუუუნა შაინიძე

ოჯახის მამა

გაქალარავდა ოჯახის მამა,
ვაი, რა უდროოდ გაქალარავდა,
დაპატარავდა ოჯახის მამა,
შვილების თვალწინ დაპატარავდა.
მძიმეა კაცის სევდა და დარდი,
სულში ეს ლექსიც რა ცივად ბარდნის,
გადის საზლიდან ოჯახის დედა,
ზურგზე ვეება ცარიელ ჩანთით,
ან წასაღები რა შეგერჩა იქეთ!
მოიგლის ჰინდოს, მოიგლის მისრეთს,
მოუტანს ქმარ-შვილს კრელქრულა კინტებს...
გაქალარავდა ოჯახის მამა,
აუყვავილდა ზელებზე ფითრი,
როდემდე ნეტა, თქმა უნდა ამას,
სრისოს ზღლუქში დღეების ზინთი...
სხეულს ხომ უკვე ფარავს და ფარავს,
ახლა შიგ სულში მოცოცავს ფითრი!
გაქალარავდა ოჯახის მამა,
ვაი, რა უდროოდ გაქალარავდა,
დაპატარავდა ოჯახის მამა
და საქართველო დაპატარავდა!

სარკოფაგიდან

ანთია ცეცხლი -
სამაროვნების
ყვითელ ბაგებს ასდით აღმური
ძველი ხსოვნების,
და აღტაცებით გადამარხულით
ყვავილდებიან სამაროვნები...
ყურმუხ ტრამალებს ჰბურვენ ნისლეები -
სამაროვნების თეთრი სიზმრები,
ნასათუთები სიზმრის თითებით,
ააქეთ ზეცისკენ ძველი მითები...
ვინ დაფათურობს მთვარის სხეულზე,
რა მზე სწყურია ბაგეზაგანს,

იქ ვინ ისურვა ყოფნა ეულად,
თუ მთვარეც თეთრი სარკოფაგია.
ვისი ლანდია მოწოწიალე,
წვივმაღალი და ყვითელფეხება,
ან ცივ სამარხში დედოფლის ბაგეს
გამოაღვიძებს ვისი შეხება?
ვინ არ მიუშვა უფლის თვალებთან,
ლოცვა ამწყდარი გამშრალ ბაგიდან,
ვინ ახელს წარსულს,
ვისმა თვალებმა
ამონათა სარკოფაგიდან??

რის ნიშანია?

დავდივარ-სევდის ბილიკებს ვჭარგავ,
ვარ დარდის ლოთი, ომარ ხაიამ,
დავთმე სოფელი—ამქვეყნიური
აღარაფერი არ მიხარია,
არ ვარ ტოლებში, ძველ ყვავილნარში
არ მიმელიან ო, რა ხანია...
გამაყოლებენ იქნეულ მზერას
ნაცნობ ბილიკზე როცა ჩავიარ...
„ის კაცი დღეის პოეტებს არ ჰგავს,
ის კაცი ძველი ტომის შანია“...
ო, ღმერთო ჩემო, რის ნიშანია,
შენ გპოულობ და
მეგობრებს ვკარგავ!

ჩემს საირმის

ბესიკ შაინიძეს

აჰა, კენჭნარაც, ძველ საირმისა,
არ ასვენებენ ძველი სიზმრები,
და ნაძვ-ჩრდილები ჭრელი სირმებით
რჭებგადაწული წვანან ირმები.
ანთია ზეცა-უფლის პეშვიდან
იფრქვევს თბილი სევდის სურნელი,
ზეცის კურთხევის დღეა მეშვიდე
და მონატრება განუკურნელი.

გადაჰფენია პაპის საძვალეს
ასკილი-ვარსკვლავილვის ხატება,
დაბადებიდან მე რაც მაწვალებს
შენი ლამაზი ცა მენატრება.
გადარბის ჩრდილი სერებით ბრეშით -
დაფეთებული ირმის ნახტომი...
და ჭრელ ჭალების ბზუილა ბზეში
შრიანებს სუნთქვა მთების პატრონის!

ჩემ მთავს

რა უსაშველოდ დამიშორავდით,
მიწასთან ომის წაგებით შეშლილს,
როცა ჟღერიალებს ხმაში ფოლადი,
და ბორკილების ჟღარუნი მესმის,

მე მშველის ძველი ალღო და გეში,
ამოვრბი მთებში თეთრი შველივით,
გალაღებული შენით და შენში
შენს სიტყვასავით გადარჩენილი!

თათრობის ნისლი

ვით უფლის წიგნის თეთრი ფურცელი,
მეც შენი თეთრი ნისლიდან ვიშვი,
ნენიერას თეთრი თავსაბურველი
მხრებს მაფენია თეთრობის ნისლი.

ამოდის მთიდან თეთრი ნათება,
წყალობა ქმნილი თეთრი ცის ნებით,
უფლის ერთგული მხედრიონები
მოთქარუნობენ თეთრი ნისლები!

შენს გულში

მკითხულობ - სადა ვარ, ვითა ვარ,
კვლავ ნაღველითა და წვითა ვარ,
დღეს ერთი ლექსი მეწვია,
ტიროდა როგორც მზეწვია.

ვერ ვენუგეშეთ ერთმანეთს,
სევდა გვეხვია სუროდა,
სხვა არაფერი, ღმერთმანი,
შენს გულში ყოფნა მსუროდა!

არ ჩანს პრომეთე

მწარე ირონიული

ჩაქრა ლადარი, შეგვრჩა ლადავი,
დავდივართ თვალეზამონაცრული,
არ ჩანს პრომეთე ანდა სად არი,
თვალეზსაცერა ქრისტეს ნათლული.
ვართ დაზავსული,
ვართ დანავსული,
ვართ დანატრული
სითბოს, იმედებს...
ცისიერთ ცეცხლი
თუ არ წაართვი,
თავისით ვინ რას
გამოიმეტებს?



სანდრო ბერიძე

* * *

სალბუნი სულისა გარდაქარდა,
სიტყვას რუხი ჩრჩილი მოესია.
დადის, დაყოლობს ცათა კართან
ობლად დარჩენილი პოეზია.

ჟამის იარაა თუ ქრილობა,
ტკივილს ვერ აშუშებს ნარ-ეკალი.
ბინდად მობიბინებს გულგრილობა,
თეთრი იმედების წამლეკავი.

ახლა სატირალშიც არ ტირდება
ცრემლი, თვალზე წყალად მიღვარული.
გონიერებისკენ ნაპირდება
გასულელებული სიყვარული.

დიდი დასაბამის იქეთიდან
პოეტს რა ამოდ უდავია.
კვერთხი ზნეობის და სიკეთისა
ხელში უზნეობას უკავია.

მართალს უსამართლო მემართლება,
ლამის გავგიჟდე და შევიშალო,
გულო, რა სიკვდილი გემართება,
გულო, ცრემლები არ შეიმშრალა.

კენტად გახიზნულა სამართალი,
ბედშავს დევნილობა არ აცილდა.
ლმერთო, შენი დიდი სადარდალი
რალა პოეტებზე განაწილდა.

სული დასაპური დადის მარტო,
ფერთა უფერობით ცა იცვალა.
ლექსის მადლიანი შნო და ჯადო
თითქოს გახუნდა და გაითვალა.

* * *

დღეს შორეული სევდა მოფრინდა
და ყვავილობის კვირტი დაისხა,
გადააქცია პირველყოფილად,
რაც რომ გატყდა და რაც რომ დაიმსხვრა.

სევდა აცვია ბანსა და სოლოს,
ტკივილს და წუხილს, ცრემლით შეფუთვნილს.
ბოლოს და ბოლოს ყველაფრის ბოლო
სევდისაა და სევდას ეკუთვნის.

ფერდაუთვლელი და თან ერთფერი,
სევდით მოდის და სევდისკენ გარბის, -
დღე-თეთრი შუბლით უბერებელი,
ლამე-მაყლისფერ თვალთ და წარბით.

ლიმილს ფარფატას სევდით უვლია,
მზე სევდის მკლავზე ღამეს ათევდა.
სიყვარულია, სიყვარულია,
ქვეყნად ყველაზე ღამაში სევდა.

სევდისკენ ყველა მიდის მსვლელობა,
ცრემლიანია სევდის ოქტავა.
უქმური ჟამის უღმობელობამ
მხოლოდ სევდა ვერ გაამოკვდავა.


* * *

დრომ წარსულს პირზე ახადა ჩადრი,
წლები კივიან, როგორც ქორები.
ცხოვრება იყო მკაცრი თვატრი
ჩვენ კი - უიღბლო აქტორები.

ვიყავით ყელზე დარდებშებმული,
გრძნობის ისრები გულს ვერ ვაცილეთ,
და უნებლიედ, ღვთით ბოძებული,
ჩვენივ როლები გავინაწილეთ.


გვეძახდა უხმო ძახილი ზართა,
ელვარე ცრემლის ელვით ნაბური.
შენ იყავ სცენის შრილა ფარდა,
მე - შენი თმების ყულფით დაბმული.

ახლა მუნჯივით ჩუმია სცენა,
მხოლოდ დღეები დამსხდარან ქორად



გიორგი სანაძე

ქარიშხლის წინ



ქორნელი სანაძე

წამთარი

და მაინც ბედმა თუ ბედისწერამ
 ქარიშხალივით გვიდირიჟორა.

ბოლავს ჩამწვარი ფიჭვების ბოლი,
 ჩვენს წუხილში რომ ღამე ათივს,
 არ გვაპატივს უნილბო როლი,
 ეს თავბედობა არ გვაპატივს.

უკვე სხვებისთვის სხვა სცენარს წერენ,
 მზისთვალა დარებს ცვლიან ავდრები.
 ჩვენ კი, ჩვენ ისევ, არაფრის მერეც,
 შეგვახვედრებენ სხვა თეატრები.

* * *

ახლა ცხრაფეხა დღეებს წარსულთა
 მიერეკება ბნელში დრო ცხარი
 დასრულდა ზავით, ჯანჯიც დასრულდა,
 ასე ღამაში, ასე ცოცხალი.

მეც ბედისწერას მძევლად ვურჩები,
 სიკვდილ-სიცოცხლის ზავი მაოცებს.
 ყველა მუნჯები, ყველა ურჩები
 წვანან გვერდი-გვერდ სასაფლაოზე.

ძინავთ ტკივილებს, ძინავთ იარებს
 გულს რომ პირუთვნელ მაყრად რჩებოდა.
 ნუთუ იმიტომ ღმერთს ვეზიარე,
 რომ უღმერთობა დამბრალებოდა.

მტყუან-მართალის გახუნდა ფერი,
 ჟამს უფერული დააქვს მანდილი.
 სად არის თეთრი ღიმილის ჩქერი,
 ზეცის ბაგიდან გადმოვარდნილი.

გინდა ილზინე, გინდა იოხრე,
 ყრუ სადგურისკენ მიდის გზა ყველა.
 მაინც სიცოცხლით საესე სიცოცხლემ
 ბოლოს სიკვდილი ამოახველა.

* * *

ისევ აყვავდნენ ძველი ელდები,
 ფიჭვი ჰგავს ზეცის კრიალა ოვალს,
 მე ერთხელ კიდევ გავსულელდები
 და შენთან ლექსის სანთლით წამოვალ.

უსასოეობას აეხსნა ფარდა,
 ამ დაჯერებას სიკვდილიც ვერ ცვლის.
 რას ნიშნავს, ნეტა, ამდენი წვა და
 რას ნიშნავს, ნეტა, ამხელა ცეცხლი.

წარსულის ჩუმი მომდევნო ჩურჩული,
 ხსოვნაა დროის ნაზი დარაჯი.
 მე ჩემი სუნთქვით ვარ შეყუჟული
 შენი იმედის ლურჯ ნიჟარაში.

მარადიულ წამს ღმერთი არიგებს,
 ასკდება ნაპირს გრძნობათა ღელე.
 ამ სამყაროში შენ თუ გაიგებ,
 რა ლამაზია ეს სისულელე.

თანდათან ყველა მორჩა იარა,
 გულში ცრემლით რომ იყო მიბმული,
 შენი მშვენებით მიწა კი არა,
 თავად უფალი დგას მოხიბლული.

სულმა უკვდავი წყარო დალია,
 გზა უღრანდება შურის ტევრებით.
 რა ჩვენი თეთრი ბედის ბრალია
 თუ სიყვარულის ვართ შედეგები.

* * *

გამჭირვალეა ცხოვრების ფარდა,
 ზოგი ტკივილი მოჩანს ლაღობად.
 ყველა თამაშობს საკუთარ თავთან
 მკვიდრი სისუსტის უარსაყოფად.

თამაშში ბუდობს შიში პაწია,
 შიშზე უკეთად არავენ იცის,
 თუ მოკლე კაბა რატომ აცვია
 ბაგეზე უცებ დაფრენილ სიცილს.

უჩინოდ ბევრი მოკვდა ოცნება,
 მთებად სურვილთა ყრია ნაცარი
 მიწა კი არა, ცაც გაოცდება,
 რომ გამოვფინოთ გულში რაც არი.

სისულელესთან ამქრობს გენია,
 ხან ეტრატია გული, ხან დაფა,

ვინ გამამტყუნებს თუ მირჩევნია
სხვის სასუფეველს ჩემი ჯანდაბა.

ვინ დააზავებს მზეს და ქარაშოტს,
ყოფნა-არყოფნის უსაზღვრო ჩრდილში.
ბედთან საცეტოდ და სათამაშოდ
ისევ ფაფხურობს ადამის ჯიშში.

და მაინც თამაშს თამაშობს ღიად
სიკვდილის ლანდი ასე ფრთამალი,
რომელსაც მიაქვს, ჯიუტად მიაქვს
დასამალი და არდასამალი.

მინაწარი ერთი სახლის კედელზე

მე ვარ სტუმარი, მე ვარ სტუმარი
სახლის, რომელშიც მკვიდრი ვიყავი.
აქ ჩემს სიმღერას ეთქვა უარი
და კედლებს შევრჩი, როგორც იგავი.

მე ვარ სტუმარი, მე ვარ სტუმარი,
სახლში, რომელიც ასე მიყვარდა,
ქვეყნად არ იყო სხვა საბუდარი,
ასე ლამაზი, ამ სახლის გარდა.

მე ვარ სტუმარი, მე ვარ სტუმარი,
გაძეგებული მასპინძლის ფარდი.
მოგონებათა მკლავს სასთუმალი
და დაწყვეტილი ცამეტი მარტი.

ახლა ძნა იწვის, იცინის ულო,
ფატაწაკრული მოკვდა ამური,
რა გინდა სულო, ვის ეძებ სულო,
„სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“.

ელავს წყალწყალა ცრემლი წარსულთა,
გაუხუნარი გრძნობა რომ ეკლო.
ვისაც რა სურდა, ისე დასრულდა,
მაინც უსახო, მაინც უძეგლო.

ამ სახლში ცოცხლად მოსული დღემდე
სიკვდილის ძმებთან ვიყავ მეგონა,
ვითარცა სხვები, მეც ისე ვენთე,
ისე ვტიროდი... სხვა რა მეღონა.

დღეს ვარ სტუმარი, (უარესს ველი),
 შემოხეტებულ ჭროლა გმირებთან.
 ფერფლივით ყრია თვრამეტი წელი
 შვიდფერა ცრემლს რომ აკავშირებდა.

ყულაბა ხსოვნის იესება ობით,
 გულო, ეს წლები ვით გაიძელი.
 მე ვარ სტუმარი, ჩემი სტუმრობით
 გაღიმებული დგას მასპინძელი.

* * *

ბ.ბ.

მე ახლაც თვალწინ მგლოვიარე მიდგას ვერთერი
 და რუხი კვამლით შებოლილი დამბაჰის ლულა.
 შენი გასროლა იმ გასროლის იყო ერთფერი,
 რომელიც, ალბათ, გასამტყუნი არ იყო სულაც.

იმ დღეს სიცილით დაგვირაზე გულის სარკმელი
 და წამლევავი გრძნობის ღვარი ფარულ ადინე.
 ღმერთმანი, ვისზე ვთქვა აუგი, (რა მაქვს სათქმელი).
 მე თვითონ ველარ გიშვილე და გადაგარჩინე.

ზრახვთა შენის გაცხადება გვიან მეღირსა,
 მარტოდ შეთენილმა აპურის წინ შუბლი დახარე
 და მარტის ღამის უცისკარო გათენებისას
 გულს აჯანყებულს გამეტებით ტყვია ახალე.

შენს თვითმკვლელობას გასამტყუნად ვინ იტყვის ცალყბად,
 ვის გაუცივდა მკერდში გული, გულში ნაღველი,
 ის გოგოც (მჯერა), დარდის დარდად იტყევა ალბათ
 ვის გამოც ასე მტკივნეულად შორეთს წახველი.

ყოფილთან ერთად, არყოფილსაც შეცვლია ნირი,
 გლოვად ქცეული იცრემლება მკრთალი ნუგეში.
 ვის დაანანებს დაცხრილული სულის ნაპირი
 ამ გაცივებულ, ამ გაყინულ საუკუნეში.

დრო გაიყინა, ღამის დროსთან სიცოცხლეც გახმა,
 დიან დღეები იაფობით შემოგარსული...
 შენ დამრჩი გაღმა, (ღმერთო, ჩემო), სივრცეებს გაღმა,
 ულამაზესი სიყვარულით ზღვარგადასული.

ღამეს გითევნ ღამეები გატეხილ ძილით,
 ვიცი კვლავ იწვი და გულს ცივი სამარე გითბობს.
 ასე მგონია, ასე მჯერა, შენი სიკვდილით
 მე ორეული, მე ჩემი მე დავკარგე თითქოს.

* * *
(იუმორესკა)

ფეშქეშივით მისცა ბედმა
საგზლად ჩალით სავსე ბაგა.
პორტ-აეროპორტ-პოეტმა
იკადრა და იეშმაკა.

ფურთა ლექსის ფარით ფარა,
მოსახვეტს უტირა ქეჩა.
კონკრეტულიც მოიპარა,
აბსტრაქტულიც უხვად კეკა.

ახლებს გადაუჭრა ფესვი,
შურით ვერ აივსო ხახა.
კი, დაწერა ხუთი ლექსი,
მაგრამ ასი იჩათლახა.

გამაადგა პაწაწობა,
სერა ზეცა, სერა ქვეცა,
სიცრუე და ბაცაცობა
კლასიკურამდე დახვეწა.

მისი ასპარეზის ჩარხმა
სულ იგობა და იჯამა.
ქამა ტყუილები ხალხმა,
ვიდრე მიხვდებოდა, ქამა.

ქამმა დაჰკრა და თან გაქრა
ყალბი „რაშოვ და რაშოვრა.“
პოეტია-მეთქი, მაგრამ
პოეტივით ვერ იცხოვრა.



პრიტიკა, პუბლიცისტიკა

ოთარ ჭილაძე



ბაუზკვევლობის გურუსიდან მშობლიურ წიაღში

რაკი ჭერ კიდე გვახსოვს, ვინ ვართ, რატომ ვიბადებით და რატომ გვინდა სიკვდილი, მაინცდამაინც, ამ მიწაზე, ყველაფერი არ დაგვიკარგავს. მტერი ნამდვილად ვერ მოგვერევია. მაგრამ, სამწუხაროდ, მტრის შიში აშკარად გამჭდარი გვაქვს ძვალ-რბილში და თუ წაგვახდინა, იმან წაგვახდინა თანდათანობით - გავგეჟმეკა, ტყუილს მიგვაჩვია და ჩვენც, პირველ რიგში, თავს ვიტყუებთ, უფრო სწორად, დამამწვინებელი ტყუილი („გავიმარჯვებთ“, „გავმდიდრდებით“, „გავმრავლდებით“) გვირჩევნია ყოველდღიური მწარე სიმართლის ხერხებს. ამ საგალალო გულგრილობის დანერგვაში, რასაკვირველია, გარკვეული წვლილი ჩვენც მიგვიძღვის, რესპოდენტებსაც და კორესპოდენტებსაც. ჩვენი გაუთავებელი სჯა-ბაასებით, ინტერვიუებით, ღია წერილებით, გამოსვლებით, კინკლაობით, სინამდვილეში კი, ერთისა და იგივეს გამეორებებით, ჩვენდა უნებურად, სიფხიზლის გრძნობა მოვუდუნეთ და აღქმის უნარი დაუჩლუნგეთ ჩვენს მსმენელსა თუ მკითხველს. ჩვენ, არათუ წლების, საუკუნეების მანძილზე მიგვაჩვიეს არაბუნებრივის და დაუშვებლის დასაშვებად აღქმას. რაც მთავარია, მიგვაჩვიეს ჩვენს წინააღმდეგ, წინასწარ ჩაფიქრებულისა და ხანგრძლივი დროის მანძილზე საიდუმლოდ განხორციელებულისთვის, საბედისწერო შეცდომისა თუ გარდუვალი გაუგებრობის იარაღის მიწებებს.

მაგრამ ცხოვრება იცვლება და იცვლება ჩვენი დამოკიდებულებაც ცხოვრებისეულ პროცესებთან, საერთოდ ყველაფერთან, რითაც ჩვენი დღევანდლობაა ამოვსებული, ოჯახური წვრილმანით დაწყებული და საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენით დამთავრებული.

გამეორება ცოდნის დედააო, მაგრამ შეიძლება უცოდინარობის დედაც იქცეს, თუ უშეცდომოდ არ გვეცოდინება ყოველთვის, რას ვიმეორებთ და რისთვის. ნებისმიერი სიტყვა ხშირი გამეორების შემდეგ აზრს კარგავს. წყლის ჩვეულებრივ წვეთს, თუკი განუწყვეტლივ და მეთოდურად დაეცემა ერთსა და იმავე ადგილზე, შეუძლია ქვა გახერხოს. ასევე ადვილი შესაძლებელია, ხშირ გამეორების შედეგად, ერთ მშვენიერ დღეს, ისიც ირწმუნოს კაცმა, ვთქვათ, ერთიანი და ძლიერი საქართველო მართლა რომ ახატია გულზე ვინმეს. თქვენ კი მეკითხებით, როგორ მოხდა თქვენი გადასვლა პოეზიიდან პროზაშიო. პირადად, მე, ამ შეკითხვაში ვერაფერს ვხედავ აქტუალურსა და საინტერესოს, მით უფრო რომ, ჩემი აზრით, უკვე გაცემული მაქვს პასუხი მსგავს შეკითხვებზე. მაგრამ ვიდრე ერთხელ კიდე გიპასუხებთ, თქვენი ნებართვით, ჭერ მწერლის ეგრეთ წოდებულ „დუმილისა“ და „გვერდზე დგომასთან“ დაკავშირებით ვიტყვი ორ სიტყვას.

სხვათა შორის, ეს თემა გაცხოველებულ ინტერესსა და არასწორ, არასამართლიან გულისწყრომას იწვევს ჩვენს ახალგაზრდა ჟურნალისტებში, რომლებსაც, ჩემი

დაკვირვებით, თავად მწერალთან გასაუბრების პროცესი უფრო ალეღვებით, ვიდრე მწერლის ნათქვამის აზრობრივი თუ ზნეობრივი მხარე. თქვენამდეც ბევრმა მომმართა ამ შეკითხვით, მაგრამ ჩემდა სამარცხვინოდ, ვერცერთს ვერ ვუპასუხე და ვერ ვუპასუხე სწორედ ჩემი განსხვავებული თვალსაზრისის გამო. ჩემი თვალსაზრისით, მწერალი ლაპარაკით კი არ არღვევს დუმილს, არამედ წერით. ოფიციალური განცხადებით კი არ განსაზღვრავს თავის ადგილს მწერლობაში, არამედ საკუთარი ნაწარმოებებით. რასაკვირველია, არც ლაპარაკი აუკრძალავს მისთვის ვინმეს, მაგრამ ლაპარაკი სხვა ჟანრია. სხვა „ოპერაა“, და ამისთვის კიდევ სხვა, განსაკუთრებული ნიჭია საჭირო. და მაინც, თუკი რომელიმე მწერლის ხმა, გარკვეულ ეტაპზე, დუმილად აღიქმება, ეს კონკრეტულად ამ მწერლის „დანაშაულია“ და არა მთლიანად ქართული მწერლობისა. ან მართლა ვერაფერს ამბობს საინტერესოსა და დასამახსოვრებელს, ან იმას არ ამბობს, რისი გაგონებაც ჩვენ გვინდა. ნებისმიერი საზოგადოება, ნებისმიერ ეპოქაში, თავს უფლებამოსილად თვლის, გარკვეული პრეტენზია წაუყენოს ნებისმიერ მწერალს, ანუ, იმის თქმა, ანდა ჩადენა დაავალოს, რის სათქმელად და ჩასადენად მწერალს ძალა არ ყოფნის, თავად კი (საზოგადოებას) იგივეს თქმა და ჩადენა საზოგადოებრივად მიიჩნია, პირველ რიგში, თავისთვის. საზოგადოებისთვის (განსაკუთრებით, ჩვენნიერი საზოგადოებისთვის), ყოველი კონკრეტული მწერალი საერთოდ მწერლობის განსახიერებაა და პირიქით. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ასე არ არის. მართალია, მწერლობა მწერლებისაგან შესდგება, მაგრამ არცერთ მწერალს არ ძალუძს მთელი მწერლობის მაგივრობის გაწევა. რასაკვირველია, თავად აზრადაც არ მოუვა ასეთი რამ. მას გაცილებით მოკრძალებული წარმოდგენა აქვს საკუთარ შესაძლებლობებზე. მაგრამ, ჩემი აზრით, არ ყოფილა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მწერალი, შეძლებისდაგვარად (ხშირად, უნებურადაც), არ გამოხმაურებოდეს საერთო, საქვეყნო სატყეარს... ამიტომ, ყოვლად შეუძლებელია, ზუსტად განსაზღვროს ვინმემ, რა იგულისხმება მწერლის „დუმილისა“ და „გვერდზე დგომაში“, ანუ რას უნდა ამბობდეს და როდის როგორ უნდა იქცეოდეს მწერალი, რათა ყველასათვის ერთნაირად გასაგები გახდეს. ეს ყოვლად გაუმაართლებელი და ყოვლად უსაფუძვლო პრეტენზიაა მწერლის მიმართ გამოთქმული. მაგრამ კარგად თუ ჩავუკვირდებით, ეს პრეტენზიაც მწერლისადმი ფარული თუ ბოლომდე გაუთვითცნობიერებული ნდობითა და სიყვარულითაა აღძრული - ფიზიკური დაუცველობისა და სულიერი სილატაკის შეგრძნება აიძულებს ადამიანს, ბრმად, ალაღბედზე ეძებოს ქომაგი, რომელსაც ამ შემთხვევაში მწერალი წარმოადგენს მისთვის, ანუ, შემაწუხებელი შეგრძნებებით დაბნეული ადამიანი, მართალია, ალაღბედზე, მაგრამ ზუსტად იმ კარზე აკაკუნებს, რომლის იქითაც მისი მარადიული ქომაგი, ანუ, მწერალი „დუმს“.

ახლა, რაც შეხება ჩემს გადასვლას პოეზიიდან პროზაში. ამ საკითხთან დაკავშირებით, ერთხელ ისიც კი ვთქვი, ეტყობა, ჩემმა მკითხველმა ჩემზე მეტად განიცადა ეს ამბავი-მეთქი და, ალბათ, მართლაც ასეა, რაკი აქამდე არ გაქრობია ინტერესი. ჩემთვის კი, განსაკუთრებული და, რაც მთავარია, უჩვეულო არაფერი მომხდარა. ასე რომ „შინაგან გრადაციებზე“ ან „გამოუვალე მდგომარეობით გამოწვეულ იძულებებზე“ ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, სალონურ კოპწიობად მიმაჩნია.

„პოეტურ სიტყვაში“, თუკი სწორად მესმის თქვენი ტერმინი, ნებისმიერი სათქმელი ეტევა. უფრო სწორად, პოეზიისა და პროზის ენა ერთი და იგივეა. ყოველ შემთხვევაში, თავად მწერლისათვის ასეა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთი და იმავე ენით იწერება ლექსიც და რომანიც. მე არ ვიცი და, ალბათ, ვერც ვერასოდეს გავიგებ, რის

საფუძვლზე ანსხვავებენ ლიტერატორები, გნებავთ, ენათმეცნიერები ლექსისა და პროზის ენას. მაგრამ ვისაც ყოველგვარი წინასწარ მიღებული თეორიული „განათლების“ გარეშე დაუწერია ლექსიცა და რომანიც, უყოყმანოდ დამეთანხმება, რომ მათ შორის სხვაობის ძებნა ფუჭი შრომაა. პოეტური ნაწარმოები პროზაულისაგან ენობრივად კი არ განსხვავდება, არამედ ჟანრობრივად. ჟანრსა აქვს თავისი სპეციფიკური ნიშან-თვისებები. პოეზია, ჩემი თვალსაზრისით, უფრო ფრინველია, პროზა კი, უფრო ცხოველი. პოეზია, თუ შეიძლება ასე ითქვას, გლუვი, თბილი, ლამაზი კვერცხიდან იჩეკება, პროზა კი, საშოდან იბადება. მათი შექმნისა და ამქვეყნად მოვლინების პროცესები განსხვავდება მხოლოდ, თორემ, ჩვენთვის ადამიანებისთვის, ანუ მკითხველებისათვის, ერთნაირად გასაგებია ანდა ერთნაირად გაუგებარია, როგორც ერთის, ისე მეორის ენა. მე, თქვენგან განსხვავებით, „პოეტურ სიტყვასა“ და „პროზის ენას“ კი არა, საერთოდ ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოების პოეტურობას გავუსვამდი ხაზს, რამდენადაც პოეტურობის, ანუ, განსაკუთრებული სულიერი წყობის, სამყაროსადმი განსაკუთრებულად სულიერი თუ სულისმიერი კავშირის გარეშე, ხელოვნების ნებისმიერი ნიმუში, ლექსი იქნება თუ რომანი, ნახატი თუ მუსიკალური მელოდია, ერთნაირად უსიცოცხლოა და ლატაკი. რაც უფრო მაღალია პოეტური კოეფიციენტი ამა თუ იმ შემოქმედში, მით უფრო ძლიერია მისი ნამოღვაწარის ზემოქმედების უნარი და მით უფრო ფართოა მისი სულისკვეთების ასპარეზი...

ვილაცას უთქვამს, სიტყვები მიფრინავენ, ნაწერი რჩებაო. მაგრამ სიტყვები არსად არ მიფრინავენ. უფრო სწორად, როგორც მიფრინავენ, ისევე მოფრინავენ უკანვე. მიდიან და მოდიან, დღე-ღამისა და წელიწადის დროების მსგავსად, რის შედეგადაც ნაწერს ნაწერი ემატება და იქმნება თხუთმეტსაუკუნოვანი დიდი ქართული მწერლობა, ჩვენი სიმდიდრე და სიამაყე, ყველაზე ეროვნული ფენომენი, პასპორტი ჩვენი ეროვნულობისა, და რაოდენ გულსაკლავია, რომ სწორედ დღეს, საქართველოს ხელმეორედ დაბადების ჟამს, ჩვენი საზოგადოება ასე ნიჰილისტურადაა განწყობილი მშობლიური ლიტერატურის მიმართ. სხვათაშორის, „რუსეთის საქართველომ“, „თურქეთის საქართველოსაგან“ განსხვავებით, იმიტომაც შეინარჩუნა თავისი ენა და მეობა, მწერლობა რომ ჰყავდა ყოველთვის. რუსეთმა, თურქეთისაგან განსხვავებით, ვერ მიაქცია სათანადო ყურადღება მწერლური პოტენციალის აღმოფხვრას მის „კუთვნილ“ საქართველოში, თუმცა, კაცმა რომ თქვას, თითქმის ყველაფერი იღონა საამისოდ. ასე რომ, როცა აუგს ვამბობთ ჩვენს მწერლობაზე, პირველ რიგში, უნდა გვახსოვდეს, რა პირობებში იქმნებოდა ის და რა არაადამიანური დაბრკოლებების გადალახვა უზღებოდა, ერთი წამით მაინც რომ დანახვებოდა მზეს.

თუ არ მიწყნო, არც თქვენი მომდევნო შეკითხვა მიმაჩნია „აქტუალურად“, რასაკვირველია, ისევ ჩვენი დღევანდელი ყოფიდან გამომდინარე. უფრო სწორად, გაუგებარია ამ შეკითხვის პათოსი – უნდა დავავანოთ საერთოდ მწერლის როლი, თუ პირიქით, ხელახლა ავუხსნათ, განვუმარტოთ დაბნეულ მოსახლეობას, არასოდეს რომ არ ყოლია და არც ეყოლება მწერლობაზე უკეთესი მრჩეველი და თანამდგომი. ასევე გაუგებარია ჩემთვის, რომელ მწერლებს გულისხმობთ, როცა მომთხოვნელობას, პატივმოყვარეობას, ამბიციურობას, „პოლიტიკურ ანგარიშს“ (ალბათ, ანგარიშსწორებას) და კეთილგონიერების დეფიციტს ახსენებთ. ამ თემაზე ლაპარაკი მეტად სახიფათოა და, ისევ და ისევ, მწერლობისათვის. საბჭოთა იდეოლოგიამ ყველაფერი იღონა, ასე დაბნეულნი რომ აღმოვჩენილიყავით დღეს ელემენტარული ჭეშმარიტების წინაშე. პირადად მე, არა მგონია, ნამდვილ ქართველ მწერალს, დღეს კი არა, თუნდაც

როდისმე მოეთხოვოს საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება. ასევე არასოდეს გამიგია, დაეჩემებინოს, გინდათ თუ არა, ჩემი სიტყვა გამოაცხადეთ ჭეშმარიტების უმაღლეს ინსტანციად. თქვენ სრულიად სხვა ჯურის ხალხი გაავთ მხედველობაში, სწორედ ისინი, ვინც საბჭოთა იდეოლოგიამ შექმნა მწერლობასთან დასაპირისპირებლად და რომლებიც დღესაც მრავლად მოიპოვებიან ჩვენს შორის.

კომუნისტებმა ავტორიტეტი კი შეუქმნეს მწერალს, როგორც თქვენ ამბობთ, მწერლის ავტორიტეტის მითვისება სცადეს. სცადეს თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ მწერლის ავტორიტეტი, რომლის შექმნაც, მხოლოდ და მხოლოდ, თავად მწერალს შეუძლია - ვერც მიანიჭებ და, რაც კიდევ უფრო სასიამოვნოა, ალბათ, თქვენთვისაც, ვერც წაართმევ. უფრო მეტიც, მწერალი შეიძლება მოკლა (როგორც ილია ჭავჭავაძე მოკლეს), მაგრამ მის ავტორიტეტს ვერაფერს დააკლებს. პირიქით, კიდევ უფრო გაზრდი, შენდა უნებურად და შენდა ჭირად.

კომუნისტებმა, რასაკვირველია, ესეც კარგად იცოდნენ, ამ სფეროშიც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდათ მიღებული და ამიტომაც ცდილობდნენ ყველანაირად მწერლების გვერდით დაყნებას, მაინცდამაინც, მწერლების, რადგან მწერალი არც კინოვარსკლავია და არც ქურუმი, ესე იგი, არც წამიერი დიდებისთვის იცლავს თავს და არც დღესვე აპირებს თავისი მრევლის გათვითცნობიერებას. რასაც დღეს ქმნის, ხვალისთვისაა გამიზნული (ისევ ილია ჭავჭავაძის მაგალითიც კმარა ამის დასადასტურებლად). მაგრამ ხელისუფლების გვერდით დგომა რაკი ყველა მწერალმა არ ჩათვალა დიდ პატივად (თუმცა, ჩვენში რომ ვთქვათ, უმრავლესობას მხოლოდ ხელისუფლებისაგან დაფასებული მწერალი მიაჩნია ნამდვილ მწერლად), ხელისუფლებაც (ამ შემთხვევაში, კომუნისტები), იძულებული გახდა შეექმნა მწერლის ახალი სახეობა - დამჭერი მწერალი - რომელიც ლექსად და პროზად დაწერილი ერთგულების ფიცის სანაცვლოდ, დიხაც რომ სახელმწიფო მოხელის უფლებამოსილებითა და ავტორიტეტით სარგებლობდა უბრალო, უწიგნურ ხალხში. ამდენად, თქვენგან განსხვავებით, ქართველ მწერლებს (ნამდვილ ქართველ მწერლებს) ვერც პატივმოყვარეობაში დავდებ ბრალს, ვერც მომთხოვნელობაში, ბევრნი არიან ისინი თუ ცოტანი, უხმაუროდ და უპრეტენზიოდ აკეთებენ თავიანთ საქმეს, განსხვავებით იმ მწერლებისაგან, ანუ, მწერლის ახალი სახეობის იმ წარმომადგენლებისაგან, რომლებმაც თავიდანვე ხელისუფლების გვერდით დგომა აირჩიეს, რაკი თავიდანვე ამ მიზნით იყვნენ შექმნილნი.

ასე რომ, კი გეკამათებოთ, მაგრამ სხვანაირად ნამდვილად გამიჭირდება აზრის უფრო ნათლად გამოთქმა. სხვანაირად ვერც ჭეშმარიტებას დავადგენთ. არადა, როგორც ვატყობ, საკმაოდ განსხვავებული აზრი გვაქვს მწერლობის როლზეც და დანიშნულებაზეც.

როგორც არ უნდა გვეჩოთრიებოდეს, როგორც არ უნდა გვიჭირდეს ამის აღიარება, ჩემი ღრმა რწმენით, ქართული ეროვნული მოძრაობა ყაზბეგის პატარა, ფოთლისხელა მოთხრობიდან იღებს სათავეს და არა, ვთქვათ, გუშინდელ თუ გუშინწინდელ მომიტინგეთა მოწოდებებიდან თუ პროკლამაციებიდან. ყაზბეგი რომ გვყავდა, იმიტომ ვწერდით გუშინ პროკლამაციებს და იმიტომ მოვუწოდებდით ხალხს თავისუფლებისაკენ. სხვათაშორის, არა მარტო დღეს, არამედ მთელი საუკუნის მანძილზე და ნებისმიერი სტატუსის ხელისუფლება ერთნაირად ცდილობდა დამალა ქართველი მკითხველისათვის იმ რუსი ჯარისკაცების წამოწითლებული სახეები, ყაზბეგის მოთხრობაში ქვრივ-ოხრის მბეჭუტავ კერას რომ ფეიცხებიან და ხელების ფშვნეცით

ემზადებიან „აღთქმული“ ქვეყნის მოსახილველად - კაცის დასაკნინებლად, ქალის გასაბახებლად, მოხუცის აბუჩად ასაგდებლად და ბავშვის გასარყენლად. იმ საზარელი ღამიდან მოყოლებული არისხებს ქართული მწერლობა განგაშის ზარს და, კაცმა რომ თქვას, გამგებს ესმის კიდეც. რაც მთავარია, გამგებში მარტო მტერი არ იგულისხმება. ჩვენიანსაც ესმის. ეს კი ბევრის მთქმელია. ახალგაზრდობა, რომელიც ოთხმოციანი წლების „გარდაქმნებს“ შეეწირა საქართველოში, მშობლიური ლიტერატურით იყო გაზრდილი და, რაც კიდეც უფრო აღსანიშნავია, მათი უმრავლესობა ლექსებს წერდა... დიახ, ნამდვილად არსებობს კეთილგონიერების დეფიციტი დღევანდელ საქართველოში, პოლიტიკური ანგარიშსწორების მაგალითებიც უხვად მოგვეპოვება, მაგრამ პირადად მე, მიუხედავად თქვენი კატეგორიულობისა, ნამდვილად გამიტირდება თუნდაც ერთი ქეშმარიტი შემოქმედის (არა მარტო მწერლობაში) დასახელება, რომელიც თავისი ამბიციურობით გამოირჩეოდეს... ეტყობა, თქვენზე უფრო ბრმა ვარ, ანდა, შეიძლება, თქვენზე უკეთ ვიცნობ იმ სამყაროს, რომელსაც დღეს ყველანი ერთნაირად „მწერლობას“ ვეძახით და ვისაც რა გვსურს, იმას ვგულისხმობთ ამ მართლაც მრავლისმომცველ სიტყვაში. რასაკვირველია, სხვა რესპუბლიკების მსგავსად, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენშიც შექმნა იდეოლოგიური კონიუნქტურის დამცველ მწერალთა მთელი არმია, მაგრამ ჩვენ იმათი გამოცალკავება და მხილება კი არ დავისახეთ რატომღაც მიზნად, არამედ, თითქოს დიდი ხნის სანატრელი აგვისრულდაო, თითქოს კარგი შემთხვევა მოგვეცაო, იმათთან ერთად, ნამდვილი ქართული მწერლობაც მოვისროლეთ სანაგვეზე... იოლი გზა ავირჩიეთ. რასაკვირველია, გაცილებით ძნელია. კარგს კარგი დაარქვა და ცუდს ცუდი.

მაგრამ ჩვენ მაინც განსაკუთრებულად ლიტერატურულ ტრადიციებზე გაზრდილი ხალხი ვართ და რუსთაველის, გუგუშვილის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველასა და გალაქტიონის ქვეყანაში მარტო გამოუსწორებელ ბრიყს ანდა სულიან-ხორციანა გაყიდულ გარეწარს თუ გაახარებს ქართველი მწერლის ავტორიტეტის იგნორირება, დაკნინება და გაუფასურება იმისა, რის გამოც მტრებსაც უჭირთ ჩვენი ერთხელ და სამუდამოდ ჩაყლაპვა...

ამ რამდენიმე წლის წინ, ერთმა ჟურნალისტმა დაუფარავი კმაყოფილებით მითხრა: მწერლობა კი განთავისუფლდა გარკვეული პოლიტიკური ჩარჩოებიდან, მაგრამ ლიტერატურის დონე დადაბლდაო. შეიძლება ასეცაა. თუმცა, მე სულ სხვა აზრი მაქვს ამ საკითხთან დაკავშირებით და გულწრფელად რომ ვთქვა, წესიერად არც ვიცი, რომელ „გარკვეულ“ ჩარჩოებზეა ლაპარაკი, რამდენადაც, ჭერჯერობით, მწერლობა კი არ თავისუფლდება გარკვეული ჩარჩოებიდან, არამედ გარკვეული ჩარჩოები - მწერლობისაგან. მწერლობის ფუნქცია, უფრო სწორად კი, დანიშნულება, საბედნიეროდ, უცვლელია ნებისმიერ ჩარჩოში და ვერანაირი ცხოვრებისეული ცვლილებები ვერ ახდენენ მასზე რაიმე სერიოზულ ზემოქმედებას. რასაკვირველია, დღესაც ასეა. წიგნი კი არ კარგავს მკითხველს, მკითხველი კარგავს წიგნს, რაც გაცილებით საგანგაშო მოვლენაა. მკითხველი ღარიბდება და არა წიგნი. წიგნი კი არ გვაწვდის - გვზრდის. უმაღლესი მაგალითი გვაძლევს, ვიდრე რეცეპტს. კი არ გვმოძღვრავს, ჩვენსავე თავგადასავალს გვიყვება. კი არ გვაქეზებს - გვაშხნევებს. კი არ მოგვიწოდებს - ფიქრს გვაჩვენებს. ხოლო „გარკვეული პოლიტიკური ჩარჩოები“ მწერლობას კი არ უშლის ხელს თავისი დანიშნულების შესრულებაში, არამედ იმ ჩარჩოების შემკვეთებს. მწერლობა კი არა, ისინი იცვლებიან დროის შესაბამისად და, თავისთავად ცხადია, შესაბამისად ცვლიან „ჩარჩოებსაც“. რაც მთავარია, „გარკვეული ჩარჩოებიდან“

გამოსვლის შემდეგ მწერლობის დონე კი არ დაქვეითდა, როგორც ზემოთ ნახსენებ ჟურნალისტს ჰგონია, არამედ შეიცვალა მწერლობისადმი დამოკიდებულება. მწერლობის დონე, შეიძლება, ერთმა მწერალმა ასწიოს, მაგრამ უწიგნურსა და უკულტურო მასას საუკუნეები ჰქირდება, ხელახლა რომ შეისწავლოს ანბანი...

მე მგონი, ჯერჯერობით, ასე ტრაგიკულად არ უნდა იყოს ჩვენი საქმე - უბრალოდ, როგორც უკვე ვთქვით, ჩარჩოს პატრონმა, ცხოვრების შესაბამისად გარდაქმნილმა, დღესდღეისად მისთვის „მიუღებელი“ სურათი კუთხეში მოისროლა. ხოლო, ჩარჩოს მოულოდნელმა სიცარიელემ ყველანი იმდენად აგვაფორიაქა, ვისაც როგორ შეგვიძლია, ისე ვცდილობთ მის ამოვსებას. ჩვენი განზრახვა კეთილშობილურია, მაგრამ მარტო განზრახვა საკმარისი არ არის. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ წესი, მეთოდი, ხერხი, საშუალება სიცარიელის ამოვსებისა. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ამის ნიჭით უნდა ვიყოთ დაჯილდოვებულნი განგებისაგან. ამიტომ, დავაცადოთ და ხელი შევეწყოთ იმას, ვინც მხოლოდ ეს იცის, ანუ, სწორედ ამისათვისაა მოვლენილი ამ ქვეყნად. დამერწმუნეთ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ჩვენ კი, პირიქით ვიქცევით, პირველ რიგში, მწერლობას ვუპირისპირდებით და ამით კიდევ უფრო ვაჩქარებთ ჩვენი გადაგვარების, გნებათ, გაპირუტყვების პროცესს...

გარკვეული თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ხელოვნების მსახურნიც ცოდავენ. სამწუხაროდ, ყველას ერთნაირად არ გვაქვს გაცნობიერებული, თუ რა დიდ, დაუნდობელ, სამკდრო-სასიცოცხლო ომში ვართ ჩართულნი და, ღმერთმა იცის, როგორ დამთავრდება ეს ომი. ოპტიმისტი პოლიტიკოსების თქმით, ისე დამთავრდება, „როგორც გვეკადრება“, ესე იგი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ; მაგრამ ადვილი შესაძლებელია ისე დამთავრდეს, როგორც ვიმსახურებთ, თუნდაც, ჩვენი სიბედისა და გულარხეილობის გამო. პირად კეთილდღეობაზე ფიქრი, მეტი რომ არ ვთქვათ, დღეს უხერხულია. უხერხულია მხოლოდ ამ მიზნით სამშობლოს მიტოვება, მით უფრო ხელოვანი კაცისათვის, რომელიც თავისი ინტელექტუალური დონით, რასაკვირველია, ბევრად მაღლა დგას რიგითი მოქალაქეზე, რომელიც მომავლის შიშით, წარსულს მისტირის და, წარსულით გაწბილებული, ბრმად ეპოტენება მომავალს. ამით იმის თქმა მინდა, რიგითი მოქალაქე ახლაც უფრო მშვიდად რომ გაუსწორებდა დაუნდობელ რეალობას თვალს, თუკი დღესაც გვერდით დაიგულებდა იმას, ვისი სახელითაც გუშინ თავი მოსწონდა, ვინც, რაც თავი ახლავს, ეიმედება და ეამაყება... ასეთმა რიგითმა მოქალაქეებმა გვასწავლეს დაკვრაც, სიმღერაც, ცეკვაც, ხატვაც, წერაც... ასეთმა რიგითმა მოქალაქეებმა მოიკლეს ლუკმა, რათა ჩვენ გვესწავლა და გავზრდილიყავით. ამდენად, ჩვენც ვალდებული ვარ, „მიუსაფაროებაში“ ჩვენს მშობლიურ კულტურას ვემსახუროთ მხოლოდ. არც სამწუხარო და არც საღალბო ემიგრაციაში არ დავივიწყოთ, ყველა ხელოვანისათვის ერთნაირად სავალდებულო კითხვა: ვისი სახელით დგახარ სცენაზე, სადაც არ უნდა იდგეს ის სცენა...

მწერლობა ხალხის მახსოვრობაა. მისი მეშვეობით, ხალხს შეუძლია თითქმის მათემატიკური სიზუსტით აღადგინოს, როდის რა უჭირდა და რა ულხინდა; როდის როგორ გამოიყურებოდა; ხმელა პურით იბრუნებდა სულს, თუ შარავზაზე ჰქონდა სუფრა გაშლილი, ამგულ-ჩამგულის დასაპურებლად. ჩვენს ლიტერატურაში ასახული ცხოვრებით თუ ვიმსჯელებთ, იშვიათად თუ გავგნელებია ხვალისდელი დღის შიში. ჩემთვის გასაკვირიცაა, ან დასაწერად როდის ვიცლიდით, ან წასაკითხად. თუმცა, საბედნიეროდ, არც ამით გამოვიჩივით სხვებისაგან. ბევრ ჩვენზე შეკრულ და მოწესრიგებულ ქვეყანაშიც დამდგარა ისეთი ქამი, როცა ხალხს საერთოდ გაქრობია



სულიერი საზრდოს მოპოვების სურვილი. საფრანგეთ-ავსტრიის ომის დროს, პარიზში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლიტერატურულ მექაში, საერთოდ ჩამკვდარა ლიტერატურული ცხოვრება. პარიზელებს არც ახსოვდათ თურმე სულიერი საკვების არსებობა, ყველას მხოლოდ ბაზრისაკენ ექირა თვალი, სადაც ბოტანიკური ბაღი ხორცად ყიდდა არა მარტო ირმებსა და გარეულ კამეჩებს, ზებრებსა და კენგურებს, არამედ შავ გედებსაც და სირაქლეშებსაც... როცა ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი პაროდისტი, ნიპოლიზმის ცინიკოსი რაინდი ლოტრეამონი გარდაცვლილა, ვირთხის ხორცი ოცდათხუთმეტი სანტიმი ღირებულა, ძაღლისა - ორნახევარი ფრანკი, კატისა კი - თორმეტი (რაც, სხვათაშორის, კიდევ უფრო გასაგებს ხდის ჩემთვის იგივე ლოტრეამონის ცინიზმსა და ნიპოლიზმს). საბედნიეროდ, ჩვენ აქამდე არ მივსულვართ, თუმცა, მეგობარმა სახელმწიფოებმა ყველა პირობა შეგვიქმნეს საამისოდ: „დაუდგენელი პირების“ მეშვეობით გაგვიჩანაგეს ყველა ელექტროსადგური, ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საწარმო და, რაც მთავარია, თითქმის „გარდაქმნის“ დაწყებისთანავე, გადაგვიკეტეს გაზი, როგორც ავადმყოფს - ქანგბადი, რის გამოც, ჩვენმა ხალხმა ბოლო ათი წელი არაადამიანურ სიცივესა და შეუვალ წყდიადში გაატარა. ამდენად, არც ჩვენ უნდა გვიკვირდეს, წიგნისთვის თუ ვერ მოვიცალეთ აქამდე. გუშინ და გუშინწინ, ჩვენი მკითხველები სადარბაზოებში დანთებულ საერთო, საზიარო „კერებზე“ ხარშავდნენ ბაზარ-ბაზარ მოგროვილ კარტოფილის ნაფტქვენსა თუ კომბოსტოს ფოთოლს. ამაში სამარცხინო, რასაკვირველია, არაფერია. მაგრამ დიდი უსვინდისობაა იმათგან, ვინც სრულიად დაუშმასხურებლად მიაყენეს ასეთი სულიერი ტრამვა ხალხს, რომელიც თავისი ბუნებით სხვათა მასპინძლად, სხვათა შემფარებლად და დამპყრებლად შექმნილი განგებისგან...

ამგვარი სულიერი ტრამვები, მართალია, ხალხის ნებას კიდევ უფრო აწრთობს, მაგრამ საზოგადოებას წონასწორობას აკარგვინებს. ხოლო, წონასწორობადაკარგული საზოგადოება, რასაკვირველია, ქვეყანას სიკეთეს ვერ მოუტანს. საზოგადოება დღესაც არსებობს, მაგრამ რამდენად ამართლებს თავის დანიშნულებას, ეს კი ნამდვილად საკითხავია. საზოგადოება, რომელიც ეროვნული სიამაყისა და ღირსების გრძნობას დაკარგავს, თავისთავად ცხადია, ხალხის სარკედ ვეღარ გამოდგება. იმ სარკეში ყველანაირი ადამიანური მანკიერება შეიძლება აირეკლოს, გარდა ხალხის ქეშმარიტი ბუნებისა. ასე მკაცრად იმიტომ ვლაპარაკობ ჩვენს საზოგადოებაზე, უკვე ბევრი სიმპტომი რომ არსებობს მისი დასნეულების დამადასტურებელი. მათ შორის ბევრი გაცილებით საზიფათოა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. თუნდაც, ერთი მხრივ, მისი წარმოდგენელი აქტიურობა და ერთსულოვნება, ვთქვათ, რომელიმე მინისტრის მოხსნასთან ან დანიშვნასთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, ასევე წარმოდგენელი, ლამის სიგიჟეში გადაზრდილი მისი გულგრილობა საკუთარი კულტურისადმი. ძალიან მორიდებულად რომ ვთქვათ, ჩვენი საზოგადოება ვერ აკეთებს, ან საბედისწერო დაგვიანებით აკეთებს რეაქციას ქვეყნისთვის უაღრესად საჭირობო საკითხებზე. რაც მთავარია, ძნელი დასადგენია, რატომ დუმს, როცა დუმს და რატომ ხმაურობს, როცა ხმაურობს. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მაგრამ რაკი ჯერ კიდევ მწერლებად ვითვლებით და რაკი საამისო საშუალებაც გვაქვს, გულისტკივილი მაინც გამოვთქვათ აწ უკვე გარდასულ, მაგრამ მოურჩენელ ჭრილობად დარჩენილ ზოგიერთ საჩოთირო ფაქტზე.

ერთი ასეთი „მოურჩენელი ჭრილობა“ ჩემთვის „ბორჯომის“ ტრადიციული მაღაზიის გადაკეთება ფრანგულ „ბისტროდ“, რომელსაც, რატომღაც, „მალიც“

გუწოდეთ (გულის მოსაფხანად), ვითომ ფრანგები ჩვენზე ნაკლებად სცემდნენ პატივს თავიანთ ენას, ანდა, საჭირო რომ ყოფილიყო, რუსული „ბისტროს“ შესატყვისს ვერაფერს მონახავდნენ თავიანთ ენაში. მაგრამ ეს სხვა საკითხია და ნაკლებად მნიშვნელოვანი. გაცილებით მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება ეროვნული სიმდიდრისა და, თუ გნებავთ, ეროვნული სიმბოლოების მიმართ.

„ბორჯომის“ მაღაზიაში თბილისელები პაემანსაც უნიშნავდნენ ერთმანეთს, იმდენად გამინაურებულნი იყვნენ იქ, და არა მარტო წყურვილს უკლავდათ ეს მართლაც „ღვთაებრივი სასმელი“, არამედ იმედიოდაც ავსებდათ, სიამაყის გრძნობას უღვივებდათ, როგორც წინაპრის დანატოვარი ძვირფასი ნივთი, რომელსაც, რა თქმა უნდა, ვერ შეეღევი და თუ ჭკუა გაქვს, არც უნდა შეეღიო, რადგან მის გამო უფრო წელგამართული ხედები ნებისმიერ გასაჭირს. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ბოლო ასი წელი, მარტო მისი იარაღი ადასტურებდა, ჯერ კიდევ ჭვეყანა რომ ვიყავით, რაღაცის, სხვებისთვისაც საინტერესოს პატრონი ხალხი. ასე რომ, ამ მაღაზიაში ერთი ჭიქა ყელაზე იაფი სასმელის დაღევა ერთგვარ წესადაც ითვლებოდა, რიტუალად, თუ შეიძლება ასე ითქვას, პატივისცემის გამოხატულებად მარადიული, წმინდა, ხელშეუხებელი ცნებებისადმი. ჩვენ კი, დაკარგული სახელმწიფოებრიობისა და შეღახული ღირსების აღდგენა, რატომღაც, მაინცდამაინც, ეროვნულ სიმბოლოდ ქცეული „ბორჯომის“ უგულვებელყოფით დავიწყეთ. არადა, როგორც დრომ დაამტკიცა, თურმე, სრულებითაც არ ყოფილა ამის ღირსი. საქართველოსავით პატარა ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, რუსეთივით, ამერიკასავით, გერმანიასავით დიდი ქვეყნებიც ბლომად ხაპავენ ჩვენგან ათვალწუნებულ წყალს, ნამდვილსაც და ფალსიფიცირებულსაც, და კარგადაც ითბობენ ხელს. ჩვენი საზოგადოება კი, ბრძნული სიმშვიდითა თუ ბრიყვული არხეინობით გაიძახის: ვის რად უნდა, ნეტავი, ჩვენი ბორჯომიო...

ასეთივე „ჭრილობა“ ქართული ღვინის შეღახული პრესტიჟი. განა დასაშვებია, მეღვინეობის ამ უბუცეს ქვეყანაში ყელაზე აბუჩად აგდებული, მაინცდამაინც, ვაზი იყოს? ვისაც როდის მოეპრიანება, მაშინ მოუღერებს ნაჯახს. განა დასაშვებელი არ არის, სულ მის გადარჩენაზე ვლაპარაკობდეთ, როცა სინამდვილეში ის არის ჩვენი მარადიული გადამრჩენელიცა და გამაკეთილშობილებელიც?! გუშინ და გუშინწინ, მიუხედავად ჩვენი მონური მორჩილებისა, ვინმეს რომ ეთქვა, წელს საქართველოში შეიძლება რთველი არ იყოსო – გაეზუმდით?! დღეს გვითხრეს და გაეზუმდით. საერთოდ, ამ საკითხზე უკვე დიდი ხანია მყარად დუმს ჩვენი საზოგადოება, რადგან გულის სიღრმეში, ვინ იცის, ღვინოც უცხოური ურჩევნია საკუთარს. მაგრამ იმდენს ვერ ხვდება (ანდა, მშვენივრად ხვდება და შეგნებულად იქცევა ასე!), საბედისწერო რომ შეიძლება აღმოჩნდეს მისი ღუმელი...

„ჭრილობა“ ჩვენთვის პირველი და მსოფლიოსთვის, ჯერჯერობით, ბოლო ოლიმპიადაც. გაიხსენეთ ჩვენი „მოულოდნელი“ მარცხი, რაც უფრო მორალური ხასიათისა იყო, ვიდრე სპორტული. სხვა ქვეყნების სახელით ამ ოლიმპიადაზე გაცილებით მეტი ქართველი სპორტსმენი გამოდიოდა, ვიდრე ეროვნულ გუნდში ირიცხებოდა. ოლიმპიური ოქროს მედლის ერთ-ერთი უკონკურენტო ფალავანი, თითქმის ოლიმპიადის დაწყების წინ გვაბერძნეთ. მეორე – რომელიღაც პროცედურის არასწორად ჩატარების გამო მოიხსნა შეჯიბრებიდან. ჩვენს დელეგაციაში სპორტულ სპეციალისტს ტურისტი ქარბობდა. ყოველ შემთხვევაში, მოკრივეებს პირსახოცის მიმწოდებელიც არ ყავდათ, დასისხლიანებული ცხვირპირი რომ მოეხოცათ. რაც მთავარია, ჩვენმა პრესამ და რადიო-ტელევიზიამ „შესაშური“ თავშეკავება გამოიჩინა ამ მოვლენის მიმართ, როცა

პირიქით უნდა ყოფილიყო თითქოს... პირველად გამოვდიოდით მსოფლიოს წინაშე ჩვენი სახითა და სახელით, ჩვენ კი, ისევ მოსკოვის მეშვეობით ვიგებდით, რა ხდებოდა ჩვენს თავს...

„ჭრილობა“ მსოფლიოში ცნობილი და ევროპაში ანგარიშგასაწევი საკლუბო გუნდის „დინამოს“ სამარცხენო დაკნინებაც. სხვათა შორის, „დინამომ“ თავის დროზე დიდი როლი ითამაშა ჩვენი ეროვნული შეგნების ამაღლებაში, რაც, თავისთავად ცხადია, შეუძმწვევლი არ დარჩენია ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას და ყველანაირად ცდილობდა კიდევ მის „დაოკებას“. დღეს სახელილა შერჩა ძველი, თუმცა, სწორედ სახელის გადარქმევის მცდელობით დაიწყო ყველაფერი. საკუთარი საფეხბურთო ფედერაცია კი გაეხსენით, მაგრამ ფეხბურთელთა გამჭირავებელ კანტორად ვიქცეით ბოლოს...

„ჭრილობა“ ჩვენი განათლების სისტემის „დაბნეულობაც“. „განათლების მისაღებად“ ახალგაზრდებს უცხოეთში მივერეკებით (ყოველშემთხვევაში, დიდად ვუწყობთ ხელს მათ უცხოეთში გადაბარებას), შინ კი უცხოელები კოლეგებსა და უნივერსიტეტებს ვხსნით, ეშმაკმა იცის, რა მიზნით... ჩვენი ხსნა ფრაგულად ან თურქულად კი არა, მაინცდამაინც, ქართულად განათლება. თუკი ხვალაც ქართველებად დარჩებით, ესე იგი, საქართველოში ვიცხოვრებთ, ქართულად ვიპოვებთ, ქართულად ვილაპარაკებთ, ჩვენი ენა ნამდვილად სახელმწიფო ენაიქნება და, რაც მთავარია, ვიცხოვრებთ მხოლოდ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ინტერესებით, არათუ ჩვენ, გენეტიური ქართველები, არამედ ავსტრალიელიც ქართველად ჩაითვლება მექანიკურად, როგორც კი საქართველოს ქვეშევრდომის პასპორტს ჩაიდებს ჯიბეში...

ქართველმა ებრაელებმა, ოცდაექვსი საუკუნის მერე, გენი დაუბრუნეს თავიანთ ისტორიულ სამშობლოს. ჩვენ კი პირიქით ვიქცევით. პირველ რიგში, გენი გაგვაქვს სამშობლოდან. საზოგადოება კი დუმს. უფრო სწორად, ყველანაირად ცდილობს, ამ უაღრესად არაბუნებრივ პროცესსაც, როგორც ბევრ სხვა მოვლენას, გარდუვალობის ელფერი შესძინოს, უპირველეს ყოვლისა, შეგნებული უყურადღებობით. ამიტომაც არ უკითხავს არასოდეს, თუ რატომ უნდა აჯილდოებდნენ ერთნაირად, ვთქვათ, ჯანსუღ კახიძეს, რომელიც აკლდამასავით გათოშილ დარბაზში მხრებზე პალტმოხურულიც მდგარა დირიჟორის პულტთან, რათა კულტურული ცხოვრების ილუზია მაინც შეენარჩუნებინა ბედისწერის უკუღმართობით გულმოკლული და აბუჩად აგდებული თავისი ხალხისათვის, და საზღვარგარეთ მოღვაწე ნებისმიერ ქართველ ხელოვანსაც, რომლის სახელიც, სამწუხაროდ, უკვე ლეგიონია.

ოციან წლებში ერთ გამოჩენილ რუს მსახიობს, მიხეილ ჩეხოვს, დიდი ჩეხოვის ძმისშვილს, უცხოეთში დარჩენის გამო, ზინაიდა რაიხმა მოლაღატე უწოდა. რამდენად სწორია ზინაიდა რაიხის საქციელი, სხვა საკითხია, მაგრამ ჩვენი ზინაიდა რაიხები მეორე უკიდურესობაში ვარდებიან: უხარიათ, თავი მოსწონთ, ეამაყებათ სხვის სამსახურში ჩამდგარი თანამემამულის სახელი, მეჩონგურე იქნება ის, მესტირე თუ ფეხბურთელი...

საზოგადოებას ხელისუფლება რყვნის. ჩვენი საზოგადოება კი, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დროსაა გარყვნილი. ამიტომაც არ აღელვებს, არც რცხვენია, ნორმალურად რომ ვერ მეტყველებს მშობლიურ ენაზე, უფრო სწორად, ვერ მეტყველებს სახელმწიფო ენის იმ ნორმების შესაბამისად, რომელთა დაცვაც ერთნაირად სავალდებულოა, როგორც მოსამართლისათვის, ისევე ბოროტმოქმედისთვის; როგორც ჟურნალისტისთვის, ისევე გაზეთის გამყიდველისთვის; როგორც ექიმისთვის, ისევე

ავადმყოფისთვის; როგორც მასწავლებლისთვის, ისევე მოწაფისთვის... სამაგიეროდ, დუმს და დუმს იმ ქვეყანაში, რომლის ნახევარი ტერიტორია ოკუპირებულია, მოსახლეობის მესამედი ემიგრირებული, დარჩენილი ორი მესამედის, ალბათ, სამოცი პროცენტი შიმშილობს, ათი - ქარის წისქვილებს ეომება, იმდენივე - სასწაულის მოლოდინშია, დანარჩენი კი ზნეობის, მორალის, ეთიკისა, და რაც მთავარია, საკუთარი სამშობლოს საწინააღმდეგო საქმიანობითაა დაკავებული. საზოგადოება კი დუმს, ანუ, სოკოებივით მომრავლებული რეკლამების შესაბამისად, ცდილობს „იცხოვროს ლალად“, „ჩაწვდეს ამერიკულ სულს“... ერთი ბერძენი ისტორიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველდღე ისე ქეიფობს ამ გაძვალტყავებულსა და ღირსებააყრილ ქვეყანაში, თითქოს უკანასკნელად ქეიფობდეს და ისეთ სახლებს იშენებს, თითქოს სამუდამოდ აპირებდეს ამქვეყანაზე დარჩენას... კი მაგრამ, რატომ(!) იმიტომ რომ, ავადაა. ხალხი კი არ ავადმყოფდება, როგორც რუს მწერლებს ეგონათ, მაინცდამაინც, ქართულ ხალხთან დაკავშირებით, არამედ - საზოგადოება. ხალხი კი, პირიქით, ერთადერთი მკურნალია საზოგადოებისა. ხალხს შეუძლია თავისი წიაღიდან წარმოშვას ახალი, ჯანმრთელი საზოგადოება და წარმოშვას იმდენჯერ, რამდენჯერაც დასჭირდება. ესე იგი, უსასრულოდ, უთვალავჯერ, მთელი თავისი არსებობის მანძილზე. საზოგადოებას აყალიბებს არა ბუნება, არამედ ცხოვრება. ხალხი კი ბუნების ნაწილია და ცხოვრებასთან სწორედ მისგანვე ამოზრდილი საზოგადოების მეშვეობითაა დაკავშირებული. არასწორად მცხოვრები საზოგადოება, რასაკვირველია, ხალხსაც ისევე აყენებს ზიანს, როგორც ბუნებას. მაგრამ ხალხსაც თუ დავაცდით, ბუნებისა არ იყოს, იმასაც შესწევს უნარი პირვანდელი სახის დაბრუნებისა...

მისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, საზოგადოება ვალდებულიცაა, ესმოდეს, ხედავდეს და გრძნობდეს ყველაფერს, რაც მის სასიცოცხლო სივრცეში ხდება. რასაკვირველია, მწერლის სიტყვაც ესმის, მაგრამ მალამოდ კი არ ეცხება გულზე, გამოფხიზლების სურვილს კი არ უღვიძებს, აღიზიანებს და ბალანს უშლის, საფრთხენაგრძნობი ნადირივით. ასეთ საზოგადოებას არაფრად ჰქირდება არათუ მწერლობა, საერთოდ ხელოვნება... კულტურა. წიგნის ფურცლებზეც, სცენაზეც და ეკრანზეც მხოლოდ და მხოლოდ მისთვის გამიზნული ხაფანგი ელანდება. უკულტუროდ, რა თქმა უნდა, უფრო მშვიდად იცხოვრებს: სუსტს დაჩაგრავს, ღარიბს აბუჩად აიგდებს, ჟინს მოიკლავს ყველგან, სადაც წამოუფლის, ეკლესიაში წმინდა სანთლიდან მოუკიდებს სიგარეტს, კეფს არც ლაპარაკისას გამოიღებს პირიდან და ვერავინ მიუთითებს, ვერავინ ამხელს მის უზნეობასა და უმსგავსობას. ასე რომ, მასაც სერიოზული მოტივები აქვს, ათვალწუნოს და მოიშოროს ის, რასაც ჩვენ ლამის ძალით ვატენით...

ამიტომ ვიდრე გავაგრძელებდე, მაინც ვიკითხავ: აინტერესებს კი ჩვენს საზოგადოებას, ვთქვათ, გერმანელი კრიტიკოსების გამოხმაურება ქართულ რომანზე?! ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ნამდვილად ძნელია საკუთარ რომანზე და, მით უფრო, უცხოელი ლიტერატორების მიერ ამ რომანის გარშემო გამოთქმულ მოსაზრებებზე საუბარი. მაგრამ რაკი „ზოგჯერ თქმა სჭობს“, შევეცდები, რაც შეიძლება მოკლედ ვუპასუხო ყველა იმ შეკითხვას, რომელიც პირადად მე, ესე იგი „აველუმს“ შეეხება.

თუმცა, თავიდანვე ვაპროტესტებ თქვენს თვალსაზრისს, თითქოს რომანის შესავალში „პირდაპირ“ დამეწეროს, ნაწარმოების მთავარი გმირის პროტოტიპი ვარო. ეს იდენტიფიკაცია არც „მხატვრული ხერხია“, არც „აღსარება საკუთარი თავის წინაშე“, რადგან მსგავსიკ არაფერი დამიწერია. რომანის შესავალს „წერს“



რომანის გმირი, რომელიც, შეიძლება ითქვას, იგივე აველუმია, ანდა, აველუმის უახლოესი მეგობარი, რომელიც მოგონებებში აველუმად გარდაიქმნება ხოლმე. აველუმობს. ორივეს, რასაკვირველია, რაღაც საერთო აქვს ავტორთან, ანუ, ჩემთან, მაგრამ ეს სრულებითაც არ მაძლევს ნებას, მათ პროტოტიპად გამოვაცხადო თავი. ადრეც ბევრ ავტორს დაუწერია გმირის სახელით, მაგრამ მცირე გამონაკლისის გარდა, ავტორისა და გმირის გაიგივება არავის მოსვლია აზრად. შეიძლებოდა გველაპარაკა მთხრობელისა და გმირის (აველუმის) იდენტურობაზე, მაგრამ მთხრობელისა და ავტორის, ისევე როგორც აველუმისა და ავტორის გაიგივება, მე მგონი, უფრო ჩვენი სურვილიდან გამომდინარე შესაძლებლობაა, ვიდრე რომანის ტექსტიდან...

საბჭოთა იმპერიის ნგრევას აველუმის მიერ შექმნილი სიყვარულის იმპერიის დანგრევაც მოჰყვა, მაგრამ არც მათი გაიგივება მიმაჩნია სწორად. ვერ დაგეთანხმებით, თითქმის აველუმის სიყვარულის იმპერია ბოროტების იმპერიის მიკრომოდელი იყოს. ასეთი რამ მხოლოდ სახაროვს თუ მოუვიდოდა თავში აზრად. არავითარ შემთხვევაში. ეს ერთნაირად შეურაცხყოფელია, როგორც აველუმისთვის, ისევე ავტორისთვის. მაგრამ რაკი რომანში ვერ ვთქვი გასაგებად, ახლა გეტყვით, რომ „სიყვარულის იმპერია“ ბოროტების იმპერიის დანგრევისთანავე კარგავს თავის კეთილშობილურ ფუნქციას, რამდენადაც, მაინცდამაინც, ბოროტების იმპერიაში ადამიანობის შესანარჩუნებლად არის გამიზნული, გენბავთ, მოწოდებული. თქვენ მართალი ხართ: ბოროტების იმპერიასთან ერთად სიყვარულის იმპერიაც ინგრევა, მაგრამ ამ იმპერიის კარიბტიდები – მელანია, სონია, ფრანსუაზა – წმინდანებივით ნათელმოსილნი და ზნეობრივად ამაღლებულნი გამოდიან ნანგრევებიდან და თან გამოაქვთ მარადიული ქალურობა, სიყვარულის, თანაგრძნობის, მოთმინების სასწაულმოქმედი უნარი, რაც კიდევ დიდხანს დასჭირდება ადამიანს...

დიახ, აველუმს ბრმა ტყვია კლავს და არა „თავისუფალი საქართველო“. მესმის, თქვენი შეკითხვა, გარკვეული თვალსაზრისით, პროვოკაციულია, მაგრამ თუ არ მიწყნო, ყოვლად დაუშვებელია ასეთი „ახლო მხედველობა“, როცა ლიტერატურულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ლიტერატურული მოვლენის ვერც ადგილს მიუთითებთ ზუსტად, ვერც თარიღს. უფრო მეტს გეტყვით, აველუმს ჯერ კიდევ ბევრჯერ მოკლავენ ალბათ, ვიდრე „თავისუფალი საქართველო“ აბსტრაქტული ცნება იქნება. ხოლო, თუ უფრო დავაკონკრეტებთ, აველუმს ბოროტების იმპერია კლავს, რადგან თბილისის ომიც საბჭოთა იმპერიის სასიკვდილო აგონიის ერთ-ერთი ფაზაა და არა წმინდა ქართული პოლიტიკური მოვლენა. აქედან გამომდინარე, უნდა თუ არა, მწერალი მაინც ერევა პოლიტიკაში. მაგრამ ეს სრულებითაც არ ავალდებულებს მწერალს, „ახლოს იყოს პოლიტიკასთან“. სხვათა შორის, არც კონგრესში არჩევა ნიშნავს პოლიტიკოსობას. პირადად მე, ძალიან გამიკირდება ჩემი თავის წარმოდგენა კონგრესმენად, რამდენადაც მხოლოდ ერთხელ დავესწარი კონგრესის სხდომას, რათა ოფიციალურად განმეცხადებინა კონგრესიდან ჩემი გამოსვლის შესახებ. ეს იყო და ეს მთელი ჩემი „პოლიტიკური“ მოღვაწეობა. თქვენ ცუდად ინფორმირებული უფრო ხართ, ვიდრე საქმეში კარგად ჩახედული, მაგრამ მაინც ვერ დაგეთანხმებით, „საკმაოდ მებრძოლი“ შესაფერი ეპითეტი იყოს ჩემი „სტატიებისთვის“. ჩემი „სტატიები“ შეიძლება მებრძოლი ბუნებისაა, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ძალიან სცოდავენ თავიანთი წმინდა ლიტერატურული ემოციურობითა და პირდაპირობით. აი, „გარდაქმნისათვის“ წინასწარ შექმნილი „პოლიტიკოსები“ ნამდვილად „საკმაოდ მებრძოლ“ სტატიებს

წერდნენ, მაგრამ ეს ჩვენი საუბრის თემა არ არის...

რაც შეეხება ჩემს მოქალაქეობას, მეც აველუმის მსგავსად, ოლონდ, აველუმზე მეტადაც და აველუმამდეც, მხოლოდ და მხოლოდ, საქართველოს თავისუფალ და სრულუფლებიან მოქალაქედ ვგრძნობ თავს, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს ვერ ვგრძნობ თავისუფალ, სრულუფლებიან სახელმწიფოდ...

ამიტომ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს არავითარი გარდატეხა ქართველი კაცის ხასიათში. ღმერთმა დაიფაროს! ეს უნიკალური ხასიათია. ქართველ კაცს უფლება უნდა მისცენ დარჩეს ქართველ კაცად - დაანახონ, აუხსნან, რა გზებითაა შესაძლებელი დაცემული, გალახული სამშობლოს აღდგენა და, დამერწმუნეთ, შეუძლებელს შეძლებს ანუ, შეძლებს ამ მართლაც მამულიშვილური მისიის შესრულებას. განა, დღეს ვინმე უდგას გვერდში ქართველ კაცს? განა, ვინმე ამხნევებს, ეხმარება შინაური თუ გარეული მტრების ხრიკებში გარკვევას? რა თქმა უნდა, არა...

რაც შეეხება ცნობილი გერმანისტის, პროფესორ ნოდარ კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებულ „გამოხმაურებებს“ „აველუმთან“ დაკავშირებით, საესეებით გეთანხმებით, „საკმარის სოლიდური და საინტერესო მასალაა“. მაგრამ გერმანელ ლიტერატორებსა და კრიტიკოსებზე უკეთესად ნამდვილად ვერ ვიტყვი, თუ როგორ ესმით დასავლეთ ევროპაში ჩემი შემოქმედება და საერთოდ ქართული ლიტერატურა. ალბათ, ზუსტად ისე, როგორც ეს ბატონ ნოდარ კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებულ მასალაში აისახა. ასევე ვერ ვიტყვი დაბეჭდვით, ეროვნულ სატკივრებზე ლაპარაკი ევროპელებს საერთოდ „ემფატიკურ ტონად“ ესმით, თუ უბრალოდ ვერ წარმოუდგენიათ ეს საკითხი რომანის თემად. მე სხვანაირად მომეჩვენა. მე მგონი, გერმანელებს ცოტა შურთ ჩვენი, რაკი მათგან განსხვავებით, თამამად შეგვიძლია ჩვენს ეროვნულ სატკივარზე ლაპარაკი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანელებს ფანატიკური შიში აქვთ, ნაციონალიზმი არ დასწამოთ ვინმემ, არაფერი წამოსცდეთ ისეთი, ვინმე დააეჭვონ, ესენი, მგონი, ისევ მსოფლიო ბატონობას აპირებენო. ეს შიში გასაგებიცაა და, გარკვეული თვალსაზრისით, კეთილშობილურიც. მაგრამ სრულებითაც არ ნიშნავს საერთოდ სამშობლოს სიყვარულის უარყოფას. გარდა ამისა, გერმანულსა და ქართულ ნაციონალიზმს შორის „დიდი მზღვარი“ დევს - განსხვავებული ცნებებია - გერმანული ნაციონალიზმი თავისუფლად შეიძლება ისევ მსოფლიო პრობლემად იქცეს, როცა ქართული ნაციონალიზმი დახმარების მორიდებული თხოვნაა და მეტი არაფერი...

საერთოდ, იდეოლოგიისა არ იყოს, ნაციონალიზმი კი არ არის სახიფათო, არამედ მისი შესაძლებელი პერსპექტივა. კომუნისტური და ფაშისტური, რასისტული და ანტისემიტური იდეოლოგიის შიშით (ყოველ შემთხვევაში, ასე იმართლებენ თავს იდეოლოგიის მოწინააღმდეგენი), საერთოდ ყოველგვარი გეგმის, მიზნისა თუ ოცნების გარეშე დავრჩით. არადა, სახელმწიფოს კი არა. ნებისმიერ ნორმალურ ოჯახს აქვს თავისი იდეოლოგია - იცის, რატომ არსებობს, რითი არსებობს, რისთვის არსებობს... ასევე იცის, როდის რა უნდა გააკეთოს, ვის როგორ მოექცეს, ვისგან ისესხოს, ან ვის ასესხოს თავად ფული... ჩვენ კი ახალი სახელმწიფოს აშენებას ვაპირებთ და არ ვიცით, ან შეგნებულად არ ვამბობთ, როგორი წარმოგვიდგენია ის, ანუ თავისთავად, ალაღბედზე, როგორი შეიძლება გამოვიდეს ბოლოს...

იდეოლოგიის გარეშე ვერც ამერიკის შეერთებული შტატები იქნება ამერიკის შეერთებული შტატები და ვერც ლუქსემბურგი - ლუქსემბურგი. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლუქსემბურგის მოქალაქეებს საერთო თუ აქვთ რამე,

ეს მხოლოდ სამშობლოს სიყვარულია - თავისთავადობის, თვითმყოფადობის, ბუნებრივი და ამდენად აუცილებელი განსხვავებულობის შეგრძნება. ამ შეგრძნების გარეშე, ალბათ, არც ლიტერატურა შეიქმნებოდა. რაკი ყველანი ერთნაირები ვიქნებოდით, აღამიანს არავითარ შემთხვევაში აღარ გაუჩნდებოდა თვითგამოხატვის სურვილი. ლეონისფერი ზღვა თავისთავად მომხიბვლელი ფონია, მაგრამ მნიშვნელოვანი მაშინ ხდება, როცა ოდისეისის მოწაწწალე სული იტვიფრება ზედ: აი, ასეთი ვარ მე! აი, ასეთია ჩემი ხალხი! აი ასე გამოიყურება ჩემი სამშობლო! ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის არსი მსოფლიო ლიტერატურისა. რა მიმდინარეობისაც არ უნდა იყოს, ესა თუ ის ნაწარმოები, რასაც არ უნდა ისახავდეს მიზნად ავტორი, მისი ეროვნულობა, მისი დამოკიდებულება ჯერ სამშობლოსთან და მერე დანარჩენ სამყაროსთან, ყოველთვის იგრძნობა. საწინააღმდეგო შემთხვევაში ლიტერატურის სუროგატთან გვაქვს საქმე. ამის დამალვა არ შეიძლება. მუშაობად მოვხარშავთ შვინდს თუ კომპოტად, ყელეში შევფურევთ თუ ბლანშაჟეში, მის განსაკუთრებულ გემოს ყოველთვის გამოვარჩევთ. მაგრამ, გულწრფელად რომ გითხრათ, ჩემთვის მაინც სულ სხვა თვალსაზრისითაა საინტერესო ბატონი ნოდარ კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული „გამოხმაურებები“ (ალბათ მე რომ მეხება იმიტომ!). ჩემი აზრით, უფრო ალტაცებული ტონი აქვთ გერმანელ კრიტიკოსებს - რაც ფრიად უჩვეულო მოვლენაა და, ამდენად, კიდევ უფრო სასიამოვნოც ჩემთვის - ვიდრე მიმტევებლური, რასაც, სამწუხაროდ, დიდი ხნის შეჩვეულნი ვართ ყველანი. ასე რომ, რომანის სიკვდილზე საუბარი, ცოტა არ იყოს, ნაადრევია მგონია თქვენგან. უფრო სწორად - საკმაოდ დაგვიანებული. ევროპაში ამ ოცდაათიდან წლის წინ მოათავეს ამ თემაზე კამათი. მაგრამ ახლა იძულებული ვარ, თქვენთან ერთად, მიგუბრუნდე ამ თემას. ოღონდ, იმიტომ კი არა, „ბოლოდროინდელი ქართული ლიტერატურის მაგალითზე“ სრულიად სარწმუნო ცნობად რომ მიგაჩნიათ რომანის სიკვდილის ამბავი - (მე მინდოდა, საერთოდ გამომეტოვებინა ეს შეკითხვა, თუნდაც, თავისი არასერიოზულობის გამო) - არამედ, სწორედ გერმანელი კრიტიკოსების გამონათქვამებიდან გამომდინარე. გერმანელი კრიტიკოსების „გამოხმაურებებში“, ძირითადად (რაც, ეტყობა, თქვენ ვერ შეამჩნიეთ), თითქმის ერთსულოვანი თვალსაზრისია გამოთქმული ქართული რომანის, როგორც ლიტერატურული სიახლის თაობაზე. არ დაგვიმალავთ და, ჩემი აზრით, თქვენთვისაც ეს უნდა ყოფილიყო უფრო საინტერესო, ვიდრე ოცდაათი წლის წინანდელი და, რაც მთავარია, მცდარი ჰიპოთეზის გახსენება დღევანდელ ქართულ ლიტერატურასთან დაკავშირებით. სახლში, სადაც, ეს წუთია, ბავშვი დაიბადა, სიკვდილზე არ ლაპარაკობენ. ხოლო, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე თუ ვიტყვით, ქართველებს ერთი მეტად უცნაური თვისება გვაქვს: როცა გვლანძღავენ, ებრაზობთ და როცა გვაქებენ - კიდევ უფრო უარესად. მაგრამ რაკი საუბარი ძირითადად ჩემს რომანზეა, ამჯერად მეტს არაფერს ვიტყვი, თორემ ადვილი შესაძლებელია, სანანებელიც გამიხდეს, საერთოდ რატომ ამოვიღე ხმა-მეთქი. ისე, თუ საინტერესო იქნება ვინმესთვის, რომანის სიკვდილის თაობაზე მეც გამოვთქვი აზრი ამ თხუთმეტიწლიან წლის წინ, მაგრამ მაშინ სულ სხვა მიზეზებმა განაპირობა ამ მრავალგზის გაწვილებული თემის გააქტიულება. როგორც მოგეხსენებათ, სამოცდაათიან წლებში იმდენად გაითქვა სახელი ქართულმა რომანმა, საკავშირო პრესა იძულებული გახდა, მსგავსად „ლათინურ-ამერიკული რომანისა“, შეექმნა სამუშაო ტერმინი „ქართული პროზის ფენომენი“. რასაკვირველია, ეს არც ჩვენი სიყვარულით მოსვლიათ, არც ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით.

უმბრალოდ, ჯიუტი ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ და იგნორირების, არშემჩნევის, წაყრუების გამოცდილი მეთოდი ამჯერად ვეღარ გაამართლებდა - ქართული წიგნი დღითი-დღე იპყრობდა ახალ-ახალ სივრცეებს. ციმბირიელი მოსწავლეები თავისუფალ თემებს წერდნენ მათთვის არა მარტო გეოგრაფიულად, სულიერადაც უცხო ლიტერატურის გმირებზე... აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიაჩნდათ, რომ სწორედ ქართული ლიტერატურა ახდენდა სასურველ ზემოქმედებას მათ ეროვნულ შეგნებაზე... ხოლო ამ პროცესის შესაფერხებლად, რაკი რომელიმე ავტორის გაკრიტიკება-გაკიცხვა კიდევ უფრო გაუთქვამდა იმ ავტორს სახელს, ხელისუფლებამ საერთოდ რომანი განწირა, ჟანრის სიცოცხლისუნარიანობა დააყენა ექვის ქვეშ, ოღონდ, ევროპელი წინამორბედებისაგან განსხვავებით, უაღრესად კონკრეტული მიზნით. თავის დროზე, მეც გამოვთქვი ჩემი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ახლა მეტი გულისტკივილით ავლნიშნავ, რომ მაშინდელ საბჭოეთში გაცილებით გამართლებული იყო ამგვარი თითიდან გამოწოვილი, ქვენა ზრახვებით ჩატარებული ღონისძიებები, ვიდრე დღევანდელ საქართველოში. დღეს ჩვენთან ყველაფერი ხელახლა იბადება (უნდა დაიბადოს). მათ შორის, ლიტერატურაც, რასაკვირველია, თუ ბრმა ტყვიამ არ მოკლა ისიც. დღეს საქართველოში ბრმა ტყვიების ჟამი დგას. ბრმა ტყვიას კი, ყველაფრის მოკვლა შეუძლია - ოცნებისაც. ამიტომ, ყველანაირად უნდა ვეცადოთ, ბრმად არ ისროდნენ ჩვენს ქვეყანაში, არა მარტო ტყვიას, არამედ სიტყვასაც...

ჩვენი მთავარი სისუსტე ჩვენი სიბეცეა, ჩვენი ახლომხედველობა, მიმდინარე პროცესებში გაურკვეველობა და ამის მიზეზიც, ისევ და ისევ, მშობლიური ლიტერატურის უგულვებელყოფაა. ჩვენ ლიტერატურის ქვეყანა ვართ. გვინდა თუ არა, მოგვწონს თუ გვაღიზიანებს, სიმართლე ასეთია. შეიძლება, მსოფლიომ ეს ჯერ არ იცის, მაგრამ ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია. საგანძური თუ არსებობს, მპოვნელი აუცილებლად გამოჩნდება, ადრე თუ გვიან. რაც მთავარია, არაფრით არ შეიძლებოდა შემთხვევით, ბრმად, ალაღბედზე, უმიზნოდ შექმნილიყო უწყვეტი, თხუთმეტსაუკუნოვანი ლიტერატურა. ეტყობა, ასე სურდა განგებას, ჩვენს მფარველ ანგელოზს. ალბათ, ასე იყო საჭირო ჩვენთვის და სრულებითაც არ არის გამორიცხული, სწორედ იქ (ლიტერატურაში) იმალებოდეს ჩვენი უკვდავების საიდუმლო, რაკი სხვა ყველაფერი დაგვაკარგვინა ჩვენმა უტყულობამ თუ სხვათა სიჭკვიანემ: სახელმწიფოებრიობაც, სამეფო დინასტიაც, ნაწილობრივ ენაც, მამულიც, სარწმუნოებაც და არა მარტო საომარი, არამედ სამეურნეო იარაღებიც... წიგნილა შეგვრჩა მხოლოდ, ნამდვილი ჩვენს მიერ და ნამდვილად ჩვენთვის შექმნილი, რომელშიც მტკვარივით მღვრიე, ენგურივით სხარტი, რიონივით უხვი, ბზიფივით ლამაზი, ჭოროხივით ფიცხი, ალაზანივით ღინჯი სიტყვების ნაკადი მიედინება, სტიქიის ბუნებრივობითა და დაუდგრომლობით, და განუწყვეტლივ გვახსენებს ჩვენს ვინაობას, ჩვენს წარმომავლობას, ჩვენს მიერ ჩადენილ უთვალავ შეცდომას და, საჭიროების შემთხვევაში, ანუ, ჯერჯერობით, ყოველ წამს, ჩვენს მიერ უყოყმანოდ გადასადგმელ ნაბიჯს - თავის დადებას ყველაფრისათვის, რაც გვქონდა, რაც დავკარგეთ, რაც შეგვრჩა და რაც უნდა დავიბრუნოთ...

ცხოვრება თავისი გზით მიდის. იცვლება საუკუნენი, წყობილებები, სისტემები, გეოგრაფიული ცნებებიც კი. რუკებიდან ქრებიან უდაბნოები, ზღვები, სახელმწიფოები-ქართული ლიტერატურა კი ვრძელდება. ერთი ადამიანი თუ უსმენს, მწერალს შეუძლია მშვიდად აკეთოს თავისი საქმე. განუზომელია, აუწონავია მნიშვნელობა იმ ერთი ადამიანისა, რომლის თანადგომასაც განუწყვეტლივ გრძნობს ნებისმიერი მწერალი და რომლის თანადგომაც ხელობაზე კი არ უცურებს გულს,



არამედ ავალდებულებს უკეთესად დაეუფლოს ამ ხელობას. ვიდრე საქართველოში ერთი კაცი მაინც წერს და ერთი კაცი მაინც კითხულობს, მართლა შეიძლება ყველაფერი დავიბრუნოთ, არა მარტო მიწები, არამედ ზნეობაც!

წინასწარ არაფრის თქმა არ მიყვარს, მაგრამ ქართული მწერლობა ხვალაც რომ ღირსეულად გააგრძელებს თავის მარადიულ გზას, უკვე ნათელია. ნუ ვიქნებით მსაჯულნი, მაგრამ ვალიართ, რომ დღეს საქართველოში ნამდვილი წიგნიც იწერება, მიუხედავად ცრუ ლიტერატურის, ანტილიტერატურის, ყვითელი თუ შავი ლიტერატურის არნახული მოზღვაებისა. ამიტომ, ჩემი დიდი სურვილი იქნება, რაც შეიძლება მალე იგარძნონ ჩვენმა ახალგაზრდა მწერლებმა, სისხლხორციელი, აუცილებელი წევრები რომ არიან ქართული მწერლობისა, ქართველი მწერლების დიდი ოჯახისა; რაც შეიძლება მალე დადგენენ იმ ერთადერთ პოზიციაზე, რომელზედაც აუცილებლად უნდა იდგეს ქართველი მწერალი (ჯერჯერობით მაინც!), თუნდაც, ჩვენი ბედისა და უბედობის გამო. ახალი გზების ძიება არა თუ კარგია, საჭიროცაა. მაგრამ ყველა გზას მაინც იქ უნდა მივყავდეთ, სადაც ჩვენი საერთო, ჩვენი მშობლიური ლიტერატურის მთავარი გული ფეთქავს...

ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს, ჯერჯერობით, ქართული მწერლობის ქვეშევრდომობა არ მიუღიათ, ანუ, ქართულად კი წერენ, მაგრამ ყველანაირად ცდილობენ თავიანთი განცდებით არ გამოირჩეოდნენ დანარჩენი მსოფლიოსაგან. არადა, მხოლოდ განცდათა განსხვავებულობა, თავისებურება ანიჭებს ლიტერატურას ეროვნულობასაც და, სხვათაშორის, მნიშვნელობასაც....

ლიტერატურის ერთადერთი დანიშნულებაა, აუცილებლად თქვას რაღაცა. რამდენად მნიშვნელოვანია მისი ნათქვამი, ეს სხვა საკითხია. მთავარია, აუცილებლად გავიგოთ, რას გვეუბნება, რას გვაუწყებს, რას გვიმხელს, რას შემოგვჩივის, ბოლოს და ბოლოს... სიტყვა ერთადერთი და საკმაოდ ბნელი გვირაბია, რომლის მეშვეობითაც სამყაროს ეუკავშირდებით, ჩვენი არსებიდან თავდალწეულნი, და რომლის მეშვეობითაც ისევ ჩვენს არსებაში ვბრუნდებით, მარად ამოუცნობი სამყაროდან, ოღონდ უფრო უკეთესნი, ვიდრე „გამგზავრებამდე“ ვიყავით, უფრო მეტის მცოდნენი და მეტის ამტანნიც, სიტყვის მარადიულ, მარად ცოცხალ წიაღში გამოვლილნი... მერე რა მოხდა, თუკი „ახალი თაობის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელიც ნოვატორობის დანერგვას ცდილობს, რაღაც ახირებული მოსაზრებით, უფროსი თაობის თხზულებებს არ კითხულობს?!“ მით უარესი მისთვის. მაგრამ არა მგონია, მართლა ასე იყოს. ნებისმიერმა ახალგაზრდამ, რომელიც „ნოვატორობის დანერგვას ცდილობს“, უნდა იცოდეს რამდენად შეესაბამება სინამდვილეს მისი კეთილშობილური მიზანი, ანუ, უნდა იცოდეს, ღია კარს ამტკრევს, ქარის წისქვილებს ეომება თუ ნამდვილად ქმნის რაღაცას, რისი მსგავსიც არაფერი გაქაჩანებულა ქართულ ლიტერატურაში....

მაგრამ ვიდრე „ახალი თაობის ზოგიერთ წარმომადგენელს“ გავამტყუნებდეთ მშობლიური ლიტერატურის უცოდინარობაში, სჯობს საკუთარი უმაქნისობა ვალიართ. განა, ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა მოწოდების სიმალლეზე დგას?! განა, სანდო და, რაც მთავარია, მიუყვარძოებელი მეგზურია ქართული ლიტერატურის ლაბირინთში მოხვედრილი ახალგაზრდა კაცისათვის?! ჩვენ, ალბათ, ერთადერთი ქვეყანა ვართ, სადაც ცრუ კრიტიკოსის ფენომენი არსებობს და დიდი წარმატებითაც მოქმედებს. საბჭოთა ხელისუფლებას ბევრი ცოდვა ადევს, მაგრამ მისი მთავარი ცოდვა მაინც ადამიანის სულიერი დასახიჩრებაა. რაც მთავარია, საბჭოთა იდეოლოგია თავის ბინძურ საქმეს მშობლის ხელით აკეთებდა, გულუბრყვილო მშობლისა, რომელიც

ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ჯერ იძულებული გახდა ნებისმიერი გზითა და საშუალებით „გაენათლებინა“ თავისი შვილი, მერე კი, სამშობლოს სამსახურის ნაცვლად, პირადი კეთილდღეობა დაესაბა მიზნად „განათლების გზაზე“ შემდგარი შვილისთვის, რის შედეგადაც შეიქმნა კიდევ უფრო მყარი და ნოყიერი ნიადაგი ყველანაირი ანტიპოდის მისაღებად: მწერალს ცრუ მწერალი დაუპირისპირდა, კრიტიკოსს - ცრუ კრიტიკოსი, ექიმს - ცრუ ექიმი, მასწავლებელს - ცრუ მასწავლებელი, მღვდელს - ცრუ მღვდელი, გლეხს - ცრუ გლეხი, პოლიტიკოსს - ცრუ პოლიტიკოსი, მამულიშვილს - ცრუ მამულიშვილი, პატიმარს - ცრუ პატიმარი და ასე შემდეგ, ასე შემდეგ. გუშინ და გუშინწინ ყველანი შეგუებულნი ვიყავით ამას. მაინცდამაინც, არც დღეს გვგხამუშება. მაგრამ ხვალ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიცხოვროთ ასე, თორემ, როგორც თავის დროზე კომბალი და ნამგალი გაგვაგდებინეს ხელიდან და როგორც ახლა ვაზის სასხლავ დანასაც გვაგდებინებენ, ისევე გაგვაგდებინებენ კალამს. ჭკეყანა სხვა არაფერია: შენი პური და შენი ღვინო უნდა მოგყავდეს, სხვებს რომ არ შესცქეროდე ხელებში, და შენს თავადასავალს წერდე აუჩქარებლად, შეულამაზებლად, კეთილსინდისიერად...

ასე რომ, მწერლობაში არც სარეკომენდაციო ბარათებით შეიძლება მოსვლა, არც ბრმად და ალაღებდზე. ეს მკვეთრად გამოკვეთილი მიდრეკილებისა და მოურეველი სურვილის აღსრულებაა. მწერლობაში მოსვლას თუ აპირებ, საამისოდ ემზადები კიდევ - ჩუმად, ჯიუტად, ხანგრძლივად, წლების განმავლობაში - როგორც რომელიღაც საგანგებო დანიშნულების რაზმის მებრძოლი. უკვე წინასწარ გაყვს შერჩეული ნიშანსვეტები, რომლებსაც უტოლდები ან ეჯიბრები. ესე იგი კითხულობ კიდევ. კითხვა გვაძლევს ცოდნას. როცა სიტყვას ვწერთ, გარკვეული, თუნდაც, მხატვრული თვალსაზრისით, ეს მისი შემოსვაცაა, რასაკვირველია, ჩვენი გემოვნებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. ზოლო, კითხვისას, სიტყვა შიშვლდება და იქამდე დამალულ უამრავ საიდუმლოს გვიმხელს უნებურად...

ნოვატორი მხოლოდ იმ ლიტერატურისთვის შეიძლება იყო, რომლითაც აღიზარდე. შენ თუ მხოლოდ ლიტერატურის, ან მხოლოდ ჯოისის, ან მხოლოდ მილერს კითხულობ, რასაკვირველია, ქართულ ლიტერატურაში თეთრი ვირივით გამოირჩევი, თანაც, ცუდი გაგებით. ამიტომ, ყველაფერს უნდა კითხულობდე და კითხულობ კიდევ, ხარბად, დიდი ინტერესითაც... ყოველ სიტყვას ლოკავ, როგორც ერთ-ერთ ფილმში მშვიერი ჩარლი ჩაპლინი-ლურსმანს. ოღონდ, შენ შიმშილს კი არ იკლავ, იწაფები, ვარჯიშობ, დიდი ბრძოლებისთვის ემზადები... ამიტომაც, არც კრიტიკის დაბალმა დონემ უნდა შეგაკროთ, არც უფროსი თაობის წარმომადგენელთა „უყურადღებობამ“. დარწმუნებული იყავი, ისინიც ხარბად და, ამავე დროს, დიდი იმედით კითხულობენ შენს ნაწარმოებსაც. მწერლობა მარტოსულთა ხელობაა და, რაც მთავარია, არავინ გვაუაღებლებს, არავინ გვაიძულებს მის არჩევას. ვინც ამ გზაზე დგება, ან გიჟია, ან გმირი. გინდაც მარადიულ ომში წასულხარ მოხალისედ და გინდაც კალმისთვის მოგიკიდია ხელი. ქართული მწერლობა, ბუნებისა თუ განგების ნებით, ცის კაბადონზე ერთხელ და სამუდამოდ დავანებული თანავარსკვლავედი კი არ არის, არამედ ცას მომწყდარი და ჩვენს საარსებო სივრცეში უთავბოლოდ მიმოფანტული, ობლად მბრწყინავი ნამსხვრევებია ცალკეული ვარსკვლავებისა, ვარსკვლავების მტვერი, რასაც ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე აგროვებს თავისი გამოუხუნებელი ჩოხის კალთაში, მინდვრის მხალივით, ანდა ტყის ხილივით, და იმით იკლავს გამწარებული სულის შიმშილს. დიახ, იკლავს, დღესაც! რადგან უკეთესი საკვები სულისა არც



დღეს გააჩნია. ტყუილად ნუ მოვიტყუებთ თავს. მაგრამ უარესად რომ არ დაეძაბოთ დღევანდელი ჩვენი „ლიტერატურული ატმოსფერო“, მხოლოდ ერთ გულისტკივილს გამოვთქვამ კიდევ და თანაც ლიტერატურის ყველაზე უღირს მტერზე, ნიჰილიზმზე, რომელიც, სხვათაშორის, „ლიტერატურულ ატმოსფეროში“ უფრო სუფევს, ვიდრე თავად ლიტერატურაში...

ნიჰილიზმი სახიფათო სენია. პირველ რიგში, სიცოცხლის ხალისს კულავს ადამიანს, შიდასივით, რადგან ლიტერატურა თავისი ბუნებით იმუნიტეტის გამაძლიერებელი, იმედის მომცემი, გამამხნევებელი და ჭირში გვერდით დამდგომი ნათესავია ადამიანისა. თუმცა, ლოტრეამონის, ჭოისის, კაფკასა თუ მილერის მსოფლიოს, რასაკვირველია, ნიჰილიზმით ველარ გააკვირვებ. სამაგიეროდ, მე მიკვირს, მე მალეღვებს, რატომ უნდა იყოს დღევანდელი ქართველი მწერალი (ქართველი მწერალი განსაკუთრებული სახეობაა მწერლისა) ასეთი უიმედო, ასე ცინიკურად განწყობილი არა მარტო სხვისი, საკუთარი შემოქმედების მიმართაც. ჩვენ ზომ დღეს ერთხელ კიდევ მოგვეცა გადარჩენის შანსი?! ნიჰილიზმი ცხოვრებამოყრჩეული ხალხის სენია და არა ჭერ კიდევ გადასარჩენი და გადარჩენისთვის მებრძოლისა. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე, ღრმად ვიყავი დარწმუნებული, ყველაფერი პირიქით იქნებოდა: ყველას ყველა გვეყვარებოდა, ყველანი აღტაცებულნი ვიქნებოდით ერთმანეთის ამტანობითა და გამძლეობით, ერთმანეთს მოვბანდით ნაბორკილარ ხორცს, მოვაგროვებდით, შევაკოწიწებდით დროჟამის დაუნდობელი ხელით დაფხრეწილ ჩვენს საერთო სურათს და ისევ ერთმანეთის იმედით, ერთმანეთის წაქეზებით დავიწყბდით დაკარგულის დაბრუნებას, დანგრეულის აღდგენას, დღის სინათლეზე გამოსვლას, რათა, ბოლოს და ბოლოს, ენახა მსოფლიოს ჩვენი ქეშმარიტი სახე - ასაკისგან დანაოჭებული, დარდისგან დაღარული, ჭრილობებით დასახიჩრებული და მაინც ადამიანობის მაღლით განათებული... უიმედობა მწერლისგან უფრო გასაკვირია ჩემთვის, ვიდრე, ვთქვათ, გლეხისაგან, რომელსაც ისიც ვერ შეუგნია, მამაპაპურ საქმიანობაზე ხელის აღება იგივე თვითმკვლელობას რომ ნიშნავს მისთვის, იმიტომ, რომ ცხოვრებისაგან დაბნეული, ამინდზე მეტად, განმგებლის გუნება-განწყობაზეა დამოკიდებული, ხან ვახს ახარებს, ხან საზამთრო მოჰყავს ნავენახარზე... მწერალი არ შეიძლება ასეთი ყოყმანა იყოს - არც ლექსი იჰმევა მისი, არც რომანი. მაგრამ მხოლოდ მას შეუძლია დაიცვას, გნებავთ, მხოლოდ მას შეუძლია ემსახუროს იმ აბსტრაქტულ რელიგიას, საიდანაც ადამიანობის მაღლი იბადება. სხვამ რამ უნდა აიძულოს კალმის ხელში აღება, თანაც დღეს, როცა საზამთრო გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე მისი ნამოღვაწარი; როცა რუსთაველსაც უბზუებენ ცხვირს „გამამერიკელებული“ გუშინდელი საბჭოელი ვიგინდარები...

ასე რომ, ვინც დღეს ქართულ მწერლობაში ნოვატორობის დანერგვას ცდილობს (ნამდვილად ვერ ვხვდები, ვის გულისხმობთ), ღრმად ვარ დარწმუნებული, ძირის-ძირამდე აქვს წაკითხული, რაც კი ქართულ ენაზე დაწერილა. მე თუ დამიჯერებს, სწორადაც იქცევა. ნოვატორობა, კარგი გაგებით, ტრადიციის გაგრძელებაა. თუ ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს არ ეწყინებათ (მე პირადად, არ ვთვლი საწყენად, თორემ, არც ვიტყოდი), მათ ნაწერებს სწორედ მშობლიური ლიტერატურის გავლენა ეტყობა უფრო მკვეთრად, ვიდრე მათთვის, ალბათ, უფრო სასურველი უცხოურისა. ერთადერთი უცხოელი მწერალი, რომელიც აშკარად ცხოველყოფელ გავლენას ახდენს მათზე, ჭოისია, ოლონდ, ყასაშვილის მიერ გაქართველებული და, ამდენად, გარკვეული თვალსაზრისით, ისიც მშობლიური. მთელი ჩემი პასუხისმგებლობით

შემიძლია განვაცხადო - რასაკვირველია, როგორც მთარგმნელობითი ოსტატობის მრავალი თვალსაჩინო მაგალითის, ისევე ელემენტარული ჩავარდნის გათვალისწინებით - რომ ნიკო ყიასაშვილმა შექმნა განსაკუთრებული, ანუ, უაღრესად ქართული ჯოისი, როგორც თავის დროზე, მაჩაბელმა - ქართველი შექსპირი. ჯოისი ჩვენმა ახალგაზრდობამ მშობლიურებით აიტაცა. მაგრამ ესეც დროის ფაქტორია, ასაკის თვისება. ჩვენს თაობაზე, მაგალითად, არანორმალურ გავლენას ახდენდა ჰემინგუეი. იმდენად მოქმედებდა არათუ ჩვენს ფსიქიკაზე, არამედ ცხოვრების წესზეც, ბევრი ჩვენგანი ყველანაირად ცდილობდა, ერთდროულად დამსგავსებოდა, როგორც თავად ჰემინგუეის, ისევე მის ნაწარმოების გმირს. გარკვეულ ასაკში ყველანაირი გავლენა მხოლოდ სასარგებლოა. მთავარია, სამუდამოდ არ დავრჩეთ გავლენის ტყვეობაში. ახალგაზრდებს (მით უფრო - მწერლებს!) საერთოდ ახასიათებს განსაკუთრებული ლტოლვა უცნაურისკენ, უჩვეულოსკენ... ამავ დროს, ბევრი რამ მხოლოდ მათთვის არის უცნაურიცა და უჩვეულოც, მათივე ახალგაზრდობის გამო. თუმცა, ამგვარი მისწრაფება მარადიული, აუცილებელი განახლებითაა განპირობებული და არც დასაძრახია, არც სახიფათო. საყმაწვილო სენივითაა, რომლის მოხდა, კაცმა რომ თქვას, აუცილებელიცაა. ჯოისი, რა თქმა უნდა, სიტყვის ჯადოქარია, მაგრამ მისი ყველა მხატვრული ილეთი, მისი მეტაფორების ფოიერვერკი, დიდი ლიტერატურული ტრადიციების გამოსავლენად, გასანათებლადაა გამიზნული და არა პირიქით. პირიქით, უბრალოდ, არ შეიძლება. ვიდრე ადამიანი იარსებებს, ყოველთვის საჭირო იქნება მისთვის ვარდზე მკენესავი ბუღბუღი... ჩვენი ახალგაზრდა მწერლები, ჯერჯერობით, დაბნეულები არიან და მათი დაბნეულობა სრულებითაც არ არის უსაფუძვლო. უდიდესი გარდატეხების წინაშე ვდგავართ ყველანი (სხვათაშორის, დღეს გაირკვევა, ვართ თუ არა ამ ქვეყნად არსებობის ღირსნი - ახლა მაინც ვიბრძოლებთ თავისუფლებისათვის, თუ მონობით მოპოვებულ კეთილდღეობას დავერდებით ისევ). მთავარია, საერთოდ არ გადავეჩვიოთ მშობლიურ ენაზე ფიქრსა და ოცნებას. ნებისმიერი ახალგაზრდა, რომელიც დღეს ქართულად წერს (არიან სხვა ენებზე ხელის გაწაფვის მსურველნიც), თვალის ჩინივითაა გასაფრთხილებელი. წერონ, გაიწაფონ ხელი და თვალის თვისთავად აეხილებათ, დროთა განმავლობაში, აუცილებლად. როგორც უკვე ვთქვით, ბევრი რამ ასაკობრივია მათ შემოქმედებაში, ბევრი ძველთან დაპირისპირების მარადიული ჟინითაა აღძრული, რასაც ჩვენი საერთო გაურკვევლობის ბურუსიც ემატება. ჩვენ ხომ ჯერ ისიც არ ვიცით წესიერად, რას უნდა დავუპირისპირდეთ მართლა და რას უნდა დავუჭიროთ მხარი. დები იშხნელები ძველი გვეონია, პავლიაშვილი - ახალი. მაგრამ ამაშიც უფროსები უფრო ვართ დამნაშავენი. ეტყობა, რასაც ვამბობთ, მთლად გასაგებად ვერ ვამბობთ, ანდა იმას არ ვამბობთ, რისი მოსმენაც ჩვენგან უნდათ. პირველ შემთხვევაში, შემიძლია არა მარტო გაუგო, არამედ რალაც-რალაციებში დავეთანხმო კიდევ ახალგაზრდებს, რაც საგნებით გამორიცხულია მეორე შემთხვევაში. პირიქით, ვიდრე ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის ბედი არ გარკვეულა, ვიდრე ჩვენს არსებობას არ აღიარებს და არ შეგუება დანარჩენი მსოფლიო, მსოფიანაც და ახალგაზრდამაც ჯიუტად და უსასრულოდ უნდა იმეოროს წინაპართა დანაბარები - ლექსადაც და პროზადაც...

მაგრამ რასაც ახლა ვლაპარაკობ, უმაღლესი იმედის მომცემია, ვიდრე საგანგაშო. საგანგაშოდ ნამდვილად არა გვაქვს საქმე. უბრალოდ, ვისურვებდი უფრო მეტი ყოფილიყოს დებიუტანტთა ნოვატორული ცდები. ბევრი მწერალი არც გუშინ გვყოლია, არც დღეს გვყავს და, ალბათ, არც ხვალ გვეყოლება. ამიტომ, როგორც



ყველა სხვა საქმეში, მწერლობაშიც მეტი მოგვეთხოვება. უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ შრომას, განუწყვეტელი წვრთნისა და თვითგანათლების პროცესს. თავშეკავება და მოთმინება უაღრესად საჭირო თვისებებია მწერლისათვის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ერთი მოთხოვრებით ამოწუროს ახალგაზრდა მწერალმა მთელი თავისი შესაძლებლობები...

ქართულ მწერლობაში თვალნათლივ იკლო ბედის მაძიებელთა რიცხვმა. ვერ ვიტყვი, რისი მაუწყებელია ეს, მაგრამ ნამდვილად ცუდია, მათ მაგივრად შურის მაძიებელთა მომრავლება. ბედის მაძიებელი შურის მაძიებელმა შეცვალა და ესეც, რასაკვირველია, დრომ განაპირობა. და მაინც, გულსაკლავი სანახაობაა, როცა ახალგაზრდა კაცი ცხოვრების კიბეზე ამალგებას მშობლიური ლიტერატურის დაკნინებით ცდილობს. ამის ახსნა ორნაირად შეიძლება: „შურისმაძიებელთა“ უნიჭობით, რომელსაც ნამდვილად არ გააჩნია ალტერნატივა, და ლიტერატურის, როგორც ხელოვნების დარგის, თანამიმდევრული იგნორირებით, არა მარტო ჩვენში, საერთოდ, და, თავისთავად ცხადია, თანამედროვეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით. მაგრამ თანამედროვეობა ხვალ წარსულად იქცევა, ჩვენი ახალგაზრდა დებიუტანტები კი, უკვე თავად შეებმიან ქართული მწერლობის თხუთმეტსაუკუნოვან უღელში... სიყმაწვილე გაივლის, ვნებები დაცხრება, ილუზიები გაქრება და დარჩება საქმე, საქმე და მოვალეობა. მწერლის მშობლიური სახლი რეალობაა. ხოლო სხვა, ათასნაირი ლიტერატურულ-ფილოსოფიურ-ზნეობრივი მიმდინარეობები წარმოდგენილი ანდა სულაც ზღაპრული, დასიზმრებული ქვეყნებია, სადაც მწერლობის უძღვები შვილები გარბიან, მაგრამ მათ შორის უკეთესნი, გარკვეული დროის შემდეგ, ანუ, უაზრო და უშედეგო წანწალის შემდეგ, ისევ მშობლიურ სახლს უბრუნდებიან. ასე რომ, პირადად ჩემთვის, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რა გზით მოხდება „ქართული ლიტერატურის თვითგანახლება“ - „ნეოავანგარდისტულ-მოდერნისტულ ბურუსში გაიკვლევს გზას, თუ კვლავ კლასიკის წიაღში ეცდება ორიენტირების მოძებნას“. ისე, მე რომ მკითხოთ, ცოტა უხერხულიცაა ასეთი მაღალფარდოვანი ლაპარაკი ნოვატორობაზე, მოდერნიზმზე და, მით უფრო, კლასიკაზე, როცა აზრი ვერ გამოგვითქვამს გასაგებად, წერილი ვერ მიგვიწერია ახლობლისთვის, საჩივარი ვერ შეგვიტანია სასამართლოში, სიყვარული ვერ აგვიხსნია გოგოსთვის, დედა ვერ შეგვიგინებია მტრისთვის ჩვენს მშობლიურ ენაზე. ეტყობა, გვიჭირს, ვერ ვეგუებით ერთი ენით ცხოვრებას, გვეცოტავენ, რაკი თავიდანვე ორენოვნებას მიგვაჩვია ჩვენმა გულდრძო წარსულმა. კონსტიტუციაში კი ჩაწერეთ (ჩაწერილი ადრეც გვქონდა, ფიქტიურ კონსტიტუციაშიც), მაგრამ ცხოვრებაში ვერ იქნა და ვერ მივანიჭეთ ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი. ჩვენს თვალწინ და, რასაკვირველია, ჩვენი ხელის შეწყობითაც, ყოველ წამს იბადებიან ახალ-ახალი ფონეტიკური თუ სინტაქსური ურჩხულები და დაუნდობლად თქვლევენ და აჩანაგებენ ჩვენს ერთადერთ იარაღს, დამფრთხალი მოყვასის გასამხნეველსაც და თავგასული მტრის მოსაგერიებელსაც. ძნელი სათქმელია, ტელევიზია უფრო ლმობიერია ამ სამარცხვინო მოვლენის მიმართ, თუ პრესა. ამის ბრალიცაა ჟარგონებისა და კილოკავების ამგვარი აღზევება, რაც, ცოტა არ იყოს, სახიფათო ცდუნებაა მწერლებისთვის. სხვებზე ცოტა ჭკვიანი და სხვებზე არანაკლებ ნიჭიერი მწერალი, შეიძლება, ერთბაშად იქცეს „მოღურ მწერლად“, რამდენადაც ჟარგონი და კილოკავი, ასე ვთქვათ, ყველასათვის ერთნაირად ხელმისაწვდომი სიამოვნებაა. ჩვენი კრიტიკოსები ნებისმიერი თვალსაზრისით არჩევენ ხოლმე ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებს, მაგრამ არასოდეს არ არჩევენ

(ყოველშემთხვევაში, მე არ მინახავს), წმინდა მხატვრული და წმინდა ენობრივი თვალსაზრისით. ვაჟა-ფშაველას მერე, არც გამიგია, ენა დაეწუნებინოთ ვინმესთვის. არადა, ელემენტარული ენობრივი ლაფსუსის (ვთქვათ, „ბოდინით“, ანდა, „გაყოფაშია“) დამკვიდრება, გაცილებით დიდი ბოროტებაა, ვიდრე ბილწსიტყვაობა. რაღა თქმა უნდა, ბილწსიტყვაობა არც თვითმიზნად უნდა იქცეს და არც ნაწარმოების მთავარ სამკაულად. გარკვეული დოზით, შეიძლება, აუცილებელიც აღმოჩნდეს. ყოველშემთხვევაში, ყველა ის მწერალი, რომლებსაც მე პატივს ვცემ, განსაკუთრებული სიმორცხვით არ გამოირჩევა ამ საქმეში. ნაწარმოების გაკრიტიკება მხოლოდ ბილწსიტყვაობის გამო, შეიძლება ისევ ლიტერატურისათვის აღმოჩნდეს საზიანო, მით უფრო დღეს, როცა ასე საბედისწეროდაა დაცემული, როგორც კულტურის, ისევე განათლების საერთო დონე. ადვილი მოსალოდნელია, ჩვენდა უნებურად, იმის პოპულარიზაცია გამოგვივიდეს, რასაც ვითომ ვგმობთ. დღევანდელი „წიგნის მომხმარებელი“ ხომ ძირითადად იმიტომ ფურცლავს წიგნს, იქნებ რამე უხამსობას გადავაწყდეთ. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ (ოლონდ, სხვა ეპოქაში), ერთი სამედიცინო წიგნი, რომელიც სრულებითაც არ იყო განკუთვნილი ფართო მასებისათვის და საკმაოდ ძვირიც ღირდა, გამოსვლისთანავე, სანთლით საძებარი გახდა, მხოლოდ იმიტომ, ხალხური სახელით რომ იყო იქ მოხსენიებული მამაკაცის სასქესო ორგანო. ლიტერატურა ერთი კაცისათვის იწერება, ოლონდ, იმ იმედით, სხვებიც რომ წაიკითხავენ როდისმე. ხოლო, რაც ფართო მასებისათვისაა განკუთვნილი თავიდანვე, ვერასოდეს დააკმაყოფილებს ერთი კაცის გემოვნებასა და მოთხოვნილებას. ამიტომ, ჩემი ღრმა რწმენით, ქართული ლიტერატურა თვითგანახლების გზას, რასაკვირველია, ჩვეულებისამებრ, გნებავთ, მსგავსად ნებისმიერი სხვა ლიტერატურისა, ახლაც ნეოავანგარდისტულ-მოდერნისტულ ბურჟუსში დაუწყებს ძებნას, მაგრამ ბოლოს ისევ კლასიკის წიაღში მიაგნებს...



შოთა ზორიძე



სოსფარყანელთა ორდენის წევრი

„ერთ დღეს ორი დეპეშა მივიღე, ორივე თბილისიდან. პირველი გამოგზავნილი იყო გიორგი ლეონიძის მიერ: „23 ნოემბერს, გიორგობას, ქორწილს ვიხდი, ჩამოდი“.

მეორე დეპეშას ხელს აწერდნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და შალვა აფხაიძე. დეპეშა ასეთი შინაარსისა იყო: „23 ნოემბერს გოგლას ქორწილია, აუცილებლად ჩამოდი. მოგელით“.

ძლიერ კარგი შემოდგომა იდგა. ფოთოლცვენაა. ოქროს დღეები... დეპეშებმა მოულოდნელობა და სიხარული მომიტანეს“.

მგონი მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ეს არის მოგონებების ფურცელი, რომელსაც ჩვენი საუკუნის ქართული მწერლობის სათავეებთან გადაყვართ, მაგრამ წინასწარ ვერ გამოიცნობს, რომ მისი ავტორია ცისფერყანწელთა ორდენის წევრი, გამოჩენილი ქართველი პოეტი კოლაუ ნადირაძე. ზემოთ მოტანილი სტრიქონები მისი მოგონებების წიგნიდან („რაც ლექსად ვერ ვთქვი“) ამოვიწერე. ახლა უკვე მსკოვანი პოეტი ოსტატურად აცოცხლებს ჩვენი ლიტერატურული სამყაროს შორეულ ამბებს, რომლებზეც ამ წიგნის გარეშე მასობრივ მკითხველს ხელი არ მიუწვდებოდა. მას შემდეგ, რაც სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებში ქართული მწერლობის რიგებს ზედიზედ გამოაკლდნენ უხუცესი წარმომადგენლები, - კოლაუ ნადირაძე, შეიძლება ითქვას, ერთადერთი, უკანასკნელი მოჰიკანია იმათაგან, რომლებიც XIX საუკუნეში დაიბადნენ. ალბათ ამიტომაც არის, რომ მისი კოლორიტული პიროვნება, მისი უბრალოდ ხსენებაც კი ჩვენში ისეთ ასოციაციებს აღძრავს, როგორც გასული საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა სახელები. მეათე ათწლეულში გადამდგარი პოეტის გული საესეა ტკბილ-მწარე მოგონებებით. მწარე იმიტომ, რომ ამ ხნის მანძილზე ბევრი გულითადი ადამიანი დაკარგა.

1960 წელს დაწერილ ლექსში „მწერალთა სასახლის ბაღში“ ამ სევდიანი ფიქრის აღმძვრელი სტრიქონებია:

ვზივარ სულ მარტო და ისე ჩუმად,
როგორც ჩუმია საღამო წყნარი,
და ვიმეორებ ჩურჩულთ ჩემთვის
იმათ სახელებს, ვინც აღარ არის.

პოეტის მოგონებების წიგნი „რაც ლექსად ვერ ვთქვი“ სწორედ იმათი გახსენებაა, ვინც აღარ არიან - პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, გალაკტიონ ტაბიძე, გერონტი ქიქოძე, სანდრო ცირეკიძე, იოსებ გრიშაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, სანდრო შანშიაშვილი, მიხეილ ჭავჭავაძე, შალვა დადიანი, პავლე ინგოროვცა, შალვა კარმელი და ბევრი სხვა.

„ცხრა წლისა შემეფანეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მოსამზადებელ განყოფილებაში, - იგონებს პოეტი - მეორე თუ მესამე კლასიდან იწყება პაოლო

იაშვილის, ტიცთან ტაბიძისა და ჩემი მეგობრობა. პირველ კლასში ვიყავი, როცა მაიაკოვსკის გავეცანი“.

მკითხველმა იცის, რომ ყველა მათგანი კოლაუ ნადირაძემ სიჭაბუკეშივე დაიტირა. ამიტომაც ვთქვი, ტკბილ-მწარეა-მეთქი მისი მოგონებები.

თხუთმეტი წლის კოლაუ ნადირაძე ხარბად ეწაფება ქართული პოეზიის კლასიკურ ნიმუშებს. შოთა რუსთაველი, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა გულით შეიყვარა. პარალელურად ეცნობა ტიუტჩევის, პუშკინის, ლერმონტოვის ლექსებს, ხოლო გვიან ფრანგ პარნასელებს და სიმბოლისტებს. ბოდლერი, ედგარ პო, ვერლენი, მალარმე, არტურ რემბო, ლაფარგი, მეტერლინი, როდენბახი, ოსკარ უაილდი მისი გატაცება გახდა. ეს ყველაფერი დეტალურად აისახა პოეტის „ავტობიოგრაფიაში“, რომელიც 1971 წელს გამოცემულ ერთტომეულს ერთვის.

აი კიდევ ერთი ციტატა პოეტის ავტობიოგრაფიიდან, რომელიც მშობლებთან ერთად მისი ზესტაფონში ყოფნის პერიოდს ეხება: „მინახავს ჩვენთან სტუმრად მოსული აკაკი წერეთელი, რომელსაც მამაჩემიც აქიმობდა. ორჯერ მოსულა აკაკი ჩვენთან ვარინკა წერეთლისა და ერთხელაც ელისაბედ წერეთლის თანხლებით...

დამამახსოვრდა ერთი საუბარი აკაკისა და მამაჩემს შორის:

-გალაკტიონ, ეგ შენი ვაჟი ჩუმ-ჩუმად ლექსებს ხომ არ წერს? რატომღაც ეჭვი მეპარება... - ამბობს აკაკი და ლიმილით სახეს ჩემსკენ აბრუნებს.

- ო, არა, ბატონო აკაკი, არა, ამას როგორ გაბედავს!

- როგორ ვერ გაბედავს, ძვირფასო გალაკტიონ, როგორ ვერ გაბედავს!

ცხონებულ მამაჩემს, რატომღაც, ეგონა ვერ გაგებდავდი, მაგრამ, როგორც ხედავთ, გაგებდე და დავილუპე“.

კოლაუ ნადირაძის ბავშვობისდროინდელმა ბედნიერმა შემთხვევამ და შთაბეჭდილებებმაც შემოგვინახა დიდი აკაკის ზეესური სახე და საუბრის ფრაგმენტი. მართო ის რად ღირს, რომ მომავალ პოეტს წილად ხვდა ბედნიერება აკაკის მუხლებზე ჯდომისა და მისი გულითადი მოფერებისა.

მას შემდეგ, რაც ექსტრენად დაამთავრა კლასიკური გიმნაზია, 1912 წელს მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში შევიდა. ჭაბუკი პოეტი ხშირად ჩადის პეტერბურგში. იგი იგონებს:

„არ გამომიტოვებია თითქმის არცერთი ლიტერატურული საღამო, სადაც მონაწილეობდნენ ბალმონტი, ბრიუსოვი, ბელი, ახმატოვა, ბუნინი, ივანოვი და ვოლოშინი. ხშირად ვესწრებოდი რახმანინოვის კონცერტებს, აგრეთვე ოპერებს შალიაპინის, სობინოვისა და ნეჟდანოვას მონაწილეობით, კარგად მახსოვს უკვე მოხუცი ბატისტინის გამოსვლები ზიმინის თეატრში. მიყვარდა სამხატვრო თეატრის დადგმები ჩეხოვის, იბსენის და მეტერლინკის პიესებისა“.

ბუნებრივია, ასეთმა გარემომცემმა კეთილმოყვანილი გავლენა მოახდინა და შთაბეჭედავი დალი დასვა მეოცნებე ჭაბუკი პოეტის სულს.

მამის ავადმყოფობის გამო მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნდა ისე, რომ უნივერსიტეტი აღარ დაუსრულებია. ეს იყო 1917 წელს. აქედან იწყება მისი აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება. პირველი ლექსი „ავზნიანი ქალაქი“ 1916 წელს დაბეჭდა ჟურნალ „ცისფერ ყანაში“, ხოლო 1920 წელს გამოსცა პირველი კრებული, რომელსაც „ბალდახინი“ შეარქვა. ოციანი წლებიდან კოლაუ ნადირაძე XX საუკუნის ქართული პოეზიის ერთ-ერთი მშენებელი გახდა.

ცისფერყანწელთა ჯგუფის წევრები ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი,

ტიციან ტაბიძე, სანდრო ცირეკიძე, გრიგოლ ჯაფარიძე, ლელი ჯაფარიძე და ბევრი სხვა მისი განუყრელი მეგობრები იყვნენ. ისინი აარსებენ ლიტერატურულ ჟურნალებს, აწყობენ საღამოებს. მათვე საქართველოში პირველად გამოსცეს გაზეთი „პოეზიის დღე“, რასაც კოლაუ ნადირაძე დიდ აღვლს უთმობს მოგონებების წიგნში.

ეს არის პერიოდი, როცა ცისფერყანწელთა ორდენის ზოგიერთი ლიდერი თბილისში გადავიდა, როცა „ცისფერყანწელების“ მეორე ნომერმა კიდევ უფრო გააღიზიანა „მენშევიკური აზროვნების დამბლადაცემული“ და „ინტელიგენციის“ ფილისტერული სახეობა. ისინი „ცისფერყანწელების“ ავტორთა ქუთაისიდან გასახლებასაც მოითხოვდნენ. ანონიმები შეურაცხყოფელ წერილებს უგზავნიდნენ და ცილს სწამდნენ. როგორც კოლაუ ნადირაძე იგონებს, მათ დასაცავად მხოლოდ კიტა აბაშიძემ ამოიღო ხმა.

ასეთ პირობებში კოლაუ ნადირაძეც საცხოვრებლად თბილისში გადავიდა და მთელი ძალით ჩაება ლიტერატურულ ცხოვრებაში. ახალი ცხოვრება ლიტერატურული აზროვნების ახალ ფორმებსა და პრინციპებს მოითხოვდა. ეს იმიტომაც, რომ როგორც კოლაუ ნადირაძე წერს: „აკაკი წერეთლის მიერ სავესებით ამოწურული ქართული ლექსის აკაკისებური წყობა გადაიქცა შტამპად, შაბლონად... აკაკის ეპიგონებმა დაუკარგეს ქართულ ლექსს სილამაზე და ჟღერადობა, გააუბრალოეს, დააყრუეს იგი. ქართული ლექსი გახდა გემოვნების დაცემისა და საოცარი ჩამორჩენილობის მაჩვენებელი“.

ასეთ ვითარებაში ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა პოეტური აზროვნების, ქართული პოეტიკის რეორგანიზაცია, რომლის სათავეებთან სხვა მრავალთა გვერდით კოლაუ ნადირაძეც იდგა. აქამდე კი პოეტმა განვლო ნოვატორობისაკენ სწრაფვის გზა, ხარკი გადაუხადა ურბანისტულ ტენდენციებსა და დეკადენტურ განწყობილებებს.

1926 წელს დაიწერა უმშვენიერესი ლექსი „ოქროყანა“, რომელშიც კოლაუ ნადირაძემ სრულიად ახალ მართალ გრძნობებსა და განწყობილებებს გაუღო კარი:

დღეს ლოცვებისთვის დრო აღარ არის,

გაზაფხულს გაჰყვა სურნელი იის...

მე მაინც მინდა გავაღო კარი

მალულ გრძნობების და პოეზიის.

აქედან მოკიდებული კოლაუ ნადირაძე პატიოსნად ემსახურა ქართულ სიტყვას, თანამოძმეთა შორის ჭეშმარიტი პოეტური ენერგიით აღვივებდა სიკეთისა და სიყვარულის, სინაზისა და სიხარულის უკეთილშობილეს გრძნობებს.



ხათუნა ბოთუა

სულიერი სიკვდილის თავე ჯოისის „დუბლინელების“ მიხედვით

ჯეიმს ჯოისი ჩვენი საუკუნის ლიტერატურის მრავალმხრივ საინტერესო ფიგურაა. იგი რეალისტიც არის და ევროპული მოდერნიზმის ბარომეტრიც. ჯოისის კალამს ეკუთვნის სოციალურ-კრიტიკული და ფსიქოლოგიური მოთხრობების კრებული „დუბლინელები“ (1914 წ.) ამასთანავე იგი ავტორია უდიდესი მითოლოგიური რომან-შიფრისა „ულისე“. ჯოისის შემოქმედებამ უდიდესი გავლენა მოახდინა XX საუკუნის დასავლური პროზის განვითარების მთელ მსვლელობაზე. მან სრულიად ახლებურად გაიცნობიერა ადამიანის შინაგანი სამყაროს ასახვის პოეტიკა, შექმნა თანამედროვე აღსარება არა თანმიმდევრულად განვითარებადი თხრობის ტრადიციული ფორმით, არამედ პლასტიკური ცნობიერების ნაკადის სახით, აღმოაჩინა სიტყვის ახალი შესაძლებლობანი. მისი ჯადოქრული კალმის საშუალებით სკრუპულოზური სიზუსტით გამოხატა ორდინარული ცხოვრების დინება. მასთან სიტყვა იძენს მრავალსაფეხურიან სიმბოლოს სახეს, რომელიც წამიერსა და მარადიულს აერთიანებს.

ჯოისს ხან რეალისტად წარმოადგენენ, ხან მოდერნისტად, ხან რეაქციონერად, ხან კი კოსმოპოლიტად, ირლანდიელ პატრიოტად, ფროიდის მოწაფედ, იუნგის თანმიმდევრად, ხან კიდევ ირლანდიელ დანტედ. ამგვარ ურთიერთგამომრიცხავ განსაზღვრებებს თავად ჯოისმაც შეუწყა ხელი. იგი შემოქმედებითი უკვადავების იდეით იყო შეპყრობილი; მისი ნაწარმოებები სავსეა ილუზიებით, სხვადასხვაგვარი დეტალებით, ათასნაირი მინიშნებებით; მისი რწმენით, რაც უფრო რთულად ჩასაწვდომი იქნება ლიტერატურული მემკვიდრეობა, მით უფრო მეტ გამოკვლევას მიუძღვნიან მას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დუბლინელები“ ადრეული პერიოდის ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოებია. მისი შექმნის ამოცანა ჯოისმა შემდეგნაირად განსაზღვრა: „დაეწერა თავი ქვეყნის მორალურ ისტორიაში“ და ირლანდიელებისათვის მიეცა შესაძლებლობა ჩაეხედა კარგად გაკრიკლებულ სარკეში“. მოქმედების ადგილად დუბლინი აირჩია. ეს ადგილი ჯოისისათვის, ერთის მხრივ, „დამბლის ცენტრია“, სადაც თავმოყრილია ირლანდიური ცხოვრების მანკიერებანი, მეორეს მხრივ – მსოფლიოს უძველესი დედაქალაქი, საერთოდ ქალაქის სიმბოლო. ასე გადაიქცა დუბლინი ერთგვარ მოდელად, რომელშიც ერთმანეთს შეერწყა კონკრეტული ისტორიული და მარადიული. „დუბლინელებისათვის“ დამახასიათებელია რთული შინაგანი სტრუქტურა. მოთხრობები დაკავშირებულია როგორც იდეურ-თემატურად, ისე ინტონაციურ-სტილისტურად. „დუბლინელებისათვის“ ნიშანდობლივია ერთიანი მხატვრული მთელის ყველა კომპონენტის დრამატიზება. მასში არაფერია ზედმეტი.

მოთხრობები იმავე თანმიმდევრობით უნდა აღვიკვათ, როგორც თავად ჯოისმა განალაგა: „დები“, „შეხვედრა“, „არაბეთი“, – მოთხრობები ბავშვობაზე: „ეველინი“,

„ავტორბოლის შემდეგ“, „ორი რაინდი“, „პანსიონი“ - მოთხრობები ყრმობაზე. „ღრუბელი“, „მიწა“, „უბედური შემთხვევა“ - მოგვითხრობენ სიმწიფეზე. ხოლო თხზულებებში „სუროს დღე“, „დედა“, „ღვთის წყალობა“ - საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მთელს კრებულში განსაკუთრებული სიმძაფრით ისმის ფიზიკური და სულიერი სიკვდილის თემა.

„ღები“ - თავისებური ლირიული პროლოგიაა სულიერი სიკვდილის დრამისა. სიტყვა „დამბლა“ რამდენიმეჯერ გვხვდება მოთხრობაში და ბოლოს და ბოლოს ლაიტმოტივად იქცევა, რომელიც დაჟინებით გვახსენებს, რომ დამბლა მხოლოდ ავადმყოფობა კი არ არის, არამედ სამყაროს სულიერი მდგომარეობაცაა, რომელშიც შედის ბავშვი. სულიერი დამბლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ჯოისი თვლის ირლანდიურ კათოლიციზმს. გარდაცვლილ მამა ფლინს პირზე ამოუცნობი, ილუზიებით სავესტიმინტი დასამაშებს. მისი უმოძრაო, უმოქმედო სხეული ირლანდიური ეკლესიის სიმბოლოდ აღიქმება. განსვენებულს გულზე დაკრეფილ ხელებში ბარძიმი უჭირავს. რელიგიური თვალსაზრისით. ბარძიმი სულიერი სრულყოფის, სისავსის სიმბოლოდ ითვლება. სწორედ ამ სულიერ სრულყოფილებას ვერ ხედავს ჯოისი ირლანდიურ რელიგიაში. ბარძიმი, რომელიც მღვდელს ხელთ უპყრია, ცარიელია. მკვდარი რელიგია ცდილობს დაიმორჩილოს ყველა ცოცხალი არსება. ამიტომაც მოთხრობის გმირი მამა ფლინის სიკვდილს რთულად რომ აღიქვამს, ერთის მხრივ, სიკვდილით გამოწვეული დიდი ტკივილის შეგრძნება, მეორეს მხრივ - უცარი თავისუფლებისა.

ირლანდიელებს ბავშვობიდანვე ემსხვერვათ იმედები, მათი „ბარძიმები“ სინამდვილესთან პირველივე შეხებისთანავე იბზარება. ისინი ვერ ახერხებენ შეიგრძნონ ცხოვრების სილამაზე, მშვენიერება. არსებული ნორმებისაგან გადახვევა საზიფათოა მათთვის. მათი მისწრაფებები, ოცნებები, მიზნები იბზობა. მიზეზი ამისა ირლანდიური კათოლიციზმია. ირლანდიელ ახალგაზრდებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე იმედის გაცრუება ელით, ბრმად მიმავალნი ვერც კი ხვდებიან, როგორ იჩივებიან უფსკრულში. დუბლინელებს ზიზღის, სიძულვილის უნარიც კი არ შესწევთ. არ ძალუძთ, დაინახონ რა არის კარგი და ცუდი. ეველინი-ჯოისის ამავე სახელწოდების გმირი - დღე და ღამ შრომობს, წვალობს. მაგრამ ამის შემდეგ, როცა მიეცემა შესაძლებლობა დატოვოს სამშობლო და საყვარელ ადამიანთან ერთად იპოვოს ბედნიერება, უცებ მოეჩვენება, რომ ის მტანჯველი ცხოვრება, რომლითაც იგი ცხოვრობდა, არც თუ ისე აუტანელი ყოფილა. ეველინი ეგუება იმ გარემოს, რომელშიც აღიზარდა. თუმცა მას მშვენივრად ესმის, რომ სამშობლოში დარჩენა მისთვის დაღუპვის ტოლფასია. იგი არჩევანის წინაშე დგება, მაგრამ მისდა საუბედუროდ, სამშობლოში დარჩენას და „დაღუპვას“ არჩევს უცხო მხარეში ბედნიერ ცხოვრებას. ჯოისი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს დუბლინელთა დამბლადაცემულობას და უსუსურობას, დაუნდობლად ამხელს მათ უნიათობას. ეველინი (ეველინის სახით ჯოისი მთელ დუბლინელ ახალგაზრდებს გულისხმობს) რჩება სამშობლოში, სადაც ისეთივე სულიერი იმპოტენტი იქნება, როგორებიც მრავლად არიან სულიერად მკვდარი ადამიანებით დასახლებულ დუბლინში.

გმირებს მოთხრობიდან „ავტორბოლის შემდეგ“ მიაჩნიათ, რომ ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობენ. ჯიმი თვლის, რომ ბედნიერია, მაგრამ იგი უცრად ხვდება როგორი უაზრო და დამღლელია მისი ცხოვრება. მას გამოარკვევს ხმა, რომელიც

ელვასავით გაიელვებს მის ცხოვრებაში. „თენდება, ბატონებო“ – ისმის ნაცრისფერ ბინდუნდში. ამ სიტყვების გაგონება ჯიშს სულიერი ძილისაგან გამოაფხიზლებს და თვალნათლივ დაანახებს, თუ რა უსუსურ ცხოვრებას ეწევინა ის და მისი მეგობრები. თუკი ჯიშს განთიადისას გაგონილი ხმა გამოაფხიზლებს, მოთხრობაში „პატარა ღრუბლი“ „მალეობარას“ როლში ლონდონელი ჟურნალისტი გალაპერი გვევლინება. მრავლისმთქმელია თავად სათაური მოთხრობისა „პატარა ღრუბელი“, რომელიც ბიბლიურ თემას უკავშირდება. ჯოისის მიერ დახატული ქალაქი სულიერი გვალვისაგან გამოფიტული ქალაქია, ბიბლიური ღრუბელი კი ხსნის, გადარჩენის, სიმბოლოა. ლონდონელი გალაპერი „ბიბლიური ღრუბელივით“, ანუ მხსნელივით გამოჩნდება უწყინარი ჩენდლერის ცხოვრებაში. გალაპერმა უნდა შეცვალოს ძველი მეგობრის ცხოვრების წესი, გამოაფხიზლოს სულიერი ძილისაგან, მაგრამ, პირიქით, აუფორიატებს სულს და კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდის ისედაც გამწარებულ ყოფას. ჩენდლერი ხვდება, რომ გალაპერივით თავისუფლად ვერასოდეს იცხოვრებს, ვერაფერს შეცვლის, იმედგაცრუებულს ცრემლები მოადგება, რაც სიმბოლურ დატვირთვას იძენს. ცრემლები სულიერი გამოფხიზლების, თვითგამორკვევის, ცხოვრების ახლებურად დანახვის სიმბოლოა ჯოისისათვის. სიტყვა ჩენდლერი „სანთლებით მოვაჭრეს“ ნიშნავს, თუმცა მისი ორიდინალური შემოქმედება სულაც არ არის ის სანთელი, რომელიც დუბლინის წყლიადს გაფანტავს.

ჯოისის პროზას ბევრი საერთო აქვს მუსიკალურ ნაწარმოებთან, საკუთრივ, სიმფონიასთან, რომელშიც გულდასმით მოფიქრებული ლაიტმოტივების სისტემაში მუდმივად გადის ძირითადი თემები. ლაიტმოტივის ტექნიკა ჯოისმა ვაგნერისაგან ისწავლა. ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე ჯოისმა ეს ხერხი ისე სრულყოფილად დაამუშავა, რომ მისი საშუალებით ერთ მთელად შეკრა გარეგნულად დანაწევრებული ფაქტები, შემთხვევითი მოვლენები და ყოფითი პლანი სიმბოლურს დაუკავშირა. ზუსტად ისევე, როგორც სიმფონიაში, როდესაც გგონია, რომ მთავარმა თემამ გაიჟღერა და დასრულდა „დუბლინელების“ ძირითადი თემა – სულიერი და ფიზიკური სიკვდილის თემა-კვლავ შემოიჭრება და ახალი ძალით აჟღერდება. ასეა მოთხრობაში „მიწა“. აქ თხრობის ორი პლანი მჭიდროდაა ერთმანეთში გადახლართული. პირველი – დუბლინელ მრეცხავ ქალ მარიაზეა, რომელმაც მოინახულა ძმის ოჯახი და საყვარელ ადამიანებთან გაატარა საღამო. ეთიკურ-სიმბოლურ პლანში კი ტონალობა იცვლება – ეს არის მოთხრობა გატეხილ გულზე, მკვდარ ოცნებებზე და ცოცხალ მიცვალებულზე, როგორიცაა კეთილშობილი მარია. მოთხრობა „მკვდრები“ დაიწერა მთელი ციკლის დასრულების შემდეგ. იგი არა მხოლოდ ფსიქოლოგიური პროზის, არამედ XX საუკუნის მთელი ინგლისურენოვანი ნოველისტიკის შედეგია. მოთხრობის მთავარი გმირი, პედაგოგი და ჟურნალისტი, თავის თავში ღრმად დარწმუნებული პიროვნებაა, იგი საზოგადოების სული და გულია, ბრწყინვალე ორატორი, შესანიშნავი მეუღლე. მაგრამ აღმოჩნდება, რომ ყოველივე ეს ფიქტია. გაბრიელი მაღალფარდოვნად მსჯელობს ირლანდიურ სულისკვეთებაზე, ეროვნულ ადათებზე, მაგრამ მას არასდროს უზრუნვია სამშობლოს კეთილდღეობაზე, ყველაფერი მოჩვენებითი ყოფილა. ჯოისი გვიჩვენებს რა მის სოციალურ უსუსურობას, ადამიანურ ასპექტშიც ავლენს ცივ და გაყინულ სულს.

თემები მარტოობის, გაუცხოებისა, სულიერი გაუხეშებისა და სიცივისა, რომლებიც XX საუკუნის დასავლური პროზის წარმართავ თემებად იქცნენ, ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში გამოიკვეთა ჯოისთან.

„დუბლინელების“ პროზა ურბანისტულია, ჯოისმა გასაოცარი სიზუსტით დაგვიხატა დუბლინი, მისი ქუჩები, სასტუმროები, დუქნები, თუმცა იგი მხოლოდ მოქმედების ადგილი არ არის, დუბლინი სრულფასოვანი გმირია მოთხრობისა. ამ ქალაქის დამოუკიდებელი ცხოვრება კიდევ უფრო ხაზს უსვამს ჯოისის პერსონაჟთა მიუსაფრობის შეგრძნებას. ისინი დაჰქრიან მის ქუჩებში უსიტყვოდ, გულგრილად, ყოველგვარი ადამიანური თანაგრძნობის გარეშე.

ჯოისთან სიტყვა საოცრად ცხადი, მკაფიო და ტევადია. აღწერითობა მინიმუმამდეა დაყვანილი, ყველაფერი აგებულია დეტალებზე, მინიშნებაზე, ქვეტექსტზე. ზოგჯერ ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ ჯოისმა მიაღწია თხრობითი შესაძლებლობების იმ მაქსიმუმს, რომ შესაძლებელია უფრო ზუსტად, უფრო სხარტად, ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით ასახო ეს ქაოტური სამყარო და მასში დაკარგული პატარა, უსუსური ადამიანი.



მკა ჩხარტიშვილი

კოდირებისა და დეკოდირების ფუნქციური პოზიციები

*„მალარმემ პოეზიაში ალგებრულად
გამოსახა ის, რაც სხვებს არითმეტიკულად
ჭკონდათ წარმოდგენილი“*

პოლ ვალერი

*„მოვა დრო, როცა პოეზია დაიჭერს
ადგილს ალგებრასა და მუსიკას შორის“
გუსტავ ფლობერი*

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“, – ბრძანა შოთა რუსთაველმა და, ალბათ, სწორედ ეს არის ენობრივ ფუნქციონირებაში ინფორმაციის მაქსიმუმის პრინციპის (იმპ) გამოვლინება.

გამოყენებითი მათემატიკისა და კიბერნეტიკის ნაწილი – ინფორმაციის თეორია (ეს ტერმინი წარმოიშვა მე-20 საუკუნის 50-იან წლებში) სწავლობს ინფორმაციის შეფასების, გადაცემის, მიღების, შენახვისა და კლასიფიკაციის მათემატიკური აღწერის მეთოდებსა და საშუალებებს.

ინფორმაციის მიღების პროცესს უკავშირებენ (ზოგჯერ აიგივებენ კიდევც), ჩვენს წარმოდგენაში ობიექტის მდგომარეობის შესახებ არსებული განუსაზღვრელობის შემცირებას. პოეტიც ხომ სტრიქონ-სტრიქონ ცდილობს, გვანახოს, გვაგაჩნდოს განცდილი თუ დანახული; თანაც, ინფორმაციის მიღების პროცესი, ანუ განუსაზღვრელობის შემცირება, ლექსის შემთხვევაში უფრო სწრაფად ხორციელდება. რაიმე მოვლენის განუსაზღვრელობის ბუნებრივი რიცხვითი მახასიათებელი კი მისი ალბათობაა.

ტერმინს „ინფორმაციის თეორია“ ლიტერატურაში ხშირად იყენებენ „ინფორმაციის გადაცემის თეორიის“ სინონიმად.

ინფორმაციის გადაცემის თეორია სწავლობს ინფორმაციის კავშირის არხით გადაცემის ოპტიმალურ (და ოპტიმალურთან ახლომდგომ) მეთოდებს.

ინფორმაციის თეორიის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის გადაცემის სიჩქარე, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია ინფორმაციის კოდირებისა და დეკოდირების ოპტიმალურ მეთოდზე.

ინფორმაციის გადაცემის კავშირის არხად შეიძლება განხილულ იქნას ენა (მისი გრამატიკული წესებით); აქედან გამომდინარე, სავსებით დასაშვებია, რომ ინფორმაციის გადაცემის (იგულისხმება ენის საშუალებით გადაცემა) ოპტიმალურ ან ოპტიმალურთან ახლომდგომ მეთოდს წარმოადგენს ლექსი.

ენის, როგორც კომუნიკაციის საშუალების, ევოლუციის ეტაპებად შეიძლება განიხილოს შემდეგი სტრუქტურული სისტემატიზაცია: ქაოსის კოდირება ბგერებად, ბგერებისა – მარცვლებად, მარცვლებისა – სიტყვებად, სიტყვებისა – წინადადებად, წინადადებებისა – პროზად... ხოლო ენის ჩამოყალიბებისა და განვითარების ასეთი

კანონზომიერების, ანუ ევოლუციის შემდგომი საფეხური პოეზიაა.

შესაძლებელია, ინფორმაციის ლექსად კოდირებისა (და დეკოდირების) ოპტიმალობას განსაზღვრავს სწორედ ის, რაც პოეზიას პროზისაგან განასხვავებს; ემოციური დატვირთვა სტრიქონებში, რასაც რიტმულობა ან რიტმის მოლოდინი (ძირითადად ვერლიბრში) და მისით გამოწვეული სიამოვნება, ტონურობა, სილაბურობა, ანუ მარცვლების თანაბრობა რიტმულ ერთეულში, რომელიც ჰარმონიულად მოქმედებს ყურთასმენაზე და გრძნობებზე (ჩუმად კითხვისას - მხოლოდ გრძნობებზე); ანდა, სილაბურობის მოლოდინის ემოციურობით კომპერსირება, ხშირად ტონურობით, რითმა, რომელიც სისტემურ ჰარმონიას ქმნის სტრიქონებში, ჟღერადობა, დატვირთვა და ა.შ.

თუკი ეს ასეა, პოეზიის ფენომენი (ისევე, როგორც გრძნობების ფენომენი) ადამიანის ქვეცნობიერებზე იქნება დამოკიდებული; ამდენად ლექსის თხზვაც შესაძლებელია, ქვეცნობიერად ხდება კოდირება-დეკოდირების პრინციპების გათვალისწინებით (ე.ი. არა დეკოდირება - კოდირების ამოცნობით, არამედ დეკოდირების პრინციპებით კოდირება), ხოლო ლექსის (პოეზიის) კითხვისას (აღქმისას) კი პირიქით - დეკოდირების (სხვისი) პრინციპებით კოდირებულის (ზოგადად) დეკოდირება (შენეული). კონკრეტულ შემთხვევაში ეს ყოველივე პოეტისა და მკითხველის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. იდეალურ შემთხვევაში კი ცხადია, რომ რამდენიმე სიტყვისაგან შედგენილი პოეტური სტრიქონი გაცილებით მეტ ინფორმაციას შეიცავს, ვიდრე იმავე რაოდენობის სიტყვებისაგან შედგენილი პროზაული, ანუ ე.წ. „არაპოეტური“, „ჩვეულებრივი“ ტექსტი.

ესაა ინფორმაციის თეორიის პარადოქსი.

ინფორმაციის თეორიაში ინფორმაციის ოპტიმალური შენახვის ამოცანა ანალოგიურია ინფორმაციის ოპტიმალური გადაცემის ამოცანისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ინფორმაციის შენახვა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ინფორმაციის გადაცემა არა სივრცეში, არამედ - დროში. ამ აზრითაც სავესებით შესაძლებელია ინფორმაციის თეორიასა და ვერსიფიკაციას შორის პარალელების გავლება.

პოეზიის ფენომენი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენს ენობრივი კომუტაციის საშუალების განვითარების გარკვეულ ფორმას; ამიტომ პოეზიის ფენომენი უშუალო კავშირშია მეტყველების ფენომენტთან, ხოლო ენის წარმოშობა კი დაკავშირებულია ცოცხალ ორგანიზმთა ევოლუციის უმაღლეს საფეხურთან, რაც, ისევე, როგორც თვით სიცოცხლის წარმოშობა და, საერთოდ, ბიოლოგიურ სახეობათა მთელი ევოლუცია, განპირობებულია ინფორმაციის გადამუშავების ზოგადი კანონზომიერებით.

ინფორმაციის თეორიაში ერთ-ერთ ზოგად კანონზომიერებას წარმოადგენს ინფორმაციის მაქსიმუმის პრინციპი (იმპ); ამ პრინციპს ექვემდებარება ცოცხალ ორგანიზმთა მიერ ინფორმაციის გადამუშავებასთან დაკავშირებული ყველა პროცესი და სტრუქტურა.

ყოველი ევოლუციური პროცესის შედეგია სისტემათა სრულყოფა, რთულ სტრუქტურათა ევოლუციისათვის კი არსებობს განვითარების ე.წ. „მეგკვიდრეობითი“ გზა.

პოეზიის ფენომენი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარკვეული ინფორმაციული სტრუქტურის შემდგომი საფეხურია, აუცილებლად მოთავსდება ინფორმაციის მაქსიმუმის პრინციპის (იმპ) მოქმედების სფეროში. იმპ ზომ ყველაზე ძლიერ ვლინდება მეტყველების სწორედ ისეთ განსაკუთრებულ სახეობაზე, როგორიცაა მხატვრული, ანუ პოეტური მეტყველება.

ჩვეულებრივი მეტყველებისაგან განსხვავებით, მხატვრულ მეტყველებაში ყოველი სიტყვა უმკაცრეს ამორჩევას ექვემდებარება და ინფორმაციულობით ზღვარში იდეალს უტოლდება. ეს ფაქტი პოეზიის პარადოქსის სახელითაა ცნობილი.

ინფორმაციული თვალსაზრისით, ლექსი ყველაზე კომპაქტურია; მისი ერთი სტრიქონი გაცილებით მეტ „ინფორმაციას“ შეიცავს, ვიდრე იგივე სიგრძის ჩვეულებრივი ფრაზა. ამ თვალსაზრისით იგი ეწინააღმდეგება ინფორმაციის თეორიის კანონებს.

ენის ფენომენის მოქმედების მექანიზმი ევოლუციის პროცესში გარემოს წარმოსახვის საფეხურებსა და ადამიანის ტვინის ფიზიოლოგიაზეა დამოკიდებული.

სინერგეტიკა ახალი მეცნიერული მიმართულებაა, რომელიც ჩაისახა 70-იანი წლების დასაწყისში და 80-იანი წლებიდან სწრაფი ტემპით ვითარდება. (*synergeticos-ბერძნულად ნიშნავს „ერთობლივს“, „შეთანხმებულს“*).

სინერგეტიკა ყველაზე თანამედროვე და სწრაფად განვითარებადი მეცნიერული თეორიაა, რომელიც ზოგადი ბუნების ევოლუციურ სისტემათა განვითარების კანონზომიერებებს შეისწავლის, ანუ სინერგეტიკა სწავლობს ერთმანეთისაგან თვისობრივად სრულიად განსხვავებული ბუნების სიმრავლეთა ქაოსიდან წესრიგში თვითგადასვლის კანონზომიერებებს.

სინერგეტიკის მიერ დადგენილია, რომ აღნიშნული კანონზომიერებები ერთი და იგივეა ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების თვითორგანიზებად, დალაგებულ სტრუქტურათა წარმოქმნის, განვითარებისა და დაშლის პროცესებისათვის.

ბუნებრივი ენები თვითორგანიზებადი იერარქიული სტრუქტურებია და პოეტური მეტყველების სხვადასხვა ფორმები ამ ენათა შემდგომი, რიტმული ორგანიზაციაა.

ე. ი. რიტმის აზრით ბუნებრივი ენა - ქაოსური მდგომარეობაა და პოეტური ენა - მოწესრიგებული, ანუ მოქმედებს სინერგეტიკის პრინციპი, ხოლო პოეტურ ფორმათა განვითარებაც ისეთივე ზოგად კანონზომიერებებს ექვემდებარება, როგორსაც, საზოგადოდ, ყოველი თვითორგანიზებადი სტრუქტურა.

რადგან აღნიშნული სტრუქტურული მოდელი წარმოადგენს ევოლუციურ დინამიკურ სისტემათა ერთ-ერთ კერძო სახეს (თვითორგანიზებად იერარქიულ ინფორმაციულ სისტემას), ამიტომ მისი განვითარების პროცესები შეიძლება დადგინდეს სინერგეტიკის მეთოდებით.

პოეტურ ფორმათა ზოგადი კანონზომიერება საერთო უნდა იყოს ყოველი ერის პოეზიისათვის.

არსებობს აზრი, რომ ყოველი ლექსთა წყობისთვის შეიძლება არსებობდეს ერთი ცენტრალური პრინციპი (ზოგადვერსიფიკაციული პრინციპი).

კვლევის ტრადიციული - ინდუქციური მეთოდის ნაცვლად უმჯობესია, გამოყენებულ იქნას დედუქციური მეთოდი და პოეზიის ფენომენი განიხილოს, როგორც ბუნებრივ, სამეტყველო ენის მექანიზმზე ევოლუციის ზოგადი პრინციპის მოქმედების შედეგი.

ვერსიფიკაციის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა არა ლექსთა თხზვის წესებისა და კანონების აღწერა-დადგენა, არამედ მისი შემდგომი საფუძვრი - ამ კანონებისა და წესების ერთ სისტემაში მოყვანა, ასე ვთქვათ, პრინციპთა მინიმალურ (იდეალურ შემთხვევაში - ერთ) რაოდენობაზე დაყვანა, რაც ახსნის ქართული ლექსის ფორმათა მრავალფეროვნებას.

ყოველი მეცნიერება თავისი განვითარების პროცესში განიცდის სტრუქტურის ცვალებადობას, ევოლუციას. ამ პროგრესის მიზანი ისაა, ნიუტონმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „... რაც შეიძლება დიდი რაოდენობის ფაქტების ახსნა ამოსავალ დებულებათა რაც შეიძლება მცირე რაოდენობით“. ე.ი. ნებისმიერი თეორიის განვითარებისას ასახსნელ (ახსნილ) მოვლენათა რაოდენობა უნდა იზრდებოდეს და ამოსავალ (ამხსნელ) პრინციპთა რაოდენობა მცირდებოდეს.

ცნობილია, რომ ხშირ შემთხვევაში ამოსავალი დებულებები არათანასწორუფლებიანია და მათ შორის იქნება ე.წ. „ბირთვი“ (განსაზღვრავს განვითარების ძირითად ტენდენციას) და პირობები (წესები, რომლითაც ხორციელდება ეს ტენდენცია), რომლებიც შეიძლება იცვლებოდეს ან ფართოვდებოდეს, ხოლო „ბირთვი“ უცვლელია და დაიყვანება ერთადერთ, ე.წ. „ცენტრალურ პრინციპზე“. ე.ი. იდეალურ დინამიკურ მეცნიერულ თეორიაში ყოველი კერძო კანონზომიერება და მოვლენა უნდა გამომდინარეობდეს ერთი, ცენტრალური პრინციპებიდან ე.ი. თეორია უნდა იყოს ცენტრალიზებული.

ცენტრალიზაციისადმი სწრაფვა ახასიათებთ არა მარტო მეცნიერულ თეორიებს, არამედ სრულიად განსხვავებული ბუნების ყველა სისტემას (სინერგეტიკის პრინციპი). ამდენად, ლოგიკურია, რომ ცენტრალიზაციის პრინციპი ვრცელდებოდეს პოეზიის შემსწავლელ მეცნიერებაზეც.

მკლევარ გურამ თევზაძის აზრით, აღნიშნული პრობლემის დღემდე გადაუჭრელობის მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა გამოკვლევა შესრულებულია ინდუქციური მეთოდით - კვლევის ტრადიციული სქემით, რომ მკვლევარები კონკრეტულ ნაწარმოებთა განხილვის განზოგადოებით ცდილობდნენ, ამოეხსნათ ქართული ლექსის ფენომენი, ანუ მიეღწიათ უნივერსალური პრინციპისათვის. გ. თევზაძე კვლევის ინდუქციურ მეთოდს ადარებს ძიებას უსასრულო სივრცეში, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია ყველა - დაწერილი და დაუწერელი - ლექსის განხილვა, რომელმაც შეიძლება, კორექტივები გამოიწვიოს; - იგი გვთავაზობს აღნიშნული პრობლემის კვლევის დედუქციურ მეთოდს, რაც საწყის ეტაპზე ლექსთწყობის ზოგადი სისტემის რაიმე უნივერსალურ კანონზომიერებაში (სივრცეში) მოთავსებას გულისხმობს (ამის შემდეგ კი ძიება უკვე სასრულ სივრცეში იწარმოებს), რასაც უნდა მოჰყვეს ამ კანონზომიერების (სივრცის) შევიწროება და ზღვარში საძიებელ ფენომენტთან მიახლოება. პრინციპში, იგი შემოსაზღვრული, ანუ გარედან „დაჭერილი“ გვეყოლება.

გამოვიყენოთ აღნიშნული ფორმულირება იმ უნივერსალური კანონზომიერებიდან, რომელიც ლექსის წარმოშობას უდევს საფუძველად და რომლის მოქმედებითაც ხდება ლექსის ორგანიზაცია.


ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების სხვადასხვა სტრუქტურული დონეებისათვის ინფორმაციის შენახვისა და კოდირების უძველეს ფორმას სიმეტრია წარმოადგენს

და რომ ენითი მექანიზმების ევოლუციური სფეროსთვის (ემეს-ისთვის) ინფორმაციის კოდირების ოპტიმალური საშუალებაა სიმეტრიის პრინციპი.

მრავალი ნაშრომის, კანონის, მოდელის, თეორიისა და ბუნების კანონზომიერების ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების სტრუქტურული სიმეტრიის მაგალითების საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სიმეტრიის პრინციპი ადამიანის შემოქმედების სფეროშიც (მუსიკა, პოეზია, ფერწერა, ქანდაკება, არქიტექტურა, გამოყენებითი ხელოვნება სხვ) აუცილებელი კანონია; სიმეტრიის პრინციპის დროითი განზომილება კი არის რიტმი. რიტმის ცნების სიძველიდან და ამ ცნების ფილოსოფიური კონცეფციებიდან კი შეიძლება გამომდინარეობდეს რიტმულობის უნივერსალურობა.

„რიტმულობა მატერიის დროში მოძრაობის უნივერსალურ, საყოველთაო ფორმას წარმოადგენს და იგი ორგანულადაა დაკავშირებული სხვადასხვა მატერიალური პროცესების განვითარების სიმეტრიასთან და თვისობრივად აკონტროლებს ამ უკანასკნელის განზოგადოებულ ხასიათს“. - აღნიშნავს გურამ თევზაძე.

თუკი ენის იმ მექანიზმს (მეტყველების იმ ფორმას), რომელიც მისგან სიმეტრიის პრინციპით ინფორმაციის ოპტიმალური კოდირებისას წარმოიქმნება, პოეზიას ვუწოდებთ, მაშინ მეტყველების რიტმულ ფორმასთან სრულ დამთხვევას მივიღებთ. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ: პოეზიის ფენომენი აუცილებელი შედეგია იმ ევოლუციური პროცესებისა, რომლებიც საკმაოდ განვითარებულ ენობრივ მექანიზმებში იმპ-ს მოქმედებით მიმდინარეობს.



თბა თაგბარიძე

მეტაპლაზმები აკაკი წერეთლის საბირულ ლაქსებში

ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში აღორძინდა და თანამედროვე კვლევის პროცესებში ჩაერთო კარგა ხნის მივიწყებული უძველესი დისციპლინა რიტორიკა. იგი, როგორც მეცნიერება ტროპებისა და ფიგურების შესახებ, გადააზრებული იქნა მასობრივი კომუნიკაციისა და არგუმენტაციის ლოგიკური თეორიის, აგრეთვე სტრუქტურული პოეტიკის და სემიოლოგიის ტერმინებში. ამ პროცესის განვითარებას ხელი შეუწყო რომან იაკობსონის ცნობილმა გამოკვლევამ მეტაფორისა და მეტონიმიის შესახებ, რომელიც 1963 წელს ფრანგულად ითარგმნა. რიტორიკის, როგორც მეცნიერული დისციპლინის პოპულარიზაციაში დიდი როლი შეასრულეს როლანდ ბარტის, ცვეტან ტოდოროვის, ჟერარ ენენტისა და ბელგიური ჯგუფის (M ჯგუფი) ნაშრომებმა. ამ უკანასკნელთა დეფინიციით, მეტაპლაზმი ის ფიგურაა, რომელიც შეტყობინების ბგერითი ან გრაფიკული ფორმის ცვლილებას ეფუძნება სხვა რიტორიკული ფიგურების (მეტასემები, მეტატაქსისები) მსგავსად, იგი სამი ტიპის ოპერაციის განხორციელების შედეგია. ესენია: შეკვეცა, დამატება და გადასმა. ეს ცვლილებები ძირითადად ერთ ან რამდენიმე ფენომას მოიცავს, ზოგჯერ კი მთელ სიტყვასაც.

აკაკი წერეთლის სატირულ ლირიკაში ძირითადად შეკვეცის ის სახეობა გვხვდება, რომელსაც სრულ შეკვეცას უწოდებენ, ანუ როცა სიტყვა მთლიანად ქრება წინადადებიდან და ეს ფრაზის მელოდიკის ცვლილებას იწვევს. ამგვარი შეკვეცა შეიძლება იყოს, როგორც ელიპსისი, ისე პაუზა, ან ორივე ერთად. პირველის გრაფიკული გამოსახულებაა ტირე, მეორის - მრავალწერტილი.

პაუზა აკაკის ლექსებში ის მარკერია, რომელიც ამძაფრებს მოლოდინის განცდას და ხელს უწყობს ე.წ. მოულოდნელობის ეფექტის შექმნას, რაც პაუზამდელი და პაუზის შემდგომი ტექსტების დაპირისპირებას ეფუძნება. ქვემოთ მოხმობილ მაგალითში ორჯერ არის გამოყენებული პაუზა, რაც ორმაგი პარადოქსის ეფექტის შექმნას ემსახურება:

არ მცალიან.... მეჩქარება:
გასალესად მაძლევს დანას
და მით ჩემს ძმებს ყლებს დასჭრის
ჩუმადა... ცხადად ეტყვის „ნანა“-ს
(„დიდი ვინმე“)

მსგავსი ინტონაციური (პარადოქსის გამძაფრების) დატვირთვა აქვს ქვემოთ მოხმობილ სტროფში ელიპსისის:

ზამთარში სიცხე გვაწუხებს,
ზაფხულში დგება ზამთარი:
სომეხმა ხმალი აიღო,
ქართველმა - სომხის დავთარი!
(„გამოცვლილი დრო“)

თავის სატირულ ლექსებში აკაკი ხშირად მიმართავს ალეგორიას და არც თუ იშვიათად, ლექსის ბოლო სტროფში თვითონვე შიფრავს ნაწარმოებში მოხმობილ ალეგორიულ სახეებს. ამგვარი ფინალის დროს, ელიპსისი ერთ-ერთი დაკანონებული ფიგურაა:

ქვეყანაც მამამთილია,
რძალ-მული - ქვეყნის შვილები
„ქრელი ფიქრები“)

შეკვეცის საპირისპირო ოპერაციაა დამატება. მისი ყველაზე გავრცელებული სახეა სიტყვის გაორმაგება ანუ რედუპლიკაცია. ჩვეულებრივ, ეს ფიგურა ძირითადად სატირული პათოსის გამოხატვას ემსახურება, ამიტომ, ბუნებრივია, ის არც აკაკის სატირული ლირიკისთვისაა უცხო. გაორმაგების შედეგად მიღებულ სიტყვებს, როცა სიტყვის ძირითადი ნაწილი მეორდება და მხოლოდ ერთი ან ორი ბგერაა ჩანაცვლებული სიტყვის თავსა ან ბოლოში, „დასაკეც სიტყვებს“ (სიტყვასიტყვით: „სიტყვა-ჩემოდნებს“) უწოდებენ; ვინაიდან ეს არის საერთო ძირის მქონე ორი სიტყვის ნაწილობრივი შერწყმა და მათი რეინტერპრეტაცია (მათგან რაღაც მესამის მიღება) მოვიყვანოთ სიტყვის გაორმაგების ნიმუშები აკაკის სატირებიდან:

„ააჰიჰინე აჰი-ბაჰია
მართალს, ქკვიანურს ნულარ იმლერი,
თორემ გამოჰხრავს შენს ჩანგს ვით ჭია,
ქკუის მტარვალ ტვინმეისტერი,,
(„რჩევა ახალგაზრდა მწერლებს,,“)

ან:

„რადგან ერთ დროს იყავ კაცი,
გულმტკიცი და გულმამაცი
აკაკია არას მკადრებს
ბაკაკიამ გითხრას „აცი!“
(„ხარაბუზა ლენერალს“)

როგორც გხედავთ, პირველ მაგალითში სატირული ეფექტი ძირითადად მარტივი ოპერაციის- გაორმაგების შედეგად მიღებული ფიგურის ზემოქმედების ძალას ეფუძნება. მეორე მაგალითში კი აკაკიმ სწორედ ის რედუპლიცირებული ფიგურა (აკაკიები-ბაკაკიები) დაშალა, რომელიც გრიგოლ ორბელიანის ეპიგრამის მთავარ საყრდენს წარმოადგენდა და ამგვარად გაანადგურა და უკან მიუბრუნა მის ავტორს დაცინვის მთავარი იარაღი.

გაორმაგების შედეგად მიღებულ ფიგურათა შორის, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პარონომაზიას. აკაკის სატირული ლექსების ბგერწერული ეფექტებიც ხშირად სწორედ ამ ფიგურას ეფუძნება. მაგალითად:

„ძმა ძმას ნუ აღრჩობ ძმის ხელით,
კაენის შავ გულისთქმათა
და ქრისტეს, ქრისტეს სახელით
ნუ ჰგმობ იუდას საქმითა!,,
(„მოქრთამე მსაჯულებს გლეხისაგან“)

რაც შეეხება ზუსტ განმეორებას, ანუ ომონიმias, ეს ფიგურა აკაკის სატირულ ლექსებში კალამბურის ძირითად საყრდენს წარმოადგენს:

ოქრო და ვერცხლი ბევრი მაქვს,

აქცია... ასიგნაციო!

შენ ლარიბი ხარ!.. მომშორდი!

არ გესმის? „ასი გნაციო!“

(„ახირებული სტუმრობა“)

განმეორების შედეგად მიღებული ფიგურაა ანაგრამაც, რომელიც ბგერათა გადასმის შედეგად წარმოიშობა. მაგალითად, ლუკა ისარლოვის განსაქიქებლად დაწერილი სატირული ნაწარმოების ქვემოთ მოყვანილ სტროფის ერთ-ერთ სიტყვაში „ულოკავდა“ აშკარად იკითხება ანაგრამა „ლუკა“.

„იყო ერთი მაიმუნი,

ეძახოდნენ ლუკა-მელას

ზურგს ეკიდა ქვეყნის წუნი,

ულოკავდა ფეხებს ყველას“.

(„არაკი“)

ანაგრამის მარტივი შემთხვევები (ე.წ. ზმები) ხშირად გვხვდება გამოცანებში. ამ მხრივ, საინტერესო ნიმუშია 1886 წელს დაწერილი „გამოცანა“, რომლის ბოლო სტროფში დაშიფრულია ცნობილი ინჟინრის, ფოთის პორტის მშენებლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ნიკოლოზ შავროვის გვარი („მო შავ, რო ვირი გყოლია“), რომელმაც მასზე მინდობილი საქმე პირადი შემოსავლის წყაროდ აქცია და ანგარებით დიდი სიმდიდრე შეიძინა.

აკაკის იუმორისტული გაზეთის „ხუმარას“ აკრძალვის მიზეზად იქცა სატირა „დიდყურაანთ ყოყნას“, რომელშიც პოეტი დასცინის თბილისის იმდროინდელ გუბერნატორს რაუშ-ფონ ტრაუბენბერგს, რომლის სახელიც აშკარად იკითხება ამ ლექსის ბოლო ტაეპში („ამოუსვით რა უშავს“).

აგრეთვე, ჩვენს მიერ ერთგან უკვე მოხმობილ სტრიქონებში ლექსიდან „რჩევა ახალგაზრდა მწერლებს“, ანაგრამის ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი მაგალითი გვაქვს. კერძოდ, სიტყვა „ტვინმეისტერის“ (რომელიც რეფრენად გასდევს მთელ ლექსს) ანაგრამული წაკითხვის წყალობით, ვიღებთ შესანიშნავ კალამბურს (ტვინმეისტერი - ტვინის მტერი).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მეტაპლაზმებს, ფიგურებს, რომელთა ფუნქციაც სიტყვის ბგერითი ან გრაფიკული სახის შეცვლაა, აკაკი წერეთლის სატირულ ლირიკაში საკმაოდ ფართო გავრცელება და გარკვეული მხატვრული დატვირთვა აქვთ.

წერილები

ნიწო ქიქავა, ოთარ გოგოლოშვილი

სისხლით დაწერილი დიდღირსებიანი კასოვა

1917 წლის ჭერ თებერვლის, შემდეგ კი ოქტომბრის გადატრიალებამ რუსეთში, საქართველოს დამოუკიდებლობის დაჩქარებას შეუწყო ხელი. მართლაც, 1918 წლის 26 მაისს კიდეც გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ საქართველოს განუყოფელ კუთხეში აჭარაში ვითარება სხვაგვარად წარიმართა. 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში დადებული ზავის შედეგად ბათუმის ოლქი თურქეთს გადაეცა, რომელმაც 1918 წლის აპრილიდან დეკემბრამდე კიდეც მოახდინა ამ მხარის ოკუპაცია, მაგრამ მალე გამარჯვებულმა ინგლისმა მუდროსის ზავის თანახმად, აიძულა თურქეთი ხელი აეღო ბათუმის ოლქის ოკუპაციაზე და თვითონ დაუფლებოდა მას. 1918 წლის დეკემბერში ბათუმის ოლქი გადავიდა ინგლისელთა მმართველობაში, რომელმაც გასტანა 1920 წლის ივლისამდე. ჭერ კიდეც აქამდე უცნობი საარქივო მასალების მეშვეობით გვსურს წარმოვაჩინოთ ბათუმის ოლქში პოლიტიკური მდგომარეობა ინგლისელთა ბატონობის პერიოდში.

ინგლისელები შემოსვლისთანავე შეუდგნენ ბათუმის ოლქის სახელმწიფოებრივ მოწყობას. თავდაპირველად მათ უნდა გაეგოთ, თუ რა მეთოდები გამოეყენებინათ ამ მხარის მართვისას. მეტად საინტერესოა ინგლისელი კაპიტნის ჭერალდ უებსტერის მოსაზრება. რომელსაც დაევალა შეხვედროდა ბათუმში მოქმედ პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და ნაციონალური საბჭოების წარმომადგენლებს. „ბათუმის ოლქი თავიდანვე საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო. ამჟამად თვით საქართველო იმყოფება გაურკვეველ მდგომარეობაში და საეჭვოა, რომ მან დიდხანს შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა. ჩვენი მიზანია რუსეთის ადრინდელი ხელისუფლების აღდგენა, ისიც ცნობილია, რომ ბათუმი მის ოლქთან ერთად დიდი ხნის განმავლობაში რუსეთის სახელისუფლო სტრუქტურაში იყო მოქცეული დააქედან გამომდინარე, ბათუმში ჭერ კიდეც ძლიერია რუსული ორიენტაცია და გავლენა და ამის გათვალისწინებით მიზანშეწონილია დროებით შეიქმნას (ხაზგასმა ჩვენია) ბათუმის ოლქის მართვის რუსული სახელმწიფო სტრუქტურა. რა თქმა უნდა ჩვენი (ე.ი. ინგლისელების ო.გ.) ხელმძღვანელობით. რაც შეეხება თურქულ ზეგავლენას, მართალია ამჟამად ბათუმში მოქმედებს თურქული ორიენტაციის ჭგუფები და გაერთიანებები. მაგრამ ისინი ვერ შეძლებენ მართვას, რადგან მათ ხალხი არ ენდობა. (აქაც ხაზგასმა ჩვენია) აი, ასეთი იყო ერთ-ერთი ინგლისელი კაპიტნის მეტად საყურადღებო მოსაზრება ბათუმის ოლქის მომავალ სახელისუფლო მოწყობის თაობაზე. მართლაც, ინგლისელთა მეშვეობით ბათუმში შეიქმნა ბათუმის ოლქის მართველი საბჭო შოვინისტ მასლოვის ხელმძღვანელობით. აქედან იწყება ბათუმის ოლქის დედასაქართველოსაგან გაუცხოებისა და ჩამოშორების პროცესი, და ეს პროცესი კიდეც გაღრმავდებოდა, რომ სამოღვაწეო ასპარეზზე არ გამოჩენილიყო „სამუსლიმანო საქართველოს განმანათლებლებელი კომიტეტი“ დიდი მემედ ბეგ აბაშიძის მეთაურობით. შეიძლება ითქვას, რომ არა ისინი, დღეს ძნელი სათქმელია, იქნებოდა თუ არა აჭარა კვლავ დედა საქართველოს

შემადგენლობაში.

ბათუმის ოლქის მართველთა საბჭო ცდილობდა ყველანაირად ხელი შეეშალა პატრიოტი ქართველებისათვის. მაგალითად: აი: რას წერდა რუსი თეთრგვარიელი ვიქტორ კოვტუნი მასლოს: „მოგეხსენებათ, რომ ბათუმი ეს არის წმინდა რუსული ქალაქი, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ის არ არის ჩვენი (ე.ი. რუსეთის) შემადგენლობაში, ეს მხოლოდ დროთა სიავის შედეგია და დროებითი მოვლენა, ამიტომ აქ წარმოუდგენელია ე.წ. ქართული ნაციონალისტური პოლიტიკის არა თუ გატარება, არამედ უბრალო გააზრებაც კი. ამასშინათ მე შეგზავნი აქაურ ქართველ მაჰმადიანებს, რომლებმაც მაუწყა, რომ ის იმყოფებოდა ერთ სახლში, სადაც შეხვედრია ქართველ ნაციონალისტებს მემედ აბაშიძესა და ჯემალ ჭიჭავას, რომლებიც იქ შეკრებილენ მოუწოდებდნენ ერთიანობისაკენ და საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ... საჭიროა გამოიძიოთ ყოველივე ეს და გადადგათ თქვენი მხრიდან შემხვედრი ნაბიჯები. ეს შეტყობინება (არსებობს კიდევ სხვა ბევრი შეტყობინება) გახდა იმის მიზეზი, რომ განაწყენებული მასლოვი აცნობებდა ინგლისელთა გენერალ-გუბერნატორს: „გაცნობებთ, რომ ბათუმში გაჩნდნენ ე.წ. მაჰმადიანი ნაციონალისტები, რომლებიც ეწვეიან ანტისახელმწიფოებრივ (?) საქმიანობას და ადგილობრივ მაჰმადიანებს განაწყობენ ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ. რაოდენ საკვირველია ის, რომ ეს ნაციონალისტები თავისუფლად პარპარეშობენ და მოქმედებენ. რადგანაც საპოლიციო ზედამხედველობა თქვენი მაღალკეთილშობილების უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფება, გთხოვთ გამოიძიოთ ეს და იმოქმედოთ კანონის ფარგლებში“. ინგლისელთა გენერალ-გუბერნატორი ავალებდა ერთ-ერთ თანამშემწეს მაიკლ ბრაუნს, რომ შეესწავლა მასლოვის შეტყობინებაში მოყვანილი ფაქტების შესახებ. ბრაუნმა მართლაც შეისწავლა ეს და 1919 წლის თებერვალში აცნობა გუბერნატორს შემდეგი: „თქვენს აღმატებულებას გაცნობებთ, რომ მასლოვის წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეფერება. აქაურ მაჰმადიანებში მართლაც მოქმედებს ნაციონალისტები ბევრ აბაშიძის მეთაურობით. როგორც ერთ-ერთმა თურქული ორიენტაციის მაჰმადიანმა (ალბათ „სედაიმილეთის“ წევრმა) მაცნობა, ეს მემედ ბეგ აბაშიძე თბილისის აგენტია და ცდილობს აქაური მაჰმადიანების აბუნტებას საქართველოსთან შეერთების მოთხოვნით. აბაშიძესთან თანამშრომლობს აგრეთვე სხვა მისი მოგვარეები ხადარ (უნდა იყოს ჰაიდარ) და ზია. ასევე ამ ჯგუფის აქტიური წევრია ჯემალ ჭიჭავა, რომელიც როგორც გადმომცეს შეუპოვარი ზასიათით გამოირჩევა და ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახიფათოა... რაც შეეხება მათზე კონტროლის დაწესებას, ამაზე საჭიროა მოთათბირება და ამის შესაბამისი მოქმედება“. მაიკლ ბრაუნის მიერ მოწოდებული ცნობის შემდეგ გუბერნატორმა დაავალა მასლოვს, რომ მას მხედველობაში აეყვანა მოყვანილი ფაქტები და გუბერნატორი ჩაეყენებინა საქმის კურსში. ასევე მეტად საყურადღებოა ის, რომ მმართველთა საბჭოს წევრები ხშირად ხვდებოდნენ „თურქული ორიენტაციის წარმომადგენლებს. ასე მაგალითად: 1919 წლის თებერვლის ბოლოს გამართულ მმართველთა საბჭოს სხდომაზე მიიწვიეს. „სედაი მილეთის წარმომადგენლები“ ოსმან სულეიმან-ოღლი, კისირ-ოღლი“. აქ გაიმართება მსჯელობა ადგილობრივ მაჰმადიანების მხარდაჭერაზე ხელისუფლების მიმართ, სხდომაზე საბჭოს წევრმა ანისიმოვმა მათ უფხრა, რომ უნდა გაეძლიერებინათ მუშაობა ადგილობრივ მაჰმადიანებში ხელისუფლების მხარდაჭერაზე და აეხსნათ მათთვის, რომ მალე რუსეთში კვლავ წესრიგი დამყარდება და ეს მხარე (ე.ი. „აჭარა“)

კვლავ მისი განუყოფელი ნაწილი შეიქმნებაო. თავის მხრივ სულიმან-ოღლი საბჭოს აცნობებდა, რომ ადგილობრივი მაჰმადიანები მხარს უჭერენ ხელისუფლებას და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ბათუმის ოლქი კვლავ რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნდესო. (ხაზგასმა ჩვენია). აქვე, საბჭოს წევრმა დასკვეიმა ისუბარა იმის შესახებ, რომ ქართველი მაჰმადიანი ნაციონალისტები მემედ აბაშიძის მეთაურობით წყალს ამლრევენ და ხელს უშლიან ხელისუფლებას საქმიანობაში, ამიტომ საჭიროა მოსახლეობის ამხედრება პროვოკატორების წინააღმდეგ. ეს პირდაპირი მოწოდება იყო დაპირისპირებისა. ამ სხდომაზე თავისი მოსაზრება გამოთქვა საბჭოს წევრმა, ქართველმა მგალობლიშვილმა, რომელმაც არ გაიზიარა ანისიმოვისა და დაშკევიჩის მოსაზრებანი და მათ გაახსენა ისტორიული წარსული, როდესაც აქაც საქართველო იყო. შემდეგ მან აღნიშნა, რომ „დემოკრატია ნიშნავს მოქმედების თავისუფლებას არა რომელიმე კონკრეტული ჯგუფებისადმი, არამედ ყველასადმი. მგალობლიშვილს გამოსვლის მასლოვმა „არასწორი“ უწოდა და აღნიშნა, რომ დემოკრატია სულაც არ ნიშნავს ხელისუფლების წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობასო. ეს ის მგალობლიშვილია, რომლის შესახებაც შემდეგ მასლოვი იტყვის, რომ საბჭოს ყველა წევრის მიმართ არ შეემცდარვარ არჩევანში, გარდა მგალობლიშვილისა, რომელიც ქართველი ნაციონალისტი იყოო. სწორედ ამ მგალობლიშვილს შეხვდა 1919 წლის მარტში ჯემალ ქიქავა, რომელმაც თხოვა მას მართველთა საბჭოს სხდომაზე დაეყენებინა მგალობლიშვილის საკითხი, რომ ჯემალ ქიქავას მისცემოდა საშუალება გამოსვლისა. მგალობლიშვილმა ეს საკითხი მართლაც დააყენა, მაგრამ მას უარი უთხრეს ჯ. ქიქავას გამოსვლაზე.

დაიწყო ერთობლივი მოქმედება სამუსლიმანო გამათავისუფლებელი კომიტეტის წინააღმდეგ. ამ საქმეში შეხმატკბილებულად ამოქმედნენ მასლოვის მმართველი საბჭო, ინგლისის გენერალ-გუბერნატორი და „სედაი მილეფლები“ ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ პატრიოტებისათვის. ავრცელებდნენ ათასგვარ ჭორებს მათზე, აშინებდნენ მოსახლეობას, თვითონ კომიტეტის წევრებს უგზავნიდნენ მუქარით სავსე წერილებს, მაგრამ ამაოდ.

1919 წლის მარტში მემედ აბაშიძე შეხვდა ადგილობრივი მაჰმადიანების დიდ ჯგუფს, სადაც გაიმართა გულახდილი საუბარი ბათუმის ოლქში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ასევე ჯემალ ქიქავა სოფელ ფერიაში ატარებდა შეკრებას, რომელსაც ესწრებოდა სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი. აქვე ყოფილან „სედაი მილეფლებიც“ ისინი აწყვეტინებდნენ ჯემალს „საუბარს, არ აცლიდნენ ლაპარაკის გაგრძელების საშუალებას. ჯემალ ქიქავა კონტრარგუმენტებით ახერხებდა პროვოკატორების გაჩუმებას და ბოლოს ისე წარმართა საუბარი, რომ თვით ეს პროვოკატორები იძულებული გახდნენ ელიარებინათ, რომ „თქვენ მართალი ხართო“. ასე გრძელდებოდა აპრილში, მაისში და ზაფხულის დასაწყისში. 1919 წლის 16 ივნისს მემედ აბაშიძე შეხვდა ინგლისელ ოფიცერს უილიამ მაკქეინს, რომელსაც უთხრა, რომ „ნუ შეეცდებიან ინგლისელები და ნუ იფიქრებენ იმას, რომ ისინი შეძლებენ ბათუმის ოლქის მოწყვეტას დედა-საქართველოსაგან რადგან ეს მხარე კიდევ უფრო მძიმე განსაცდელის წინაშე ყოფილა და მაინც ისევ საქართველოსთან დაბრუნებულა“, ხოლო 1919 წლის 11 ივლისს კი იგივე ჯემალ ქიქავამ „სედაიმილეფლებთან“ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ სისულელეა იმის მტკიცება, რომ აქარლები თურქული ორიენტაციის ხალხია, როგორც ამას თქვენები ამტკიცებენ. ეს

პირდაპირ შეურაცხყოფაა ჩვენი ხალხისა. აჭარა იყო და იქნება საქართველოს განუყოფელი ნაწილი. თქვენც კი ქართველები ხართ, მაგრამ შემცდარი და ანგარების გამო ორიენტაციაშეცვლილნი. იცოდეთ, ადრე თუ გვიან თვითონ მიხვდებით თქვენს შეცდომას და კვლავ ქეშმარიტების გზას დაადგებითო“. ასე გრძელდებოდა 1919 წლის 31 აგვისტომდე, როდესაც შესდგა ბათუმის ოლქის მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობა. თვით ყრილობის დღეს. „სედა იმღეთელები“ და ინგლისელების მიერ მოსყიდული ხალხი დელეგატებს აფრთხილებდნენ, რომ არ შესულიყვნენ დარბაზში, თორემ შესაძლებელი იყო სისხლი დაღვრილიყო. ასევე ემუქრებოდნენ მათ, რომ ყრილობა ანტიმაჰმადიანურია და ის ვინც დარბაზში შევიდოდა ღმერთის მიერ დასჯილი იქნებოდა. მიუხედავად ასეთი გაფრთხილებისა, ყრილობა მაინც ჩატარდა, რომელმაც აირჩია მეჯლისი. მეჯლისმა თავის თავზე აიღო ბათუმის ოლქის საქართველოსთან დაბრუნება. ეს ფრიად დიდებული მისია მეჯლისმა ბრწყინვალედ განახორციელა 1920 წლის ივლისში, როდესაც ბათუმის ოლქი კვლავ დედა საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდა.

პრობლემებით სავსე პერიოდში, გასაჭირის დროს მემედ აბაშიძის პატრიოტული ხასიათი ყოველთვის ვლინდებოდა განსაკუთრებულობით. მემედ ბეგაბაშიძეს კი ყოველთვის გვერდში ედგა მისი თანამებრძოლი ჯემალ ეფენდი ქიქავა, რომელიც მემედთან ერთად ტრიალებდა ცხოვრების შუაგულში. 1920 წელს ბათუმში ჩამოვიდა კონსული საფრანგეთიდან ბატონი დემარტელი. მის წინაშე წარსდგა მეჯლისის წარმომადგენელი ჯემალ ქიქავა, რომელმაც აუწყა კონსულს, რომ აჭარა არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი და აქ არის აკვანი საქართველოს კულტურისა. ამიტომ ბატონმა დემარტელმა გამოთქვა რწმენა, რომ ბათუმის საკითხი გადაწყდებოდა საქართველოს ნაციონალური ინტერესების მიხედვით.

კაცობრიობის საუკუნოვანმა ისტორიამდამტკიცა, რომ ერისკაცობა მძიმე და საპატიო ხვედრია. ტრაგიზმით სავსე ცხოვრებამ აჭარის მოსახლეობა, მოწინავე ინტელიგენცია, ერთ გუნდად შეკრა. მათ გული ტკიოდათ აჭარის ხეობიდან და მიწიდან მწუხრის ლოცვა და განწირული მიწის გოდების ხმა რომ ესმოდათ. სწორედ ამ მდგომარეობამ ცხოვრების გაშმაგებულ ბრძოლის ველზე რწმენით გამოიყვანა მემედ აბაშიძე და მისი თანაგუნდელი ჯემალ ქიქავა, მათ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ აჭარა არ დაკარგულიყო და ისევ მშობლიურ საქართველოსთან ყოფილიყო. ეს მისია მათ პირნათლად შეასრულეს.

რეპეზ ნაკაშიძე

სწავლა სიბერეში ანუ მთელი სისოცხლის მანძილზე

განუსაზღვრელი შესაძლებლობების მქონე მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა და მსოფლიო მასშტაბებით ეკონომიკის აღმავლობისათვის მუდმივმა ზრუნვამ აუცილებელი გახადა ადამიანთა საგანმანათლებლო დონის მაქსიმალური სრულყოფა. გაცნობიერებული აქვთ რა ამ ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულება, პროგრესული საზოგადოებრიობა ძალ-ღონეს არ იშურებს განათლების მოდერნიზაციისათვის, სწავლებაში ზოგადსაკაცობრიო იდეალების დამკვიდრებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულმა ქვეყნებმა ცხოვრების მაღალ დონეს მიაღწიეს, მაინც პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს ერებს შორის ურთიერთდაახლოების, ურთიერთგაგებისა და თანადგომისაკენ სწრაფვა, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც, საკუთარი ეროვნული ინტერესების, სახელმწიფოთა შორის უთანხმოებების ჩარჩოებს სცილდება, რაც უპირველესად ეკონომიკურ, პოლიტიკურ, მეცნიერულ და კულტურულ თანამშრომლობას გულისხმობს.

განვითარების რა მაღალ დონესაც არ უნდა მიაღწიოს მოწინავე ქვეყნების განათლების სფერომ, სახელმწიფო სტრუქტურები მუდმივად აქცევენ მას საჭირო ყურადღებას, რადგანაც გრძნობენ, რომ თანამედროვე მოთხოვნებს სათანადოდ მომზადებული და უაღრესად განათლებული ადამიანები სჭირდება, ამიტომაც ყოველმხრივ იღწვიან იმისათვის, რათა კანონმდებლობით უზრუნველყონ ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულება საბაზო განათლების მინიმუმით.

განათლების სფერო განვითარებადი. მისი სიცოცხლისუნარიანობა დინამიურობასა და შემოქმედებით ძიებაზეა დაფუძნებული. მეცნიერების ამ დარგში დაგროვილი გამოცდილებისა და სწავლების ახალი ეფექტური მეთოდების დანერგვის მიზნით მუშავდება განათლების სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამა. თანამედროვე პერიოდში ამ პროცესმა ისეთი ინტენსიური სახე მიიღო, რომ სპეციალისტები მას ხშირად სასკოლო რეფორმების ეპიდემიად ნათლავენ.

დღეისათვის განათლების სფეროს მიმართ ერთობ შესაშურ დაინტერესებას იჩენენ, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნები. ამ განზომილებით ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ წინასაარჩევნო კომპანიას, თუ სახელმწიფო მოღვაწეობას თითქმის ყველა ქვეყნის ლიდერი საგანმანათლებლო რეფორმით, მის საჭიროებაზე ზრუნვით იწყებს.

ჩვენი ქვეყნის განათლების რეფორმაც ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებას ისახავს მიზნად, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სხვა სახელმწიფოთა მაგალითზე შექმნილი საგანმანათლებლო სტრუქტურებისა და შინაარსის ფორმა ნაკლებმანებს გვიტოვებს ქართული ეროვნული ტრადიციების შესაფერის საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაფუძნებისათვის. ასე რომ, ჩვენი აზრით ჯერ კიდევ დასაბეწვია განათლების განვითარების საერთო სტრატეგია.

ამ მხრივ აღსანიშნავია ის ფაქტორი, რომ იგი დარგობრივად სპეციალობათა სწავლების უწყვეტობის ფორმას ზედაპირულად განიხილავს. მასში ნაკლები ყურადღება ეთმობა სწავლების რომელიმე რგოლის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობის პერიოდში ადამიანისათვის ცოდნითა და სულიერი საზრდოთი უზრუნველყოფის საკითხებს. არადა, უწყვეტი პროფესიული განათლების სისტემისა და მისი მრავალსახეობის გარეშე შეუძლებელია ეფექტურად გადავწყვიტოთ დასაქმების პრობლემები.

სწავლება საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალაა. ამიტომაც, თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების სწრაფი განვითარების პირობებში, მომსახურე პერსონალის აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ასე რომ, სპეციალისტი მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა სწავლობდეს, რადგანაც ეს მისი კეთილდღეობის, ზოგადად ადამიანის სოციალური დაცვის მყარი საფუძველიცაა.

უწყვეტი განათლებისა და უწყვეტი სწავლების პედაგოგიკა ცხოვრების პედაგოგიკაცაა. მისი დანერგვის აუცილებლობას, დროის მოთხოვნასთან ერთად, განაპირობებს ის გარემოც, რომ საზოგადოება მრავალფეროვანია არა მარტო ასაკობრივი, არამედ მომზადების დონის, მისწრაფებების, მიზნებისა და ამოცანების თვალსაზრისითაც. აქედან გამომდინარე, სწავლების ფორმები და შინაარსიც მრავალმხრივია: დაწყებული ინდივიდუალურ შეგირდით, დამთავრებული თანამედროვე, მასობრივი და დისტანციური სწავლების ფორმითა და მეთოდებით.

განათლების ამ სისტემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე შეუქმნას ადამიანს ხელსაყრელი პირობები საკუთარი ცოდნის მუდმივი შევსებისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ნებისმიერ პერიოდში, სურვილისამებრ, არა მარტო პროფესიული ცოდნის გაღრმავება, არამედ მისთვის საინტერესო, ამა თუ იმ დარგის გაცნობა თუ სპეციალობის შესწავლა შეუძლია.

სწავლების ამ სტრუქტურის საპირობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ უახლესი მეცნიერული აღმოჩენებიდან გამომდინარე, ახალი ინფორმაციის დასაუფლებლად სპეციალისტთა არსებული ცოდნის დონე საკმარისი არაა. დადგენილია, რომ მნიშვნელოვანი სიახლეების დანერგვა და ცვლილებები ელექტროტექნიკაში ატომური ენერგეტიკისა და კოსმონავტიკის სფეროში აუცილებელი ხდება მინიმუმ 4-5, მანქანათმშენებლობასა და მედიცინაში 5-6, სოფლის მეურნეობაში, კი 8-10 წლის განმავლობაში. კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განიცდის მოდერნიზაციას მედიცინის, მომსახურების, ხელოვნებისა და სხვა უამრავი დარგი. ამის შესაბამისად დღის წესრიგში დგება ახალი ტერმინოლოგიის შესწავლის აუცილებლობაც. მოკლედ რომ ვთქვათ, სულ რამდენიმე წელიწადში სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტს, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც სჭირდება ცოდნის მარაგის შევსება.

აღნიშნული პროცესების მართვისათვის, ტრადიციული სასწავლო დაწესებულებების გარდა, დარგების მიხედვით ჩვენში წარსულში იქმნებოდა და დღესაც განაგრძობს ფუნქციონირებას ზოგიერთი სახის კვალიფიკაციის ასამაღლებელი დახელოვნების ინსტიტუტი, კურსები თუ უშუალოდ საწარმოებში შექმნილი, კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ, სპეციალური პროგრამით მომუშავე სიახლეების შემსწავლელი მუდმივმოქმედი სკოლები და სასწავლებლები.

ჩვენი ქვეყნის სკოლებში მოსწავლეებისათვის და უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტებისათვის მიცემული განათლება, სწავლების ზემოთ ხსენებული სისტემის

საფუძვლიცაა. დამატებითი წყარო ცოდნის შევსებისა, ახლით გამდიდრებისა აქ მრავლადაა. ამ მიზანს ემსახურება კურსები, წრეები, ჯგუფები, რომლებიც შექმნილია არა მარტო სკოლებთან, სასწავლებლებთან, მოსწავლეთა სასახლეებთან, არამედ მხარეთმცოდნეობისა და ხელოვნების მუზეუმებთან, თეატრებთან თუ კლუბებთან. ამიტომაც მოსწავლეს, რომელიც გადაწყვეტს მეცადინეობას რადიომოწყარულის, ავტომოდელიორის წრეში, ან საკუთარ შესაძლებლობებს მოსინჯავს მხატვრულ შემოქმედებასა თუ ხელოვნებაში, ფართო შესაძლებლობები ექმნება არა მარტო შინაარსიანად გამოიყენოს თავისუფალი დრო, არამედ ერთდროულად შეივსოს და გაიმდიდროს ტექნიკური თუ ჰუმანიტარული ცოდნის მარაგი.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გვაიძულებს ასევე ასაკოვან მოქალაქეთა მომზადებისა და წარმოებაში დასაქმებულ კადრებთან მუშაობის ფორმების გადასინჯვასაც.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით ჩვენში ეროვნული მეურნეობის პროფესიული კადრებით უზრუნველსაყოფად უნდა გამოინახოს რაციონალური გზები და მეთოდები, სწავლების სხვადასხვა სისტემის ოპტიმალური თანაარსებობისათვის ისე, რომ არ მოხდეს რომელიმე მათგანის იგნორირება ან როლის დაკნინება.

როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, ნებისმიერ მონოპოლიას აუცილებლად უძრაობისაკენ მივყავართ, მით უმეტეს, იგი მიუღებელი უნდა იყოს განათლების სფეროში, ამიტომაც მაღალი პროფესიონალური კადრების მომზადების მიზნით დღის წესრიგში დგას ჭანსალი კონკურენციის პირობებში მომუშავე მრავალპროფილიანი სკოლების ფუნქციონირების საკითხი.

ახალ ეკონომიკურ პირობებში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ გვაქვს გადაწყვეტილი მუშა სპეციალისტთა მომზადების მრავალრიცხოვანი პრობლემა, რომლებიც სწავლების ხარისხის გაუმჯობესების და სხვა ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებასთან ერთად, უნდა შეიცავდეს სტიმულირების მექანიზმსაც. ასე, მაგალითად, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში რაოდენობრივი მაჩვენებლებით კი არ ხელმძღვანელობენ, რასაც ადრე ჩვენ ასე გამოდევნებული ვიყავით, არამედ იმ კატეგორიებით, რომლებიც დომინირებენ შრომის ბაზარზე.

როგორც რეალობამ დაგვარწმუნა, ჩვენში დამკვიდრებულმა ცხოვრების ახალმა წესებმა სამუშაო ძალების მიმართ წარმოშვა სრულიად ახალი ხასიათის მოთხოვნები, რაც იმაში გამოიხატება, რომ ფართო დიაპაზონის მქონე პროფესიონალი მუშაკი ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და საწარმოთა ტექნოლოგიური გადაიარაღების პირობებში უნდა გამოირჩეოდეს ადაპტირების დიდი უნარითა და ალლოიანობით, საქმისადმი კეთილსინდისიერი, შემოქმედებითი მიდგომით.

საამისოდ აქედანვე უნდა ვიფიქროთ მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებაზე, მით უმეტეს დღეს, როდესაც ჩვენში უმუშევარია უამრავი ადამიანი და იზრდება სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა რაოდენობა. სამწუხაროდ, საარსებო წყაროს საძებნელად, ქვეყნას ტოვებს მოსახლეობის ჭანსალი და მნიშვნელოვანი ნაწილი; ვფიქრობთ, პროფესიული სასწავლებლისა და მოსწავლეთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება პირდაპირ გავლენას ახდენს კრიმინალური სიტუაციის გაუარესებაზეც, რადგანაც პროფესიული სასწავლებლები უნდა უზრუნველყოფდნენ ახალგაზრდების დასაქმებას.

ცხოვრება რთული და მრავალწახნაგოვანია. უფროსებს, ასაკოვან ადამიანებს, ასე თუ ისე ჰყოფნით ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება თავი დააღწიონ

სიძნელებს, მაგრამ მოზარდები, რომლებიც პირველად დგამენ ნაბიჯებს დიდ ცხოვრებაში, უმწეოდ გამოიყურებიან.

ამ მხრივ განსაკუთრებით უჭირთ იმათ, რომლებიც ცხოვრებამ აიძულა ადრეული ასაკიდან მიეტოვებინათ სკოლა და ქუჩაში აღმოჩნდნენ. ასეთი ახალგაზრდების რიცხვი დღითიდღე კატასტროფულად იზრდება, თუ ამას დაემატება ახალსკოლადმთავრებულებს, რომლებიც არ მუშაობენ და არც არსად არ სწავლობენ, ძნელი არ იქნება იმის მიხედვით, რომ მათ მხარეში ამოდგომა, დახმარება სჭირდებათ. სამწუხაროდ, ეკონომიკური კრიზისისა და მზარდი უმუშევრობის ფონზე მათი დასაქმება შეუძლებელი ხდება.

საგანგაშოა ის გარემოებაც, რომ ჩვენში არც სახელმწიფო და არც კერძო ფირმები თავს არ იწუხებენ ახალგაზრდების პრობლემებით. მათ არ სურთ მცირეწლოვნებთან ურთიერთობით გაირთულონ საქმე. არავინ ღებულობს მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მოზარდი, რომელიც არაფრითაა დაკავებული, პოტენციური დამნაშავეა. არადა, ახალგაზრდა სწორედ ამ ასაკში ყველაზე უფრო შესაფერისადაა მომზადებული საკუთარი მისწრაფებების საფუძველზე პროფესიის არჩევისათვის და ცხოვრების ამ სტადიაში ესაჭიროება ცოდნის მიღება.

შიშის საფუძველს გვიორკეცებს ის გარემოებაც, რომ თუ შევადარებთ ჩვენი ქვეყნის მუშის კვალიფიკაციის დონეს საზღვარგარეთელი კოლეგის პროფესიონალიზმს, ამ უკანასკნელის უპირატესობა აშკარაა. ჯერ კიდევ ათი წლის წინანდელი მონაცემებით, სანამ საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა, აშშ-ის მრეწველობაში დასაქმებული მაღალი კვალიფიკაციის მუშათა ოდენობა ორნახევარჯერ აღემატებოდა საბჭოთა კავშირში შესაბამისი კადრების რაოდენობას. საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ მხოლოდ ერთმა კორპორაციამ, „აი-ბი-ემ“-მა 1998 წელს თავისი მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის 700 მილიონი დოლარი გაიღო, თითქმის 1,5-ჯერ მეტი, ვიდრე სსრ კავშირის იმდროინდელი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის წარმოებამ და ორგანიზაციამ ერთად აღებულმა. შედეგებიც თვალსაჩინო აქვთ. განვითარებული ქვეყნების წარმოების სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა, ენერგიის ახალ სახეობათა და ლაზერული ტექნიკის გამოყენებამ, მეცნიერების ახალი დარგების ათვისებამ არამწარმოებლური საქმიანობის გაფართოებამ, ნედლეულად ადრე უცნობი მასალების გამოყენებამ, ავტომატიზაციამ, რობოტიზაციამ, საწარმოო პროცესების კომპიუტერიზაციამ და ასე შემდეგ ძირეულად შეცვალა ხალხის ყოფა-ცხოვრება, მათი სოციალური და სულიერი ცხოვრების პირობები. ადამიანები ამ სახელმწიფოებში დიდი ხანია შეეგუენ რთულ შრომით საქმიანობას, აკმაყოფილებენ მათი ინტელექტუალური ღონისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში პოტენციური უმუშევრები გახდებიან. ასე მაგალითად, არაკვალიფიციურ ან დაბალი კვალიფიკაციის მუშახელზე მოთხოვნები უკანასკნელ წლებში კატასტროფულად ეცემა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავება იწვევს ადამიანთა ინტერესებისა და საქმიანობის გაფართოებას საკუთარი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც. ამ მიზნით, აუცილებელი ხდება კადრების მომზადება ერთიანი, საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე.

საზღვარგარეთის ქვეყნებში „ცოდნა ღირს კონკრეტული ბრძოლის მთავარ ობიექტად იქცა“!

განათლებული ადამიანები საზოგადოების ფასდაუდებელ, პროგრესის მამოძრავებელ

ძალადაა მიჩნეული. ამიტომაცაა, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანები ძვირად ღირებულ კაპიტალს წარმოადგენენ და მათზე, როგორც ამბობენ: „პირდაპირ ნადირობაა გაჩაღებული“.

ბევრჯერ თქმულა და მეც უნდა გავიმეორო, რომ დამლუპველია საქმისადმი ასეთი მიდგომა: „ავამოქმედებთ მრეწველობას, ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებს და სკოლებსაც მერე მივხედავთ“ – ნუთუ ამის მოქმელი არ უფიქრდება იმას, რომ თუ ქვეყანა არ მიხედავს განათლების სფეროს, არ მოამზადებს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს, მაშინ ვინ აამოქმედებს გაჩერებულ საწარმოებს, ვინ უნდა აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქცია, შექმნას სიუხვე(ზედმეტად მიმანია საუბარი იმის თაობაზე, რომ განათლება საზოგადოების განვითარებისა და გარდაქმნის უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტორია.

ჩვენი რეალობისათვის დამახასიათებელი ცხოვრების მკაცრი პირობები ზოგჯერ პიროვნების წინაშე აყენებს გაუცნობიერებელ მოთხოვნებსაც. ამიტომაც საჭიროა ქმედითი ღონისძიებების გატარება, რათა ადამიანებს ჩავუნერგოთ მომავლის იმედი, საკუთარი თავის რწმენა, გამბედაობა, შეგუნარჩუნოთ სულიერი წონასწორობა, თავისუფალი აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი... დღეს ხალხს სოციალური პრობლემების მოგვარებასთან ერთად, აუცილებლად სჭირდებათ სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაფერისი გარემოც, რომლის გარეშეც მატერიალურ სიკეთეს ფასი არ ექნება.

სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ იმ სულისკვეთებისა, რომ კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ცოდნის სისტემატური შევსებისათვის სახსრების გამოყოფით თავს ვიწუხებდეთ. არადა, ბევრ მოწინავე ქვეყანაში უწყვეტი სწავლება უფასოა. ხშირ შემთხვევაში მის დაფინანსებას მუნიციპალური ორგანიზაციები და მსხვილი ფირმები კისრულობენ. ასე, მაგალითად, 90-იანი წლების მონაცემებით, აშშ-ის კოლეჯში ვაჭრობის სფეროში სპეციალისტის მომზადება მთლიანად 18-20 ათასი დოლარი ჯდებოდა. ამ თანხის ნახევარი კი უწყვეტ სწავლებას, სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა კვალიფიკაციის ამაღლებას, სტაჟირებას ხმარდებოდა, მაშინ, როცა ჩვენში დღემდე მომავალ სპეციალისტებს ვამზადებთ უკვე ხმარებიდან ამოღებულ ან უმნიშვნელოდ მოდერნიზებულ მოწყობილობებზე.

ადამიანთა განსწავლულობა, როგორც ცნობილია, მართო სკოლებში, სასწავლებლებში, უნივერსიტეტებში მიღებული განათლებით არ შემოიფარგლება. საამისოდ მათ სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე ესაჭიროებათ. ამ განზომილებით, საგსებით უსუსურად გამოიყურება ჩვენში ადრე გავრცელებული სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ თითქმის დიპლომების მიღებით სწავლების პროცესიც დასრულებულია, სრულფასოვანია.

მე-18 საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტის დ. გურამიშვილის ხატოვანი გამოთქმის არ იყოს, „ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა“. სწავლა ჩვენი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად უნდა ვაქციოთ, რასაც მივალწევთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინა პლანზე წამოვწევთ მონდომების ფაქტორს, რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძალდატანებითი სწავლება მიუღებელია. თუ მხედველობაში მივიღებთ მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილებას, თვალნათლივ დავინახავთ, რომ უნიჭო და ზარმაცი კაცის გზის გაკვლევაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მოწინავე სახელმწიფოებში ძალიან დიდია ცოდნისა და განათლების ავტორიტეტი, ნიჭიერი და გამრჩე ადამიანების ფასი. მათი ყოველი წარმატება ხომ სწავლისა და ცოდნის

მონაპოვარია.

ის ფაქტი, რომ მეცნიერება და განათლება დღეს ვერ გვაძლევს ფულად შემოსავალს, არ უნდა იქცეს მათი ნაკლებმომგებიან დარგებად ჩათვლის საბაზად, თუ ამას სათანადოდ ვერ აღვიქვამთ, გავითვალისწინოთ საზღვარგარეთული გამოცდილება, სადაც სახსრებს არ იშურებენ და თავიანთი ინიციატივით აარსებენ სკოლებს, სასწავლებლებს, ხოლო პედაგოგებს ბევრად უფრო მეტ ხელფასს უხდიან, ვიდრე ნებისმიერი სხვა დარგის მუშაკებს, რადგანაც კარგად ესმით კვალიფიციური სპეციალისტები სახელმწიფოს სიძლიერისა და სიმდიდრის სიმბოლო რომაა, რაც მათი მომზადების მიზნით გაღებული სახსრების კომპენსაციის მყარი გარანტიაა. ასე მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში რაღაც ორ ათეულ წელიწადში 70-იანი წლების მონაცემებით უმუშევართა რაოდენობამ 700 ათასიდან 1994 წელს სამ მილიონს მიაღწია და მათ შორის მილიონამდე ახალგაზრდა იყო. უწყვეტი განათლების სისტემას პრიორიტეტული მნიშვნელობა მაინც არ დაუკარგავს.

ამ ქვეყანაში უწყვეტი განათლების შესახებ მიღებულ კანონში ასახულია არა მარტო სწავლების მიზნები და ამოცანები, არამედ ასაკოვანი ადამიანების ეფექტური მომზადების მიზნით განსაზღვრული იქნა პროფესიული განათლების ფორმები და საშუალებები სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებებში. პროფესიული მომზადებითა თუ კვალიფიკაციის ამაღლებით დაინტერესებული პირები უზრუნველყოფილი არიან მაღალი სტიპენდიებითა და სხვა სახის შეღავათებით. 1971 წლის მონაცემებით საწარმოთა მიერ ხელფასების ფონდიდან 0,8 პროცენტი თუ კადრების მომზადებაზე ირიცხებოდა, 1993 წელს იგი 1,5 პროცენტამდე გაიზარდა.

საფრანგეთში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში კვალიფიციური კადრების მომზადებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება ძირითადად შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხარჯზე ხდება. საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ აქ ახალი ტექნოლოგიის ათვისებისა და დანერგვის ვადები მნიშვნელოვნადაა შემცირებული. ამასთან, გამოირიცხებულია ძვირადღირებული დანადგარებისა და ხელსაწყოების მოცდენა, ავარიის შემთხვევები...

საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში ახლა, ნებისმიერი ასაკის მოქალაქისა თუ მოზარდისათვის, უწყვეტი განათლების მისაღებად სასწავლო დაწესებულებათა ფართო ქსელი მოქმედებს. ამ სასწავლო დაწესებულებებში შესაძლებელია მიიღოთ მეორე საუნივერსიტეტო განათლება, დაეუფლოთ კომპიუტერზე მუშაობას, ან გაიაროთ მეოჯახეობის, მებაღეობის კურსები, ისწავლოთ პოლიტიკის, სოციოლოგიის, ჟურნალისტიკის სფეროში და ასე შედეგად.

ამ ტიპის ინგლისურ, ფრანგულ, იაპონურ სკოლებში შემოღებულია არააუცილებელი, (ფაკულტატურული) საგნებისა და ისეთი დისციპლინების შესწავლა, როგორებიცაა: სოციალური ფსიქოლოგია, ზოოფსიქოლოგია, გამოთვლითი ტექნიკა, კოსმეტიკა და ა.შ.

აქვე, მკატრი, დიფერენცირებული სწავლების ერთ ნაკლზე უნდა მოგითხროთ. ერთი ჩვენი თანამემამულე ბიზნესის დარგში, აშშ-ში ერთ-ერთ კოლეჯში იღრმავებდა ცოდნას. მისი გადმოცემით, ლექციებს, ახალგაზრდებთან ერთად, ასაკოვანი ადამიანებიც ესწრებოდნენ. ორი 50 წელს მიღწეული მამაკაცი მათემატიკას ეუფლებოდა. მათ ელემენტარული განტოლების ამოხსნასაც კი უჭირდათ, რადგანაც მათი ცოდნა აღრინდელ სამსახურში არ სჭირდებოდათ და პროფესიის გამოცვლის გამო დაიწყეს

ამ საგნის ხელახალი შესწავლა.

მოქალაქეთა უწყვეტი განათლების მიღების ფორმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრავალფეროვანია.

საკმაოდ ობიექტურადაა ორგანიზებული საწარმოების მუშაკთა ტესტირების პროცესებიც. მსმენელები, სპეციალური მომზადებისა და გადამზადების კურსების გავლის შემდეგ, აბარებენ საგამოცდო ტესტებს, რომლის დროსაც „საქმის ჩაწყობაზე“ ლაპარაკიც ზედმეტია, რადგანაც მუშაკის დაბალი კვალიფიკაციის დონე აქ მიუღებელია.

ასეთი ტიპის სასწავლო დაწესებულებათა სტრუქტურა, მათი მოქნილი მუშაობა, ფართო შესაძლებლობებს გვიქმნის ექსპერიმენტებისა და სიახლეთა დანერგვისათვის, სწავლებისა და აღზრდის არაორდინალური ფორმებისა და მეთოდების შემოღებისათვის. მათი საშუალებით, ჩვენი აზრით, შეიძლება ახალგაზრდების შესაძლებლობების გამოვლენა და მათი რაიმეთი დაინტერესება. დაუსაქმებელ ახალგაზრდებს, ბუნებრივია, იტაცებთ კაფეები, ბარები, დისკოთეკები, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ისინი ხალისით ჩაებმებიან თავისუფალი დროის მიზნობრივად და საინტერესოდ გატარების ღონისძიებებშიც. ასეთ ახალგაზრდებს არასტანდარტული სახის სწავლებისა და საქმიანობის ფორმები უფრო იტაცებთ-ხოლმე.

როგორც ავღნიშნეთ, მსოფლიო საგანმანათლებლო პრაქტიკა გვიდასტურებს, რომ უწყვეტი განათლების სიცოცხლისუნარიანობის აუცილებელ პირობას ადამიანის მატერიალური დაინტერესება წარმოადგენს. ამ მხრივ მოწინავე სახელმწიფოებში შექმნილია შესანიშნავი გარემო: მაღალი ხელფასი, სასურველი სამსახურობრივი კარიერა, სხვა საყოფაცხოვრებო და სოციალური გარანტიები თავის მხრივ, კადრებისადმი მზრუნველი მიდგომა წარმოებებს აძლევს საშუალებას შექმნან კვალიფიციურ მუშაკთა საკუთარი რეზერვები, აამაღლონ კადრების დამაგრების მაჩვენებლები და შეამცირონ მათი დენადობის პროცესი. საბოლოოდ, კვალიფიკაციის ამაღლების ყველაზე აქტიურ სტიმულატორად თვით შრომის ბაზარი გვევლინება, სადაც დღითიდღე მატულობს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა ფასი.

ადამიანი თვითონ ბეჭდავს თავის ბედს, უმნიშვნელო თანამდებობაც რომ ეკავოს, მას შეუძლია იგი აქციოს საინტერესოდ, მიმზიდველად, ოღონდ, მთავარია, უფარდეს საკუთარი პროფესია და სწავლობდეს გამუდმებით.

უწყვეტი განათლების აქტუალობას განაპირობებს აგრეთვე, ბევრი სოციალური და დემოგრაფიული პროცესი, რომლებიც დამახასიათებელია მაღალგანვითარებული საზოგადოებისათვის. ამ მხრივ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ცხოვრების დონის გაუმჯობესება ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას იწვევს. ასე მაგალითად, აშშ-ი იგი მამაკაცებში - 71,2, ქალებში - 78,2, ხოლო საშუალოდ - 74,7 წელიწადია.

„XXI საუკუნის განათლების პროექტის“ ავტორები აღნიშნავენ, რომ ხანდაზმული მოსახლეობის მიხედვით იაპონია მსოფლიოში პირველ ადგილზეა. ამ ე.წ. „მესამე ასაკობრივი პერიოდის ადამიანების“ არაფორმალური განათლებით უზრუნველყოფა ახალი პედაგოგიური სისტემის ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანად იქცა.

ცნობილია, რომ ცხოვრების ერთი ფაზიდან მეორეში გადასვლა ადვილი არ გახლავთ. ყველა როდია ამისათვის მზად. ბევრი ამ ასაკში, ცხოვრების წესის შეცვლის გამო, ვერ პოულობს თავის ადგილს, შემდგომში საქმიანობის ობიექტს, უჭირს თავისუფალი დროის გამოყენება, ახალი ინტერესებისა და მისწრაფებების გამოვლენა.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ ხანდაზმული ადამიანების შემოქმედებითი პოტენციალის ეფექტურ გამოყენებაზე, რადგანაც მათმა შემონახულმა ენერგიამ, მდიდარმა

ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ და ცოდნამ, შესაძლებელია დიდი სარგებლობა მოუტანოს საზოგადოების კულტურული და სოციალური სფეროების წინსვლის საქმეს.

სტატისტიკური მონაცემებით, ამჟამად დედამიწაზე მოსახლეობის ერთ მეათედზე მეტი სამოც წელს გადაცილებულია, ორ ბავშვზე ერთი მოხუცებული მოდის. პროგნოზებით, XXI საუკუნეში ხანდაზმულთა რაოდენობა ბავშვების რიცხვს გადააჭარბებს. მკლევართა ვარაუდით 2050 წლისათვის ეს მონაცემები ორჯერ გაიზრდება, მკვეთრად მოიმატებს „სუპერ-მოხუცთა“ - 80 წელს გადაცილებულთა რაოდენობა, რომელთა რიცხვი ამჟამად 60 მილიონს აჭარბებს. სხვათა შორის მეცნიერები გვარწმუნებენ, რომ ასევე გაიზრდება 100 წელს გადაცილებულთა რიცხვი. ამჟამად თუ მათი რაოდენობა 135 ათასს აღწევს, 2050 წლისათვის 2,5 მილიონი გახდება.

ეს პროცესი მხოლოდ დემოგრაფიული მონაცემებით როდია საინტერესო, იგი სიცოცხლის ხანგრძლივობის, ბოლომდე შრომისუნარიანობის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის შენარჩუნების თვალსაზრისითაც გახლავთ საყურადღებო.

ასაკოვან ადამიანთა უწყვეტი განათლების მიღების საკითხს ბევრი პუბლიკაცია და კონცეფცია ეძღვნება საზღვარგარეთ, რომლებშიც ასახულია პრაქტიკული გამოცდილებები ამ სფეროში, მაგრამ, ჩვენი აზრით, ჭერჭერობით ბოლომდე არაა შემუშავებული უწყვეტი განათლების ისეთი სრულყოფილი ფორმები, რომლებიც პასუხს გასცემდა იმ კითხვებზე, თუ როგორ უზრუნველყოთ განათლების სხვადასხვა რგოლის თანმიმდევრობა სწავლების მიზნების, ამოცანებისა და შინაარსის შესაბამისად, როგორ გავაღვიძოთ და შევინარჩუნოთ ასაკოვან ადამიანებში სწრაფვა განათლებისაკენ, თვითგანვითარებისაკენ. თუმცა მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ახლა ყველგან ინტენსიურად მიმდინარეობს მათი დახვეწის სამუშაოები.

ბოლო პერიოდში მასობრივი ხასიათი მიიღო საპენსიო ასაკს მიღწეული ადამიანების სხვადასხვა სფეროთი დაინტერესებამ, რადგანაც მათ საკუთარი საქმიანობის ერთფეროვნება მობეზრებული აქვთ და ცდილობენ ამ გზით გაიმრავლონ დარჩენილი ცხოვრება. ამ კატეგორიის ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ვალი მოიხადეს ქვეყნის წინაშე, ასაკის მიუხედავად, აქტიურობენ. ალბათ, ამიტომაც უწოდებენ განვითარებულ ქვეყნებში ადამიანის მოხუცებულობის პერიოდს „ოქროს ხანას“, მათ ეძლევათ შანსი საკუთარი შეხედულებებითა და სურვილებით დაიკმაყოფილონ სულიერი მოთხოვნები.

ხანდაზმულების ინტერესთა სფერო მრავალფეროვანია. ვის მებაღეობის, მეფრინველეობის თუ მეცხოველეობის, ვის მოგზაურობისა თუ ისტორიით დაინტერესების ჟინი უჩნდება. საამისოდ იწყებენ კიდევაც ამ სფეროში ცოდნის შეგებას. ისმენენ გაკვეთილებს მცენარეთა თუ ცხოველთა მოვლა-პატრონობის, ისტორიის, კულტურის, ანტიკური ხელოვნების თემებზე, სხვა საინტერესო საკითხებზე. ამჟამად ხშირად შეხვდებით უცხოეთში ხანშიშესულ ადამიანთა მრავალრიცხოვან ჯგუფებს, საზღვარგარეთ ტურისტული, თუ საქველმოქმედო და სხვა მიზნით მოგზაურობით გატაცებულთ.

ხანდაზმული ადამიანების პრობლემების შესწავლასთან დაკავშირებით, მედიცინისა და ფსიქოლოგიური კვლევის ურთიერთშეხების საფუძველზე აშშ-ში ჩამოყალიბდა მეტად საყურადღებო მიმართულება: „კრიზისულ სიტუაციებში ჩვეულებრივი ცხოვრების წესის შენარჩუნებისათვის“, რომლის თანახმადაც პიროვნება, რომელიც

გადის პენსიაში, საკმაოდ ადრე უნდა შეუდგეს მისთვის მზადებას, საფუძვლიანად მოიფიქროს და დაგეგმოს, რა გააკეთოს, როგორ გაატაროს დარჩენილი წლები, რისი ცოდნაა ამისათვის საჭირო და სად შეიძლება მისი შეძენა. ამგვარი პროცესების რეგულირება მას რამოდენიმე წლით გაუზანგრძლივებს სიცოცხლეს.

უწყვეტი განათლების სისტემით დაინტერესება 90-იან წლებში ჩვენშიც აქტიურად დაიწყო. საქართველოს განათლების კანონით აღიარებული „განათლების ეტაპობრიობა, უწყვეტობა და მემკვიდრეობა“, ჩვენი აზრით ეხება არა მარტო განათლების სისტემის სრულყოფის ფორმებს, არამედ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გათვალისწინებით დარგობრივ სპეციალობებში ცოდნის სისტემატურად შევსების პროცესებსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბაზო რგოლია უწყვეტი განათლების სისტემაში, რომლის როლი თანამედროვე საზოგადოებაში კიდევ უფრო იზრდება. პრაქტიკულად, მოზარდი თაობა სწავლების ამ საფეხურს გაივლის. მოსწავლე სკოლაში ლეზულობს არა მარტო აუცილებელ ცოდნას, არამედ აქ ხდება მისი თვითაღზრდა, პიროვნებად ფორმირება, რაც უწყვეტი განათლების მიღების წინაპირობაა. სწავლების ამ სტრუქტურის ცხოვრებაში დასანერგად ჩვენს რეგიონში პირველი ნაბიჯები ბათუმის №76 ტექნიკურმა სასწავლებელმა გადადგა, რომლის ბაზაზეც, 1991 წელს უმაღლესი პროფესიული სასწავლებელი, ხოლო 1996 წლიდან პროფესიული სამეცნიერო სასწავლო-საწარმოო ცენტრი შეიქმნა. მისი მუშაობა დროის მოთხოვნების გათვალისწინებასთან ერთად მჭიდრო კავშირში განიხილება. აქვე უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ სწავლების ავტონომია მოქნილს ხდის ცხოვრების მოთხოვნისადმი მისი ადაპტირების პროცესს.

სასწავლებლის კოლექტივი უპირველესად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და სწავლების აუცილებელი სასწავლო დოკუმენტაციით აღჭურვისათვის ზრუნავს. მოსწავლეთა განსწავლულობის მიზნით ძველ ტრადიციულ სპეციალობებთან ერთად თითქმის ყოველწლიურად ხდება ახალი და ე.წ. თავისუფალი პროფესიების ათვისებაც. სასწავლებელში კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადება პარალელურად ფუნქციონირებს ასაკოვანი ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსები და წრეები. ნაყოფიერად მუშაობს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ცენტრიც. ზოგიერთი სპეციალობის მიხედვით შემუშავებული გვაქვს ინდივიდუალური სწავლების პროგრამები. სასწავლო ცენტრს შეუძლია ნებისმიერი წარმოების თუ კერძო პირის შეკვეთების შესრულებაც.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ინტენსიურად ვითარდება წვრილი ბიზნესი და ოჯახური წარმოება, რაც არა მარტო თანამედროვე ახალი პროფესიების დაუფლების, არამედ პროფესიათა შეცვლის მაძიებელთა რიცხვის ზრდასაც იწვევს.

ადამიანები ახლა მასიურად იცვლიან პროფესიებს. ისეთებიც კი, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ემსახურებოდნენ საყვარელ საქმეს და საპენსიო ასაკს რომ მიაღწიეს, მატერიალური თუ სულიერი მოთხოვნების გათვალისწინებით სხვა საქმიანობაზე გადაერთვებიან ხოლმე.

ხშირად გვესმის, მავანს, თავის საქმის მცოდნეს, ადრე შესანიშნავ პედაგოგს, ინჟინერს, აგრონომს თუ ეკონომისტს, რომელსაც ცხოვრების დიდი დრო საყვარელი საქმისათვის მიუძღვნია, ახლა დურგლის, მღებავის, მკერავის, მქსოველის, ფრინველებისა და შინაური ცხოველების მოვლისა თუ სხვა ხელსაქმისათვის მიუყვია ხელი. ამბობენ, ბევრი ამით თავსაც უკეთ ირჩენს და საკუთარ ჰობსაც ჰპოულობსო. ასე მაგალითად,

პროფესიით პედაგოგმა, წლების განმავლობაში საუკეთესო მასწავლებელმა და აღმზრდელმა საქორწილო და სადღესასწაულო ტორტების გაფორმებით ისახელა თავი და შემკვეთიც ბევრი შეიძინა. ვ-მ, რომელიც ათეული წლების განმავლობაში პედაგოგიურ ფრონტზე იღვწოდა და სკოლის დირექტორობიდან დამსახურებული მასწავლებლის წოდებით პენსიაზე გავიდა, დურგლობას მიჰყო ხელი და შესანიშნავი ოსტატის რეპუტაცია მოიხვეჭა, რისი დასტურიც არის ის, რომ ხშირად აკითხავენ შეკვეთებზე. დამსახურებულმა ინჟინერმა გ-მ სახლში პატარა სახელოსნო გააკეთა, აბაჟურებსა და სუვენირებს ამზადებდა, მალაზიებში აბარებდა და კარგი შემოსავალიც გაუჩნდა; მ-მ მეფუტკრეობას მიჰყო ხელი და ა.შ.

ბოლო პერიოდში პროფესიულ და სპეციალურ სასწავლებელში საგრძნობლად იმატა ასაკოვან ადამიანთა რიცხვმა, მოგვმართავენ შესაბამისი ტექნოლოგიის გაცნობის, კვალიფიკაციის ამაღლების, კონსულტაციების, რჩევა-დარიგებებისათვის; ეძებენ სპეციალურ ლიტერატურას, სიახლეებს, ისწავებიან თვითგანვითარებისაკენ. აინტერესებთ, რომელი პერიოდული გამოცემებით, ჟურნალ-გაზეთებით იხელმძღვანელონ, ვის დაუკავშირდნენ და ვისთან გააბან საქმიანი ურთიერთობები.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ თანამედროვე ცხოვრება მკაცრად აყენებს უწყვეტი სწავლების ტიპის სასწავლებლების შექმნის აუცილებლობას, რაც რამდენადმე აისახა ახლახან მიღებულ სახელმწიფო კანონში „დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ“.

საზღვარგარეთელი ანალოგიური სასწავლებლების მსგავსად სწავლების სწორედ ამ სისტემას ეკისრება კვალიფიციურ მუშაკთა მომზადების ძირითადი მისია. ამ მხრივ ოპტიმისტური განწყობილების საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ საქართველოში ზოგიერთ პროფესიულ სასწავლო დაწესებულებაში იგი უკვე დანერგილია და სწავლების ტრადიციული მეთოდებისაგან განსხვავებით გარკვეული უპირატესობა გააჩნია. სასწავლო ცენტრები, ჩვენი ვარაუდით მომავალში ნამდვილად გადაიჭყვიან მძლავრი პროფესიული მომზადების „სერვისებად“, რომელთაც შეეძლებათ დამკვეთის ნებისმიერი მოთხოვნის შესრულება.

შინაარსი

„ლიტერატურული აჭარა“, №1
2000 წელი

პროზა. პოეზია

1. ჯემალ ჯაყელი – ნათელმხილველი (მოთხრობა)	3
2. ამირან ხაბაზი – ჯავახიურის ნოველა	18
3. ლია სტურუა – ლექსები	22
4. გენრიეტა ქუთათელაძე – ლექსები პროზად	28
5. ვახტანგ ახვლედიანი – სოფლის გზაწვრილებით	31
6. მაია მახარაძე – ლექსები	38
7. ანზორ კუდბა – აპოკალიფსი (დასასრული)	49
8. უუჟუნა შაინიძე – ლექსები	84
9. სანდრო ბერიძე – ლექსები	87

კრიტიკა. პუბლიცისტიკა

10. ოთარ ჭილაძე – გაურკვევლობის ბურუსიდან მშობლიურ წიადში	94
11. შოთა ზოიძე – ცისფერუანწელთა ორდენის წევრი	114
12. ხათუნა გოთუა – სულიერი სიკვდილის თემა ჯოხისის დუბლინელების მიხედვით	117
13. ეკა ჩხარტიშვილი – კოდირებისა და დეკოდირების ფენომენი პოეზიაში ..	121
14. თეა თავბერიძე – მეტაზღაშემები აკაკის სატირულ ლექსებში	126

ნარიკები

15. ნინო ქიქავა, ოთარ გოგოლიშვილი – სისხლით დაწერილი დიდღირსებიანი კაცობა	129
16. რეზო ნაკაშიძე – სწავლა სიბერეშდე ანუ მთელი სიცოცხლის მანძილზე-	133

კომპიუტერული უზრუნველყოფა – გენადი კომახიძე

ოპერატორი – მანანა ჩაველეშვილი

კორექტორები – მარინე ბერიძე, ირმა ბერიძე

გადაეცა წარმოებას 30. 12. 99.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20, 01. 2000.

ქაღალდის ზომა 60X90 1/8.

ჰირობითი ნაბეჭდი თაბახი 18,75.

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 18.

ჰირობითი საღებავგატარება 18,75.

შეკვეთის № 365.

ტირაჟი 300.

ჟურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა სააქციო საზოგადოება "სტამპა"-ში
დ. თავდადებულის ქ. №16

ინდექსი 78118

სტ 137/2

საბჭოთა	
დაჯილდოვებული	
19	24